

14
937/2



მნათობი

12

169

ს ქ ი ბ ე ზ ე ბ ი

ბ ფ ი ჯ ი ს ი — 1937

მნათობი

სრულიად საქართველოს საშჩქოთა მწერლუბის
კავშირის ყოფულთვიური სალიტერატურით,
სახელთვით და საბოტაჟიზმ-სამთლიტვიკო
ქერნალი


წელიწადი მეთოთხმეტი

12

ს ა ხ ე რ ბ ა მ ი

ტ ფ ი ლ ის ი 1937

საქართველოს
პროლეტარიატის
მუშაკონტრაქტორი
პროლეტარიატის



პ/მზ. რედაქტორი — ალიოზ მანუშვილი

პ/მზ. მდივანი — ლევან ასათიანი

მთავლ. რეგისტრ. № 330075. შეკვ. № 1655. ტირაჟი 3500.

სახელგაშის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

750

წლის თავი

ქართული ხალხის

გენიოსი პოეტის

შოთა რუსთაველის

„ვეფხისტყაოსანი“-ს

დაწერიდან



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



შოთა რუსთაველი

ბარელიეფი იაკობ ნიკოლაძისა

451.
რუსთველის სურათზე

სულმნათო! მაღლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს მშობელს
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარსენება ამ სოფელს!

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარლენისა —
უცნაურისა ჰანგებით!

სულმნათო! ჩვენცა გვასწავლე
ეგ საიდუმლო ღღერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქნე ერისა!

რომ ჩემს მღერით აგზნილი
რაცაფი ტარიელობდეს:
ჭაჯთა ებრძოდეს ლოშკაცო,
ნესტანისათვის ზელობდეს!

მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღგემატება
და შენი სახე ივერთა
გულს ძეგლად დაეხატება!

რუსთაველის ნეტარება



მგოსანო საქართველოსაჲ,
 წამოიხედე ზეზედა,
 იხილე შენი სამშობლო,
 მიმოიარე მზეზედა.
 შენი ერისა ჭაბუკნი
 გიამბორებენ ზელზედა:
 მართლდება შენი ნათქვამი
 ათასზე, განა ერთზედა, —
 თავისუფლდება მონები,
 შენს გულს რომ გჭირდა წყლულადა;
 ნეხეთა და ვარდთა ლამის რომ
 მზე მოეფინოს სწორადა...
 აღარ ვართ გუშინდელეზი,
 ვიქცენით ერთი-ორადა.
 წამოგვეზარდნენ ჭაბუკნი,
 ნახო, სცნობ არწიფ-ქორადა!
 თავს სწირვენ ნესტანისათვის
 ტარიელივით ლომიდა...
 და ივერიის დიდებას
 ხალხს აუბნებენ შორადა.
 აღვსდები, ცამდე ავმალდით
 ნათქვამნი ჩასაჭოლადა.
 თუ არ წამოხვალ, მანდ მოვლენ, —
 დღემდის ბევრებსაც ჰნახავდი.
 ვიცი, რომ გიამებოდა,
 გულს ვარდად დაისახავდი
 სახესა ვაჟკაცებისას...
 მიიღე, როგორც შეილები,
 თავდადებული ჭეყნისთვის,
 შენი სამშობლოს გმირები.
 აკურთხე შენის მარჯვენით
 ეგ მარგალიტის ღილები,
 სამშობლოს მკერდით აჭრილნი,
 მისთვის დამწვარი ცვილები.



დღესა ერთსა

ქარბა ისტორიული

ა

ახალგაზრდობა ვარჯიშობდა ლოჭინის ხევში.

ამ ეჲმად ისარს არტყამდნენ ნიშანს მორიგისით.

— შოთა, შოთა! ეხლა შენი რიგია.

შესძახეს მოისრებმა.

და წამოვიდა შოთა, კაცი „ტანი-მჭევრი“, „პირ-მწყაზარი“.

თვალები ჰქონდა მხოლოდ ნაღვლიანი, თუმცა მათი გამომეტყველება სიცხველესა და გამჭრიახობას არა ჰკარგავდა, ნატიფ შუბლზე მოჭირებულ წაბლისფერი თმის კულულები მოუჩანდა ქართულ თალღაქის ქვეშ; სურათა ცხვირი ქედ-მაღლურად წამოდგომოდა ლოყებ-ამომსილ გაპარსულ სახე-პირს და პაწია უღვაშები, ბოლოებში რომ იყო ცოტა მოსქოთ შეკრანილი, ამშვენებდა მეწამულივით ბაგეს, რომლის ზედა ნაწილის „სიბრძნის ბალიში“ ქვედა ნაწილს მოხდენილად და ნებიერად დასვენებოდა.

იქ მყოფთა თვალი იქცნენ მზერად.

ამაყი ჰქონდა, ლალი და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა.

მტკიცე ნაბიჯით, მაგრამ ჰაეროვანის სვლით მოადგა მიჯნას და... მაყურებლებს თვალი არ შეუსწვრიათ ისე, ქეიბური ქეიბურს მიაყოლა და ნიშანში ერთ წუთას ზედიზედ ისე ჩამოამწყრივა ეს ისრები, რომ ქართული ასო „შ“ გამოვიდა.

— ოო, ეს კი ნამეტანია... გეაჯობა ყელას!

— ეაშა, შოთა!

ატყდა ტრიამული.

— მაგის მარჯვენა კვლავ დაუმცდარია! ეტყობა სამშობლოს გარეშე დიდი ხნის ყოფნას არ დაუვიწყებია ჩვენებური.

წარმოსთქვა ჭიაბერმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სასახლის კარზე ჩვეულს განკარგულებასა და წეს-რიგის დაცვას როგორც მანდატურთუხუცესს, არც აქ დაეტევებია ხელმძღვანელობა და გამგებლობა.

განზე იდგა ახალგაზრდა ერგასლიძე და შურით შესცქეროდა შოთას გამარჯვებას, მაგრამ — არავინ შემამჩნიოსო და — იმდენი წითელი მარჯვე ხელი და უტყუარი თვალი.

ბ

ქიაბერმა ბრძანა ეხლა „ყვანჯის ცემას“ შეუდექითო და მყისვე ახალგაზრდობა მოახტა ცქელტასა და მარდს ოდიშურ მომცრო ტანის ცხენებს. რადგან ესეთ თამაშობისათვის ისინი იყვნენ განკუთვნილნი.

ყვანჯის ცემა ცხენდაცხენ ბურთაობასა ნიშნავდა მოკალტებულ ჯოხებით და ერთი სახე იყო ჩოგნით ბურთაობისა.

თითოეულ მომბურთავეს კარგა გრძელი ისეთი თავმოკალტებული ჯოხები მიართევს ცხენოსანს რომ ხელთ ეჭირა, მიწას სწვდებოდა: ბურთიც იყო მომცრო, „საქონელის“ ბეწვისაგან შეგუნდავებული.

იყო ლელო ორივე მხარეს და ამ ჯოხების გარტყმით, გორება-გორებით უნდა გაეტანათ თავისი. ბურთის ხელით ალება, ან ზეგდება არ იყო წესი ამ თამაშისა და უმთავრესი ის იყო, ცხენები ისე მოეხმარნათ, თუ საჭირო იქნებოდა, სულ ჯარასავით ეტრიალებინათ. მხედარზე ხომ აქ ბევრი იყო დამოკიდებული, მაგრამ ცხენების სისწრაფესა და მათ სადავის მორჩილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შოთა ქიაბერის არჩევანში მოხედა, მოწინააღმდეგის არადანში ერგასლიძე.

თავიდანვე დაეტყო, რომ შოთას ჰქონდა უპირატესობა: გაჭენებული ცხენი ბურთისაგან არასოდეს არ გახტომია, დადევნებულ ბურთს არ გასცდენია და თუ კი თავის მოკალტებულ ჯოხით როგორმე ბურთს დაითრევდა, შემდეგ მას ახირებულად არავის გაატანდა და გოგმან-გოგმანით, ან, საჭიროებისამებრ, შორს გატყორცნით ლელოს უთუოდ გადაეცლებდა.

ასე მოხდა ორჯერ, სამჯერ.

აგერ მესუთეჯერაც: ნელი-ნელ გორებით, ცხენდა-ცხენ, თითქო რაიმე სულღერს მიერეკებაო, კვლავ შოთას მიაქვს ბურთი ლელოსაკენ, კარგა ძალზე ჩამოშორებია მომბურთალთა. მაგრამ მდევრები არ ეშვებიან და აი ტენებ-ტენებით თავს დაუბრუნეს და წინიდან მოუხდნენ ერგასლიძე და მისთანანი. შოთა ზურგისაკენ გაუსხლტა და ბურთიც უკან გაიგორა, რომ შიაწოდოს მომხრეს, მაგრამ არც ეს დასცალდა, რადგან ერგასლიძის ჯგუფისანი აქედანაც მარჯვეთ დაუხდნენ.

ბ

რკალში მოემწყვდა შოთა.

ცხენების ფეხთა შუა შეიჭრა ბურთი და მოპირდაპირეთა ყვანჯები ერთი მეორეს გადაეხლართა.



უეცრად!

ერაქნულნი

შოთამ თითქო ბურთს თავი ანებაო, ცხენი ცოტა განზე გასწია და მოკაუჭებული ჯოხი ელვის სისწრაფით, თითქო ღობიდან სარი ამოაძროვო, მალლა აიქნია, ასე რომ მისმა შუქმა მოპირდაპირეებს თავი მოარიდებინა — ჩვენ ხომ არ მოგვიღერაო — მაგრამ იმე წამს დაინახეს, რომ ამ მოულოდნელობაში ცხენის ფეხთაგან ოდნავ გაცურებული ბურთი შოთამ ჯოხის კაუჭით გამოლალა და ლელოსაკენ აღუღელვებლათ უწყო გორება.

ლელო ისე ახლო იყო, შოთა ისე „გამინდვრებული“, რომ ეხლა მოპირდაპირეები ვერას გააწყობდნენ და „ბედს დამორჩილდნენ“.

შოთას მიერ ბურთი ლელოს ერთხელ კიდევ რომ გადაეცლო, შოთას ჯგუფში მყოფთ მზიარული ყიჟინა დასცეს და მსაჯთა ბაქანზე მდგარ ქარმაგ ქიაბერს ხელ-ახალი გამარჯვება მიულოცეს.

დ

განსაკუთრებით გახარებული იყო და ყველაზე მეტ ყიჟინასა სცემდა შოთას ბავშობის მეგობარი თითქმის თან-შეზრდილი და ეხლა შოთას სამშობლოში ხელახლა დაბრუნებით აღფრთოვანებული, ამჟამად ბურთაობაშიც შოთას მხარეზე მყოფი, უკვე შოთასავით დეაქცეპებული კახა სამძივარი.

ერგასლიძე კი ჩაშავებული იყო და ეს შენიშნა ქიაბერმაც, როდესაც ნიშანი მისცა და მობურთალნი შესასვენებლად გარს შემოერტყნენ.

— რა თავ-პირი ჩამოგტირის, მოყმევ! გამარჯვება და დამარცხება ერთ სასწორზე ძევს. დღეს შენკენ მოიწონის, ხვალ სხვისაკენ, ანუ პირუტყუ! ხოლო მოყვასის გამარჯვება არ უნდა შეგშურდეს. ის კი არა, უნდა ეცადო შენც ისეთი ხელოვანი შეიქნე, როგორც შენი მოპირდაპირე ყოფილა. ამას ვარჯიშობა უნდა, მეცადინეობა. შოთასაც ამიტომ აქვს ეგ სიჩაუქე შეძენილი... შოთავ! ჩვენ გვეგონა, რომ უტბო ქვეყნებში სიბრძნის მეტყველებასა და პიიტობაში ბერძულდებოდი, მაგრამ არც ჯომაბრძოლაში ჩამორჩენილხარ... ბარაქალა, მე და ჩემმა ღმერთმა! ეს მხოლოდ საკებურია და არაშესაშური... ესე უნდა, მოყმევ, — კვლავ მიუბრუნდა ერგასლიძეს — შენც ეგრე გამოიცდები და ეგეთი იქნები... კარგი ვაჟი ხარ და ამას არ უნდა დაუღონდე.

ერგასლიძე თავდადრეკით ისმენდა ხანდაზმულს რჩევადარიგებას და თითქო გულისხმიერობდა, მაგრამ მის სხეულს ეტყობოდა ერკემლის სიჯიუტე და ეს შეამჩნია კახა სამძივარმა.

ვერ მოითმინა, მივიდა კიდევ ბაქანის საფეხურზე ჩამომჯდარ შოთასთან და თავისი დაკვირვება ესე გაუზიარა:

— არ ვიცი რად არის ერგასლიძე შენზე ეგრე ამრეხილი... დღეინდელ ასპარეზობაზე აშკარად შეეატყვე ესა... საიდან სადაო! სად შენ და

სად ეგ?! მაგრამ მე ესე ვგონებ... მაგის ოჯახი დიდად ^{უბრალოდ} უბრალო ხანს... გარე-კახეთს უკვე ეპატრონება მამა მისი... ეხლა ^{ქინევისკე-} ქინევისკენა გაუწვდია ხელი და უნდა თურმე კიაბრის მამულს მესაზღვრედ გაუხედეს... თვითონ ეგ ყმაწვილიც სასახლის კარზე წინაურდება... ხომ შეამჩნიე... ჰო და... თავს აღარავის უდებს... ვერ ითმენს, თუ ვინმე სხვა რჩეულიცა ჰნახა... თავის საქციელში უფრო გულს მიჰყვება ხოლმე და გონებას ნაკლებ ეკითხება... შენთანაც ეგ უნდა ამოქმედებდეს... შენ არა სთქვი? კარგად მახსოვს:

„გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამოშვებო“.

მ

შოთას გაელიმა.

მაგრამ ამ დროს კელავ კიაბერმა მოიწოდა ახალგაზრდობა. ეხლა უნდა ეჯიროთნათ. ცხენები უნდა ექენებინათ „კარამდე“ (განსაზღვრულ ადგილამდე) და გაქენებულზე ერთი მეორისათვის გრძელი ჭოლოკები ესროლნათ და დაეჭირათ.

შოთას დაეტყო, რომ აღარ უნდოდა განეგრძო ასპარეზობა და ცოტა დააყოვნა, მაგრამ კიაბერი რომ გაევირეებით შეაჩერდა, სწრაფად წამოხტა, მოსძებნა არაბული ტაიჭი და გაჰჭროლა.

საუცხოვო შესახედი იყო მხედარიცა და ყელმოღერებული არაბულიცა. კახა სამძივარმა რომ გახედა, გულში ღიმილით გაიხსენა:

„ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“.

დაყოვნებულმა შოთამ „კარამდე“ მიაქენა ცხენი და მესამედ მისულს მაინც მიუსწრო. რომ გამობრუნდა სეტყვასავით წამოვიდა მისკენ საჯიროთო ჭოლოკები და ისიც თითქო მხოლოდ ამაში გაწვრთნილი მუშაითიო, დიდის სისწრაფით და სიზუსტით იჭერდა მათ და გასროლითვე უბრუნებდა მსპარაზნობელთ. ერთი ისე უხეიროთ იყო გამოსროლილი, რომ განიდან ბეჭებზე გადაუარა, მაგრამ შოთამ დიდის სიმკვირცხლით მარცხენა ხელით ზურგთან დაიჭირა და დასაყარდნად არ გაუშვა.

სწორეთ ამ დროს საოცარის შესილით წამოვიდა ერთი შესახედ-ათაც უშნოდ გაწოწილი ჯირითი.

პირდაპირ თვალში იყო დამიზნებული.

შოთამ შეამჩნია ხიფათი და მყისვე თავი დახარა, მაგრამ საჯიროთო ჯოხი მოხედა შუბლის კიდურს და ქუდი თავზე გადააცალა.

რომ აიხედა, დაინახა ზურგ-შებრუნებულ ერვასლიძეს ცხენი უკუ-ექცია.

შეეძლო შოთას ზურგში მოეყოლებინა ჯირითი. მაგრამ არ იკადრა, თვითაც ცხენი მიაბრუნა და ასპარეზიდან გარემოიქცა.

ჩაუფიქრდა: — მართლა რას ჩამაცივდა ეს ერგასლხმე? თუ ხელ-
მარჯვობა უნდოდა გამოეჩინა ქედში მოხვედრაზე, რატომ სხვებს არ
ესროლა, მაღალი ქეჩ-ქედები ახურავთ აღმოსავლურად. მე კი ქართულ,
კალთებ-აყეცილი, დაბალი თალფაჭი მარქვია. მაშ ნუთუ უნდოდა თვალ-
ში მოერტყა, დაეგსახირებინე? ხდება ხოლმე ჯირითობისას ესეთი ამბები...
ზოგჯერ შემთხვევით და ზოგჯერ საგანგებოდაც... რამდენი ვაჟყავი გაუ-
ფუჭებიან... ამიტომ არ მიყვარს ჯირითი, ამიტომაც ვყოყმანებდი... ხი-
ფათიანი თამაშია... ზოგიერთი განგებ ჩაიდენს აქა რასმე — თვალს წა-
მოუგდებს, შუბლს გაუხეთქავს და შემდეგ ფათერაკს გადააბრალებს, ვი-
ნაიდან კარგად იცის, რომ „ფათერაკი სწორად მოჰკლავს“... შოდი და
დაუმტყიცე ერგასლიძეს, რომ თვალში უნდოდა მოეხვედრებინა...

უკუდ გუნებაზე დადგა. გაიხსენა სასაბუღის კარზე როგორი შური და
ღვარძლიანობაა გამეფებული კარის კაცთ შორის, როგორ უნდათ ერთი
მეორის დაზიანება, ჩამოქვეითება, განწირვა ზნეობრივად, ხორციელად...
გაიხსენა ერგასლიძე, სიჭაბუკის ეამს... იქ... საბერძნეთში... და გაჰქუსლა.

ზ

დიდ შარა გზას გვერდი უქცია და ეიწრო ბილიკს გაჰყვა. ცოტა
რომ წაიარა, ბილიკ გადაღმა სიმღერა შემოესმა, გადახედა ყანას მო-
მკელნი შესეოდნენ და ყანურს აუგუუნებდნენ.

ცხენი შეაჩერა, სმენად იქცა და თვალნი მომკელთ მიაშტერა.

მოისმოდა:

„გამარჯვებული კახელი
ყანას ქოჩორში სჭრიდაო,
დილიდგან საღამომდისინ
ერთი დღისასა მკიდაო“.

შოთამ დაინახა, რომ ამის მთქმელი დაწინაურდა, მაგრამ მასვე
აედევნა მეორე ახალგაზრდა და ეხლა იმან შემოუძახა:

„ნამგალას ბიბინაურსა
პირი მიუგავს ღულოსა,
ორსავე ერთად გამოიტანს,
ხელეურსა და ულოსა“.

და უზარ-მაზარი ხელეური თვალის დაზამსამებამდე განზე გადააყუდა.
ორ ახალგაზრდას შემოძახილს მოჰყვა გუგუნი სხვა მომკელებისა,
რომლებიც თითქო კიდევ მეტის გახელეებით ეკვეთნენ და თან გაიძა-
ხოდნენ:

„გაუსვი, ბიჭო, ნამგალი,
გაუსვი, ბიჭო, ნამგალი,
პირი ბრალი, ბრალი!“

ლურჯი მონასტერი? ქალაქ გარეთ, მდინარე ვერესაყენ, ვარაზის ხეთან, ქალაქის ამირამ, დიდებულმა აბულასანმა რომ ააშენა?

იქ რა უნდა თამშთას?

განა მამიძისის სასახლეში ვერ მიიწვევდა შოთას?

თუ პაემანი უნდა იყოს.

შოთას რომ საჩუქართო არ აქვს-რა!

პაემანიც მის სულს რომ არ ეთვისება?

მაგრამ კახამ არა იცის-რა. ეს დაავალეს და ეს გადმოცა.

შოთა ჩაუფიქრდა: მშვენიერ თამშთას ბავშვობიდან იცნობს. სასახლის კარზე შეხვედრია ხშირად. მის ხსოვნაში დამშვენდა და წამოიზარდა. ბევრნი ეტრფოდნენ მაშინაც სასახლის კარზე, მხოლოდ შოთა ამ მიჯნურებს არ გარეგია. თამშთას კი ამჩნევდა მისდამი ტკბილსა და თბილს ანაზიარობას. საამური იყო მასთან საუბარი. გონიერსა და გრძნობიერს არსებას გამოსთქვამდა თავით თვისით. ხოლო როდესაც შოთა ექსორია ჰყვეს, თამარის მამამ, მეფე გიორგიმ ბევრ სხვასთან ეგეც განაძევა საქართველოდან, გაძევებამდე ერთი პირგელი თამშთა იყო სეფე ქალთა შორის, რომელ მოვიდა შოთასთან და ნუგეშით გამხნევება დაუბირა. მას შემდეგ უცხოეთში გაიგო, რომ თამშთა ივანე მხარგძელს საქართველოს ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოში სელჩუკან სულთანის შვილს, ვინმე მელიქ-ალ-მანსურ-მაჰამედისათვის მიეთხოვებინა.

ეხლა დაბრუნებულზე:

კვლავ შეხვდა სასახლის კარზე კეკელუც თამშთას.

დაქერივებულა, მაგრამ მართლაც ერთი ათად გაკეთებულა.

საუცხოვო რამ ბანოვანია. მხოლოდ რა უნდა ეხლა შოთასაგან, აქამდე ხეირიანათ არც კი გამოლაპარაკებია. ეხლა რა სურს?

შოთას ვერ გაეგო თამშთას მიერ ესეთი ილტმალი დაბარება, მაგრამ მაინც გადასწყვიტა — წაუსვლელობა უზრდელობა იქნებაო, და ამაზე გული დააჯერა.

თ

ჭიაბერის სასახლის ეზოში შევიდა. აქ ცხოვრობდა დაბრუნებულზე. ჭიაბერი მისი მამობილი იყო და უნათესაო და უთვისტომომ მასთან შეაფარა თავი.

ჭიაბერს უფრო ჟინვანში ჰქონდა სახლკარი, მთაში იყო მისი მამული და ციხე-დარბაზი, მაგრამ, რადგან იგი იმავ დროს სასახლის დიდებულთაგანი იყო, ქალაქშიაც ჰქონდა გაშენებული დიდი სრა-სასახლე.

შოთა თავის სამყოფელში შევიდა თუ არა, ორი მსახური უკან აედევნა. ერთს სპილენძის ელვარე ტასტი და ყელმოღერებელი, ფაიფურის ქაშანურით მოჭიქული წყლის სურა მოჰქონდა, მეორეს მხარეზე დიაკონის გინგილასავით გადაკიდებული, უცხოთ მოქარგული „სარწყე“.

პირისაზე რომ იგრილა, შოთამ იკითხა: „სასახლიდან ზოსიმე მწერია-
 ლე ხომ არ მოსულა და ხომ არაფერი დაუტოვებიაო“. ქართულში
 გიგლიძისა
 მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ მოსულიყო.

მსახურთ საუზმე შესთავაზეს. შოთამ უარი სთქვა—მამობილს დაბრუ-
 წებას დაუცდით. მსახურნი გაისტუმრა, მაგიდიდან ერთი მოსჭო წიგნი
 აიღო, მეშის ყდაში ჩამოჯდარი, ერდოზე გავიდა, განრიდებულ ალაგას
 ჩამოაჯდა და წიგნს ფურცელა დაუწყა.

ეტყობოდა ამჟამად სიტყვებს და შინაარსს არ უღრმავდებოდა, მხო-
 ლოდ ათვალეერებდა მოხატულს და არშია შემოვლებულ ფურცლებს:
 აგერ ერთ გვერდზე — ზევიდან ჩამორბის ცხოველი წყაროს წყალი მრავალ-
 ტოტად გაყოფილ ჩანჩქერად და ერთგან ამოჰქუტხს ვით შადრევანი.
 წყლის დასაღვეად მოფრინვენ ფრინველნი, მორბიან მოწყურებული სპი-
 ლო და ლომი, მგლები და აფთრები, ფასკუნჯი ებანით, ხარი მეხრე აქ-
 ლემით. ყველა ამას კი ავლია დიდის სიზუსტით შესრულებული ოქრო-
 რეულ მეწამულით ზღაპრული მცენარის უცნაური ფოთლები.

გვერ კიდევ ბიბლიური სამსონი ლომსა ზღეჩავს, ხოლო მისი მხლე-
 ბელი შუბს განაწონს დათვს.

სხვა ფურცლებს კიდევ იქით-აქეთ ნარნარი სვეტები აქვთ აღმართუ-
 ლი და ამ სვეტთა თავები და კვარცხლბეკები მორთულია თევების გამო-
 სახულობით.

აგერ მარტია მხედარის სახით, აბრილი ჭაბუკად გამოსულა და ხელთ
 ლორი უპყრია, მისიში — სარკინოზი მიწის წითელ ჭიქით წყალსა სვამს;
 ივნისი მომკელი ყოფილა, ივლისი — ამნავებელი, აგვისტო კი უკვე
 ყურძენს მიირთმევს, ენკენისთვის (სეტქემბერს) კალათა მოაქვს, ოქტომ-
 ბერს ჭორი უზის ხელზე, ნოემბერი ორკბილა ორ თითით მიწასა თხრის,
 დეკემბერი თესავს, იანვარში ნადიმია გაჩაღებული, თებერვალი კი ნაბად-
 მოხურული თბება ცეცხლაპირას.

0

ჭიპბრის ჭინვანელი მოურავი შემოვიდა. წარმოსადგეი კაცი იყო, რი-
 ხანი და თავი ისე ექირა, რომ მის სიტყვებს დაჯერება მართებდა.

შოთამ ლმობიერად მოიკითხა და მშვიდობა რომ გაიგო მოურავის
 ოჯახისა, ამაზე ერთხანს შეწყდა საუბარი. შოთა ატყობდა, რომ მოურავს
 მისთვის ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ჯერ რაღაცას ერიდებო-
 და. შოთამ ცოტა ხანს აცალა და შემდეგ საუბრის თავის მოსაბმელად
 ქირანახულზე ჩამოუგდო ლაპარაკი. აქ მოურავმა გაიგაკა:

— ქინახულს არა უშავს-რა, შოთა-ბატონო, მაგრამ შენს მამულში
 აღარ გვანებებენ ამ ქინახულსა.

— რომელ ჩემს მამულში? პოო...

გაილიმა.



ქართული
ლიტერატურა

— მამობილმა რომ მაჩუქა ეინვანში?

— დიხ, მწყალობელო!

— რაო ვითომ?

— გაუგიათ, რომ მამობილმა თავის მამულის წაწილი, თავის ვნე ბითურთ, მათი უძრავითა და მოძრავით, საძებრით და უძებრით თქვენ გაჩუქათ და... ურჩობენ. გვერჩივნა ძველი ბატონის ხელში... ახალი ბატონი ვინ იცის კიდევ რა ხარაჯას დაგვადებსო...

— ხარაჯა? ხარაჯას დაპყრობილ ქვეყნებს ადებენ, მე რა მათი მტერი მნახეს?

— მტრობისა არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ ქართველად არ მიაჩნია...

შოთას წყენა დაეტყო, მაგრამ მაინც დამშვიდებით წარმოსთქვა:

— ჰო, ეს შემიძნელება გლეხობას თუ არ ისევ გლეხი, სხვა ქართველად არ მიაჩნია.

ცოტა გაეღიმა. განაგრძო.

— ამას წინად ერთი გლეხი მომითხრობდა რაღაც შეკრებილობის ამბავს და ასე დაასაზელა: უმეტესობა ქართველები გახლდითო. დიდ-გვარნიანებზე რომ ვკითხე, ისინი არ მიიჩნია ქართველებად... თავადობა ჩამოთესილია, მკვიდრნი გლეხები არიან, წმინდა წყლის ქართველებიო...

— ეგ ეგრე გახლავთ, მაგრამ თქვენ მაინც ბერძენს გეძახიან...

— ბერძენს? ჰა, ჰა — გაეღიმა შოთას.

— დიად იქ არის აღზრდილი... ახლა კიდევ დიდხანს დაპყო უცხოეთში... გადაგვარებული იქნებაო... ჩემგან კი არა გეწყინოს-რა, მწყალობელო ბატონო, მაგრამ შენი რისხვა არა მაქვს, ესე მოგახსენებენ.

მწარე ღიმილი აღიბეჭდა შოთას სახეზე. არაფერი თქვა, მხოლოდ გულში კი გაიფიქრა:

— რა სავალალოა! ჩემი ხალხი არა მცნობს... უცხოდა მთელის და გულთან არ მიკარებს... და განა მარტო ეგენი, რომელთაც ჯერ თვალთაც არ უნახავიარ... აქაც, რომელნი მიცნობენ, რომელნიც ჩემთან არიან შეზრდილები... არავის ეუნდივარ: ზოგი მიფრთხის, ზოგი მელაქუცება. მაგრამ გულის გარეთ, ზოგიც პირდაპირ ჩემზეა ამხედრებული... აი, ერგასლიძე! ძულან სამძივარმა კარგა ახსნა მისი ჩემთან დამოკიდებულება. მაგრამ ის კი არ იცის, რომ ერგასლიძე ჩემზე ჯერ კიდევ ათინაშია დადკიდებული...

და

და გაიხსენა შოთამ თავისი ქაბუკობა, საბერძნეთში ყოფნა, ათინას იქ წარგზავნილი ქართველი ახალგაზრდობა და მათ შორის თავის თავი და ერგასლიძე.

იქაც ეს ღვარდლიანი მოყმე შურით იყო აღესილი შოთასადმი. შოთა სჯობნიდა ნიჭით, სწავლაში გულისხმიერებით. ამხანაგობაში, სამეცნიეროდ ყველა შოთას ეტანებოდა. ქალებსაც შოთა მეტად მოსწონდა. ყველა ეს ბრახსა ჰგებრიდა შურთანა. და... აი აქედან იწყება ერგასლიძის მტრული დამოკიდებულება შოთასადმი.

ეხლა კარგა გაახსენდა. მაშ შორიდან მოდის ეს ამბავი! მარტო კარის კაცობის ბრალი არ ყოფილა.

თუმცა... მეფის კარზეაც შოთა უკვე კარგად არის მიღებული. ესეც ხომ ხელ-ახლა გააბრაზებს ერგასლიძეს.

თვით შოთა კი ერგასლიძისადმი ვერ გრძნობდა მტრობას. ახსენდება... სწავლის დროს ცდილობდა დახმარებოდა კიდევ ჩამორჩენილს. დახმარებია კიდევ, თუმცა ამისათვის მადლობა არ მიუღია.

ჰო... ერთხელ მძამე ავად გახდა ერგასლიძე უცხოეთს... ამხანაგები ავადმყოფს ემსახურებოდნენ, შოთა კი თავს დასტრიალებდა და მისმა მოვლამ ერგასლიძე ფეხზე დააყენა, მაგრამ ერგასლიძის გული მაინც ვერ მონადირა.

განა თუ უნდოდა მონადირება?

უბრალო მოვალეობათ მიიჩნია უძლურისა და ლოგინად — ჩაეარდნა-ლის ქირისუფლობა.

ერგასლიძე მაინც გულ-ღრმოდ დარჩა და შოთამ შეემჩნია, რომ არც კი გახარებია, შოთას პატრონობა.

უცნაურია ზოგიერთი ადამიანის ხასიათი.

შოთას არ გააქვირებია, მაგრამ ერთხელ კიდევ გული ეტკინა ადამიანზე.

და აი ეხლა, სამშობლოში დაბრუნებულს, კვლავ წინ შეეფეთა მისი აღუშალი მტერ-მოყვარე.

ამასობაში მოურავი განაგრძობდა.

— ბევრი ჩიჩინი დამჭირდა, რომ ხალხი დამერწმუნებინა შენს ქართველობაში, შოთა-ბატონო... მხოლოდ გადასახადზე კი მაინც უარზე დადგნენ და შემდეგ მეც იძულებული ვიყავი ძალა მეხმარა და ჭინახული ჩამომერთმია.

— ჭინახული! კირ ნახული... — სიტყვა გაზიდა შოთამ — განა შეიძლება ჭირნახულის ძალით წართმევა?!

— მაშ ნებით თუ არ გვაძლევენ? სოფლის მუშაკები თუ ჭირნახულს არ მოგაწოდებენ, მაშ რაღამ უნდა გაცხოვროს?

— რაღამ გაცხოვროს?... — თითქო თავის თავს ჩაულრმავდა შოთა. შემდეგ ნელ-ნელა წარმოსთქვა, თითქო მოურავს არც კი ელაპარაკებოდა: — სიყმილი სხვისა და გაძლომა ჩემი? გაციება სხვისა და გათბობა ჩემი?... არ ჭსურს, არ ძალმიძს...

და წამოდგა, სქელი წიგნი განზე მიაგდო, თვით კი ერდოზე ატეხებულმა იწყო სიარული.

მოურავი ეტყობა ამ სიტყვებშია ისე გააკვირვა, რომ პირდაპირ ეტყუა: „გაქცეხე, რომ ახალგაზრდა ბატონს. დიდხანს უყურა და შემდეგ მოაგოდა: „გაქცეხე, რომ უცნაური ადამიანია, ათასი ხმები დადის მაგაზე, ამბობენ სადღაც დაეწერია „ანთავისუფლეთ მონებიო“. იფ, კარგი დღე კი დაადგება თუ მონებოთ და უყმოთ იქნა!..“

შოთაც ამაზე ფიქრობდა ახლა:

— რალამ უნდა მაცხოვროს. ეს მართლა საფიქრებელია... ჩემი საკუთარი მამული ექსორია რომ მიყვეს, ჩამომართვეს კიდევ და... ამის გამო უცხოეთში ვინ იცის რა კირნი არ გადამხდა... უსალსრობა დიდი დამჩაგვრელია ადამიანისა... შეგზლუდავს შეგავიწროვებს... ეხლა მამობილმა გამიწყო ხელი... მამულიც მარტა... ყმებიც... ამით შეიძლება კვლავ ფეხზე დავდგე და ტოლებს არ ჩამოვრჩე... ხალხში ჩემი დამოუკიდებელი ადგილი დავიკავო... მაგრამ თუ იმათაც ავიწროვებენ? ყმებს? ჩემი გულისთვის?... არა მსურს, არ ძალმიძს!

მოურავმა მაინც შეჰკადრა:

— ფილასოფოსს კაცს გეძახიან, ბატონო ჩემო... რაც ეხლა ბრძანე, ნგონია თუ ყურს მოესმა, თორემ აბა ეგრე როგორ ეგების... სხვისი ნაქირნახლევი არა მინდა რაო... ღარიბათ ღარჩები, მწყალობელო ჩემო, სიღარიბე კი კაცს დააჩაჩანაკებს...

შოთა უეცრად მობრუნდა და უკვე შებლგახსნილმა მოურავს ღიმილით შეაწყვეტინა.

— ჰმ — სიღარიბე! აბა ეს იცოდე ჩემგან: თუ შენი თავი შენ გაზღავს, ღარიბად არ იხსენები!

მოურავმა თავი ჩაჰკიდა და ეტყობა ჩაუფიქრდა ამ მისთვის დიდ გამოცანას.

იპ

ეზოში ხმაურობა გაისმა. ქიაბერი ამალით დაბრუნებულიყო.

შოთას მოახსენეს, რომ თავისთან გიხმობსო.

მეცის გასწია და ოთახს რომ შევიდა, ნახა ქიაბერი მოღრუბლული იყო.

— შოთავ ჩემო! — ნაღვლიანი ალერსით მიმართა ქიაბერმა. — კუნთილიანი ბერები, რომ კვლავ ამხედრებულან, არ უწყი ესა?

— ჩემდა მომართ?

— კათალიკოსთან მისულან საჩივრით. უცხოეთით დაბრუნებული რუსთველი კვლავ განაგრძობს ლექსთა ბოროტთა თქმას. იგი პრყენის ქრისტიანობას და სიწმინდისა წილ ბოროტსა ბილწობასა სთესიავსო.

— ეგე ამბავი ჩემზედა არ ახალია, ძველია.

2. „მნათობი“ № 12.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მართალია, მაგრამ იცი. რა მოუთხოვნიათ? მიქელ კათალიკოსის დადგენილება ეხლა აღასრულონ...

— არა ვიცი რა ამ დადგენილების.

— შენ რომ ექსორია გიყვეს, იმ დროს ჯერ კიდევ ხომ მიქელ იყო კათალიკოსად... იმან დაადგინა — ეკლესიას შენ შეეჩვენებინე და საჯაროთ შენი სახელის ანათემა გამოცხადებინათ...

— მერმე?

— მაშინ ეს შეჩერებულ იქმნა. თვით პირიშზე-თამარ ჩაერია ამ საქმეში.

— ეხლა მე რა უნდა მოვიმოქმედო?

— შენ, შეილო ჩემო, ბევრი რამ შეგიძლიან... მაგრამ ჯერ დავასრულო ამბავი. კარგათ იცი, რომ ეხლანდელი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბრისძე არა ჰგავს ქედ-ფიცხელსა და მოფეთქებულ მიქელს... გაგეგონება: ნიკოლოზია ის კაცი, რომელმაც ერთხელ კიდევ აღიმალა ხმა, რომ „ქართველთა მონათესავემ შეიძინოს ჩვეულებათ ფილასოფოსობისა და სწავლულობისა გამოძიებათ და ენამქვერობათ“. და ეს კაცი წინა აღუდგა თურმე მომჩივან ბერებს.

— მადლობელი ვარ კათალიკოსისა.

— მაგრამ, შოთავ, ამით არ თავდება საქმე. კათალიკოსი მარტო დარჩენილა, ბერებს მიმზრობიან ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწენი, როგორც ანტონ საღირისძე ქუთათელი, თვით ჭყონდიდელი გლჳნის თავისძე, მწიგნობართ უხუცესი და ვაზირი მეფისა... ასე, რომ ვშიშობ, ყველა ამათ თავიანთი არ გაიტანონ და...

— შემაჩვენონ, გამომიცხადონ ანათემა.

— არა, ეგრე არ იფარგებს, შეილო ჩემო... შენ მოწოდებული ხარ ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობდე... შენი თავი გვიღირს ფრიად... და ზოგიერთ გაჯიუტებულ ბერებს, შენც რომ სიჯიუტით უპასუხო... დავმარცხდებით. და მარტო შენ კი არა, შენის განკიცხვით დაღალატდება საქვეყნო საქმე. განკიცხული და გაბასრული კი რითილა არგებ შენს ხალხს, შენს ქვეყანას.

— რასა მდებენ ბრალად?

— შეილო ჩემო, შენი ლექსები სავსეა მელნის ტბებით და გიშრის ისრებით. აღწერ ქალსა და ჰმოსავ მას უცნაურისა შევნიერებით...

— ეინ არის, რომ ქალს არ ამკობდეს... ჩვენი ხალხი მაინც დიდი ტრფილია ქალის სილამაზისა... მე ჩემი ხალხის შეილი ვარ...

— მათ ოდენ ეს არ არის. შენ აღმერთებ ქალის სილამაზეს.

— სხეულებრივსაც და სულიერსაც, მამავ-ბატონო.

— შენ აღმერთებ — მეთქი, აი რას ვამბობ. გაღმერთება კი არა წმინდანათ ჩარიცხულ სულიერი არსებისა ჩვენი ეკლესიისათვის შეუწყნარებე-

ლია, ამას გარდა... ეს არ არის მთავარი... შენ შენს ლექსებსა და ზოტ-ზებში, არსად არა გყავს ნახსენები „სამება ერთ-არსება“. *მარტინელი*

— არ მოითხოვდა ამას მიმართება ჩემი ლექსთა თქმისა. *მარტინელი*

— არა, ასე არ ეგების, შოთავე საყვარელო!.. შენ ხარ კაცი ფილოსოფოსი და მგოსანი შემკული ცის ნიჭით. საეროსა სწერ მუდმივ... დასწერე ერთი სამღვთო რამეც. შენ ხომ არა ხარ გარეწარი ეკლესიისა, მე ვიცი შენა ხარ ცხოვრებაშიც მზილებელი ეკლესიის უღარს მსახურთა. თავის დროზე შენ არ ამხილე მიქელ კათალიკოსი მისი მეჭრთამეობისა და შრუშობისათვის. აკი ამიტომ უფრო იყო შენზე ეგოდენ ბრაზ-მორეული. ეხლა... შენ არ ზოგავ შენის ბასრი ენით უღირს ხალხსა, მაგრამ სამღვთო რამ ერთი რომ დასწერო, ამით დაამშვიდებ შენს მოყვარეთა, მიანელეზ ეკლესიას შენდამი მქსნივარებას, გაამხნევებ შენს მომხრე ნიკოლოზ გულაბრიძესა, თვით კვლავ გამაგრდები ჩვენს ქვეყანაში და შენს დიად სამსახურსაც არ დაუქარგავ შენს საყვარელ ხალხს.

— არა! შემაჩვენონ!

— ოჰ, შოთავე, შოთავე!

მაგრამ შოთა აღარ უგდებდა ყურს მორჩილად, თავი ამაყად უკან გადაეგდო და მთელ სახეს სიმტკიცისა და თავის თავის რწმენის ელფერი გადადებოდა.

— რაც მე არა მწამს, რასაც ჩემი გული არ ეგუება, ნუ მიწყენ მამის მაგიერო, საპატიო დიდო ბატონო და ასეთ საჭმეს ხელს ვერ მოვკიდებ. იყო დრო, ეწერდი იამბიკონთ, ეგ მართალია, მაგრამ იქაც მხოლოდ სახელმწიფოსი, ქვეყნის უღურის განმტკიცებისათვის იყო სიტყვათ-კონა ამღერებული. სამღვთო სჯულისთვის, სასულიერო შინაარსისათვის ჩემი კალამი ვერ მოიკლის. საეროა საჭმე. ცოცხლობს ხალხი და არა ეკლესია, არა ტაძარი, არა სასახლე...

ჭიაბერმა თავის ქნევით უსაყვედურა.

— დიად, ერი ცოცხლობს მხოლოდ და სამსახური მგოსნებისა, ფილოსოფოსობა მას ეკუთვნის, მას სჭირდება. ბერებმა კი დე, შემაჩვენონ! ჭიაბერმა ნახევრად შეაჭკია ზურგი. ბრძანების კილოთი გადაუსროლა:

— ამაღამ თათბირია მეფის კარზე, უნდა ეახლო მეფე თამარს.

შოთამ დაბლა თავი დახარა და განერიდა ჭიაბერის სამყოფელს.

მზ

ერლოზე რომ გამოვიდა, დაინახა — ქვევით ეზოში ჭიაბერის შინაყმებსა და მხეველებს ფერხული გაებათ, შაირ-სიტყვაობით ემუსიკებოდნენ ერთმანერთსა.

ვერც ამან უფონა გულს.

პირადად მისი ცხოვრება საძაგლად ეწყობოდა. წინ ედვა სიღარიბე და შერყენება.

მართალია მამობილი. შეჩვენებულს, განკიცხულ კაცს ენა რას დაუ-
ჯერებს, რა გავლენა ექნება მის სიტყვებს, მის საქციელს და იმდენად
სიღარიბეც თან დაჰყვა. სადღა იქნება თავისთავადობა, დამოუკიდებ-
ლობა.

მძიმე ფიქრებმა შეიპყრო.

და საკეთებელი კი რაზღენია.

ჭვეყანას მშვენიერს, ჭვეყანას მოღონიერებულს სულიერის ძალღონით,
ნივთიერის დოვლათით ჯერ კიდევ რაზღენი რამ აკლია, რაზღენ განუს-
ჯელობისა და უსამართლობის მსხვერპლია იგი.

დიდგვარიანთა მიმძლავრება, ეკლესიისა და ცრუმორწმუნეობის უბი-
ლავი ზუნდები ჯერ კიდევ მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჭვეყანას.

გამოსავალი კი არსაიდან სჩანს.

რა ვუყოთ, რომ ბრძენია და ხელმწიფე მეფე თამარი?

რა ვუყოთ, რომ დიდი სარდალია, თამარის ქმარი, დავით სოსლანი?

რომ მწიგნობრობა აყვავებულია საქართველოში?

რომ ფილოსოფოსნი უაღრესს საკითხთ უდგებიან სწორ-უპოვრათ?

რომ მეურნეობა ჭვეყნისა ასულა დიდ სიმალღემდე?

რომ ჭირნახული უხვად მოდის მადლიან ბუნებაში?

რომ ამბობენ სამართალი ისეთია „არა აფრინდეს უსამართლოდ ყო-“

• ველსა შინა მამულსა მათსა ერთიცა ქათამი?“

აქ შევიჩრდეთ.

უსამართლობა ხალხს ბევრი სჭირს, სიღუპიერი ბევრია კიდევ.

აქ უნდა შევლა!

და მას უშველის კაცი უყოლიდრო და შეჩვენებული?

შეჩვენებული!

როგორ გლოვის ზარივით გაისმება ეს ხმა ხალხში. როგორი სუღარა
წაეფარება შოთას სახელს.

და განა მას ეს უნდოდა.

მას სულ სხვა სწყურია სანახავები.

იღ

შოთას მსახური ეახლა, მას გლეხები მოსდევდნენ ზონჩით ხელში.

ერთს მოჰქონდა: ცხრა გომიჯი, ცხრა ზაჭაბური, ერთი ხელ-ლოჭი ღვი-
ნო და ილღიაში ამოჩრილი, ბოლო ფრთით წინისაკენ, კარგა ჩასუქებული
ყვერული. ერთი ღერგი ერბო და ქილით თავფი.

მეორეს ნაადრევი ზილი: ყვითელი, კომშის სისხო, ალაგ-ალაგ ნაზად
შეწითლებული დიდრონი ატამი. ერთი ადლის სიგრძე სურნელოვანი ნეს-
ვი, გულაბი მსხალი პირში რომ შაქრათ ღნება და ნაადრევი, ბაღის ბრა-



წეული, ატლასის კანი რომ უკვე დახეთქა და შიგ ათასი ნავერჩხალი მიჯრით რომ მიუწყვია.

მსახურმა მოახსენა მოურთმევით ამ გლეხებსაო და მესავედრებელი რაღაც საქმეც აქვთო.

შოთამ მოიხედა. ჭმუნვის ღრუბელი გადიყარა და სათნოდ მიმართა გლეხებს:

— განა ეგ წინამძღვარი არ გამოგეყოლებინათ — და მიუთითა მოტანილზე — ისე კი არ მოგისმენდით?

— ნუ გვირისხდები, გონიერო! შენი საკადრისი არ არის ეს მოსაკითხი, მხოლოდ ჩვეულება გვაქვს ესეთი, — უძღვნოდ შენისთანა კაცს ვერ გავეკარებით...

ამ პასუხზე შოთამ კვლავ მოიწყინა, მაგრამ ზრდილობით ამაზე აღარაფერი უთხრა მოსულთ, მხოლოდ მსახურს ანიშნა წაეღო მოტანილი, მაგრამ გლეხებმა არ იყაბულეს და შესთავაზეს მოსაკითხიდან ეხლავ რამე ეგეშა.

შოთაც დაყვა ნებას: ერთი ხაჭაპური გატეხა და ცოტა ღვინოც მოსვა. თანაც გულში გაეცინა: უცნაური ხალხია ეს სოფლელები, ეს ძღვენი რომ არ მიმეღო, ეწყინებოდათ, შემგუნება, მხოლოდ რომ არ მეგეშა დიდათ გული დაწყებოდათ, იფიქრებდნენ ჩვენი თხოვნა უამისო ვერ გასჭრისო.

ეს ძველი კერპ-თაყვანის მცემელ ღროიდან უნდა იყოს. თუ შესაწირავისთვის დანთებული ცეცხლის ალი პირდაპირ არ წავიდა, მაშ ეტყობა რომ ზენაარმა არ მიიღოვო.

ჩამოჯდა. გლეხები ახლო მიიწვია და შეეკითხა:

— აბა რაზე გარჯილხართ?

წინ წამოდგა ერთი მოხუცი.

— შოთავ-ბატონო! ნუ გაგიკვირდება თუ შენ მოგმართეთ და არა ჩვენს მსაჯულთ-უხუცესსა...

— სამართლის საქმე თუა... — წამოიწყო შოთამ, მაგრამ მოხუცი შეეკრა თქმაში:

— არა, შოთავ! შენზე უკეთესს სამართალს ვერავინ გადასჭრის.. ბრძენი ხარ, შორს მჭერეტი და დაკვირვებელი...

— რა საქმეა? — ეხლა შოთამ შეაწყვეტინა.

— საქმე ის გახლავთ, რომ სამართალი ჩემს მხარეზეა, მაგრამ შვილი მედავება და სწორედ მაგან აგირჩიათ მოსამართლედ... როგორც შოთა მიბრძანებს, ისე მოვიტყევით.

ვიზედაც მოხუცმა მიუთითა, ის ახალგაზრდულის შეფრთხევით შეპყრებდა მისგან არჩეულ მოსამართლეს.

მოხუცი განაგრძობდა:

— მეც, აბა რაღა თქმა უნდა, რომ დავეთანხმე, რადგან შენისთანა უებროსა და სწორუპოვარ ბრძენს სხვას სად ვიშოვნო...

გაქცეული
გაქცეული

შოთა შეინძრა:

შენ საქმე სთქვი.

— საქმე ის გახლავთ, რომ როგორც მოგახსენეთ, სამართალი, ადამი და ჩვეულება ჩემს მხარეზეა... ეგ კი მედავება....

— გრძლად გყვარებია ლაპარაკი, მოხუცო... შენ მაინც მოკლულ მოსკერ, მოყმევ!

მიმართა შოთამ ახალგაზრდას.

ახალგაზრდა წამოწითლდა, მაგრამ ძანკ თამამად წინ წადგა ფეხი და სხაპა-სხუპით მოახსენა:

— მე და მამა ჩემი გავიყარენით მამა (კარიელს მიშვებს. ჩამულს არ მიყოფს...

— შევილო, რომ მოგვედები. წენი არ იქნება?

— დაიცა მოხუცო, ვაცალოთ შენ ვაჟს.

— ჰო და ამას ვედავებოდი, მე ცხოვრება არ მინდა? უმიწაწყლოდ აბა რა ცხოვრება შეიძლება!

შედგა ახალგაზრდა და შოთას დაუწყო ლოდინი. მოხუციც შეაჩერდა.

შოთა აყოვნებდა, ბოლოს წარმოსთქვა:

— გავიხსენე: ჩვენს ძეგლის წერაში ესეა მოხსენებული — „თუ მამა-შვილი გაიყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლები. მან სხვა მოივოს მამის სიკვდილამდის“.

— ჰო და ვენაცვალე მაგის დამწერსა! — ჩქარობდა მოხუცი.

— ყური დაუგდოთ, მამა ჩემო. — ვერ მოითმინა ახალგაზრდამაც.

— მე კი ეს უნდა გითხრათ—წარმოსთქვა კვლავ შოთამ—ძეგლის წერის მონააზრი მართალია. შვილი რომ წამოიზრდება, თვითონვე უნდა გაისარჯოს. მოივოს და იცხოვროს. შენ, მოყმევ, რა გიშავს, მკლავ ლონიერსა ჰგავხარ, გონება თან გახლავს, რუ თუ გარჯილობას უნდა ღაეროდო? გაირჯები, შენც შეიძენ და ორნივე დოვლათიანი იქნებით, მამაც და შვილიც.

ახალგაზრდამ დამნაშავესავით თავი ჩაჰკიდა, მაგრამ უკმაყოფილება მაინც სახეზე არ დატყობია, მოხუცს კი უნდოდა მუხლებზე მოხვეოდა, მაგრამ შოთა განერიდა და გაშორდა იქაურობას.

00

უკვე საღამო ქამდებოდა, რომ ლურჯა-ბედაურით შოთა დაეშვა ისნის დაღმართზე, განვლო მეტეხის ხიდი და გაუხვია გარეთუბნისაკენ. ქალაქის მეორე გაღავანს რომ გასცდა საუცხოვო წალკოტებ შორის მოხვდა, საიდანაც ნაყოფით დახუნძლული ზებინარი ლაღით იჩენდა თავის სიუხვეს. აჭა-იქ კი ამ ბაღნარში ალგეთური თლილი ქვის კოშკები და სასახლეები იყო აღმართული. შორიშორის იყო ერთი მეორეზე ეს ბინა-

აგარაკები ჭალაქისა, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო დადგომილი და
გამოყურებოდა სასახლე დიდებულის კახაბერს „სხვა კაცისა“.

საონდიოს ქვისაგან იყო შემდგარი მისი საფუძველი, კედლებით კი
მალალურის ფერი მარმარილოები აზიდულიყვნენ, მხოლოდ შიგა და შიგ
პორფირფერი და ოქრო-ქვა, ბერძნული ხრისოლითოსი უჯდა პატიოსან
თვლებათ, ხოლო სვეტების კოშმიდებზე უცხო ყვავილებით ბრინჯაო იყო
შეპარული. თვით სასახლე ბანის ბანათ იყო სართულებათ ერთი მეორეზე
დადგმული და უცბათ ვერ იგრძნობდით, რომ ეს ერთიანი შენობა იყო.

შოთას უყვარდა ამ ნაგებობის ცქერა და ეხლაც კარგა ხანს შეაჩერა
თავისი ტაიჭი ამ სასახლის წინ. გაახსენდა:

როგორ უარზე იყო დიდი კახაბერი ამას წინეთ, რომ მისი ტურფა
ასული უგვარტომო გოცირიძისათვის მიეთხოვებინა.

ქალ-ვაჟს უყვარდათ ერთმანეთი. ხოლო მათ შეუღლებას ხელს უშ-
ლიდა ის, რომ გოცირიძე პირადათ სასახელო ვაჟი, უბრალო კაცის ჩა-
მომავალი იყო.

კახაბერს მოსწონდა ვაჟის სიჩაუქე, გულოვნობა და რაინდული ზნე-
ხასიათი, მაგრამ ჭალს მარც არ აძლევდა.

ვერც საყვარელ ასულის ხვეწნა-ვედრებამ და ცრემლებმა გასჭრა, სა-
ნამ ბრძენი თამარ ამ საქმეში არ ჩაერია.

და როგორ მოიქცა თამარ-საგანგებო?

თვით კი არ მიეძალა საყვარელ მამობილსა, თავისი მეფური ბრძანება
კი არ იხმარა, არამედ შემოკრიბნა მგოსანნი და ფილოსოფოსნი და სა-
კოჰმანო საგანი მათ გააჩრეცინა.

დიდი იყო პაექრობა: რა სჯობს? გვარიშვილობა თუ კაცადკაცობა?

კინალამ გველიეს გვარიშვილობის მომხრეთ. თვით სარგის თმოგველიც
მათ ამოუდგა გვერდში. მაგრამ თამარმა მე მომმართა და... გამიმარჯვ-
და რადგან მართალი ვიყავ:

„თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა!“

ათასჯერ რომ მკითხონ, ათასჯერვე ამას ვიტყვი.

და იძულებული იყო კახაბერი დაგვთანხმებოდა.

მხოლოდ...

შემდეგ დავით სოსლანმა სულ გაგვიფუტა მე და თამარ-უმრუმოს, რაც
მოვიქმედეთ.

აუღია და აზნაურობა უწყალობებია გოცირიძისთვის!

ჰმ!.. — ჩვენ რას ვამბობდით და ამან კი რა გააკეთა!

ცუდ გუნებაზე დადგა შოთა. ცხენი შეაბრუნა და ლამაზ თამაშასა-
კენ გაჰქუსლა.

მოხდენილი და ეშხიანი თამშთა ლურჯ მონასტრის ერთ სანათლიან სენაქში იჯდა და მომცრო, ოქროთი მოჭედილ და მარგალიტებით მოოჭვილ გულ-საკიდ ხატს სიხარულით დასჩერებოდა.

მოახსენეს და შიშუნვარნი შოთას შემოუძღვნენ.

— დიდად გავიხარე შენის ნახვითა, სულმნათო მოცმე! საჭმე შაჭვსა პაშტაი...

წარმოსთქვა მტრედივით მოღუღუნე ხმის ბგერით და მოახლეებს ანიშნა, რომ გაეღიღიყვნენ.

მარტო რომ დარჩნენ, ქალმა ვაგი თადის ახლო მიიწვია და ხატი გაუწოდა.

— ბექა ოპიზარის ნახელოვნეია. საოცნებო რამ არ არის?

შოთამ ჩამოართვა და გულმოდგინებით დაუწყო სინჯვა.

თამშთა ხალისიანად განაგრძობდა:

— ეს ოქრო-ცურვილი ძაფები როგორ აღმღერებია! ბეწვის ოდენად არც კი მოსჩანს და რა მდიდარ სახეობას ჩვენ საქვრეტად ზღის.

კოტა შორს გადადგა შოთამ გულსაკიდი ხატი. იქიდან მიაჩერდა და შენდებ წარმოსთქვა:

— ზექა ოპიზარი დიდი ოსტატია.

— ისე, ვით შენ ხარ სიტყვის მეუფე, უებარო შოთა.

შოთას სახეზე უკმაყოფილებამ გადაიჩინა. თამშთამ მაშინვე შეაგება:

— ვიცი არ გიყვარს ზერელე ქება, მაგრამ მე რომ გულის სიღრმიდან ვუბნობ...

და გაჩუმდა. ეტყობოდა კი უნდოდა ეთქვა:

შოთავ შენ ისეთო და ასეთო და კვლავ ქება დიდებით მოეწნა ამ სახელის გვირგვინი, მაგრამ ამ ხელად თავი შეიმაგრა.

ქადრის მრგვალ და დაბალ ტაბაკზე ვერცხლის სინით სხედასხვა გვარი ხილი წითლად და ყვითლად ღუოდა. შიგ საადრეო ყურძნის მტევნები უხვად მიყრილიყო ქარვის ფერად. თამშთამ ერთ მათგანს ნარნარი თითები წაავლო და კუმპლებს უწყო კრეფა:

თან წარმოსთქვა:

— ან საიდან იგონებ ამისთანებს: „ნუშნი გააბნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა!“

ამაზე შოთამ არა სთქვა რა.

უეცრად ქალმა შეუბრუნა:

— შარბათი ხომ არ გნებავს? ან შეიძლება ღვინო ისურვო?

შოთამ თავაზიანი მადლობით ეს პარტივისცემა განიჩიდა.

თამშთამ კვლავ გადაუხვია:



— მე კი უფრო ის მომწონს, რა საკვირვლად იცი თუ რა უფრო მოსაზრებათა სხარტი თქმა. ასე გგონია, ამას მეც ვიტყვი? —
ეს... „მას მკურნალმან რა გვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს“,
აქ კოტა შეყოვნდა. განაგრძო:

— და აი, ჩემო გონიერო შოთა! მე მაქვს სამკურნალო და ნუთუ არ უნდა გითხრა, რაცა მჭირს?..

— ბრძანე!

აქ არ იყო შოთას მიერ დიდი გულისხმიერება გამოჩენილი, ეს უფრო ზრდილობიან მომართვას წააგავდა.

— ჯერ ასე, დავიწყებ: შოთა! შენ შენს თავს უნდა დაუბრუნდე... მეოსანმა ეხლა კი მიაქცია ყურადღება.

— ყური მომაპყარ. არ-შენ-საქმეს რად შვრები... შენი საქმე ეს ლექს-თა მთქმელობაა, სიბრძნის მეტყველება, შენ კი გიტაცებს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებიც, ხალხის სასიკეთო ზრუნვა-რუდუნება...

შეაჩერდა — რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. შოთა სდუმდა. განაგრძო:

დამიჯერე — ძველ მეგობარს. შენ, მაღალი პიტიკოსი, მოცული უნ-და იყო მხოლოდ შენის ნათელის მკერმეტყველობით, თხზვასა და აქ-სონობაში. ამ სოფლის მიდმოებას კი არ უნდა ჩაერთო.. თვით შენ არ ამბობ: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“... და ნუ თუ შენ, გამჭრიახო და შორს-მჭვრეტელო, მტერი ხარ თავის თავისა?..

სული ამოითქვა, არ დასცბრა:

— შენს ალაგას წავიდოდი სადმე კეთილ მოწყობილ აგარას. მივეცე-მოდი ჩემ აზრთა გერიობას, აღმაფრენით სიჩქურეს და ერთი მეორეზე ავკინძავდი, კვლავ „მარგალიტა წყობილსა“.

შეატყო, რომ შოთას რაღაც უნდოდა ეთქვა. არ აცალა:

— არა, ვიცი შენა ყოველივე... მამული აღარა გაქვს, ხარ მიუსაფარი, მუდამ ხელ-ვიწროთა ხარ...

აქ შეჩერდა — ზრდილობის ზღუდე ხომ არ გადავლახეო და სიცილო დაუყოლა.

შოთამ შეამჩნია ქალის მოხდენილი სიცილი.

გაახსენდა:

„გაღიმდის, ძოწნი გააბის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა“.

მართლა რომ კეკლუტი ბანოვანია! — საამურად ჩაუშდინარდა გულში შოთას.

ეს თითქო შეატყო თამშთამ. ლოგინიდან ზე-წამოიჭრა მაღალი და გამონაკეთული სხეული მაგიდას ახლო ალვის ხესავით ზეაღმართა და თვალზე აგზნებულმა ასე მიმართა:

— ყოველივე ეს გაგჩნდება... იქნები დამოუკიდებელი, თავის თავად...

აქ მოსკრა. შემდეგ განაგრძო.

— მე დედოფალი ვარ ჩემ ჭევეყანაში... რაც ქმარი მიქცევდა, მასვე თნოს მე განვაგებ... წამოხვეალ ჩემთან და...

— გნებავს რომ კარისა შენის ეიყო მგოსანი? — თან მწარე ღიმილი დააყოლა შოთამ.

— რატომ ჩემი კარის? შენ იქნები, როგორცა ხარ, მთელი კაცთ ნათესავის ფილასოფოსი, მგოსანი, მწერალი აღმაფრენითა.

— ოქროს გალიაში... — დაიწყო შოთამ, მაგრამ თამბთამ შეაწყვეტინა.

— მე გალიაში კი არ მინდა არწივის მოთავსება, მხოლოდ მინდა განგარიდო იმ არე-მარეს, საცა მეტი ჭაობია, ვიდრე ტყე-დაბურვილი და სალო კლდე მიუწვდომელი... მე კარის მეზობრეთ არცა გიწვევ. შოთამ, შენ ქმარი იქნები ჩემი...

და უფრო ახლო მიიწია. ქალის თვალებმა ვაჟკაცს ისე შეანათეს, თითქმის დიდი ჩირალდანიტ მთელი შინაგნობა სხივით მოუფინესო და ერთ წუთას შოთა დაბნდა.

თვალის დახამხამებამდე შოთას გადაეშალა მომხიბლველი სურათი მეფური ცხოვრებისა, თავისუფალი შემოქმედებისა, საუცხოვო ქალის ყოლისა...

იგრძნო სითბო თავის ყელზე შემოქდობილ „ალვის შტოებისა“, თან ტანში ისეთმა ტბილმა სიმწვავემ დაურბინა, რომ კინალამ დათანხმდა, მაგრამ მალე მოიკრიფა გონების მთელი ძალ-ღონე და სიყვარულით და მოურეგნელ სურვილით შემოხვეული პირსავესე მკლავები მოკრძალებით ჩამოიშორა, თან განზე გადასა.

თამბთას შუბლზე წყენამ გადაირბინა, მაგრამ შესახრელად გამზადილი წარბები გასაგულსებლად არ გაუშვა და პირ-ნათელი შეაქცერდა.

შოთა წარმოსთქვამდა:

— მრწამს სიწრფოება შენგან თქმულისა, თამბთა-ბატონო!.. იძლევი ბედნიერებას მთელი შენის სიუხვითა... მე კი არ ძალმიძს ბედნიერების ამისა ხელ-ყოფად...

თამბთა მიბრუნდა და შოთას პირი შეაქცია, მაგრამ შოთას არ გამოეპარა, რომ

„ვარდსა ზედან ყორნის ბოლო
ნამსა თხელსა აპკურებდა“.

ქალის ცრემლი!

შოთამ დიად იცოდა ამ მარგალიტთა ძლიერება... ეს ჩამითრევსო და თავის განრიდება არჩია.

გამოსალმება რომ ჰკადრა, თამბთა მთელის სხეულით მობრუნდა მისკენ.

აქ აღარ იყო ქალი სქესობრივად ალტკინებული, ამ ერთი წუთი წინ თავის თავს დაუფარავად რომ ამჟღავნებდა.

აქ უკვე იდგა მეგობარი დინჯი და დარბაისელი.

— წარვედ, შოთა! მე მეგონა რომ გზასა რამ სასიკეთოს გამოწყავდა... მართალია, არც ჩემი თავი მავიწყდებოდა, რადგან ბავშობითვე... არავისთვის არ მითქვამს ესა... შენ იყავ ხატი ჩემი, უშენოდ მე დედოფალიც გავხდი, მაგრამ ჩემ გულს რაიმე არ მიჰყვანია... ჩემ გულს, ჩემ გულს!.. ჰა, ჰა! წარვედ შოთავ! ბედნიერი იყოს შენი გზა...

ეტყობოდა ქალს ძალიან გაუჭირდა ამის თქმა, რადგან ტახტზე ჩაიკეცა და მკლავებიც მოწყვეტილივით იქით-აქით მდებარე დორ-ბალიშებზე დაუყარდა:

„ვარდსა შტონი ჩამოსცვიდეს,
ზე ვერავინ წამომართა“.

შოთა მიეახლა და თამბთას ოქრომკედით ალტეფრულ ლურჯ ხავერდოს წვეტებს მოწიწებით ეამბორა.

0%

თამბთასაგან გამოსულს კი ლამის ბინდ-ბუნდში რალაც ლანდი წინ აეჩხირა და ხმა გამოიღო:

— აწ სად წახვალ ხელთა ჩემთაგან? ხომ წაგისწარ დანაშაულზე? — შოთამ იცნო რომ ერგასლიძე იყო და ხმლის ვადაზე ხელი დაიდვა.

— არა მესმის რა შენი ნაუბარის.

— თამბთასთან ხომ იყავ ეხლა?

— გახლდი.

— განა არა... გამართლდა ჩემი ეჭვი. სასახლის კარზე შევამჩნიე, რომ თამბთამ შენკენ რამოდენჯერმე თვალი-აგნა... თამბთა კი საჩემოდ მეგულვის, მიჯნური ვარ მისი... შენ ვით ჰხედავ მასთან მიახლებასაც კი...

— რა გნებავს, განუკითხავო კაცო? სასაუბროთ ეტყობა ვერა ზარ განწყობილი, სარკინებლათ კი თუ გნებავს, მზადა ვარ...

და უფრო მარჯვე შესატრევით უკან დაიხია.

ერგასლიძემ იცოდა შოთას სიჩაუქის ამბავი. ამას მაინცდამაინც არ შეუშინდა, მაგრამ საქმის დასაბოლოებლათ ჯერ კიდევ სხვა გზა ირჩია.

— შოთა! — ეხლა ხმას უფრო ხვეწნა ეტყობოდა — მითხარ მართალი: თანაეყვი თამბთასა? მითხარ შენი სიტყვა უტყუარი და... შენ დაგიჯერებ.

— გეუბნები მართალს და ჭეშმარიტს. ჩვენ შორის გარდა წმინდა მეგობრობისა, სხვა არაფერი სუფევს.

— ოჰ.. შოთავ!.. იყავ დალოცვილი! — გულის სიღრმიდან აღმოხდა ერგასლიძის.

და ის, ვინც სამტროდ იყო აღესილი ერთი წუთის წინ, ახლა რო-
გორც ძმა და მეგობარი ეგრე გადაეხვია შოთას.

შოთამ არ იუარა ეს მოხვევნა. მხოლოდ მალე გაეცალა კი და ერო-
ხელ კიდევ ბედნიერი დატოვა მისი მტერ-მოყვარე ერვასლიძე.

OC

ცხენს მოახტა, გასცილდა მონასტრის ზღუდეს და გახედა არე-მარეს:
ბუნება გარინდებული იყო.

მთვარეს თავისი ოქრო-ქსოვილი ლეჩაქი მიეხურა ქალაქისა და მის
მისადევრისათვის. შორეულ მთებს ლურჯი ჩოხები ჩაეცვათ ჩაქებ-შეჭ-
რილი კალთებით და შორეულ გამქვირვალე ჰაერში მყინვარსაც თავის
თეთრი ჩაფხუტი გამოეჩინა.

ახლოსვე აშოლტილი ხეები უცნაურ ჩრდილებსა ქმნიდნენ ფართო,
მოკირწყლულ შარა გზის გარდი-გარდმო.

აგერ თითქო ირემია რქებ-განშტოებული და გასაქცევად მოსხლე-
ტილათ.

ეგერ თითქო კუზიანი ვინმე ჯუჯა გაქვევებულა ამ სანახევზე.

მიღმა კიდევ ქალწულის საროტანსა ჰგავს გამოცემული ჩრდილი,
მთვარის შუქით მოოქვილი ქოშები რომ მოუჩანს ფართო კაბის ქვე-
და მთელ ტანზე სალუქი წამოსასხამი რომ მოუბურვია.

ცხენმა იწყო სვლა ლაფშური. დინჯი, მაგრამ უხე-ნაბიჯიანი.

და გაისმა სიმღერა. სევდიანი იყო ვაჟკაცის ჯანსაღ მკერდიდან გა-
მომხდარი ხმები, მაგრამ იმავე დროს მიმზიდველი და საამური იყო მისი
მოსმენა.

OC

შოთა მღეროდა:

„ზამთარი ვარდთა გახმობს,
ფურცელნი ჩამოსცივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე
დასწევს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბუღბუღნი
ტურფასა ხმასა ჰყივიან, —
სიცხე სწევს, ყინვა დაზრობს,
წყლულნი ორჯელზე სტკივიან.

აგრეთვე გული კაცისა
მოსაგვარებლად ძნელია:
ჭირსა და ღონისა, ორსავე
ზედან, მართ ვითა ხელია,

მიწევე წყლულდების, საწუთრო
მისი აროდეს მრთელთა,
იგი მიენდოს სოფელსა,
ვინცა თავისა მტერია!"



კ

ისანის ახლო, შეეკებულზე, წალკოტში ახალგაზრდობას მთვარის
ქვეშე ლურჯი სუფრა გაეშალა და თითქო ლხინისათვის იყვნენ განმზა-
რული, მაგრამ პაექრობას ისე გაეტაცნათ, რომ სუფრას არ ეკარებოდნენ.
ერთი ამბობდა:

— არსებობს პირველარსი მიზეზი ყოვლისა არსებულისა და ნამოქ-
მედისა ქვეყნად. ხოლო შეუძლებელ არს განსაზღვრა მისი. იგი მოუწე-
ვლობელია და არ განიმარტვის არცა გრძნობიერებითა და არცა გონე-
რითა. „გამოუთქმელი“ არის იგი. ხოლო ამ პირველ არსსა, გამოუთქმელ-
სა და მხოლოდ — ერთსა ეწოდების მადლი ანუ განგება.

— ეგ ხომ იგივე ღმერთია. — შეეჭრა მეორე.

— დაიცა, ათქმევენ...

პირველი განაგრძობდა:

— პირველ არსი ყოვლისა სისაესისა სიჭარბე არს. იგი თითქო სი-
ქარბისაგან იღვრება თავის ზღუდედგან. ჩვენ იგი შეგვიძლიან შევადა-
როთ მზეს, რომელი საზე გვანათებს თვისთა სხივთაგან თვით კი რჩება
პაინც მანათობლად...

მოსაუბრენი ჩაფიქრდნენ.

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ახლოს დამატყვევებელი რამ სიმღერა შე-
მი ესმათ.

იცნეს რომ შოთა იყო. ეტყობოდა წალკოტს გზად უვლიდა.

სული განაბეს და სმენად იქცნენ..

ერთმა ვერ მოითმინა:

— „რა ესმოდეს მღერა ყმისა,
სმენად მხეცი მოვიდიან,
მისევე ხმისა სიტყბოსაგან
წყლით ქვანცა გამოხზიან“...

— სსს! ჩუმად!..

ამოშმინებდნენ ყოველ მხრიდან, მაგრამ ახლა მეორე ამეტყველდა.

— ახლოვდება მგოსანი. მოვიწოდოთ, გაიზიაროს ჩვენი სერობა, თან
ჩვენ საპაექროზე შევეკითხოთ და გვითხრას თავისი.

ამაზე ყველა აზორხოცდა.

— ეგ კარგი იქნება!

— შე ისედაც ვიცი რასაც იტყვის: შოთას სწამს ღმერთი! „ჰე, ღმერ-
ო! ერთო, შენ შეჰქმენ საზე ყოვლისა ტანისა!“

— არა, არც ეგერია!

— მართალია. შოთას ღმერთი სხვა გვარ ჰყავს წარმოდგენილი...

— მართლა! საკვირველი არ არის მისი თქმა: „დამწერს ჩემს წიგნს შირნი, შერთვიან სულთა სირასა“. სირა ზომ კატელორშია შექმნილად.

— ეგ სულ სხვაა... აბა რას უბნობთ.

— აგერ, მოახლოვდა. ვათქმევინოთ.

— შოთა! შოთა!

სიმღერა შეწყდა. შოთამ ცხენი მოავდო.

სთხოვეს ჩამოხტომა. არ ინება. ბევრი ევედრნენ. „მეჩქარებაო“ დაიძინა.

მაშინ გაუზიარეს, რაც აწუხებდათ. უამბეს შინაარსი თავიანთი პაექრობისა.

შოთამ პასუხი დააყოვნა, მაგრამ შეატყო, რომ დიდათ ელოდებოდნენ და ბოლოს დინჯათ წარმოსთქვა:

— ეგ რაც მიამბეთ უფრო ახალი ნააზრია. მე გაგახსენებთ ძველ ფილოსოფოსთა ნაფიქრს. ბერძენთ მემატიანე ფუკიდიდე ამბობს: ხალხთა ცხოვრებას ღმერთნი კი არ განაგებენ, არამედ კანონნი ბუნებისანიო. ათინა იმიტომ კი არ დაემხო, რომ ღმერთებმა დასაჯეს, არამედ თვით ხალხმა თავის ძალა ვერ გამოჴმოაო. ახლა თალესი მიღეთელი: იგი ამტკიცებს ნიეთთაგან არს ყოვლისა დასაწყისიო...

და გაჩუმდა. თან ცხენს ლავამი მოსწია.

უყოფინეს — ეგ რა ცოტა გლითხარი, საკუთარი მიანიც არ აგვიხსენიო, მაგრამ ზრდილობიანის ღიმილით მოიბოდიშა და ცხენი შინისაკენ მიიბრუნა.

ბა

შინ კი მაშინვე ზოსიმე იკითხა.

ზოსიმე — ქართლელი გადამწერლად იყო ხელმწიფის სამდივნოში და ისეთი ხელი ჰქონდა, ისეთი ზუსტი, დაკვირვებული, შეუმცდარი, რომ სწორ-უპოვარი იყო მეფის კარზე. ზოსიმე თვით იყო ნაკითხი და პიიტოკოსიც, ამიტომ ახირებულად თუ რაზე შეეშლებოდა, მომეტებულად კი ის მოსწონდათ, რომ მიუხედავად მისი ავჴანობისა, ის სხვის შეთხზულში თავისას არას უმატებდა, არც არას უსწორებდა, თუნდაც მისი აზრით გასასწორებელი შეემჩნია კიდეც.

შოთაც სწორედ ამას უფასებდა და აქი მას მიანდო კიდეც თავის თხზულებათა გადაწერა.

რა მოხდა ეხლა? რად ეხვევა მუხლებზე? რადა სთხოვს შებრალებას? ოო, რაზომ საცოდავია შებრალების მთხოვნელი.

ხოლო რა დაუშავებია ეგეთი?

ნუ თუ?

და გამოჰკითხა.

— დიდო მგოსანო! სულმნათო შოთა! შენი ნაწერები, შენი მაღალი გონების შენაქმი...

— ვიცი, მივხვდი... მოგპარეს განა?

— არა, უარესი...

შოთა შეინძრა სავარძელზე. ზოსიმე განაგრძობდა:

— აბაში ჩაედევ მე-წყულმა და უნაგირს შემოვიყარ... ქსოვრის წაველ იმ დღეს, მე-უბედური, ცოლორს... ქსანში გასვლა მომიხდა... რომ გავეღ, მოვიხედე, აბა აღარ მქონდა... კვლავ გამოვეღ გამოღმა, დავეწყე შარაგზაზე ძებნა, მდინარესაც გადავხედე, თვალი მოვეყარ, რომ წყალს მიჰქონდა... მსწრაფლ გადავხტი ცხენიდან, შევეღ წყალში, წელამდე ძლივს დამფარა, ცურვა არ შეიძლებოდა, მივდიოდი ფეხდაფეხ, ძვირფასს განძს კი წყალი სწრაფად მიაქანებდა... ვაი შენ, ჩემო უბედურო თავო! — წაიშინა თავში ხელი...

შოთამ თავი ჩაქინდრა და ბაგეთან ზმუილის მსგავსი რამ ბგერა აღმოხდა:

— მმ. მმ!

— შემომალამდა კიდეც არ სცხრებოდა ზოსიმე — ირგვლივ არაფერი იყო დამეძახნა... ისევ ცხენს მოვახტი, ვითომ თავი დავუარე... უარესი... აბა არ მოცურდა ჩემამდე... უთუოდ საღმე ფლატეში შევარდა და... დაგლუბე, დაგლუბე მე უღირსმა... მომკალ, ნუ მაცოცხლებ... არ ღირსვარ, რომ მზეს აჰყვრეტდე მე გარეწარი, უგულისხმო, დიდათ დამნაშავე...

და თავი იატაკს დაანარცხა. ისეთი ხმა გამოიღო, შოთა შემფოთდა, სასწრაფოდ ზე-წამოიჭრა, ზოსიმეს ხელი წაავლო და ფეხზე დააყენა.

— გა, გამეცალე!

ზოსიმე ნაცემ ძალღივიტ წამოდგა. მაინც მოინდომა შოთასთვის თვალეში შეეხედნა. მოასწრო კიდეც შეხედვა და... თავზარი დაეცა. ასეთი გამანადგურებელი ყვედრება მასაც არ ჰქონდა წარმოდგენილი.

საქციელ-წამხდარი გაიძურწა.

პბ |

გულ-ამღვრეული შოთა კი იხსენებდა:

— სიკბაუკისა ჩემის გულის ზრახვანი, ექსორიის დროს განცდილი და გამოვლილი... აწ მათგან ნატამალიც კი არ შემრჩენია... ერთადერთი ზელთნაწერი, გადუწერილი... რითილა წარვსდგე შთამოვების წინაშე? მხოლოდ-ღა ამბავი ტარიელისა?

„ვეფხისტყაოსნის“ გახსენებამ თითქო გამოაფხიზლაო, წელში გასწორდა, ზელები მალღა აღმართა, თითქო გაიზმორაო, შემდეგ სხეული ჩვეულებრივ დონეზე დააყენა და გაიხსენა:

„არას გვარგებს სიმძიმელი,
უსარგებლო ცრემლთა ღენა!“

მაგრამ ამან მაინც ვერ დაამშვიდა.



ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...
მხატვ. ს. კობულაძე

ლექსები ვეფხისტყაოსანზე

სამცხლიდან

გიზგიზებს ცეცხლი, დგას სურნელი ფოთლების, მიწის,
ცეცხლი რუხ კედლებს ხეთა ტოტებს და რისხვას ახლის,
გარს მოხვევია ირანელთა ჯარი და იწვის
ჩუქურთმიანი, სევდიანი ქართული სახლი.

იწვის მიდამო, ითელება მწვანე ჯეჯილი
ვაზი, რომელსაც არ მოუსხამს ჯერაც მტევანი,
დამარცხებული და ჭულაჯა ჩამოგლეჯილი
მოყმეთა შორის იქვე მთაზე დგას ნოშრევანი.

უცებ დაეშვა იმ მხარისკენ სად ცეცხლი ბოლავს,
მისი ხმა რუხათ განათებულ სიჩუმეს ჰკვეთდა.
დასირბულ ტანმა და ხანჯალმა თან გაიყოლა
ჩამავალი მზის სხივები და ცეცხლს შეუერთა.

და მტრის ლაშქარში სთქვეს, რომ — „დარჩა იქ ოქრო-ვერცხლის
ნიეთები და მათ გადარჩენას ის შესძლებს განა?!“
მაგრამ ზედავენ უვნებელი მოდის ცეცხლიდან,
და ფერფლწაყრილი ერთი წიგნი გამოიტანა!

როს გაატარეს წიგნით ხელში ვერაფერი სთქვეს,
თითქოს ხიბლავდათ ეს შემთხვევა ჯერ არნახული.
მაგრამ სთქვა ერთმა: „მოტყვილდიო, რადგანაც ქართველთ
თვალ-მარგალიტი ჰქონდათ ალბათ იქ შენახული“.



ქართული
წიგლიწიგნი

მზითვენი

ცეცხლთან მოწყენით ჩამომჯდარი მიხვდა ციალა,
რომ თუმცა ადრე მაგრამ მაინც მოსულა ბედი;
რადგან ზანდუკი გუშინ დილით დედამ დასცალა,
და ჩადვა ახლა ფარჩის კაბა და ოქრო-მკერდი!

ჩადვა ფოსტლები და სურებიც აღარ რჩებიან
კედლის თაროზე, მიემატათ ნოზი ქართული,
როცა ანათებს ცეცხლის ალი ზანდუკს — ჩნდებიან
ყვითელი ვარდი და ჩიტები იქ მიხატული.

როს მოიღალენ, როცა დასცხრენ, ჭერზე ლანდები
და ფოთლებივით დამორჩილდენ სინათლეს ყვითელს,
აიღო მამამ წიგნი ფარჩის ყდაში ნადები
და მიუმატა მოკრძალებით ქალწულის მზითვეს.

და აგონდება ასულს მისას-იქ წაკითხული
თუ ტარიელის ტრფოზამ ტანჯვა როგორ დასძლია,
რატომ მოსულა სიყვარულის ეს გაზაფხული
მასთან ისე, რომ სევდის სუსხი აღარ უგრძენია?!

რათ არ დასცალდა, რომ ეტრფოდეს ის მიჯნურს შორით,
რომ მასთან, ერთად ჩუმად ნახოს ვარსკვლავთ კრებული,
ფიქრობს და ხედავს — დარჩენილან ოთახში ორნი,
ას და მის ლანდი, ისიც მისებრ ჩაფიქრებული.

შეშორებული

1

მუხნარისა და ბზის ტყვით ამწვანებულ გორაკზე მდინარე წყალწითელას მხარმარცხნივ ამართულა ორი ტაძარი გელათისა: მცირე, — აფხაზთა მეფის ბაგრატ მესამისა, ზოლო დიდი, — დავით აღმაშენებლისა, აგებული ნიშნად აგარიანთა განდევნისა საქართველოდან.

ეს დიდებული საყდარი ხაქმოდ ვრცელ კორდზე დგას და მისი ნათალი კედლები დილიდან დაღამებამდე ელავენ თეთრად გაზაფხულის მზის გულზე.

აქ ასვენია თვით აღმაშენებელი დავით, ძე მისი დემეტრე პირველი და ძის ძე გიორგი მესამე, მამა „მეფისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა, შირვანშასი და შანშასი და ყოელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკყობელისა“ თამარისა.

ჩრდილოეთით, კლდის ჩახვეწილ კონცხზე გადადგმულ ხის შენობაში მოთავსებულია სადგომი გენათლისა, საფუნდუკო და სასულიერო აკადემია. აქედან მოსჩანს წყალწითელას და მისი შენაკადის ქორენას ხეობა. ტყით აფენილი სორმონის ქედი ამაყად დასცქერის ახლად მოხულსა და ოკრიბული განთქმული ღომით დათესილ ყანებს.

გალავანს იქით ბარუგებზე დგას ქვით დაჯორგილი და საქონლის პატივით შეგლესილი ბუკები სკისა. ოდნავ მოშორებით ჩამწყრივებულან ყაერით დახურული ხულები, — სენაკები ბერ-მონაზონთა.

მთელი დღე ისმის გაუწყნარებელი ზუზუნნი ფუტკრისა. ფეხყვითელა შაშვები ხალისიანად ქაჩაჩაებენ მაყვლიანებში.

ამ ასიოდე წლის წინანდ ამ მონასტერში მოღვაწეობდა ბიზანტიიდან მწვალებულთა თხზულებათა გამო განდევნილი იოანე პეტრიწი. აქაც, სამშობლოში, დავითის გამგონების და წყალობითა და თანადგომის მიზნობილმა აზრა ერთი და ორი წიგნი დასწერა მშობლიურ ენაზე და მათ ხედვამ ფილოსოფოსთა განცდისად იარისტოტელურა.

მეფეთა საძვალესთან აზიდულა ახლადაგებული მსაქმენი, მსაქმენი ეკედერი და ირგვლივ ჰყრია ჯერ კიდევ აუღებელი ხეები, ღორი, ნამუსრევი ლოდნარისა, დამტვრეული ურმები, ბიჯაგები და ჩამოხსნილი ხარაჩოები.

ეს ეკედერი განთქმულმა ხუროთმოძღვარმა ხეკორძელმა ააგო თამარ მეფის ბრძანებით მისივე გვირგვინისანი მამისა და ქმრის სულის საოხად. შენება შარშან შემოდგომაზე დასრულდა, ხარაჩოებიც ჩამოიღეს, მაგრამ გაუმშრალი კედლის მოხატვა არ მოხერხდებოდა და ამიტომ მისი კურთხევა გაზაფხულამდე გადასდეს. ახლა დათბა, ბათქაში გახმა და მისი შემკობა სევსეიანმა მეფემ უბაღლო ბეშქენ ოპიზარს მიანდო.

თვეზე მეტია, რაც ოპიზარი ამ ტაძარში ჩაკეტილა, გარეთ არ გამოდის და თმა-წვერ მორეული აზაფებს ნაირ ფერებს ზოგს კვერცხის გულში, ზოგს წებოში და ზოგსაც ზეთუნის ზეთში. მთელი დღეები მუშაობს, დადის აქეთ-იქით, ისევ მუშაობს და ისეა გატაცებული, რომ აღარც სმა ახსოვს და აღარც ქამა.

ღოსიეთოს გენათელი უკმაყოფილო იყო ამ არჩევნებისა; წყევლა-კრულ-ვით იხსენებდა „ზნეობის გამხრწნელ“ „ცეფხის-ტყაოსნის“ დამწერის მეგობარ მხატვარს, რომელმაც თავისი წარმართული კერპის ხატებით წაჰბილწა წმინდა ლავრა ვარძიისა, მაგრამ სხვა გზა რომ არა ჰქონდა, რას იზამდა, ადგა და მეფის ბრძანებას დამორჩილდა.

ოპიზარი ხეთისშობელს ხატავდა და მის შესაქმნელად, თვალწინ ცოცხალი სახე რომ ჰყოლოდა, სამონასტრო გლეხის უშიშარაჲს ასული აჩიემა, მისი პირი, ხეთისშობლად დაისახა, უიმისოდ ხელის განძრევაც არ უნდოდა.

— გოცირაი მომგვარეთ, გოცირაი!.. — ყვიროდა იგი მიზეზიანად და ამგვარი მრუშებით ზარდაცემულმა გენათელმა არ იცოდა, რა წყალში გადაეარდნილიყო.

2

დღითიღლე წარმატებასა და განდიდებაში იყო მეფე თამარ. ეამ გარღვიდინ და განაგინ საქმენი მანდაურნი, და მონადირიან კეთილი იგი სანადირო გეგუთი და აჯამეთო. მერმე გარდმოვიდინ ქართლს, სომხითს, და მერმე დაღვინ. მოვიდინ ხარაჯითა განძელნი და და აღმართ ქალაქნი: გაზაფხულ აღმოვლიან სომხითი. მოილიან ხარაჯა ნახქვენელთა, და წარვიდინ კოლას, თავსა არტანისასა, ეს ზამთარიც მან შეილებიანად ცხუმს გაატარა, აღდგომა ბედიასი გაითენა და ახლა გეგუთს ბრძანდებოდა. სანამ გელათიდან ამბავი მოვიდოდა, ამაღა დროს ნადირობასა, ცხენთა ჯირითსა და ბურთაობაში ატარებდა.

წელიწადი სრულდებოდა, რაც მეფე მოწყენით იყო დატკბობოდა. გეგუთს ყოფნამ გადაჰყარა გულისჯაფრი.

მართალია, ორი შვილის დედა იყო და ორნაქმარევეცა, მაგრამ მოყმეთა შორის იგი კვლავ აგზნებდა ტრფიალების სახმელსა. ვერც რუსთაველმა გაუძლო ამოა ტრფობას და შარშან ამ დროს ველად გაიჭრა.

არავინ იცოდა, სად იყო მას აქეთ იგი.

ექმბეს, მთლად შესძრეს ყოველი აღმოსავლეთი და დასავლეთი, მაგრამ მაინც ვერსად იპოვეს.

ერთის მოქნევით დასთმო მან სასახლის ბრწყინვალეობა, ფუფუნება და დიდება.

სახლის მაგიერ თავი ცას შეაფარა, ზოლო გული ტყე-ველსა. ბედის აადავე ლალად მიუშვა და ვინ იცის, სად ეწყვეტებოდა თავისი მოუსვენარი სულით.

ბოლოს თამარმა დაჰკარგა იმედი მისი პოვნისა და დარდიან გულს მისი წიგნით-ღა იჭარებდა.

აქვე, გეგუთს, იმყოფებოდნენ გაზრდილნი მამისა მათისა ვაზართვა-ზირი პატრიარქი ანტონ ჭყონდიდელი და ჭიბბერ მანდატურთუხუცესი, პატრონი ტინვანისა, ქალაქისა, ციხისა და მრავალთა მთელთა.

ორნიც მხარგრძელნი, ძენი გასომხებული ქურთისა დიდი სარგისისა, — ამირსპასალარი ზაქარია, მგდომი სომეხთა მეფეთა აღდილსა, და ივანე მსახურთუხუცესი, რომლის უმშვენიერესი ასული თამთა დანიშნული იყო ხლათის სულთანის მელიქ აუჰადისა. მეჭურჭლეთუხუცესა კახაბერ ვარდანის ძე, ჭუხჩუხი მარუშიანი, ამირაზურა გამრეკელ-თორელი, ზევაშქ ცოქალი, — დედა ქართლისა ერისთავთერისთავის რატისა, სარგის ვარდანის ძე, პატრონი თმოგვისა, დადიანი, საღირის ძენი, ამანელის ძენი, სამძივარნი, სხუანი და სხუანი ერისთავნი და დიდებულნი, აზნაურნი და უაზნონი უთვალავი სპანი როჭისა და ოვსთა ყივჩაღთა.

ვაზაფხულის გამო ისინი შოლოდ ტახტებსა და დათვებსა ჰხოცდნენ, ამიტომ ირემნი აღარ ეტუებოდნენ ადამიანსა და ბოლოს იმდენად გაკადნიერდნენ, რომ თვით ციხე-დარბაზის არხში ჩამოდიოდნენ წყლის დასაღვევად.

მთელი დღეები ისმოდა თქრიალი ცხენთა, ყიყინა ბაზიერ-მარეკებასა, ყეფა მწვეარ-მეძებრებისა. ეფეანშებშილი ბებერი კაპუტები უძრავად ისხდნენ სახამლავებზე და სისხლის წყურვილით გამწვანებულ ყვითელ ბისტებს გოროზად ჰკუსავდნენ.

აჯამეთის უსიერი ტყე ზღვასავით გაშლილიყო და მისი ტყვები მუდმივი თოვლით დაბურულ ფერსათის ქედებს უწევდა. ტყველები და აღუჩენი თეთრად ყვავდნენ და კაცი ვერ გაიგებდა, რა იყო იგი. შორეთში რომ ბოკირებდა, — აყვავებული ატამი, ნისლი, თუ კვამლი მოსახლეთა.



ხელმწიფის კარზე გაუთავებელი მზიარულება იყო, მაგრამ თამთას დაჯავრიანებულ გულს არაფერი არ ახალისებდა. შარშანწინ მისი მშობელი, ივანე მხარგრძელი, ხლათის სულთანს ცეცხლად ჩაუქროდა და მხოლოდ იმ პირობით გაანთავისუფლა, თუ თავის ერთას ცოლად გაატანდა. იმასაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და დაჰყავბულდა. ახლა სასიძოს ხოჯა-საქურისები გამოევზავნა და მისი ქალის გამგზავრების დღეც თანდათან ახლოვდებოდა.

ქალი ჯავრით გახდა, მუდამ ცოცხალი და ცქრილა, ეგრერივად აღარ ცელქობდა, სახის ფერი გაუხუნდა და მთელი დღეები რამლსა ჰყრდა, თავის ბედსა და მომავალს იძიებდა. ღამეებსაც თეთრად ათენებდა და რუსთაველის ხელით ნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ ასლს გულმოდგინედ იღებდა.

როინ-ყვირილის ტაშირ ველზე ეს მრუმე ღამეც აჯამეთივით ჩამოხაფრულიყო და აქა-იქ ენთნენ ცეცხლნი გუშაგებისა. ლაშქარს ჯერ არ ეძინა და ტკბილად მოისმოდა ბნელაში დანთქმულ ხალხთა მრავალეროვანი სიმღერების გუგუნი და ყრიაშული.

იგი წერაში გართულიყო და, ლაღად გაქნეულ შაირებს მძივებად რომ ასხამდა, ხან იცინოდა, ხან სტიროდა და ხან ორბის ფრთებივით გადაწურული წარბები შეფრთხილდებოდნენ, — ფართო შუბლზე კოხები კუშტად დასხდებოდნენ.

ამ შაირებმა დააქალეს იგი, გული ტკბილად აუჩქროლეს და ასწავლეს წესნი მიჯნურობისა და მეგობრობისა. ამ შაირებს მიჰყევბოდნენ მისი ფიქრნი ზესთამწყობრ ხმათა ჟღერაში და მისი გულიც მათსავით ზუსტად და შეწყობილად სცემდა.

— ბატონიშვილო, დაიძინე, სახის ფერი ააგოფუქდება!.. — ვინ იცოი მერამდენედ ემუდარება ტახტზე ფეხმორთხმული და ძიღგამფრთხალი გადიოდა, თან სკვნილის ჩავდებით მწუხრის ლოცვას ჩიფჩიფებს და თან თავის გაზრდილს ზენას ავედრებს.

თამთამ ცრემლიანი თვალები შეიმშრალა, თავის ჯიუტი გაქნევით სარკმელს მიუახლოვდა და შეენი დაღალნი ღამეში რომ ჩაუშვა, ისე ჰგავდა, — თითქოს იგი ბნელიდან ამოდიოდა.

ცეცხლის ალით განათებული ასწლოვანი მუხები და ძელქვები ციხის ირგვლივ ქაჯებივით შემოჯარულიყვნენ.

„ხედავია, ჩემო, სოფელი რათა საჰმეთა მქნელია,

„რაზომცა ნათობს ნათელი, ჩემთვის ეგრეცა ბნელა,

„ბრძენნი იცნობენ, სწუწობენ, მით მათგან საწუნელია,

და უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია“.

ბუტბუტებს იგი და ფერსათის დაბურულ ღამეს სევდით გასცქერის.

ლამეში თქრიალი გაისმა. მას მზიარული ყოყინაც მოჰყვა და ნადირობიდან დაბრუნებული ჯგირისკაცი ციხეს ღორბოტობდა და შუქით კერით მოადგნენ.

— მამა ნობრძანდა, მამა!.. — შეჰკივლა თამთამ სიხარულით, და ფიცხლავ გარეთ გაიქრა. კარებთან ჩაყუნტულ ხოჯას წიხლი ზიზღით წაჰკრა და კიბეებზე ცქრიალით დაეშვა.

მონადირეებმა მსახურთუხუცესის ასულს ყელმალალი ირემი ცოცხლად მოჰგვარეს.

ნადირობის ეპოს წყლისპირას მათ მტირალი მოყმე ვინმე ენახათ. შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა. ეს მოყმე რუსთველი იყო და ზარით, ზეიმით თან მოეყვანათ.

გახარებულმა მეფემ მონადირეები დიდის ლარით დააჯილდოვა, და იმ ღამეს გათენებამდე ინადიმეს.

3

ბეშქენ ოპიზარი ოჭროს მჭანდაკებლობაში დიდად არ ჩამორჩებოდა საკვირველ ბექას, მაგრამ იგი უფრო მხატვარი იყო, ვიდრე ძერწვის ოსტატი.

მისი მრავალი ფიცრის ხატი შეამკო ბექამ თავისი ოჭროს ხელით, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ბეშქენმა პირველმა შემოიღო სურათების ნამდვილი სახიდან გადმოწერა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სამღვდელოებაში.

მართალია, ხე უფრო თბილია და გულმისაველი, მაგრამ იგი ვერ ეტოვოდა სიეწორეში და ისევ ცივი უხამსი კედლების შემკობა არჩია.

ამ რამდენიმე წლის წინად ვარძიის ლავარში მან დახატა „მეორედ მოსვლა“, სერაფიმებისა და ქერაბიმების ღორბოტობის ხროტანში გამსკდარი მიწა ანთხევდა მკვდრებით აღმდგარ მიცვალებულებს. სამარის ბნელით დაღორწილი ადამიანები მობოზდებოდნენ ამ სამზეოზე, არა განწმენდილნი ცოდვითაგან, არამედ განმზადებულნი კიდევ უფრო საშინელ და მიუტევებელ შეცოდებათათვის. ცხვარივით გაქუთულ ღრუბლებზე ისხდნენ მამა-ძე და ზარდაცემული თვალებით დასცქეროდნენ საშინელებას, რომელიც თვითონ ჩაიდინეს.

ამ ხატისათვის ბეშქენს ბერ-მონაზვნობა აჰხადეს მაშინ და, რუსთაველი რომ არა, ექსორია არ ასცდებოდა.

ახლა იგი გელათის ახალ ეკვდერს ამკობდა. ხეთიშობელი თითისტარზე მატყლს ასთავდა, ნანას გალობდა და თან ფეხით აკვანს არწევდა. მის სახეში იმდენი სათნოება გამოკრთოდა, რომ ნახატი თითქოს მართლა გალობდა.

გოცირა გაოცებული უცქეროდა თავისსავე ხატებას, — მზად იყო დამზობილიყო მის ფერხით და თავყანი ეცა.

იგი მონუსხულივით დადიოდა მასთან ყოველდღე, მონუსხულივითვე იჯდა ხელში გაშეშებული თითისტარით და ხანდახან ერჩეხებოდა. მოძეს საკვირველი კაცი — კი არ ხატავდა, ხელახლა ჰქმნიდა შავ, თითქმის იგი ხორცისაგან თავისუფლდებოდა და კიდევ უფრო ნამდვილი და მართალი, პაერივით მსუბუქად ეფინებოდა ამ კედელს. აი დილიდან დაღამებამდე ზის მასთან ცარიელ საყდარში და იქ, გარეთ, მთა-გორებია, მინდორ-ველები, ჩხრაილა მდინარეები. მისი ტოლები ბატებს მწყემსავენ, ყანის მუშებთან სადილი დააქვთ, მღერიან, იცინიან, მიხედვის ყვავილთაგან გვირგვინებს წნავენ და, გარეთ რომ თბილა, აქ, ამ მუდმივ ჩელოში, იმდენად გრილა, რომ ხანდახან სიცოცხის ჟრჟოლაც კი უვლია.

მთელი დღეები გაოცებული შესცქერის ამ უცნაურად შემოჩენილ კაცს და არ ესმის, რა უნდა მისგან, რას ეძებს ან რას ფათურობს მის სულში.

— გოცირა, გაიცინე!.. — გოცირას ეცინება, და რატომღაც მოთონებიდან გამოსული მხატვარი უყვირის, როგორც თავის მონასა და მხეველს:

— იტირე, გოცირა, იტირე!.. — და გოცირა რომ სტირის, იგი ვერ უძლებს მის მდულარებას, იჩოჭებს მის წინაშე და ისიც ატირებული უკოცნის კალთას, მუხლისთავეებს.

— სული გამიშვილე, გოცირა, სული!.. — ემუდარება იგი ისე, თითქოს წიგნს კითხულობდა და ქალს შიშის ჟრუანტელი უვლის მთელ ტანში: იქნებ, სატანაა და სულს იმიტომ ა სთხოვს, ან შეშლილია?..

ხატი დახატულია, ყველა წვრილმანი გათვალისწინებული, ცალი ფოსტალიც ნამდვილივით აგდია იატაკზე. შიშველი ფეხის ცერიც ისე შესაქცევად გამოუხატავს, თითქოს ისიც მართალი იყოს. აკვნის სანანაო ქმს ფეხით მჭიდროდ ჩასტანებია და არწევს პატარას, მაგრამ ოპიზარს წაინც არ სჯერა იგი. მის ქმნილებას მაინც რაღაც აკლია, ერთი მოსმა, სულ ერთი ბეწვა და ვერ მიმხედარა, ვერ მიუგნია, სად დაჰკრას ყალბა, რომ გააცოცხლოს, სული შთაბეროს ამ კედელს.

— მაინც ტყუილი ხარ... გამოგონილი, ნაცოდვილარი... ვერ მომატყუებ, მაინც არ მჯერა!.. — გამწარებულმა ფუნჯს ხელი დაავლო და, წასაშლელად რომ უნდა ჩამოესვა, გოცირამ იწვილა ისე, თითქოს მოკვლას უბირებდნენ.

ბეშქენ შედგა, ფუნჯი ხელიდან გაუეარდა და იატაკზე რბილად დაეცა.

გელათში დიდი სამზადისი იყო. იმ დროს გეგუთიდან მეფეს ელოდნენ.

ბერებს სამონასტრო გლეხებიც ეხმარებოდნენ, ეზო-გარემო წესრიგში მოჰყავდათ. ბიჯაგებით ეზიდებოდნენ ქვის ნათალნამუსრევს, ბირდაბირებით ხერხავდნენ გაუქმებულ ხარაჩოებს, ყალბაშს სცელავდნენ, მაგრამ ოპიზარი აინუნშიაც არ ავლებდა მათ ფუსფუსს.



აკადემიის შეგორდებიც დიდის ამბით ემზადებოდნენ. ზოგი გამალე-
ბით ზეპირობდა იოანე ოქროპირის ბერძნულ თხზულებას, ზოგი კი —
წარმართული ფილოსოფიის წინააღმდეგ. ზოგნი განცალკევებულიყვნენ
და საფლავის ქვის ირგვლივ ნამალეკად შემომსხდარი აგებდნენ კამა-
თელში ტანისამოსს, დღევანდელ სადილს, ხეალისასაც და თან უწმაწუ-
რად ილანძლებოდნენ.

სულ პატარანი ტაძრის ასავალ კიბეზე თიკნებივით მიყრილიყვნენ,
ერთ მათგანს მუხლზე ჭიადერის მელნით ნაწერი ხარის ბეჭი დაედო, და
ერთად გულმოდგინეთ გაჰკიოდნენ, — „მამაო ჩვენოდან“ ქართულ ანბანს
იღებდნენ.

— მანან — მანან-ონ ჩინეინ-ენ ნარ-ონ!..

ნახევრად ბნელ საკანში ილლიამდე დამკლავებული სამი ბერი გამდ-
ნარი ცვილით სავსე სპილენძის როფიდან ჭახრაკით სანთელს ეწეოდა.

ის ერთი, ლაფშიანი, გეჯაში პატრუქს რომ ავლებდა, თან ჭახრაკთა
ლდგომ ამხანაგს უტევდა:

— ნელა, იოვანე, ნელა გადაატრიალე, პატრუქი არ გაწყდეს!..

მესამე გრძელ მაგიდაზე სანთელს კელაპტრებად სჭრიდა. იმდენად
მიხრწნილიყო, რომ ხარისაზე ჩურჩხელებად ასხმული სანთელი გასაშრო-
ბად ძლივს გაჰქონდა გარეთ. ხანდახან უაზროდ მიიხედავდა, იმ ლაფ-
შიანსა და იოვანეს პირში თავის თანხლით მისჩერებოდა, ცდილობდა
ტუნების მოძრაობით მიმხედარიყო, რას ლაპარაკობდნენ ისინი.

— იპ, ერთი ის გოცირაი მომცა ეხლა აქა!.. — ინატრა ლაფშიანმა. —
იგრე დავბუზნიდი, იგრე, რომა, მგონი, იმ დამთხვეულ მხატვარს სულ
თავგზა აბნეოდა..

— სატანავ!.. მაცდურო!.. მაცდურო!.. — აყვირდა იოვანე და შიშით
ჭახრაკი ხელიდან გაექცა.

— რა გაჩხუბებთ, შეილებო?.. რა გაქვთ გასაყოფი?.. — იკითხა ყრუმ
გაკვირვებით, მაგრამ ლაფშიანმა ისე წაუყრუა, რომ პასუხიც არ აკადრა.

— გულშინ მერეში ნიორს ეთოხნიდი... — დაიწყო ისე, თითქოს თავის-
თვის ლაპარაკობდა, — ის იყო, კვალი ბოლომდე გავიტანე, რომ ამ დროს
წყლიდან ტყარცალი მომესმა... გულმა არ მომითმინა და მაშინვე იქით
გავეშურე... წყლისპირას თხილნარი გადავწიე და... ვხედავ გოცირა ტანს
იბანს... ათქვირული ძუძუები ჩანჩქერისათვის თასებივით შეეშვირა და
სიცილით კედებოდა...

— მერე?.. — მერე?.. — იკითხა სულწასულად იოვანემ.

— მერე მერეში!.. — მოუჭრა უტიფრად ლაფშიანმა. — რას ვიზამდი,
ავდექ და უკანვე გამოვიძრწე.

— გლახაკო, ჩიავ!.. — აქაქანდა ის ყრუ ბერი, რომელსაც სწორედ ამ
ამბისთვის ახსნოდა სმენა. — შენოდნობაზე კაცი ვერ მამაგრებდა და
მენ რამ დაგავლახავა, შე ლაფშიანო, შენა!..

იოვანე გაშტერდა, გაგონილს ყურებს არ უჯერებდა.

— ერთი ამ ყურულუნას დამიხედეთ და!.. — ამოხდა ლაფშარანაგაყვარ-
ვებით და ორივემ გულიანად გადიხარხარა.

5

გენათელი დავთარბანაში ზის და სთხზავს ღვთისშობლის იამბიკოს:

აღმომიბრწყინე მე, უფალო, ნათელი
ბრძანებათა შენთა წმინდათაჲ, რამეთუ
შენდამი ჭრისტე...

— შენდამი ჭრისტე... — იმეორებს იგი ეს მეთხედ ერთსა და იმავეს
და ამ სიტყვებს იქით ფეხი ვერ მოუცვლია.

— აღმომიბრწყინე მე, უფალო ნათელი... აღმომიბრწყინე... — რომ
არა გამოუვიდა რა, ხელი ჩაიჭნია. ღართის კალთა რატომღაც უკანადას
აიკეცა და, მხრებზე რომ წამოისხა, შავ ყორანს დაემსგავსა სენაკში შავი
ყორანივითვე გაიარ-გამოიარა და საიდანღაც ამოტივტივდა:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
„ეინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
„მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა!“

და ყორანი იგი, გადმოშვდარი ამ სტრიჟონებზე, ჩხაოდა ბედითად:

— აღმომიბრწყინე მე, უფალო... აღმომიბრწყინე...

მაგიდაზე ეწყო სიგელ-გუჯართა ხვეულები და ძველის-ძველი ხბოს
ტყავში დაკანული დავთარ-წიგნები. ფიქრთ გასართევლად ერთი მათგანი
შუა ადგილიდან გამოსქვალა.

„არისტოტელე-
პერი ერმინია.“

ეწერა თავფურცელზე და ისე, როგორც ერთი უწმინდური რამ, იქით
გასტყორცნა.

ეს წიგნი იოანე პეტრიწის თარგმანი იყო, მისგან სისხლითა და ოფ-
ლით მონაღვაწები. ახლა იგი იატაკზე დაფურცლული ეგდო და ფეხით
სთელავდნენ.

გენათელი აღტაცებული იყო, რომ ძველი საბერძნეთის წარმართუ-
ლი ფილოსოფიის მზე, როგორც იქნა, ჩაესვენა. ეს მზე ახლა არაბეთს
ამობრწყინდა და მისი ერთი გამოსხივებათაგანი ეს წიგნი იყო.

უცებ გაახსენდა, რომ იმ დაწყებულ მხატვარს მის დაუკითხავად
აქედან საკითხავი წიგნები მიჰქონდა. ეხლა მათ რიცხვს ერთი აკლდა.

ყველა სათითაოდ გადასჩხრიკა და, ხელში „ვეფხისტყაოსანს“ რომ მოხუ-
და, „პერი ერმინიას“ გზას გაუყენა.

— განვედ, განვედ ბექედნო სატანისა სახლისაგან ღმერთისაგან... ჩულებდა იგი პირჯვრის წვრილ და თან ეძებდა, ეძებდა, რომ ვერ იპო-
ვა, პეტრიწისა და რუსთაველის წიგნები აიტაცა და შეპყრობილივით და-
იბღვლა:

— ტა ტოპიკა!.. სადა არს წიგნი ტოპიკაი, დაწერილი ღვთისაგან
წყვეთლ არისტოტელესი?.. — და თმაგაჩიჩილი, ანაფორაგაფრიალებულა
კიბებებზე ყორანით რომ დაეშვა, მერედან ბუკის ხმა მოისმა.

შედგა, ყური მიუვდო.
გელათში მეფე ამობრძანდა.

6

აივანში გაფენილ ნოხზე რუსთაველი ფეხმორთხმით იჯდა და დო-
რზე იდაყვით დაყრდნობილი ღამეს გასცქეროდა. უმთვარო ცაზე გარსკჟ-
ლაწები ცრემლებივით კიაფობდნენ და ზოგი იმათგანი ცრემლივითვე
სწყდებოდა ლანისფერ კაბადონს.

ყველას ეძინა. წყლის შორეულ ხმაურში გუშაგების გადაძახილი იმე-
ლის მომცემად გაისმოდა.

ერთი წელი დაჰქროდა იგი ტყე-ველად. არც არავის ეკარებოდა, არც
არავის ეკარებდა, და ამ ერთ წელიწადში საგანი მისი ტრფობისა რაღაც
გამოუცნობი სენის გამო იმდენად მოტეხილიყო, ხანიც ისე ძალუმად დამ-
ნტიდა, რომ ის ჭაბუკური სიყვარული ერთბაშად გაუწელდა. ახლა იგი
დღედად უფრო შეჭფეროდა მას, ვიდრე სამიჯნუროდ.

ხელმწიფის კარზედაც მრავალი ცვლილება დახვდა: ყველასათვის სა-
ძულველი კათალიკოსი და მწიგნობართუხუცესი მიქელ ჭყონდიდელი ზი-
რიანის ძე მომკედარიყო და მის მაგიერ იერუსალიმში განსწავლული
და ბრძენი ანტონ გულაბრის ძე მოეყვანათ გარეჯიდან და ის დაესვათ.
დიდებული კრავიი ჯაყელიც, დედა სამძივართა, გარდაცვლილიყო, თამ-
თას მამას რჯული გამოეცვალა და ახლა ჭართველობას შესდგომოდა,
თვით თამთა ისე მოწიფულიყო, რომ მშვენებით ყველას თვალსა სტა-
ცებდა.

მის სათხოვნელად აუარებელი სასიძო მოდიოდა, მაგრამ ივანე ყვე-
ლას უარით ისტუმრებდა, რადგან მიცემულ სიტყვას ვერ გადავიდოდა
და ამ გაზაფხულზე საჭმროსთან უნდა წარეგზავნა.

საწყალი ჭალი მთელი ღღეები შავი ცრემლით სტიროდა, დარდიანად
იყო. არც ნადირობა და არც ცხენთა ჯირითი არ ართობდა.

ჯერ კიდევ გუშინ გეგუთის ციხე-დარბაზის ღერეფანში შემოეყარა
იგი უცაბედად... ალბათ, ტყედ ცხოვრებამ თუ გაახელა... ირგვლივ არა-

ვინ იყო... ჰერს ქვემოდან მერცხლის ნამძინარეებმა ელურტულმა გამო-
არკვია.

ლაშეს შიდაყურა. გაზაფხულის ნორჩი ბალახი წყნარი გზის მხარეებზე
დებოდა და წვენიტ გატენილ კვირტებს ხეები ტაცუნით ხეთქდნენ. დამ-
ფრთხალი ირმის თქარუნიც რომ მოესმა, ნეტარებით გაიღიმა. გატრუნუ-
ლი უსმენდა, როგორ მღეროდნენ ხეები, ბალახები და ტყის სულიერნი
სიცოცხლის დიდებას. მთანი მაღალნი ბანს გუგუნით ეუბნებოდნენ და
ნათარხნმა გულმა ისევ ტყისაკენ გასწია.

— წავალ, კვლავ წავალ!.. — გადასწყვიტა და დორი მოიჭნია, ტახ-
ტიდან ძირს გადაავლო.

იცის ტატნობში სამი გუმბათი გაყრილიყო.

— აი ტაძარნი დიდებულნი და ვინ იცის, არსებობს იგი, ვისთვისაც
ისინი ასეთის ჯაფით უშენებიათ?..

ერთს მათგანს ახლა ის ჯადოქარი ბეშქენი ამკობს.

უცებ გათენებინ ესმს ერთი დაბნელდა, ეს-ცამ ინათა და მიწაზე
ჩრდილები დაახვევა. ვარსკვლავებიც ჩაჰქრნენ, მხოლოდ ხარბიპარია ცია-
გებდა ნირშეუცვლელად.

თითქმის აცივდა კიდეც და განთიადის ნიავმა ტანში ერქოლით და-
უარა. მოკლე ყაბარჩაზე ყვინდიზიანი ხირლა წამოისხა და მოაჯირზე
მიყრდნობილს როგორც უცებ წაეძინა, ისევე უცებ გაეღვიძა.

7

სისქაში დილა იყო. წყალწითელას პირებზე აცოცებული ღამის ნისლი
ჯერ ისევ ბოტირებდა. ბალახი ფურცელზე დაგორებულ ცვარისაგან თა-
ვისუფლდებოდა და წელში სიხარულით იმართებოდა.

მზე მთის წვერებს ანათებდა და, ცად რომ ადიოდა, ნათელი და სით-
ხო თანდათან დაბლა ეშვებოდა.

ესოში ჩუხჩერახი მარუშიანი ხაბაზებს, მზარეულებსა და სალახებს
განკარგულებას განკარგულებაზე აძლევდა. აივანზე გადმომდგარ გენა-
თელს ნორჩილი თუნგით წყალს უსხამდა; თმა-წვერ გაბურძგენილი, იგი
წყლიდან ამოვარდნილ ჭაჯსა ჰგავდა. დილის მყუდროებაში საამოდ ის-
მოდა წყაროს ტბილი ელურტული. და ჭართაში დამწყვედეული დასაყ-
ლავი ზედაგები გულის დამღევად ბლაოდნენ, ალბათ, წუთისოფელს თუ
ეთხოვებოდნენ.

რუსთაველი აივნიდან ძირს ჩაეიდა. გალავნისაკენ შეუშინეველად გაე-
მართა. ალაყაფთან გუშაგად მდგომ ბეგთარ-აბჯროსან სენებს უსიტყვოდ
ჩაუარა. ბეჭობზე შემდგარმა წყალწითელას ბარს თვალი გადაავლო. ბა-
ნაკი ამოილიყო. მდინარეზე ჩარეკილი ცხენების ჭიხინი და ხალხთა
ერიაშული ყრუდ მოისმოდა.

ანწლში და წალიკაში გაკვალულ ბილიკს ნელა გაჰყვა, თეთრი შალაო ყელიანი წაღები ცუარისაგან ჩრდილისფრად უსველდებოდა. — ის კი არ მიდიოდა, ხეები მიდიოდნენ მისკენ. ყოველ წაღებზე, სტეჟსა და ქვას დიდხინის ნაცნობეზივით უღიმოდა, თავს ევლებოდა.

ამ ერთი წლის განმარტოვებაში ისწავლა მათი გასაგისი და სასახლის კარზე ყოფნა რომ გაახსენდა, მტკიცედ გადასწყვიტა:

— მე იქ რა გამაძლებინებს, წავალ, კვლავ წავალ!..

ტყისპირას ვიღაც თხილსა ჰკენეტდა.

ბილიკს აღხვია. თხილიანში თავწარგულ მაჩვს წაადგა. შარშანდელ თხილის კენეტაში ის ისე ვართულებოდა, რომ არაფერი არ შეუტყვია.

— რას სჩადი, კაცო, მანდა?.. — შეეკითხა შოთა გაკვირვებული.

მაჩვი შეკრთა, შიშით გულგადატრიალებული თავქვეზე ბურთივით დაგორდა.

რუსთაველმა თვალი ღიმილით გააყოლა, ისევ ბილიკზე რომ გამოვიდა, ახლა ვიღაცისაგან დამფრთხალმა ჩხიკმა გადაუარა თავზე ჩხავილით.

— გძლიე!.. გძლიე!.. — მიესალმა ნიშნის მოგებით ჩიტს გახარებულმა, რომ მას პირის დაბანა და გარეთ ადრე გამოსვლა მოასწრო.

სოფლებებს საქონელი უკვე გამოერეკათ საძოვარზე.

ლალად გაშვებული წვერცანცარა თეთრი ბეკეები ხიმეს წინა ფეხებით მისდგომოდნენ, ღობისპირას ჩარგულ ხეებს აზიზად ჰკორტნიდნენ და პირაცმაცუნებელი აქეთ-იქით დამფრთხალი კაცებივით იცქირებოდნენ. შოთამ სიცილით, სტვენიტ ჯოხი მოუქნია. შეშინებულმა თებმა ფრუტუნით, კონტრუსით ჩაურბინეს, მერე შედგნენ და კულაბზეცილებმა ახლა უკანაიდან გამოხედეს გონიერი, გულგრილი თვალებით.

თითი მუქარით დაუქნია და გზა განაგრძო. ცოტაც რომ წაიარა, მოხვეულში ვიღაც ქალს შეეფეთა. კარისკაცის დანახვაზე მან ერთი შეპკივლა და კალათა ხელიდან გაუვარდა, — ახალი მაწყვი დაღვრილი სისხლივით გაიშალა მიწაზე.

— რამ შეგაშინა ქალო?! — დაუყვავა აღერსიანი საყვედურით შოთამ და მაწაზე დაბნეულ მარწყვს სიცილით აკრეფა დაუწყო, მაგრამ იმდენს კალათაში არ ჰყრიდა, რამდენსაც სჭამდა. გოგონა ელდისაგან ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულებოდა. ერთი პირობა გაქცევაც დააპირა, მაგრამ არ გაიქცა.

— ენა ხარ შენ?.. ან ეგეთი ლამაზი რამ გაგხადა?.. — შეეკითხა კარისკაცი ისე ტყბილად, რომ ქალი მაშინვე დაწყნარდა. შეჭებისაგან ტანში კრუნტელმა გაურბინა და თავბრუდახვეულმა ერთხანს ენა ვერ მოაბრუნა.

— გოცირაი ვარ! — სიტყვა მან მიამიტად თუ კოპწიაობით, კაცი ვერ გაიგებდა. ჩატუტქდა და ისიც მარწყვის აკრეფას შეუდგა.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ. ეს სატიალე, მარწყვი რატომღაც უფრო მეტად ეკუთვნოდათ ხელში.

მოხდენილსა და ირემივით ლაღად ყელმოღერებულ მჩაგმურს მჩაგმურს ნაკერი წითელი ბირლა ისე უზრუნველად წამოესხა, თვალეზიც ისეთი ლომობიერებით უბრწყინავდა, რომ გოცირას კინაღამ ხმამაღლა ამოხდა:

— შზე!.. შზე!.. — მაგრამ გულისთქმა მყისვე დაიოკა.

კალათში ხელი ჩაჰყო და ერთი მუტა მარწყვი თავისი ხელით მიაწოდა.

შოთამ მხოლოდ ერთი მარცვალი აიღო და ხელი უცაბედად მის ხელს რომ მოუხვდა, გოცირა ფეხზე წამოიჭრა და ხეს მიეყრდნო. დარბეულ ფოთლებში თქაფა-თქუფით წამოსული ნაში თავზე გრილად რომ დაახვავდა, ერთი შეფრთხა და კისკისით, კივილით თავქვეზე დაეშვა.

შოთამ თვალი ალერსიანი ღიმილით გააყოლა, მიწაზე დაგდებულ კალათს ფეხი აარიდა და ბილიკს ისევ წყნარი ნაბიჯით შეუდგა.

8

ოპიზარი თავისი ქმნილების წინაშე გარჩნდებული იდგა და მხრებდაყრილი შეტყრობილივით ბუტბუტებდა:

— შზევ, შზევ, მოვლინებულო ქალწულის უბიწო საშოსაგან და მძინარევე აკვანსა შინა, მომანიჭე მე ძალი და შეწენაი, რათა გულისთქმა ჩემი არა ისწრაფდეს მრუშებად დედაშენისაკენ!.. ხატსა, შექმნილსა, ჩემგან შეუტყრივარ მე, უბადრუცი კიდობანი, აღსაგეს წადიერებითა, და მიხსენ ცოდებათაგან!.. — მაგრამ მისი ლაღადისი ცერცვევით ხედებოდა კედელს და უკანვე მოიპნეოდა.

ხატი მოსიყვარულე დასავით არწევდა, შეილის კი არა, ძმის აკვანს და გალობდა ისეთი თავდავიწყებით, თითქოს თავისსავე ტკბილ ხმებს ასთავდა თითისტარზე, თითქოს ფეხით კი არა, ამ ხმებით არწევდა აკვანს, კედელსა და მთელს ქვეყნიერებას.

ოპიზარს უნდოდა, რომ ეს ქვეყანა შეილი ყოფილიყო ამ ხატისა, მაგრამ გოცირას სახე ვერ დაემორჩილებინა და, ნაწას რომ უგალობდა, ხანდახან ხმას ისე ძალუმად უწევდა, რომ მის შემქმნელს ეშინოდა, გარეთ არავინ გაიგონოსო.

გოცირას სახე იმდენად უბიწო იყო, რომ ყრმა იგი ჰგავდა არა ნაყოფსა მისი ტრფობისა და შობილსა მისგან, არამედ ძმას ჩჩვილსა და უმრწემესსა.

უნდოდა ჩამოეხადა მისთვის ეს ღეთაებრივი უბიწოება, განეკატებინა იგი, მაგრამ არ იცოდა-რა გზით, რაც უსაზღვრო მწუხარებაში აგდებდა მას.

კარებში ვიღაცამ სულსწრაფად მოაკაკუნა:

— ვინ არის?



— მე ვარ, გოცირაი!..

უცებ ისე გაქანდა, თითქოს სხნას მისგან მოელოდა. *ქაქუცხუაძე*

— შემო!.. — ბრძანა და, ქალს რომ შეხედა, დატოტუნდა *მანუჩი* და ნად ბჭეს წაეტანა, მაგრამ კარი ნელი მიხურვით რომ გამოეცალა, ძირს ზღართანია მოადინა.

გოცირამ იატაკზე გაშოტილ კაცს დახედა და უცებ ისე გამჭირდავად გადინახარა, რომ შხატვარი სახტად დარჩა. წელი ნელა აითრია. ქალთან სულ ახლოს მივიდა და გოცებუღი დააქცევდა.

გუშინს აქეთ დაქალებულიყო იგი და ტუჩები ვნების აღმძვრელად დაჰბურცვოდა... სახეზე ბედნიერი ღიმი იერად დაჰფრფინებდა.

— ბიჭოს!.. — ამოხდა გაკვირვებით. — ბიჭოს!.. — და ხატს რომ შეხედა, ასლი არაფრით არა ჰგავდა თავის პირსა. იქ კედელი იყო და აქ სიცოცხლე და ნეტარება, ნეტარება, რომელიც მისი სახისაგან უხილავ სხივებივით გამოჰკრთოდა. ბაგენიც რაღაც ერეოლის მომგვრელი ცოდვილიანი სურვილებით უღიმოდნენ, უღიმოდნენ ისე მაღაურად, თითქოს სადღაც ნამალევად განცდილ ნეტარებისაკენ მოუწოდებდნენ. ოპიზარი დაიბნა ამ მოულოდნელობისაგან.

— ცოდვის შვილო, ხევ ბოროტისა... — ბუტბუტებდა იგი თავგზა-აბნეული.

მიუახლოვდა, ყურისძირებში ხელი ამოსდო და სახით სინათლისკენ მოაბრუნა. თვალებში, ბაგეებში ხარბად ჩაიწერდა: გამოსხივებული სინათლე თვალებში წყალივით შემოესხა.

— ვბოვე!.. — დაიკვილა მან სიხარულით. — ვბოვე!.. — და ამ ერცელ ტაძარში აქეთ-იქით გიჟივით ეწყვეტებოდა.

გოცირას შეეშინდა, ეგონა, მის სახეში ამ წყეულს კაცმა ის ნეტარება ამოიკითხა, ამ რამდენიმე წუთის წინ რომ განიცადა.

— ვბოვე, ვბოვე წყარო სიცოცხლისა!.. — ყვიროდა იგი და სიხარულით ტირილი აუტყდა.

ღართის კალთით თვალები უცებ შეიმშრალა და გაშტერებულ ქალს გიჟივით მიჰარდა. მკლავში ხელი ჩაავლო და კარი ფართოდ გაუღო.

გულგახეთქილმა გოცირამ კიბეები სწრაფად ჩაირბინა და ალაყაფისკენ ისე გაქანდა, თითქოს ვინმე მოსაკლავად მისდევდა.

ოპიზარი მარტო დარჩა.

ცად ამალღებულო, ახლა იგი ღვთის სწორად გრძნობდა თავს და ხატს ისე, როგორც მხევალს, მიუახლოვდა.

ყალბი ფერს გაბედულად დააწო და, ბაგეს ოდნავ რომ წასცხო, ზეთისშობელმა უცებ დაჰკარგა უბიწოება. ახლა იგი დედაც იყო, ცოლიცა, და ნეტარი ღიმი, უხილავი კოცნა და ალერსი ცოდვის ნიავევით დაჰკრთოდა მის სახეზე.

ფუნჯი მოიქნია და იატაკზე ისე დაანარცხა, თითქოს იგი ერთი ფუჭი რამ ყოფილიყოს...

განზე გადგა და ახლა შორიდან გახედა მუშტრის თვალთ.

— მაღლობა ღმერთს, გამოვიდა!.. — ამოხდა სიხარულით,

სული შვებით მოითქმა. უეცრად ძილი მოეკიდა და უნიჭო მუშტრის ული ფეხები ძლივს გაიტანა გარეთ. წმინდა პაერმა ღვინოსავით დაჰკრა თავში. კარი ღიად დაადგო და ტყეს ლასლასით მიაშურა.

ცვარი ამშრალიყო და საამოდ თბილოდა.

გზად ფეხი დაუტურდა. დახედა, — დაბნეულ მარწყვზე ასხლეტოდა. იქვე ვილაცის კალათი ეგდო. ტყის სიხშოში ერთი ბებერი ღრუიანი მუხა იპოვა, თავი შიგ შერგო და უცებ დაეძინა.

ესიხმრებოდა: ამ ფესვებს შვილივით ჩაეკრათ იგი გულში, ნედლსა და მომწარო წვეწვს აწოვებდნენ და დამრეტილი უილაჯო ისევ ივსებოდა.

9

წინ გენათელი და პატრიარქი მობრძანდებოდნენ, მათ თამარ შეფე მოჰყვებოდა ამალით.

აი, ქვის კიბეც აიარეს და, ტაძრად რომ შევიდნენ, პირქვე დაეცნენ, — ხეთისშობელი სიცოცხლის დიდებას ჰგალობდა.

შოთამ იცნო გოცირა. ის კოცნაც, ბაგეებზე რომ აღბეჭდოდა, მაშინვე ენიშნა.

გენათელი შეკრთა, ელდა ნაცემმა თვალეზი ხალხს მოავლო და ისე ამოიხვნეშა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია.

რუსთაველმა გამჭირდავი ღმირით შეხედა მას.

თამარ უძრავად იდგა და სასოებით შესცქეროდა ოპიზარის ქვნილებას.

— ეჰა!.. გაისმა ამ ღუმელში შოთას ხმა ისეთი ზვიადობით, რომ ყველა სმენად მიიქცა. — იხილეთ, ვითარ უხორციო ხორციელ იქმნა და ცათა დაუტეველი დაიტია კაცის გულმა!..

მკლავები დასცვივდა და მუხლნი მოწიწებით მოიყარა.

თვითაც არ იცოდა, ვის სცემდა თავყვანს: ოპიზარსა, გოცირას თუ საკუთარ ვნებას.

ამალაში ტირილი გაისმა.

მიიხედეს, — თამთა იყო.

არავინ არ იცოდა, რისთვის სტიროდა იგი. მას ის კოცნა გახსენებოდა, შოთამ რომ აჩუქა გეგუთის ციხე-დარბაზის ბნელ დერეფანში. ამ ხატში მან იცნო ქალი, რომელსაც რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ხეთიშობლის მაგიერ ეთაყვანებოდა.

სამი ღლის შემდეგ ხოჯებმა იგი ხლათის ქვეყანაში წაიყვანეს და საწყალმა ქალმა ცრემლით თან „ვეფხისტყაოსანი“ წაიტანა.

ეკლესიამ შეაჩვენა ბეშტერ ოპიზარი, ხოლო გოცირა გახურებული ნაღით დადაღეს.



ქართული
ლიბრერი

საქართველოს
ლიბრერია



ჩა დავარ გაძლა ცეშითა, მისითა დაღურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა...

მხატვ. ს. კობულაძე

ალექსანდრე კუთათელი

ნაგჳრის ასრულება

ზოთას

დაშვებულყო თეთრი ღრუბელი,
ეფინებოდა ციდან მთა და ველს,
ვღგევაზ უცნაურ ფიქრთა მგუბველი,
შვიდასი წელის იქით გადაველ.

თვალის გამზირი მიჰყვება მარდათ,
სადაც შორეულ მთათა სერია:
ირხევა ღრუბლის შვიდასი ფარდა
და ზედ რიგრიგზე წლები სწერიი.

ჩამწყრივებულა შტოთა წინშევერით
ალვა, ჩინარი და ხე ურთხმელის,
მივდივარ ცის ქვეშ მე თავშიშველი
და აღტაცება მიმაქვს უთქმელი.

ჩამომდნარიყო ალვა, ჩინარი,
შემოტმასნოდათ ქარვისფრად კაბა,
ალვა ყველაზე მაინც წინ არი:
მთვარიან ღამით სულ გაინაბა.

ჩამოვლვარა თავითფეხამდე,
როგორც ანთებულ სანთელს ქარეები,
სდუმდა ქალაქი პირველ მებამდე
და მთაში სახლი, სოფლის კარეები.

ჩაფიჭრებულა ციხე ქონგურით,
 ღრუბელთა ფარდის ირხევა კალთა
 და ვით თეატრში, ათას ჩონგურით
 შე გავიგონე სიმღერა ქალთა.

ქაქუცხუაძე
 გიგლიშვიტა

აიკეცება ღრუბლის კალთები.
 ვხედავ ზეიმზე მგოსანს თაოსანს:
 მწვავს გარდასული ეამთა საღებრით
 და შლის საჭეცნოდ „ვეფხისტყაოსანს“.

ძმობას, გმირობას ღალადებს ჩანგით.
 უსმენს მსოფლიოს სულგანაბული
 და მიჯნურობის საამო ჰანგით
 ლექსის ბადეში დავრჩით გაბმული.

გადასარკული ახლა ციონი
 ეშეება ჰანგთა უცხო ალაფით,
 თითქო სიერცეში დგება სიონი
 მაღალ ალვითა აღის ღაბღაბით.

ის კი უცნაურ ხმათა შეხებით
 მაღალ მნათობთა ენით ღალადებს.
 შამშნარებიდან ხტიან ვეფხეები
 და ხატავს ხარბად უცხო ნახატებს.

თბილისი 1937 წელი.

შავი რუსთაველისა

ნოველა

პალატებში სიჩუმე იყო და გრილოდა. ვერცხლის მძიმე შანდლებში ჩადგმული კელაპტრები ოდნავ ციმციმებდნენ. მოხატულ კედლებიდან მრისხანედ იცქირებოდნენ წმინდანები და მეფენი. ნახევრად ბნელ დერეფნებში ლანდებივით დადიოდნენ გრძელწვერა მორჩილები და ელოდნენ უწმინდესის მორიგ ბრძანებას.

კათალიკოსი იჯდა წიგნების კითხვად, რომელნიც მოზიდულ იქნა თმოგველთა საბატონოდან. წიგნი სამღვთონი, წმინდათა ცხოვრების აღწერანი და იამბიკონი, თქმულნი და დაწერილნი წმინდათა მამათა მიერ, მოწიწებით მიჰქონდათ მორჩილებს შესანახად. ხოლო წიგნი საერონო, მწყობრსიტყვად თუ შაირად თქმულნი, მიჰქონდათ რიდიით და კრძალვით კათალიკოსთან განსასჯელად.

— მომიტანეთ წიგნი დიდტანიანი, მოოქცილი ყდით, ოპიზარის მიერ ხელით ქმნული! — ბრძანა კათალიკოსმა.

მორჩილმა მხოლოდ წვერის რხევაზე და ტუნების ცმაცუნზე შეატყო, რომ კათალიკოსი ბრძანებდა. ხმა თალიდან ისმოდა, ყრუ და მრისხანე. შემდეგ უფრო დაბლა კათალიკოსის ბრძანება სხვა თალებმაც გაიმეორეს. მორჩილი გაბრუნდა უხმოდ, სანთლიდან აფრენილ ჩრდილივით გაეტურდა კედლების გასწვრივ და ცოტა ხნის შემდეგ მოართვა უწმინდეს მამას დიდი და მძიმე წიგნი. სანთლის შუქზე იელვეს ყდაში ჩასმულმა აღმასებმა. კათალიკოსი შუქმა შეაერთო და თვალი მოახუტვინა.

წიგნი გადაუშალეს.

— იკითხე დაბლა, ვინაიდან თვალნი ჩემნი ველარ ხედდენ წვრილად ნაწერსა, — გაისმა ისევ თალიდან გაბზარული ხმა და მორჩილი შეუდგა ბრძანების შესრულებას. წიგნი გვერდზე გასწია. ჩაახველა (თალებმაც ჩაახველეს) და დაეითნის მსგავსად დაიწყო გაბმული კითხვა.

„ქართლის ცხოვრებაა და ქმნულება მეფეთა ქართლისათა დასაბამითგან ვიდრე მეფობამდე მესამოცდა მეორე მეფისა რუსუდან... ძე თაბარ მეფეთ მეფისა“.

კათალიკოსი ტახტზე მიესვენა და თალისკენ თვალბრუნებით მოდან დასცქეროდა თამარი. თალში ვერ გამართულიყვნენ მოხრილს ხელები მიეპყრო იქვე მოხატულ გელათისაკენ. კათალიკოსმა მორჩილი შეაჩერა და უთხრა:

— წიგნი ეს ჩემთვის ცნობილ არს ვიდრემდის თამარის მეფობისა. წამიკითხე აღწერა ბრწყინვალისა მისი ცხოვრებისა.

თაღები დაღუმდნენ. ვიწრო და შალალ სარკმელიდან მოისმა მტკვრის წყნარი დუღუნი. მორჩილმა მშვიდად დაუწყო ფურცელა მატთანეს. ბოლოს შეჩერდა და ისევ აფუგუნდნენ პალატთა გუმბათები.

— და დაფარული ცეცხლი იგი, ვითარცა საღრტილსა შორის, კვეთებითა რკინისათა, გამოკრთის, ეგრეთვე აღმოაბრწყინებთ ამბავთა თამარისათა, და სიტყვით ოდენ მცირედი რამე ნაპერწკალი დიდისა მის საზნისა აღმოვაპირვო და მიგიტხრა მიუთხრობელი და სიტყვით გამოუთქმელი ცხოვრებანი და ქცევანი თამარ ბრძნისანი.

კათალიკოსმა ისევ თალს მიაპყრო თვალბრუნებით. სანთლები რატომღაც აციმციმდნენ და თამარის სურათმა რხევა დაიწყო. პირდაპირ ისრისებურ ვიწრო სარკმელში მოსწანდა მეტეხის ჯვარზე დაკიდული ნამგალა მთვარე. მორჩილი კი განაგრძობდა კითხვას ხმა მაღლა, ოდნავი წამღერებით და ყოველი წინადადების დასასრულს ისმოდა „რააა... ყოველთაა... მისსა და სხვათაა...“

• და ამოძრავდა თამარის სურათი. ამოძრავდნენ წმინდა მამები და დიდებულნი. აიღო გვირგვინი მოოქვილი ანტონ ქუთათელმა და დაადგა თამარს. აიღო კახაბერმან კვირიკეს ძემან ხმალი და შემოარტყა გვირგვინოსანს. მოვიდნენ სრულად შეიდთა სამეფოთა მეფენი და თაყვანი სცეს მეფეთა მეფეს. შემდეგ ჰკრეს სპილენძ ჭურთა, ბუკთა, ჭოსთა და წინწილთა და შეიქნა ზარი და ზეიმი ქალაქში. შემდეგ შემოკრბენ წმინდა მამანი. და დაჯდა მათ შორის თამარი მარტოდ და დაუწყო მათ საუბარი. შემდეგ თამარი ისევ შეიჩხა, ნელა გაცურდა უკან. მათ მიყენ წმინდა მამანი და ნელის რხევით სადღაც სიღრმეში ჩაიძირნენ.

კათალიკოსს ჩაეძინა.

მორჩილი კი ისევ განაგრძობდა კითხვას. ნამგალა მთვარე მეტეხის ჯვარს ასცილდა და სადღაც გაიპარა. სარკმელში ახლა რომელიღაც ვარსკვლავი ციმციმებდა და შანდალში ჩადგმული კელაპტრებიც ციმციმებდნენ.

„...მაშინ შეკრბეს ყოველნი ამის სამეფოსა დიდებულნი. სპასალარნი და ერისთავნი წინაშე პატრიარქისა და ეპისკოპოსთა და მოაბსენებდეს მათ, რათა ზოგად ყოველთა იღვაწონ შემოყვანებათ სიძისა თამარისათვის, რომლისათვის ხამდა თუმცა ყოფილიყო ეპი გმირთა და გოლიათთა ყოფისა, ანუ თუ გარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლთა დათხევისა, ანუ გაჭრანი მიჯნურთა ხელქმნილთანი. ვითარ იქმნაა ამის თამარისათვის,

მრავალთა მიერ, რომელი ქვემოთ სიტყვამან გააუწყოს: „მეცნიერებანი განსწავლულ და აღვსილ ყოველთა შევნიებითა, სახიერად და მსოფსა ლექსითა და შაირთა ბრძნულთა და იწოდებოდეს იგი რუსთაველად...“

— წყეულიმც იყოს! — უცბად წამოიჭრა ზეზე კათალიკოსი.

მორჩილმა შიშით მიიხედა. კათალიკოსი სიბრაზისაგან ცახცახებდა და წიგნს ეპოტინებოდა.

— წყეულიმც იყოს ხსენება მისი! წმინდა ეკლესიამ მას, ბილწსა და ზანიქვევლსა, მიუზღო წილი თვისი. განდევნა იგი ამა ქვეყნიდან, ხოლო უგვანონი ნაწერნი მისნი, მომწამელელნი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა, მქადაგებელნი მრუშობისა, შთაგდებულ იქნენ წყალთა მტკვრისასა. დაე ამ ფურცელმა მონახოს გზა იგივე და საბოლოოთ წარიხოცოს ხსენება მისი.

გადაწვდა წიგნს და მორჩილს მრისხანეთ უბრძანა:

— სად არს დასაწყისი და დასასრული ამა ამბისა?

მორჩილმა დახედა, ჩათვალღერა და აკანკალებული თითით ანიშნა. კათალიკოსმა დამკნარი ზელი მოავლო ფურცლებს, ამოგლიჯა ბურთივით მოქმუჭნა და კვერთხის ბიჯებით მიუახლოვდა სარკმელს. ნელა თითქოს სალოცავად აღაპყრო ზელი, ერთ წუთს შეჩერდა და შემდეგ მუშტში ჩაქმუჭნული ფურცლები მტკვარში გადაისროლა.

ვარსკვლავი აღარ ჩანდა, მხოლოდ მეტეხის ჯვარი შავად აბაზულიყო ოდნავ შეთეთრებულ ცაზე. ჯვარის ერთს მხარეზე მძიმესავით ჩამოშვდარიყო ადრე გაღვიძებული ყვავი.

• • •

უფლისამ მეტეხის ჯვარის დანახვაზე პირჯვარი გამოისახა, ხოლო ზეთისომ უცბად ორთაყვირს თავი ანება, ნაბდის ქუდი მოიგლიჯა და ელვისებური ნახტომით სარკმლიდან ნასროლი ქალაღი ჰაერში დაიჭირა. ტივი შებრუნდა წინა თავით, კათალიკოსის სადგომის ბურჯს მიეზღინა, შემოტრიალდა და ნელა გაეცურა დიდთაღიანი ხიდის ქვეშ.

უფლისამაც და წყალობამაც გაკვირვებით შეხედეს ღვთისოს, შემდეგ ორთაყვირებს ეცნენ, მძლავრად მოზიდეს და ტივი ისევ შუა მდინარეში შეაცურეს. ტფილელის ქებათან წყალი მდორედ იღვა და ტივი ისე ნელა წავიდა, თითქოს არც კი იძროდა ადგილიდან.

ორივენი ღვთისოს მიუახლოვდნენ.

— რა იყო? რა დაიჭირე, ბიჭო, ქუდით? — ჰკითხა უფლისამ.

ღვთისომ ქუდიდან ბურთივით დაკუმშული ქალაღი ამოიღო, ქუდი თავზე დაიხურა და ქალაღს შლა დაუწყო.

— აღმასის თვალი ხომ არა დევს შიგ?

— ქალღმერთი ნაწერი, მეტი არაფერი, — სთქვა ხეთისკომედიკოსმა დაქმულებული ფურცლები გაშალა და რიგრაგის სინათლეზე წაუკრწა ლიერა.

— ეპეი, მე ვთქვი, ხეთისო ბედს ეწია მეთქი, — გაიცინა უფლისამ.

— მერე და მაგან რომ, ჩემი არ იყოს, წიგნის კითხვა იცის, უცბათ არ ჩააბუღებულს, — შენიშნა წყალობამ და ისევ ორთაყვირის მისწვდა.

— რამოდენაზე შეტბა კაცო, მე გული გადმომიქანდა. ნატერის თვალი ხომ არ გეგონა ბიჭო? — ჰკითხა უფლისამ.

— ნატერის თვალი კი არა და! გალავანს რომ ჩამოეცდით, სარკმელში დაეინახე ლანდი. რო გადმოაგდო, თვალი მოვლანდე და დაევიჩიო, — უპასუხა ხეთისომ, ფურცლები ფრთხილად დაეცეცა და უბეში შეინახა.

— რათ გინდა რო ინახავ? ორთაყვირის მოსწი, მანდ ნავებზე დადგმულ წისქვილებს არ დავეჯახოთ... რათ გინდა მეთქი, არ იტყვი? — შეეკითხა წყალობა.

— რა ვიცი, ჩვენს ზუცესს წავაკითხებ, იქნებ კარგი რაღე სწერია.

მალე წისქვილებიც გამოჩნდა და სამივენი ორთაყვირებს დაუტრიალდნენ. უფლისა ტრეის შუაგულზე იდგა და განკარგულებას იძლეოდა. ფურცლები მალე გადაავიწყდათ. ჩქერები გადაელეს თუ არა და ორთაქალას დაუახლოვდნენ. უფლისამ ბაგირი აიკრიფა და ნაპირზე დანთებულ კოცონების მზრისკენ მოხდენილად ისროლა. ბაგირი კოტას წამოედო და დაბმული ტივი დინჯად მიცურდა ნაპირთან.

კოცონებთან მათზე ადრე ჩამოსული მეტივეები ისდნენ და დასველებულ შარღლის ტოტებს იშრობდნენ. სეიდაბადისკენ მკედლები უკვე აშლილიყვნენ, დარაბები ჩამოეხსნათ. სამკედლოების სიღრმეებში მოჩანდა ავარვარებული ქურები, სხვადასხვა ზომის გრდემლები ნაირნაირად რეკავდნენ.

ისინიდან მამლების ყივილი ისმოდა, ხოლო განჯის ბქესთან ჰყეფდნენ გუშაგთა ბანჯგელიანი ძალები.

სამივენი მიუახლოვდნენ კოცონს, სხვებთან ერთად სველი ტანსაცმელი გაიშრეს და როდესაც დიმიტრი მეფის მოურავმა ტივები ჩაიბარა, მზე უკვე შუბის ტარზე იყო ასული. შეიდანზე ერთი აურზაური და ალიაქოთი იდგა. დატვირთული აქლემები ზარების ჟღარუნით ზანტად მიახიჯებდნენ მტრთან ქუჩაზე. ერთმანეთში ირეოდა ათასი ჯურის ხალხი და ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ვაჭრობდნენ, ჩხუბობდნენ და ხელებს იჭნევენ.

მეტივეებს თავბრუ დაეხვათ ამდენი აურზაურით. მაგრამ მალე ისინი მეფის სამზარეულოსთან მიდგმულ ჩარდახში შეიყვანეს და უხვად გაუმასპინძლდნენ. იმათაც მაღიანად ჰამეს ცივი ცხვრის ზორცი და სვეს სველი ხელადებით მოტანილი კუპრივით ღვინო. შემდეგ კალთები და-

იბერტყეს მეფესა და თავის ბატონს დღეგრძელობა უსურვეს და ჯავახეთისაკენ ქარაევანთან ერთად გზას გაუდგნენ.

გზაში ხეთისოს ისევ გაახსენდა უბეში შენახული ფურცლები და როდესაც ტაშის კართან მათ ქარაევანს ერთი, ზურგზე გულა-აქიდული, ვარძიაში მიმავალი ბერი შეუერთდა, მაშინვე სთხოვა ამ ქალაქლების წაკითხვა. ბერი კითხვის დიდი მოყვარული აღმოჩნდა და იქვე მოისურვა ნაწერის წაკითხვა, მაგრამ ქარაევანი მათი გულისათვის არ შედგა, ნგზავრებს დაღამებამდე უნდოდით დევთა ქებაამდე მისვლა, სადაც შეიძლებოდა უშიშრად ღამის გათევვა, და ისინიც იმტულებული გახდნენ კითხვა ღამისთვის გადაედოთ.

მინდებოდა, როდესაც ქარაევანი დევთა ქებას მიუახლოვდა. მექარავენებმა აქლემები დააჩოქეს, საპალნეები მოხსნეს და ქებაში შეიტანეს. დანარჩენებმა სწრაფად მოზიდეს ტყიდან უამრავი ხმელი ფიჩხი და უზარმაზარი კუნძები. ხეთისომ კვესი გაჰკრა და ქებასიპირას მალე ავიზვიზდა ცეცხლი.

როდესაც შენაყრდნენ და იქვე მოჩუხჩუხე ვეძათი გული გაიგროლეს, ხეთისომ ამოიღო უბიდაა დაკეცილი ფურცლები და ბერს გაუწოდა:

— აბა, წმინდა მამო, წაგვიკითხე ერთი, რა სწერია ამ ქალაქზე...

— ერთი გაგვაგონე მართლა, შენი სულის განათლებამ, გავიგოთ რა დაიჭირა იმ დილით ამ ჩვენმა ხეთისომ, — მიმართა უფლისამაც და ცეცხლთან ახლო მიიწია.

დანარჩენებიც მიქუტუნდნენ.

ბერმა გაშალა ფურცლები და გვერდზე შებრუნდა, რომ ცეცხლის სინათლეზე უფრო კარგად გაერჩია ნაწერი.

— რა კარგი ხელი ჰქონია ამის დამწერს, — სთქვა ბერმა, პირჯვარი გამოისახა და კუნძზე შესწორდა, რომ უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო.

— ფიჩხი ხომ არ მოევმატო? იქნებ კარგად ვერ ხედავ, მამო? — ჰკითხა ხეთისომ.

— არა, შევილო, დღესავით ანათებს... სახელითა ღვთისათა... აბა ყური მიგდეთ, ვიწყებ კითხვას:

«იყო იგი კაცი განსწავლულ და აღვსილ ყოველთა შეგნებითა სახიერ და მთქმელი ლექსთა და შაირთა ბრძნულთა და იწოდებოდეს იგი რუსთაველად ვითარ იყო იგი ბაგრატთა პატრონი და მფლობელი ჰერეთის რუსთავეისა, წოდებული ბოსტან ქალაქად...»

მსმენელებმა ყურადღება დაიძაბეს. ბერს მათგანს ვაგონილი ჰქონდა ზოგი რამ რუსთაველის შესახებ, რომელიც დიდ და მიღებულ კაცად ითვლებოდა თურმე თამარის კარზე. ბერი კი გულმოდგინეთ განაგრძობდა კითხვას:

— „...და მიეჭრა მას, კაბუტკა ტრფობა თამარისა და იყო ხელქმნილი ფრიად. ხოლო, ვინაიდან არა აქნდა ძალი და არა იყო სისიქე, რათა-მარისა, ტრფობას თავისსა ატარებდის ფარულად. ხოლო ამჟამად ესე ეუწყა თამარს, რომელ არაოდეს არ იყო მოსურნე ვისიმე ქრმოზისა. ოდეს დიდებულნი შემოკრბენ მოყვანად მეორე ქრმისა თამარისათვის ეგრეთცა ეტყოდა მბრძანებელი: „მოწამე არს ჩემდა ღმერთი. არა-ოდეს ყოფილა გულსა ჩემსა წადილი ქრმოსნობისა და ქორწინებისა, არცა პირველ და არცა აწ. თუმცა იყო ვინმე მკვიდრი საყდრისა ამისა ჩემისა, რომელი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე შმობელთა ჩემთაგან“... და მოჰყე იგი ხელქმნილი განიჭრა ველად და მოვლო ქვეყანანი მრავალნი, პინდ-ნი, ხანნი და ჩინნი, შემდგომით მოვიდოდის კონსტანტინეპოლს, მუნ სადა მეფედ ჯდა კეისარი და დაჰყო იქ მცირედსა ჟამსა. ხოლო რა გან-და ჟამი კვლავ დაბრუნდა ტფილისს და მოიღო მეფეთა მეფემან თამარ წყალობანი თვისნი და უბოძა ჯოფელნი მრავალნი, უმრავლესითა საყდ-რებითა და ციხეებითა მესხეთს, ხოლო ერთგანს, სადა ჰქონდის სადგომი ზაფხულობითა, ეწოდა რუსთავი...“

— ჩვენი რუსთავი, — შეაწყვეტინა ხეთისომ.

— დაიცა, ნუ უშლი, — შეაჩერა უფლისამ და გაფაციცებით შეაცქერ-და ბერს, რომელსაც ნახევარი სახე ცეცხლის ალზე წითლად უელავდა.

— „...უწოდა რუსთავი, მზგავსათ ჰერეთის რუსთავისა, და მოიღო კვლავ წყალობა თამარ, იხმო რუსთაველი თავისთან თავისა და უბოძა მას მწიგნობართ-ლხუცესობა სამეფოსა კარავსა თვისსა, ხოლო მან რუს-თაველმან დასწერა წიგნი „ეთერიანად“ წოდებული, ტურფად და საა-მოდ საკითხაენი. მიართვა იგი მეფეთა მეფეს თამარს: მაშინ შეკრბენ პა-ლატა მეფისათა ყოველნი დიდებულნი და დიოფალნი სასახლისანი დაჯ-და მეფე თამარ ტახტს ზედა და ისმენდნენ თქმულსა საარაკოსა.

ხოლო თამარ, აღსაესე კმაყოფითა, შექნა ზეიმი და ღვინი და გამარ-თეს ჯირითი და სრბოლა მხედართა, გატყორცა ისრისა და აღიღო თა-მარ ვაშლი, დაიღო თავსა ზედა და ესრეთ მიმართა მხედართ: „რომელი თქვენგანი შესტყორცს ისარს ჩემთა ხელთა პყრობილ ვაშლსა, იგი ჩქნების პირველი სიბრძნითა და სიჩაუქითა“. მაშინ შედრკენ მხედარნი და მოისარენი და ვედრებდნენ თამარს, უკუ ეხმო ბრძანება თვისი, ხო-ლო თამარ არ გარდახდა ბრძანებას თვისსა და ლოდებდა მოისარს მხნე-სა. მაშინ რუსთაველმან შოთამან აღიღო ისარი და არც ვისმე ვედრება ყურად იღო, წარვიდა მეფესთან, მარცხენა ხელი შესჰიდა თამარისა თავ-ზე დადგმულს ვაშლსა და მარჯვენისა ხელითა აკვეთა ისარი ვაშლსა მას და განაცვიფრნა მყოფნი ქმედებითა თვისითა. ხოლო თამარ სახედ იღო ღიმილი ციური და ესრეთ უბრძანა: „მართალ არს ქმედება შენი, ვინა-ითგან მე არ დამიდევს პირობათ მანძილი ისრის სროლისა, ხოლო ეს ჩე-მი ბრძანება იყო გამოსაცნობლად დიდისა გონებისა“.

ხოლო რა ისმინეს ესე მრავალთა ყმათა, ზოგიერთაგანი აღიფრთოვანდნენ შურითა და მტრობა რუსთაველისა შთაიდგეს გულსა თქმულსა, ყოელისა უღირსისა წესად არს. და ბოროტმან მათმან ემაზნა იწყა განკიცხვა რუსთაველისა და შესწამებდენ მას ნდომასა სიძვისა ბრძანებულთა და სწავებასა უგვანისა ეპიკურისასა და მანისა ფერობასა. მაშინ რუსთაველმან აღიარა ისურვა დადგომა კართა მეფისათა.

ხოლო შემდგომად ამისა ვედრიდა მეფესა თამარს, განშორდა ტფილისის და წავიდა მესხეთს, სადა იყო ღეაწეა წერად წიგნებისა ბრძნულისა და დასწერა მან წიგნი ფრიად აღსაესე სიბრძნითა, შაირით წყობილი, რომელი იწოდებოდის „ვეფხისტყაოსნათ“, ხოლო წიგნსა შიგან აღიწერა ამბავი მზგავსი თამარის მეფობისა და მისგან და სხვათაგან ხელქმნილობისა. ოდეს იცეალა ფერი ქართველთა მხიარულებისა და დაიძინა თამარ ძილი იგი მართალთა და აღესრულა მზე ქართლისა, ყოველთა პირნი მზათ იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობასა სიტყვა აღმოთქმან. ყრმანი შემრწლენი. განგებასა შინა ორნატისა თამარის ქებათა მეღვქეობიდან. ხოლო რუსთაველმან დასაწყისსა მისის წიგნისა „ვეფხისტყაოსანისა“ წარუძღვარა ხანანი, სადა გაამეღაენა ტრფობა თვისი თამარისადმი, რომელნი აქენდა აქამდე ფარულად და შაირი იგი იტყოდა შემდეგს:

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული
ვთქვენნი ქებანი ეისნი შე არ ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად შინა რბეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

შე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი
ვის მორჩილობს ჯარი სპათა მისთვის ზხელობ მისთვის მკვდარი,
დაუძლურდი, მიჯნურთათვის, კულა წამალი არსით არი
ანუ მამცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

თუალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა.
მიიჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღზენა
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა დევნა.

რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს, და მას უზნობდეს.
მუშა მიწყვიტ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კულა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწყნოს, არცა სხუთა უწყუნებდეს.

თუ მიჯნურსა მიჯნურობა ეტლად მომცა რადგან ბედმან;
შე ვით ვიცან საქმე მათი თავით ჩემით შენახედმან.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ჭორო...

მხატვ. ს. კობულაძე

პოეზია

ქალი მუადეა მშვენიერი,
თავმოართული, კოსანი,
გაფათხოვე, გაფატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

წაიკითხათ, ვერ უგრძენიათ,
თურმე იყვნენ ვიროსანი;
ისევე უკან წამოვიღე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ბალხური ლექსი

1

გურიკოჩის ფაოთი ქისკარს ვილაც მხედარი მიაღვა. გურიკოჩმა თვა-
ლებზე ხელი მიიჩრდილა, იცნო და ბავშვს დაუძახა:

— უჩა, ბაბა, მუკოჩია ნათლია მოვიდა. გაიქეც, გაუღე ქისკარი!
უჩა შველივით ატბა და ხტუნვა-ხტუნვით გაექანა.

გურიკოჩმა ღია კარებში გასძახა:

— ესმა, ქალო, ნათლია მობრძანდა!

ესმა წამოდგა. თავშალში თმა ჩაიკეცა, წარბებზე თითი გადაისვა,
წელში გასწორდა და კისერმოღერებული აივანზე გამოვიდა.

— ისევე თოლისქვამის საქმეზე იქნება, — ჩაილაპარაკა გურიკოჩმა
და ახალოხის ღილებს შებნევა დაუწყა. — თოლისქვამი, ქამარი გამო-
მიტანე!

აივანზე გამოვიდა მალალი, შებლგაშლილი, ოდნავ ფერმკრთალი,
შეწარბა, გრძელწამწამებიანი ქალი. მამას ვერცხლის ქამარი მიართვა და
ოდნავ დაიხარა. დახრილ მხრებიდან მკლავებზე ორი მსხვილი გრძელი
ნაწნავი ჩამოუცურდა.

ქალმა ნაწნავები მკლავებით გადაიყარა.

— ნათლია მოგივინდა, — უთხრა მამამ ქალს და ცალი წარბი მხედრი-
საყენ აზიდა.

ქალს სიწითლე შეეპარა და ქისკრისავენ არ გაიხედა. აბა ესემაქონა ნათლიის მოსვლა. იცოდა, ნათლია ახლა შუამავლად მოვიდოდა. იმედი იქნა თხოვებანზე დაედო თავი.

ნათლია კი ქისკართანვე ჩამოხტა ცხენიდან, უჩა ცხენზე შესვა და წინ გამოუძღვა.

უჩას გაეხარდა და შესძახა:

— ჰა ჰაიტ, მარჯა!

მაგრამ დინჯმა ცხენმა უჩას შეძახილს ყური არ ათხოვა.

გურიკოჩი კიბეზე ჩავიდა, სტუმარს შუა ეზოში მოეგება, ცხენი გამოართვა, აღვირი უჩას გადასცა და დაარიგა:

— უჩა, ბაბა, ნელა გაატარე ცხენი. არ ჩამოგავდოს.

კიბეს რომ მიაღწენ, ერთმანეთი შეიპატიჟეს:

— მიბრძანდით!

— არა, ბატონო, თქვენ მიბრძანდით!

პარმალზე ესმა იღვა. სახეს ღიმილი უმწვენიებდა. ესმას გვერდით თოლისქვამი იღვა. წარბები ოდნავ შეეკრა, ოღონდ სახეზე თავაზა აეკრა.

კიბე განიერი იყო და სტუმარ-მასპინძელი ერთად ავიდა.

მოიკითხეს ერთმანეთი, დაიწყეს ამ მთის, იმ მთის. ბოლოს მუკოჩიამ ესმას წარბით რაღაც ანიშნა.

— თოლისქვამი, შეილო, — უთხრა შეილს ესმამ. — ერთი შენს ნათლიას რომ ეკადრება, ისეთი შელებური გამოაცხვე.

თოლისქვამი გავიდა ნაწნავების ქანობით.

ერთხანს სიჩუმე ჩამოეარდა.

მუკოჩიამ წვერი თითებში ჩაიბლუჯა. გურიკოჩმა ყალიონი გატენა, ცეცხლი დაკვესა. ყვითელ აბედს შავად მოეკიდა, აბედმა საამური სუნი აუშვა. ესმამ თავშალი შეტლზე ჩამოიწია, მერე ისევ აიწია.

ბოლოს, თითქოს დაწყებულს განაგრძობსო, მუკოჩიამ ჩაახველა:

— გურიკოჩ ბატონო, მე თქვენთვის შორეული როდი ვარ. სხვა რომ არა იყოს რა, მირონს არ გავტებ. ნათქვამია, მირონი მეშვიდე თაობამდე გადადისო.

— მირონი მეშვიდე თაობამდე, მაგრამ სისხლი და გვარი უკუნითი უკუნისამდე, ჩემო ბატონო! — დარიგებით უბასუხა გურიკოჩმა და გრძელი ლამაზი უღვაშები აიგრია.

— დრო იცვლება, ბატონო გურიკოჩ, — დინჯად დაიწყო მუკოჩიამ. — მას შემდეგ, რაც რუსები შემოვიდნენ, ჩოთქას ხალხი ძალზე წამოიწია წინ. აბა ვიფიქრებდით განსვენებული მთავრის დავითის დროს, რომ იცხაკა ურია ან გახუ ყურუა თავს გაგვიყადრებდნენ? ახლა კი, თვით ხედავ, შებრუნდა ქვეყანა. კაცს ფულთი აფასებენ.

— უბედურებაც ესაა, — ამოიოხრა ესმამ.



— დროს მოაქვს ყველაფერი, ნათლიდედ, დროს! — მიუბრუნდა ესმას მუკოჩია. — მოგეხსენებათ, მას ეამსა შინა განსვენებულ... მთელი მთელი ამაღლაში ქართში. ბევრი მყავს ქართში ნაცნობ-მეგობარი. რომ იცოდეთ, რა მდგომარეობაშია იქაური თავადაზნაურობა. სულ ჩოთქის ხალხმა ჩაიგდო ხელში მათი ადგილ-მამული. დიდ პატივშია, ჩემო ბატონო, ფულიანი კაცი. ჩვენი სასიძოც მანდ ენახე. დიდი სახელი და ჭებუტი აქვს ქართში.

— რა ექნა, ბატონო მუკოჩია, როგორ დავაბიჯო გვარს ფეხი? — ყოყმანით დაიწყო გურიკოჩმა. — შენ ამბობ, დიდი სახელი და ჭებუტი აქვსო. მერე რა? გლეხი მაინც გლეხია, გინდ ვაჭარი იყოს, გინდა რა... განა ოქრო სისხლს შეცვლის? შოთას უთქვამს:

„მზგაღის ყველა მზგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

შოთას ხსენებაზე მუკოჩიას ქკვიანმა თვალებმა უცნაურად იელვეს. მუკოჩიამ ჩაიღიმილა და სიტყვა მოუტკრა:

— იმავე შოთას უთქვამს:

„ნახე თუ ოქრო რასა იქს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

— მართალია, ბატონო! — დაემოწმა ესმა. — „კვერთხი ეშმაკთა ძირისა“... ახლა ქვეყანა ამ კვერთხს ეყრდნობა, თითქოს ხეიბარი გახდოა.

გურიკოჩი სდუმდა.

— ქართში, მახარია, თავადები ვაჭრის ქალებს ირთავენ, — შეუტია გურიკოჩს მუკოჩიამ. — საქართველოს თავადები თუ ამას ჩადიან, ოღონდ მართლმადიდებლობა გაგვემტყუნება?

— იქ ირთავენ, აქ კი უნდა მივათხოვო, — აღესმა გურიკოჩმა. — გურიკოჩ ჯინორიას ქალი გახუ ყურუას უნდა მივათხოვდეს? ჰმ... „ანწლი ვერ მოგვეცემს ყურძენსა“...

— „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცად კაცამდის“... პეტრე დადიას ორი შვილი ყავდა, მახარია, — ეშმაკურად ჩაიკინა მუკოჩიამ, — და ორივე ლოჯგო. საქმე ის არის, კაცი იყო თავით.

— ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარჯა ცუდი გვარი შეილობა, — დაუდასტურა ესმამ.

მუკოჩიამ მადლობის თვალთა გადახედდა ესმას. ეტყობოდა, მათ შორის თანხმობის ძაფი უკვე გაბმულიყო. მხოლოდ გურიკოჩი არ დრეკდა კისერს.

მუკოჩიამ თავი დასწია და შეთქმულივით, თითქოს საიდუმლოს უზიარებდსო, სთქვა:

— ჩვენს შორის იყვეს. სხვა ყურს არ გვიგდებს. — ეს ოდა თავზე გენგრევა. ყმები ჩამოგვართვეს. ცხოვრება გაძნელდა... რამდენს თავადსა და აზნაურს მართებს გახუს ფული... რას იზამ, დრომ მოიტანა. სამი თვეა გარწმუნებ იმაში, რასაც თვით უნდა ხედავდე. მეტი რა ექნა? დღეს უნდა მიუღუტანო პასუხი. მართალი გითხრა, მაგას თავადიც არ დაუთქავებს

ქალს. ბოლოს და ბოლოს, მორიდებით, მაგრამ მაინც შემოგითვალა: ან საქმე გავათავოთ, ან ის ზუთასი მანეთი გადაიხადოსო.

მუკოჩია ადგა, გაიზმორა. ღია პირზე პირუცყარი გადმოწერა. მსუკოჩიამ იცოდა, რომ უკანასკნელი საბუთი ძლიერი, ურღვევი იყო. გურიკოჩს ვალის გადახდა არ შეეძლო.

გურიკოჩი ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა. თავი რომ ასწია, ცოლის ხმა მოესმა:

— დათანხმდი, ბატონო! კაცი კაცია. რა ვუყოთ, გვარი თუ არა აქვს! ქვეყანა გამოიცვალა. ახლა ოქროში ილანდება ადამიანი. ზევით აიხედე: ქარმა სახლს ყვარარ გადამძრო. ჩოხაც რა ხანია არ გამოგიცვლია.

გურიკოჩი ადგა, ესმას თვალში ჩახედა. შემდეგ სახურავს ახედა. უყარო, ღია ადგილიდან თითქმის მტერმა შემოიხედაო, შეკრთა და ზელი ჩაიქნია.

გურიკოჩი რომ ხელს ჩაიქნევდა, ეს თანხმობის ნიშანი იყო.

გადაწყდა. იქვე შეადგინეს მზითვეის სია. სიაში მოწიწებით ჩასწერეს: „ვეფხისტყაოსანი“, სუფთა ზელით ნაწერი. ტყევის ყდაში. სურათ-ხატული“.

თვით წიგნს გურიკოჩმა ასეთი წარწერა გაუკეთა ყდის შიდა ფერდზე: „მზითვად ჩემს ქალიშვილს თოლისქვამს. წელსა ჩყა... აზნაური გურიკოჩ ჯინორია“.

2

ლხინი გათავდა და მაყრიონი გაიკრიფა.

თოლისქვამი ჭისკრამდე მიჰყვა მაყრიონს და ატირდა. მამას დარცხევით შეხედა.

— ნუ, შვილო! აი ძიძა რჩება შენთან. არ მოგაწყენს, — დააწყნარა მამამ, მიატრიალა ცხენი, ჰკრა მათრახი და მიმავალ მაყრიონს თავში მოეჭტა.

— წამო, შვილო! — ტკბილად უთხრა ძიძამ თოლისქვამს, მოხვია ხელი და მიაბრუნა.

თოლისქვამმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მიმავალ მაყრიონს, ძიძას მიეყრდნო და თავის ახალი ბინისაკენ გაემართა.

თოლისქვამი ახლა დააკვირდა თავისს. ახალს სახლს. აივანი და ფანჯრები შეღებილი იყო. კიბე აგურისა ჰქონდა. მაგარი და უშნო. სახლა იყო ახალი, მტკიცე, მაგრამ უჩუქურთმო.

აივანზე გახუ იჯდა და რალაცას ანგარიშობდა.

— ზო... ზო... რამდენი დამჯდარა ეს ჭორწილი!... — წამოიძახა გახუმ და თოლისქვამი რომ დაინახა, სკამი მიართვა.

თოლისქევაში ჩამოჯდა. ძიძა უკან დაუდგა და თმების შესწორება დაუწყო. დედამთილმა სკამი თოლისქევამისკენ მისწია და უფროს ძეგლებს მიეალერსა.

— როგორ მოგწონს სამკაულები? — ჰკითხა გაბუმ თოლისქევამს.

— კარგია... გმადლობთ... — ჩაილაპარაკა ქალმა.

გაბუმ კედლიდან ჩოთქი ჩამოიღო, მუხლზე დაიდო, თოლისქევამს ამოყად შეხედა და დაიწყო:

— საათი თავისი ძეწვეით სამასი მანეთი, — და ჩოთქზე დააჩაგუნა რალაც თვლები.

— საცერი ხუთმეტი მანეთი, — და კიდევ ჩააგდო თვლები.

— სამაჯურები ას ორმოცდაათი მანეთი, — კიდევ თვლები.

— საყურე... — და გაბუმ მოურიდებლად მოჰკიდა ცოლის ყურის ბიბილოებს ხელი. — უჰ, რა საყურეა! სამასი მანეთი მივეცი.

თოლისქევამ გააყრეოლა. არ ესიამოვნა.

— ესეც... — და კიდევ ჩაარახუნა ჩოთქში თვლები. შემდეგ თოლისქევამ შეხედა და კმაყოფილებით სთქვა: — ისე მოგაწყე, ისე მოგრთე, რომ თავადის ქალებს ზედ შერჩებათ თვალი. აი, კვირას რომ ეკლესიაში წავალთ, ყველა შენ უნდა გიყურებდეს. ფეხზე მკიდია მაგათი თავადობა! ყველას ვიყიდი, ყველას... ეს შენი მეორე ბეჭედი, იცი, რა ღირს?

თოლისქევამ დააკვირდა ბეჭედს. უცხო რამ თვალი ბრჭყვიალებდა ოქროს ბუდეში.

— ხუთასი მანეთი ღირს! აბა!

— დედია! რას ბრძანებთ! — ვერ შეიკავა თავი ძიძამ და თოლისქევამის ხელი ასწია.

თოლისქევამ დააკვირდა თავის ბეჭედს. და თუმცა ჰმრის ჩოთქა გულში ელვად ზედებოდა, აღმასის თვალმა სიამოვნების ღიმი მოგვარა.

— ახლა ენახოთ, შენ რა მომიტანე, — სთქვა ვაჭარმა და დედას უთხრა, — დედი, ერთი მზითვის სია გამომიტანე!

თოლისქევამის დედამთილმა სია გამოიტანა.

გაბუმ ჩამოთვალა:

— საბანი თორმეტი ცალი, ლეიბი ექვსი ცალი, ბალიში თორმეტი ცალი. საცვლები: პერანგი მისი ამხანაგით...

თოლისქევამს ლოყები აეწვა. ვაჭარი კი განაგრძობდა:

— კაბა ექვსი. თავმოსართავი სამი, შემკული ძვირფასის თვლითა. ძროხა მეწველი ერთი თავისი ხბოთი, შუბლი თეთრი აქვს. ცხენი ბედაური ერთი, ჩერქეზულის ჯიშისა... ჰო ეს ცხენი უნდა გავყიდო, რაში გამოზადდება? მაგაზე შესაჯდომად მე არ მცალიან. შინდორში გავუშვია, მომპარავენ. განა ცოტაა გაქუცული აზნაური?

გაქუცული აზნაურის ხსენება თოლისქევამს არ მოეწონა.

გახუმ ისევ სიას დაბედა.

— დაირა, მოხატული „ვეფხისტყაოსნის“ სურათებში „ვეფხისტყაოსანი“ სულთა ხელით ნაწერი, ტყავის ყდაში, სურათებში...

— აი, ეს გახლავთ. ესაა ჩვენი საამაყო მზითვეი, — და ძიძამ წიგნი და დაირა გამოუტანა სიძეს.

გახუმ ახედ-დახედა დაირას. დაირის არშია სადაფით იყო მოკენჭილი. დაირის ტყავზე, შუაგულს, წყარო იყო გამოსახული. წყაროსთან ვიღაც ვაჟკაცი პეშვით წყალს იღებდა. დარახტული შავი ცხენი თავს ადგა. ზევით, მარცხენა მხარეზე, თეთრ ცხენზე მხედარი მიემართებოდა.

— ეს ტარიელია, წყლისა პირსა, — ახსნა ძიძამ. — ზევით კი ავთანდილია.

და ოხვრით მიუბრუნდა გახუს დედას:

— საწყალმა ჩემმა კაცმა დახატა. ეგებ გაგიგონიათ სქუნჩი თოდუა, ბატონო მართა?

— სქუნჩი თქვენი ქმარი იყო? — იკითხა მართამ. — როგორ არ გამოგონია. საწყალი გახუს მამა იტყოდა: ჰყუით საცხე გლეზია, ოქროს ხელი აქვსო. ჩვენი ეკლესია იმას მოახატვიეს.

გახუმ „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალა და იკითხა:

— მაშ, ესაა „ვეფხისტყაოსანი“? — აი, ეს წამიკითხე, — უთხრა ცოლს.

— ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეითქმს ხმელსა ნედლად, — წაიკითხა თოლისქვამმა.

— ჰმ... მართალი სამართალი... — ჩაიკინა გახუმ. — უტუ მიქავასაც ეგ უნდოდა... აბა ეს წაიკითხე.

— „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ზიდად“... — წაიკითხა თოლისქვამმა.

— ხა... ხა... ხა... — გადიხაჩხარა გახუმ. — მოცლილი ხალხის საქმე ყოფილა ეგ წიგნი. მოყვარისათვის ჭირს არ დაერიდოვო... მე ზეგ ბოლახს უნდა ჩავიდე, გემი მოვა სტამბოლიდან. და თუ მოყვარე აღად მყავს, არ წავიდე? არა, ბატონო, ეგ საჩვენო არა ყოფილა.

— რას ბრძანებთ! — და აღშფოთებულმა თოლისქვამმა წიგნი დაკეცა. — ეგ რუსთაველია. შოთა რუსთაველია. ეგ ჩვენს ოჯახში თაობიდან თაობაზე გადადის. თქვენ კი... როგორ... — მაგრამ მწარე სიტყვისაგან თავი შეიმაგრა. ცრემლები მოერია და ოთახში შეეპარდა.

მეორე დღეს ძიძა ცივად გამოემშვიდობა თავისი გაზრდილის ქმარ-დედაშთილს და თავის სოფლისაკენ გასწია. უბეში ედო თოლისქვამის წერილი მამასთან.

3



ქართული

გაერთიანებული

გურიკოჩმა წერილი რომ წაიკითხა, ვეფხვეთ დაიღრმავა.

— უჩა, ბაბა, ცხენი! ჩქარა, თორემ გასქდა გული. ესმა, ჩოხა!

— მოითმინე, ბატონო ჩემო! არც ასე აჩქარება ვარგა! — ამშვიდებდა ქმარს ესმა.

— როგორ მოვითმინო? ქალი მყავდა მშვენიერი, ისეთი კაღები ჰქონდა, თითო დელმანორედ ღირდა. ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი“ გავატანე... არა, ღმერთო მომკალი, ვილაც ჩოთქის კაცი შოთას მივინებს? ფულისთვის რომ ძმას გაჰყიდის? არა, შენ არ მირჩიე მიათხოვეო? შენ, ჩიქვანის ქალი?

და გურიკოჩმა გააფთრებით შეხედა ცოლს.

— ყველა ზომ არ იქნება სოლომონ ბრძენი? — გაამართლა სიძე ესმაშ.

— მაპატიეთ, მაგრამ... — ჩაერია ძიძა. — „ვეფხის-ტყაოსანი“ როცა კაცმა ვერ გაიგოს, ის კაცი რა კაცია? ჭკუა მზიარულის გარდა, ვინ იტყვის „ვეფხის-ტყაოსანი“ მოცლილი კაცის საქმეაო?

— მართალი ხარ, ძიძა! — უთხრა ესმამ ძიძას. — „წახდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვიმკე რაცა ვთესი“.

შემდეგ ქმარს ჩაურუსთველა:

— „თუ ღზინი გვინდა ღვთისაგან ჭირნიცა შევიწყნაროთა“.

— შევიწყნარებ, აბა რას ვუზამ. „რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“, თქვა მახარობელმა.

მაგრამ თავს კი მოეჭრი საქვეყნოდ... ეს ოხერი მოსაჭერიც რომ მახარებებს? — და გურიკოჩმა მოსაჭერი მოზიდა.

ეწყინა ბედაურს. ჭკვიანი თვალებით შეხედა გურიკოჩს.

— რა გინდა ჰქნა? — ჰკითხა ესმამ ქმარს.

— ის მე ვიცი, რას ვიზამ... საქვეყნოდ მოეჭრი თავს...

გურიკოჩმა სამი ახნაურიც იახლა და სიძისაქენ გასწია.

4

ჯერ კიდევ ცვარი არ ამშრალიყო, გურიკოჩმა რომ სიძის ეზოში მოუხრიდებლად შეაგდო ცხენი.

— მამა! მამა! — გაეხარდა თოლისქვამს და ეცა უზანგს.

გურიკოჩი გადმოიხარა ცხენიდან, ქალს შუბლზე აკოცა და უთხრა:

— დასარჩენად არ მოვსულვარ, შეილო! სად არის ის ჩოთქის კაცი?

ამ დროს გაბუც გადმოდგა აივანზე და გადმოსძახა:

— მობრძანდით! მობრძანდით!

— ღმერთმა შენც შეგარცხენინა და შენი მობრძანებაიც! — მიახალა გურიკოჩმა. — შენთან როგორ მოვალ, „ვეფხის-ტყაოსანი“ რომ შემვიგინე? დამიბრუნე ჩქარა ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი“.



— ბატონო გურიკოჩი!

— ჩქარა მეთქი! — დასწყვიტა გურიკოჩმა და დაშვრიდა ზეგანაზე. გახუ შედარდა ოთახში და დედის ხელით წიგნი გამოუღწია. თუ-
თონ კი ფანჯარასთან დადგა, სუზანს ამოეფარა.

გურიკოჩმა წიგნს ხელით გადაუღერსა, ყაბალახში გახვია, კეხს მი-
აკრა. შემდეგ ერთხელ კიდევ დაიხარა, თოლისქვამს აკოცა და უთხრა:

— ღმერთმა შეგაერთათ, მე ვერ ვაგყრივ, შეილო! მაგრამ ამას... ამას
ვერ დავუტოვებ. გული ნუ დაგაკლდება ჩემზე. იმას კი, ჩემს სიძე ბა-
ტონს, თავის მოსაჭრელად ესეც ეყოფა.

თოლისქვამის ცრემლიან თვალებში კმაყოფილების შუქმა ინათა და
მამას გაუღიმა.

— წავიდეთ! — უთხრა გურიკოჩმა მხლებლებს და ცხენი მოატრიალა.

— ბატონო, ეგ როგორ გეკადრებათ! ბატონო, ასე როგორ მოგვეტე-
რით თავი? სიძისას ბრძანდებით, მტრისას ზომ არა? რამე მიირთვით! —
იხეწებოდა მძახალი.

მაგრამ გურიკოჩი უკვე შუა ეზოში იყო.

ჭისკარმა რომ პირი გააღო, გურიკოჩმა შემოსძახა და ამაღაც აყვია:

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კაოსანი,
ჰეი და! ჰეი და!

გადათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი“

ჰეი და! ჰეი და!
წაეკითხათ, ვერ უგრძნიათ,
თურმე იყვნენ ვიროსანი,

ჰეი და! ჰეი და!
ისევ უკან წამოვიღე
ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი“

ჰეი და! ჰეი და!

გურიკოჩი ცხენს განგებ იკავებდა, ძუნწ ნაბიჯზე გადაჰყავდა, რომ
თავმომჭრელ ლექს ცოცხლად შეერბინა სოფელში.

მართლაც, ლექსი მერცხალივით შეფრინდა ოდებში, სოფლიდან სო-
ფელში გადაიარა და ჭვეყანას მოედო.

გრიგოლ ცეცხლაძე

სუსთველისადმი

ჩემი სამშობლოს დიდებავ,
შენ მზე ხარ შეუდარები,
სიბრძნის, სიზნის და სიტუარფის
შენ გავვიხსენი კარები.
რვა საუკუნის მანძილზე
შენ მტვერი არ დაგფენია,
განუწყვეტელად ბრწყინავდა
უღიადესი გენია.
ჭირში და ლხინში შენ შაირს
ქართველი მოიგონებდა, —
მოლხენას იორკეცებდა
ნალგელსაც არა ჰმონებდა...
ომში მიმავალ ვაჟკაცებს
აღჭურვილთ ხმლით და
შუბლითა,
ნესტან-დარეჯნის უსტარი
მუღამ დაჰჰონდათ უბითა...
მაინც შენს ნესტან-დარეჯანს
საფრთხე ნიადავ ელოდა,
სანამ მეფობდა წყვდიადი,
სანამდე ირგვლივ ბნელოდა.
სანამ იწოდა მშრომელთა
გულს მაგარი ტალისა;




ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანამდე ხალხი წინამძღვრად
არა ხედავდა სტალინსა;
სანამდე ლალის ეარსკელავი
არ იყო ქვეყნის მფარველი;
სანამდე ჭანგებს გეჭერდა
ნაღველი გაუქარველი...
დღეს, როცა ახლა ოცნება
მშრომელთა გულისნადები,
მთელი საბჭოთა კავშირი
გადიდებს, ვრთავენ ვარდებით,
ყველა ენებზე გადააქვთ
შენი გენიის ჯადვარი —
უყვართ ნესტან და თინათინ,
სძულთ მუხანათი დავარი,
გვირ მფრინავებში ხედავენ
სატრფოსთვის ველგაჭრილობას
და არა ერთი ჭაბუკი
იჩემებს ავთანდილობას...
ხელისხელ საგოგმანები,
მარგალიტების ნაირი,
აბალ საამურ ცხოვრებას
შეეტკბო შენი შაირი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



«მე საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკენილი მტირალი...»

მხატვ. ს. გობულაძე

სიმონ ჯვარიანი

შოთა რუსთაველი

თავი რომანიდან *

ნ ი ნ

სისხამ დილით, ოდეს ყველას ეძინა, შოთა გაემართა დიგორის მოკლე გზით ქართლისაკენ. გაშლილი თოხარიკით მიჰქროდა ლურჯა მერანი და ვერ ამჩნევდა, თუ რა მძიმე ფიქრები აშფოთებდა მის მხედარს.

დიდ პოეტს ცხენითვე მისდევდა მუდამ თანმზღები, მისი ერთგული ვივი. მას ფრიად აოცებდა შოთას უცუარი მგზავრობა მეფისა და მასპინძლის დაუმშვიდობებლად, თანაც ასეთი სიჩქარე და ღუმელი. მუდამ ლალი, მღიმარი და ტყბილმოუბარი მგოსანი ამ დილით იყო შავად მოლუშული და სამარცხავით მდუმარე.

— ნეტა რა შეემთხვა ასეთი?! რა მოხდა წუხელის?! რა სიზმარი ნახა, რომ ასეთი სისწრაფით გარბის ქალაქისაკენ?! დაკარგვია მალა, ძილი, მოსვენება... შევითხვაზე არ მაძლევს პასუხს, თითქო არ ესმის. მოჯარებია რალაც შავი ფიქრები... შევნიერი სახე დაულარავს მძიმე კავშანს... რა მოხდა ასეთი უცნაური!.. — ფიქრობდა გზა-და-გზა ერთგული ვივი და მოსდევდა რუსთაველს.

მესამე დღეს, მზის ჩასვლის ეამს, ისინი მიაღწენ დიდუბის მხრივ ტფილისის გალავნის ბჟე კარს, შევიდნენ ქალაქში, განვლეს ორი ეჯი და მიაღწიეს ორბელიანთა სასახლეს.

მგზავრობით ფრიად დაღლილი პოეტი მძიმედ გადმოხტა ცხენიდან. გადასცა იგი თავის მოყმეს, თვითონ კი ნელის ნაბიჯით აეღო გრძელი

*) იხ. „მნათობი“, № 8 — 9.

კიბე, გავიდა აივანზე. აქ მოესმა ქნარის ნაზი ხმები და ტყეფუც-ღეფინი. უკრავდა და მღეროდა იოანე ორბელიანი, პოეტის მასშტაბით.

ვის უმზერს ჩემი თვალები! მუზათა მიჯნური, საქართველოს უდიდესი პიტიკოსი შოთა!.. — სიხარულით შესძახა იოანემ, წამოხტა სწრაფად, გადასდო ქნარი და გადაეხვია თავის მეგობარს. უცებ შესდგა, დააცქერდა და წამოიძახა გაოცებით: — ო, ღმერთო ჩემო! რა დაგმართია, რა ფერი გდევს? სადღაა შენი ცეცხლშთებარე თვალები? დაბერებულხარ თითქო ამ ათიოდ ღღეში! რას ნიშნავს, მეგობარო, ეს უცნაური გარდაქმნა?! ამ სიტყვებით ორბელიანმა მოხვია ხელი შოთას და სათუთად დასვა ტახტზე, თვით მიუჯდა გვერდით, თანაგრძნობით შესცქეროდა.

შოთა მოსხლეტით მიესვენა ოქროშკერდით ნაჭარგ ფარჩის ღორა-მუთაქებს. იგი სდუმდა, ენა გაშრობოდა. სურდა მეგობართან საუბარი, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ბრძენი იოანე მიხვდა ყველაფერს. შეიგრძნო თითქო პოეტის მძიმე ურვა და კაეშანი, მისი სულიერი ტანჯვები, შევიდა ოთახში, გამოიტანა ვერცხლის სურა და ბროლის ჭიქა, დაასხა და მიაწოდა ცივი შარბათი. შოთა ხარბად დაეწაფა ტბილ სასმელს და მოითქვა სული. მან ამოიხენიშა მძიმედ და გაუღიმა მეგობარს. მოღუნებოდა სხეული, უზომო დაქანცვა იწყებდა ძილს. იოანემ მიაწვინა ტახტზე და წააფარა ღირაიას თხელი საბანი. თვითონ კი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში და გააფრთხილა ფარეშნი, არ ეხმარათ.

— ნეტა რა შეემთხვა ასეთი უცნაური? ენას ვერ ძრავს... სახეზე აზის ღრმა სევდის ტვიფარი... გამხდარა საშინლად... — სწუხდა იოანე.

— ოო, მივხვდი კიდეც!.. მაგას ხომ უზენაესად უყვარს პირიმზე თამარ! იქნებ იხელთა დრო, გაკადნიერდა ლალი პიტიკოსი და ამცნო გულში აღგზნებული ცეცხლი... უეჭვოა, თამარ განრისხდებოდა უზომოდ, დაზგმობდა სასტიკად ასეთ თავხედობას, უბრძანებდა წასულიყო ქალაქს... და აჰა, ესეც მყის განშორდა მეფის ამაღლას და ჩამოვიდა აქ განრისხული, შერცხვენილი და ურვა-კაეშნით გაჩემოცული... მაშ სხვა რითღა აიხსნება შოთას ასეთი უცნაური გარდაქმნა, ან ასე უეცარი ჩამოსვლა?!

ასეთ ფიქრებში იყო გართული იოანე, ოდეს შეუმჩნევლად წაადგა თავს და დაადო მხრებზე ორივე ხელი მდიდრულად მოსიღმა ტურფა არსებამ.

იოანე შეკრთა და გამოერკვა ღრმა ფიქრებიდან. მის წინ იდგა ვარდივით გაშლილი მანო, ახლადდაბრუნებული მათ ნათესავ ოჯახიდან.

— მარქვი, რა დაგეუფლა ასეთი, ჩემო ძვირფასო ძმავო! ~~ჩემი მარქვი~~ ფიქრა ასე უცნაურად, რომ ჩემი შემოსვლაც კი ვერ გაიგე! ~~მარქვი~~ ყვევებით მიტალურსა დამ და მიუჯდა გვერდით.

— წყნარად, ჩემო ყველავე! არ გააღვიძო!..

— ვინა? — გაოცებით შეეკითხა ქალი.

— ვინა და შოთა. ერთი ქამია, რაც ჩამოვიდა, მწარედ დაღლილი და მთლიანად გამოცვლილი. ვეჭვობ, ცუდი რამ შეეშთხვა ჩვენს მეგობარს.

ამ სიტყვებმა უზომოდ გააოცა მანო. დააპირა აიევანზე გასვლა. ძმამ არ გაუშვა.

— ნუ გახვალ, ჩემო ყველავე! არ გააღვიძო. მისთვის ძილი უებარი მეფარახია. დაე, ეძინოს ამალამ. ხვალ თვით გვეტყვის ყველაფერს.

ძმამ თითქო დაამწვიდა მანო, გაიყვანა მის ოთახში, აკოცა შუბლზე და უსურვა ძილი ნებისა. თვით დაბრუნდა თავის ოთახში კვლავად ფიქრებ მოსილი და პოეტის ასეთ მდგომარეობით შეწუხებული.

მეორე დღით შოთა შევიდა იოანეს ოთახში, გადარაზა ორივე კარი და მიუჯდა მეგობარს. ძილს დაეცხრო პოეტის აფორიაქებული სული. დამწვიდებოდა სახე, ხოლო აღარ სჩანდა მასზე ის შიზილავე ღიმილი, რაც ასე აჯადოებდა მნახველს. იოანე, სმენად ქცეული, მისჩერებოდა თვალებში და ელოდა უცნაურ ამბავთა მოყოლას. პოეტმა დარცხვენით გადახვია მხარზე ხელი და უთხრა დაბალი ხმით:

— არ გაიკვირო, ძვირფასო მეგობარო, რასაც ამ წუთს ვიმზელ. ეს ულმო წუთისოფელი ხომ უცნაურობითაა სავსე, და ესეც ერთი მათგანია!.. იოანე! ეტოვება ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, ეტოვება ამა სოფლის წარმატალ სიამეთა, ვშორდები ჩემს საყვარელ სამშობლოს და მივალ შორეულ მხარეს განდგეილ ბერად...

— როგორ თუ ბერად?! — შეპყვია უზომო გაოცებით იოანემ და წამოიჭრა ზეზე. ამას კი აღარ მოელოდა იგი. — როგორ? შენ, პიტიკოსთა მეუფე, დიდებული „ფეხზის-ტყაოსნის“ ავქსონი, თვალ-ტანად შევნიერი, ჭაბუკი შოთა რუსთაველი და... განდგეილი ბერი?! ეგ შეუძლებელია!.. ნუ ხუმრობ, ნუ მაინებ, მეგობარო!.. ვისაც ეტრფიან უტურფესი ასულნი კოლხეთ-მესხეთ-ივერიისა, ვის უტკბეს შაირებისა და რუბაიებს იზეპირებენ დიდებულნი და უაზნონი, ვის უხვად წყალობს თამარ პირიმზე და ის ბერი განდგეილი შორეულ უდაბნოში?! არა, არ სჯერა ჩემს გულს ეგ ამბავი. ვერა ვერ დავიჯერებ!..

— წყნარად, გულითადად მეგობარო! წყნარად, ძმადფიცულო! არ გაიგონან... ეს დრომდე ფრიად საიდუმლოა და გენუკვი დიდად, ყოველივე ჩემი ნათქვამი ღრმად ჩაიმარხო გულში, — უთხრა დინჯად შოთამ და

მოისვა ტახტზე გვერდით უღერესად, გაოცებული ფერფლულუბული იოანე.

— მაშ არ ხუმრობ?... მაშ მართალია?..

— სრული სიმართლეა...

— მარქვი, ეინ გაგონა ასეთი საშინელი აზრი?

— თვით მან მიბრძანა...

— ეინ? პირიმზემ?

— დიახ, პირიმზემ... და მეც შევევრდი სულის ფრიალი ბორგეაწამების შემდეგ. ასე სჯობია, ახლა ვრწმუნდები...

— რამ გაიძულა? ან რად მოგაწოდა ეგ შხამსასმისი ყოვლად სათნო ადამიანმა?

— გამხელ ყველაფერს... ჩემს ახსარებას... ეგონებ მატყობდი ბედშავს, მიყვარდა იგი უზენაესად... პირველი ნახვითვე მთლად ჩემი გული, ჩემი გრძნობანი მთლიან დაიპყრო მისმა სახემ, მისმა თვალებმა ციურმა... დიდმა გრძნობამ დამატყვევა ჩემს უნებურად. შეიდი წელია ვებრძოდი ამ გრძნობას... ვერ ვძლიე, ვერაი...

— ვითარ შესძელი მარტოჯა ხილვა, ვითარ ამცენ მას შენი გრძნობანი?

— შუალამის უამს კახაბერისას, დიდ ნადიმს შემდეგ ვიყავ მწოლარე რიონის პირას. მძიმედ ბორგავდა ეს ჩემი გული... ბოლმას და ოხვრას აღმოანთხევდა... ბედსა ვწყევლიდი, ვგმობდი გაჩენას... საშინელ ტანჯვას, სულიერ ჭეჯნას მდინარის ზვირთებს მე შეეჩიოდი თვალცრემლიანი, ოდეს შმაგ მიჯნურს წინ დამესახა შავი ღოღბანდით, ვით მოჩვენება რამ უჩვეულო... სმენოდა თურმე ჩემი გოდვანი, კოშკით ფარულად ჩამოსულიყო ჩემს სანუგეშებლად...

— ეინა?

— პირიმზე თამარ...

— რას უბნობ, შოთა!

— ვფიცავ ზენას!.. ნუ გაეიწყდება, რომ აღსარებას გამცნევ ამ დღით! თვინიერ შენდა მას ვერ გაიგებს ჩემს ბაგეთაგან ძეხორციელი...

შოთამ აუწყა სუყველაფერი, რაც ითქვა იმ საბედისწერო ღამეს მდინარის პირას.

ფრიალ გულმოღვინეთ ისმენდა იოანე მეგობრის ნათქვამს. დაფარა შოთამ ბოლო ამბავი: რომ გამოსთხოვა თამარს მწევე ეედრებით ერთი ამბორი, დიადი გრძნობით აცეცხლებული... ეს საიდუმლო თან გაიყოლა მან სამარეში...

დამთავრდა აღსარება. სდუმდა პოეტი, გრძელი მოთხრობებით დასრულებული. სდუმდა იოანე, ფიქრში ჩაფლული, გაოცებული. *დასრულებულია*

წამოდგა შოთა, დახარა თავი მეგობრის წინ.

— შეიღობით, ძმაო, ბრძენო, ქებულო, დიდსულოვანო ადამიანო! სტუმართმოყვარე, დიღო რაინდო და ჩემთვის, გულის უახლოესო შენ მეგობარო!.. იყავ შეიღობით! იყავ ბედნიერ! იყოს ხანგრძლივი ამა სოფელს ცხოვრება შენი... ჩემი ფიქრები, ჩემი ოცნება მარადეაშს შენთან იქნება, სანამ უბედურს სული მედგების...

— როგორ? ძვირფასო შოთა! აპირებ წასვლას ასე მალე?! არ გწადის ნახო უკანასკნელად დიასახლისი, ჩემი და მანო?! განა ეს არის სტუმრის ადათი?!

— ორთავე და ძმას გთხოვთ აპატიოთ უბედურ შოთას უმადურობა... ფრიად ძნელია ამ წუთას ჩემთვის იმისი ნახვა, გამოთხოვება იმ ანგელოზთან, ვინც მფარველობდა მთელი წლობით თქვენს სასახლეში... თვით ხედები რატომ... უსურვებ მანოს, მანოს შეგნიერს მალე ახალ ბედს და მარადიულ ბედნიერებას... ეს გადაეცი მოწიწებით ჩემს მაგიერად ხელზე ამბორით. ო, ვწუხვარ დიდად ყარიბი შოთა, სხვაფრივ ვერ ვუხდის ესოდენ ზრუნვას, პატივისცემას... მაშ იყავ შეიღობით, ძმაო იოანე!

— შეიღობა მოგეცე უფალმა ღმერთმა! სუბუქი იყოს ეგ მძიმე ჯვარი, დიადო სულო!

ორივე მეგობარი გადაეხეიენ ერთმანეთს მსურვალე, ძმური ამბორით თვალცრემლიანი.

— „მაშ მიხვალ, შოთა?..“

— მივალ!.. მისი ბრძანება კანონი არის უზენაესი ჩემთვის, იოანე...

— საით გაქვს გეზი?

— ერუსალიმს, გოლგოთასთან ჯვრის მონასტერში, სადაც მივიღე უმაღლესი სწავლა და ცოდნა... ჩემი ცხოვრებაც ამ სოფლიური ზომ გოლგოთაა, ტანჯვა, წამება... მაგრამ თქმულია:

„წესი არის მამათაგან შეჭირვება, ჭირთა თმენა!

არ გადავალს გარდუვალად მომავალი საქმე ზენა!..“

ამ სიტყვებით თვალცრემლიანი შოთა გადაეხვია კვალად თავის მეგობარს და გავიდა აივანზე. მას გაჰყვა იოანე, ორივეს აჩუყებოდათ გული და ვერ იკავებდნენ ცრემლებს.

— შეიღობით, იოანე!

— შეიღობით, შოთა! უსტარი იყოს ამიერიით ჩვენს შორის ამბის მომტანი!

— ამინ! — უპასუხა შოთამ და მძიმედ დაეშო კიბეზე.

ძირს მას ელოდა შეკაზმული ცხენი. ერთგულმა გივიმ დაუწია აბ-
თანდა. შოთა ზანტად შეგდა თავის მერანზე. ერთი კიდეც, მუხუდის კუთხეზე,
თივანზე მდგარს, და გაუდგა გზას. უკან ცხენითვე გაედევნა გივი სანო-
ვავით სავსე ზურჯინით.

დიდხანს იდგა აივანზე იოანე. არ აშორებდა თვალს გამაღებით მიმა-
ვალ შოთას, სანამ არ მოეფარა იგი მოხვეულ შარას. ორბელიანმა ამოი-
ოხრა მწარედ, მოიწმინდა ცრემლები და ჩამოჯდა იქვე ტახტზე, დაეყრდ-
ნო მუთაქას ღრმა ფიჭვებში გართული.

— სადა ხარო, ძმაო? რად მალოდინებო! საუზმე გაცივდა კიდეც...
ბაღში გავაშლივინე სუფრა... — გაიწყრიალა აივანზე ქალის ხმამ.
იოანე შეკრთა და წამოდგა.

— მარტოდ ხარ?! სად არის შოთა? მისი სანუკარი ქამადნი დავამ-
ზადებინე! მწადის ვაამო რაჭიდან გადმოხვეწილს... სად არის? სად წა-
ვიდა? რას მემალემა? — ამ სიტყვებით მანამ დაუწყო ძებნა ოთახებში.
დას გამოუდგა იოანე.

— ტყვილა დაეძებ, ჩემო კეკელუცო! აქ აღარ არის. წავიდა კიდეც.

— წავიდა?! სადა?!.. ჩემი ნახვა არ მოისურვა... ო, რა უმადური რამ
ყოფილან პიიტეოსნი!..

ქალს შეეყარებულს წასკდა ტირილი.

ამ სურათით ფრიად შეწუხებულმა იოანემ მოხვია ხელი, ჩაიკრა გულ-
ში, ვარდისფერ ლაწვებს ეამბორა ძმური სინაზით. ძირს ჩაიყვანა ჩერო-
ვან ბაღში გაშლილ სუფრასთან, დასვა სათუთად მოფენილ ტახტზე და
ნაქარგ ბაღში-მუთაქებზე მიაწვინა იგი. მიუჯდა გვერდით, ლამაზ თვა-
ლებზე მოწმინდა ცრემლი, ტბილი სიტყვებით ანუგეშა.

— ნუ სტირო, დაო, ორბელიანთა შეგნიერ ასულს არ შეფერის სულ-
მოკლეობა!.. ვთხოვთ, დაივიწყო ეგ გატაცება, ვითა სიზმარი!.. პიიტე-
ოსნი, ოცნების ხალხნი, კარგნი არიან სამასლაათოდ, თავშესაქცევად,
მათი ლექსები გვაჯადოვებს, გვზიბლავს და გვატყობს. კარგი არიან შე-
გობრებად და მოსაუბრედ. ჭმრებად ისინი არ ვარგიან, რადგან არ ესმით
ცხოვრების სიბრძნე, მოვალეობა ცოლის წინაშე, ცდებიან ზშირად, ვი-
თარცა ყრმანი, ვით უსუსური ჩვილი ბავშვები... ო, შოთას ხელში შინ
იჭებოდი განაწამები და უბედური. ფეიცავ შენს თავს, პიიტეოსნი, ჩე-
მო ტურფავ, არიან ზშირად უეხტიბრონი... არა აქვთ სიმტკიცე სიტყვისა
და ხასიათისა. დღეს ერთი უყვართ გაგიჟებით, ხვალ სხვას ეტრფიან...
დღეს უგალობენ მგზნებარე ეშხით იისფერ თვალებს, თვალებს ჟღერას,
ხვალ კი რევთ იმათ შავი თვალები, ვნებით აღსავსე, მიბნედილი... მარად
ეძებენ შეგნიერების სხვადასხვა სახეს, ფერადოვნებას, ახალსა განცდებს...
ვითა ფარვანა სურნელოვან ყვავილებს შორის, ტურფა ქალებში დანა-
ვარდობენ... თავის რითმებით, ლექსით, პანგებით, სიტყვის მუსიკით და

პარმონით აჯადოებენ ქალწულების ნაზოვან გულებს... და შენ გგონია, ჩემო დაო, მას არ მოსწონდი?! მოსწონდი ფრიად, ~~ქვეყნის~~ ~~ქვეყნის~~ ~~ქვეყნის~~ დეც, მაგრამ...

— რა მაგრამ! მარტვი, იოანე...

— მაგრამ მან ნახა სხვა უკეთესი, უფრო მზიური, უფრო ღიადი... და იმ მზიურმა შევნიერებამ სრულად დაიპყრო პიტიკოსის სული და გული, მთელი არსება...

— ვიცე, ვინც არის! მეუფე თამარ, კაცთა მზილავე, ყრმათა, ჭაბუკთა და მოხუცთა მომჯადოებელი... ო, ჩემი მტარვალი მის უნებურად! ჩემი რაყიფი... ზომ იგი არის?

— მიხვდი, მანანა, ის არის სწორედ, ხალხნი პირიმზეს რომ უწოდებენ! მეფეთა მეფე, უზენაესი სიბრძნით მკობილი, სათნოებანიც ცად მილწეული, ხოლო სახისა სიშვენიერით თვით ანგელოზებს სჭარბობს თამარი... ეცოტა მძებს ჩახრუხაძეებს ვით ზაქარია მხარგრძელს, დიდ სარდალს ვით სარგის თმოგველს, პიტიკოსს. დიახ, შოთასაც უზენაესად ის შეუყვარდა... შვიდი წელია ებრძვის იმ გრძნობას საბედისწეროს, მაგრამ იძლია ის უბედური... და პა, ძლეული, უსაზომოდ დასჯილ-ტანჯული მიდის ამ სოფლით.

— როგორ? თავს იკლავს?!. თავი მოიკლა?!. მაუწყე მალე!.. — შეპკეღა ქალმა.

— არა! დამშვიდდი! დიდი თამარის მკვეთრი ბრძანებით შორეულ ქვეყნად მიემგზავრება ჩვენი ქებული პიტიკოსი და იქ სწავლა ვვანებ აღკვეცა განდევნილ ბერად...

— განდევნილ ბერად?! შოთა და ბერი განდევნილი შორს უდაბნოში!.. არ დაეიჯერებ, არა და არა, ძვირფასო ძმაო! შოთა და ბერი, თავებურვილი შავი კოთხოთი, ბერისა სქიმში, შავ სუღარაში გამოხვეული!.. სასაცილოა! — ქალს ნერვიული წასკდა სიცილი. — და შენ გგონია, ჩემო იოანე, ამ ლათაიას, უცნაურ ზღაპარს ასე ადვილად დაგიჯერებდა შენი და მანო ასული დიდი ლიბარტის ორბელიანის?! ცდები სასტიკად, ჩემო იოანე!..

— არ ეხუმრობ, მანო! საუბედუროდ, სინამდვილეა. გაესტეზე სიტყვა. იძულებული გაეხდი მეამბნა, რაც საიდუმლო თვით მან გადმომცა. ამიერიდან შოთა ბერია...

— რამ აიძულა?..

— გაუწყე კიდევ. მეტს ნუღარ მომთხოვ... და ამის გამო ურვაკავშინით გარემოცულმა ვეღარ შესძლო შენი ნახვა, დამშვიდობება. გისურვებ ბედი საუკეთესო, ბედნიერება მარადიული... ლოცვა-კურთხევით მოგხსენია და დამავალა ზელზე ამბორი...

დამშვიდდა მანო. უცნაურია ქალის ბუნება. მაშ შოთა ბერი, უდიდესი პიტიკოსი, აღარც მისია და არც თამარის... დე ასე იყოს!.. ასე

სკობიას... — ასე ფიქრობდა ორბელიანთა ქალი მანანა. *მანანა ქალი
აშფოთებული, ძმას გაუღიმა.*

სწორედ იმ დროს, ოდეს და-ძმას ჰქონდა ასეთი საუბარი ბაღში გაშლილ სუფრასთან, შოთა შევიდა მეფის სალაროში, იხმო თავის ქვემდგომი ხელისუფალნი, აუწყა თამარის ბრძანება, გაეღო აბა პერპერიტ, თვალმარგალიტით, მიაკრა უკან ცხენის უნაგირს და გზას გაუდგა, თავის თანმხლებით. მათ განვლეს ქალაქის კარიბჭე, დიდუბის ვრცელი სპარაზენი და ორ ეკლესიას შემდეგ მიუახლოვდნენ მცხეთას. აქ ჩამოხტნენ ცხენებიდან, გზის პირას, ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ, მოხსნეს უნაგირები და აბა-ზურჯინი. დაბორკეს ცხენები და გაუშვეს იქვე საბაღახოდ.

გივიმ მარდად გაშალა მწვანე მოღზე პაწა ფარდაგი და ლურჯი სუფრა, ამოალაგა პური და ნამწადები, აგრეთვე ტკეპრით ღვინო. ორთავენი ფეხმოკეცით მოუსხდნენ სუფრას და მადიანად შეექცნენ გემრიელ საუზმეს.

მათ წინ ქვემოთ მოდუღუნებდა გულამღვრეული მტკვარი, ცოტა მოშორებით კი ჩრდილოს მხრიდან ლალად მოცეკვავდა მოღურჯო ფერად კაცასიონის მთების ნებიერი შვილი ცელქი არაგვი, ხოლო პირდაპირ მრავალ შენობებს შორის გორიზად ამართებული დიდებული სვეტიცხოველი. ირგვლივ აწვდილი ტყიანი მთა-გორაკები მწვანედ ხასხასებდა მზის სხივებზე.

დანაყრდნენ. შოთა წამოწვა მხარ-თეძოზე. იგი კვლავ გაიტაცა ფიქრებმა. გივიმ აალაგა სუფრა, ჩააწყო ისევ ზურჯინში ღვინო და მორჩენილი სანოვაგე, გადახედა ცხენებს, რომლებიც ხარბად სძოვდნენ ბაღასს, შემდეგ დაჯდა შოთას სიახლოეს და შეავლო თვალი პოეტს. უზომოდ გაიხარა, ოდეს იხილა მისი სახე სამჩნევად დამშვიდებული. ამან მისცა ჭაბუკს სითამამე და შეეკითხა მორიდებით:

— ჩემო დიდებულო მოძღვარო, ქვეყნად ქებულო უდიდესო პიიტიკოს-ფილოსოფოსო! თითქმის შვიდი წელია შენთან ვარ განუყრელად 16 წლის ასაკიდან; შენ გახლდი შორს უცხოეთში, შენთან ერთად მოველე მეც მრავალი ქვეყანა, შენ მწერთინდი უფიქ მოყმეს, მასწავლიდი სიბრძნეს და ლექსებს. შენთან ერთად ვიზიარებდი ჭირსა და ლხინს, შენ გმსახურებდი თავდადებით, მუდამ შენი მოთაყვანე ობოლი გივი. შენ მეძახდი ერთგულ შერმანდინს და მამხელდი ხშირად შენ ლტოლას და საიდუმლოსაც კი... ეცავე უსაზღვრო ბედნიერი, ოდეს ვმზერდი შენს ნათელ სახეს, შენს მზიბლავ ღმილს, ოდეს მესმოდა შენი საამო საუბარი, უაღრეს სიბრძნით უხვადმოკბილი. ხოლო არაოდეს არ მიხილავს ეგ სახე ესოდენ მოცული ურვა-კაეშნით, შენი ხმა და მიმოხვრა ესოდენ შეცვლილი, როგორც რაჭიდან წამოსვლის ეამსა. მთელი იმოდენა გზა გამოვლეთ ერთად და ვკვირობდი, ვწუხდი უზომოდ, რომ შენს ერთ-

გულ გივის ხმაც არ გამეცი... არ მიეკარე სასმელს და საქმელს, მოლაღ დაგკარგოდა ძილი და მოსვენება... ახლა კი, დიღო მოძღვრება ჩემს ტელეფონზე, ლიერო მამავ, უზომოდ ბედნიერი ვარ, ოდეს ვუცქერი შენს სურათს ხეს, უკვე დამშვიდებულს... ვითარ გაგებდო და შეგეკითხო, რა იყო მიზეზი, შენი ესოდენ სევდა-კმუნვისა“...

ამ სიტყვების გამგონე შოთამ შეანათა გივის თვალები. პოეტის სახეზე აციალდა ღიმილი. იგი წამოჯდა.

— შენ მართალი ხარ, ჩემო ერთგულო მეგობარო. ამ სოფლად ბევრი რამ ხდება ისეთი, რასაც ფრიად ბრძენი ადამიანიც კი მიჰყავს თავის მოკვლამდე... რა დაგიმალო, ჩემო გივი! უნებლიეთ განვარისხე დიღო არსება, ვკადრე სიტყვები შეუსაბამო, სწორედ იმ ღამეს, ნადიმს შემდეგ. ვერ მაპატიო ესდენ სილაღე და მიბრძანა, გავეცლოდი ჩემს სამშობლოს, ტოლთა, მეგობრებს და წავსულიყავ ისევ შორეულ მხარეს, საიდანაც ძლივს ორი თვეა, რაც ჩვენ დავბრუნდით... მიბრძანა მანვე წამელო უხვად განძი და ლარი უცხოეთში მყოფ ჩვენს მონასტრებში დასარიგებლად. მეც ეასრულებ მის ბრძანებასა, მივეშურები შორს უცხოეთში. აჰა, მიზეზი უსაზღვრო კმუნვა-კეთნის!..

მანვე განაგრძო მცირე ხანს შემდეგ:

— ეჰ, ჩემო გივი, ხომ ხედავ, რა მკაცრად მდევნის მე შავი ბეღი! ობლად შობილი, ობლად აღზრდილი, ობლადვე ჩაეალ ცივ სამარეში... ამ ჩემს საყვარელ სამშობლოს მოშორებული...

შეჩერდა შოთა, ამოიოხრა მწარედ. ცრემლით აევსო თვალები.

მოძღვარის ასეთმა ყოფამ უზომოდ ააშფოთა გრძნობიერი ქაბუკი. გივის თვალთაგან მოწყდა ცრემლები. სმენადქცეული ის შესცქეროდა დიდებულ პოეტს. უკვე ხედებოდა ყველაფერს. მას გაახსენდა ზოგი რამ შოთას წარსულიდან. მისი გატაცება და უზენაესი სიყვარული პირიშვნის მიმართ. გაახსენდა და არაფერი სთქვა. ახლა კი ნათელი გახდა ის, რასაც ეჭვობდა. მძიმედ ამოიხენეშა გივიმ და ჩაღუნა თავი. სდუმდა ორივე, ისმოდა მხოლოდ მტკვრისა ბუტბუტი.

— მაშ ახლა უცხოეთის მივემგზავრებით? — შეეკითხა გივი.

— მე კი, შენ არა. შენ აქ დარჩები... ხოლო მიმაცილებ ზღვის ბოლომდე.

— როგორ თუ არა?! რად მიბრძანებთ, დიღო მოძღვარო! რა დაგიშავე განა ასეთი?! — წამოიძახა ქაბუკმა გამწარებით ეს სიტყვები და წამოიჭრა.

შოთამ ახედა გივის მამობრივი გრძნობა-ღიმილით.

— არაფერი, ჩემო ერთგულო! პირიქით, უზომოდა ვარ შენგან დაღლებული ამ შეიდ წელიწადს და ვლოცავ იმ წუთს, ოდეს გაგიცან და აგიყვანე თანხლებ შაგირდად. უშენოდ, გივი, ვერ მოვივლიდი შორეულ ქვეყნებს, ვერ შევეკრეფდი ცნობებს, მასალას და ვერ დავწერდი ჩემს

დიდ პოემას. შენ იყავ ჩემი მარჯვენა ხელი, ჩემი დამხმარე, ჩემი მომე-
ლელი. მხოლოდ შენ შესძელ და გამიადვილე მძიმე საქმეებსა და მძიმე
მეფის დავალებანი... კმარა რაც გტანჯე და გაგაწამე!.. ახლა შენ ჩემო
უერთგულესო შერიანდინ, წავალ მარტოკა... შენ აქ დარჩები და მომაწე-
დი ეულს აჭაურ ამბებს...

— როგორ, მეუფე! შენ წახვალ შორს, მე აქ დავრჩები უშენოდ,
ობლად?! მაშინ რად მინდა თავი ცოცხალი?! ო, ნუ ინებებ, ჩემო უტკ-
ბესო, დიდო მოძღვარო! ნუ მირისხდები ეგ ზომ საშინლად! მუხლმოყ-
რით გენუკვის უღირსი შენი მოწაფე, თან წარიტანო, სადაც წახვდი,
თუნდ ცასა კიდურს!.. არას ვინაღვლი...

ამ სიტყვებით გივი დაემხო შოთას წინაშე და ცრემლთა დენით
იწყო ქეითინი.

პოეტს შეებრალა ერთგული მოყმე, მოხვია ხელი, ჩაიკრა გულში
და ეამბორა მის შუბლს. შემდეგ მოისვა გვერდით. უზომოდ ალტაცებუ-
ლი გივი სასოებით დაეკონა მოძღვრის მკერდსა და ხელებს.

კარგა ხანს იყვნენ ეგრე მდუმარედ ორთავე ფრიად ბედნიერნი.

სიჩუმე დაარღვია შოთამ.

— არა, არ ვენდური ბედსა!.. ემადლობ დიდებულ განგებას, რომ
მომივლინა შენი სახით ეგ ზომ ერთგული და თავგანწირული მეგობარი!
მაგრამ იქნებ მაშინ შეკრთე, ოდეს გაიგებ, რომ შენი მოძღვარი აპირებს
ალკვეცას განდგილ ბერად ჯერის მონასტერში...

— განა ასეთი რამ შეაშინებს შენს ერთგულ გივის?! მეც იქ დავრ-
ჩები როგორც მორჩილი და, ახლოს მყოფი მარადის შენთან, ვიქნები
უსაზომო მე ბედნიერი...

— შენი სამშობლო, ნათესავები, დაცოლშვილება, ტოლ-მეგობრები?..

— არაა მინდა თვინიერ შენდა, ჩემო მეუფე, სათაყვანელო! — შეს-
ძაბა გივიმ, გრძნობით აღსავსემ.

— რადგან ეგრეა და გწადის ქაბუცს გაიზიარო ეს ჩემი ჯვარი ეგ ზომ
მძიმე, ძნელ სატვირთო, მაშ მსურს გამხილო ერთი ფრიადი საიდუმლო...
მომამყარ სმენა... ჯერ ის არ მითქვამს არავისათვის.

მიმოიხედა დიდმა პოეტმა და განაგრძო დაბალი ხმითა:

— მწადის მოენახო უმანკო არსის ცივი სამარე და ცრემლთა ფრქვე-
ვით უკანასკნელად გამოვეთხოვო... ვფიქრობ, რომ ზარზმის მონასტერში
ის უნდა იყოს... იქა ესწავლობდი, მუნ გავიცანით ჩვენ ერთმანეთი...
ერთი წლის შემდეგ ერუსალიმს მე გავემგზავრე უმაღლეს სწავლის შე-
საძენად... ის იქ დაეტოვე, სამი წლის შემდეგ მივიღე ცნობა, მატყობი-
ნებდნენ: მტკვარში დაირჩო...

აღელდა შოთა. საზე ეცვალა. ცრემლით აევსო შავი თვალები. სდუმდა
კარგა ხანს. შემდეგ განაგრძო:

— ჩემო ერთგულო, ნულარას მკითხავ! არ ძალმიძს ახლა მისი მოყოლა. სხვა დროს ვიამბობ, რომ დაწყნარდება ეს ჩემი გულწრფელი წამოღება შოთა და ხელმანდილით მოიხიოცა ცრემლმდინარე ზე-
ლად მკირე მანძილზე. მთებსა აქოჩრილს დაუწყუო ცქერა. დამშვიდება ოდნავ, გივის მიმართა:

— წავიდეთ, გივი! მზემ გაღიზარა, გეგვიანდება.

ქაბუცმა სწრაფად შეკაზმა ცხენნი. ერთზე შესვა პოეტი, მეორეს კი მოახტა თვითონ და გაუღვინე გზას. ორი დღის აჩქარებული მგზავრობის შემდეგ ისინი შევიდნენ ჯავახეთში, ზოლო მესამე დღეს შეღამებისას მიუახლოვდნენ ზარზმის მონასტერს. შოთას სწაღდა ენახა აქ თავისი ძველი მოძღვარი არქიმანდრიტი გაიოზ და გაეგო მისგან ის, რაც იმას კარგა ხანია აწუხებდა...

ამ დროს ზარზმის მონასტრის ერთ დიდ სენაკში იწვა ავადმყოფი მისი წინამძღვარი მოხუცი გაიოზ. სნეულს უფელიდა თავის გაზრდილი ძმისწული, ახალგაზრდა ნინო, უკვე დიდი ხნიდან მონაზონი მცხეთის დედათა მონასტერში, ერთ დროს ლამაზი, ზოლო ამჟამად ხშირი მარბულობითა და მუდმივი შრომით ფრიად გამხდარი და დასუსტებული. მოხუცს ეძინა. მონაზონი კი იჯდა ტახტზე სარკმელთან და ჩუმად კითხულობდა ლოცვანს. სენაკის კუთხეში მიმაგრებულ ხატებთან ოდნავ ბეუტავდა ზეთის ლამპარი.

ავადმყოფი შეინძრა და გადმობრუნდა.

— მწყურია, — წამოიძახა მან ნელი ხმით. — სადა ხარ, ნინო?

— აქა ვარ, ჩემო მეუფევე! ეხლავე! — წამოიძახა ქალმა ნაზი ხმით; წამოღდა სწრაფად და მიაწოდა ავადმყოფს დოქით ცივი წყალი. მოხუცი ხარბად დაეწაფა სასმელს.

— როგორ გრძნობთ თავს, ჩემო მეუფევე? — შეეკითხა მონაზონი.

— ბევრად უკეთ, ჩემო სულიერო შეილო. დიდხანს მეძინა?

— კარგა ხანია. მზე ჩადის. ფრიად მიხარის, რომ უკეთ ბრძანდებით. ღვთით მალე განიკურნებით.

— უფალს არ სწადის ოთხმოცი წლის მოხუცის ხილვა, სჩანს კვალად უნდა ეიღვაფო ცოდვილმა ამ ქვეყნად... — წარმოსთქვა გაიოზმა და ამოიხენეშა მძიმედ.

— შენ რა ცოდვა გექნების, წმინდა მოძღვარო! ცოდვები მე მაქვს, ჰე უბედურს!... — ამოიკენესა მწარედ მონაზონმა.

— შენა?! შენ რაღა ცოდვა გიძევს — უმანკო ქალწულს? — გაიოცა ავადმყოფმა.

— დიდი ხანია მწადის გაუწყო, როგორც წმინდა მოძღვარს, ჩემი აღმარება, გამზილო ჩემი ცოდვები, მივიღო შენგან ნუგეში და საღებუნი. აქამდე კი ვერ ვიბოვე შესაფერი ეამი... მარადის გართული ბრძანდებით, როგორც მონასტრის წინამძღვარი, უამრავ საქმეში, ამის გამო ვერ

გაგებულ შენი შეწუხება, სხვას კი ვერაფრის გავუმზილვ ჩემი საიდუმლო...
ეს გარემოება საშინლად სტანჯავს ჩემს სულს...

ნინომ ამოიგმინვა მწარედ.

ერქენული

გმზლიმუშა

მოხუცი ფრიად გააოცა მონაზონის სიტყვებმა. იგი წამოჯდა და მიეყრდნო მუთაქებს. შეცქეროდა თავდახრილ ნინოს და სდუმდა კარგა ხანს.

— სულიერო შვილო! მოიღე ჩემი ოლარი, გადამაცი თავსა ზედა და დაიჩოკე მუნვე. მწადის მოვისმინო აღსარება შენი და გისაღებო რითაც ძალმიძს.

უზომოდ გახარებულმა ნინომ მყის შეასრულა მოხუცის ბრძანება.

მოწიწებით ეამბორა მონაზონი მოხუცის მარჯვენას და დაიწყო მღელვარე ხმით:

— სულიერო მამაო! უსაზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა საშუალება აღვიარო შეცოდებანი ჩემნი წინაშე შენდა და გენტუკი მუხლმოყრით ცოდვილი მხევალი ღვთისა, რათა მიშუამდგომლო ზეციერ მამის წინაშე მაპატიოს ესოდენ შეცოდებანი და მოიღოს უღირს მხევალსა ზედა რაიმე საღებნი... — ჭალი შეჩერდა და აქვითინდა.

— უფალმა ღმერთმა შეგინდოს შეცოდებანი შენნი! — გაისმა მოხუცის ლაღადოვანი ხმა. — განაგრძე, შვილო!

ნინომ მოითქვა სული და განაგრძო მდაბალი ხმით:

— მამაო სულიერო! უკვე ცხრა წელია, რაც 17 წლის ქალწული აღვიკვეცე მონაზვნად და ამ ხნის სივრცეზე მე ვატყუებ დიდებულ ღმერთსა, ვატყუებ ჭეყანას... არ ვარ მონაზონი! არ ვარ სასძლო ჭრისტე ჯვარცმულისა... ჩემს არსებაში ზის მაცდური, იგი მიშფოთებს სულსა და გულსა... წმინდა მოძღვარო! მიყვარდა ერთი ვაჟი და დღესაც მიყვარს იგი... დღემდე ვერ შევძელ ბედკრულმა, ვერ აღმოვფხარ ამ ჩემის გულიდან ეს მწვავე გრძნობა... ოჰ, დღემდე თვალწინ მიდგია მისი სახე! დღემდე ყურს ესმის მისი ხმები... რა არ ვეცადე! ხორცნი დაეტანჯე გრძელ მარხულობით, შეიდუღებულობით... ვერ მიღზინეს, ისევ ის ვაჟი ამ ცხრა წელიწადს თვალწინ მიდგია, ვით ხორციელი... მისი ხმა მესმის... როს დაჩოქილი ხატის წინაშე ლოცვას ვღალადებ ცრემლების ღენით, ჰოი, ისევ ის, ჩემი მიჯნური... მაცხოვრის ნაცვლად თვალწინ მიდგება... ჰო, მაშინ შევწყვიტე ლოცვას და შეშლილივით გარეთ გავრბივარ...

აქვითინდა მონაზონი, მწარე ცრემლებით დაეკონა მოძღვრის მარჯვენას... დიდხანს იტირა...

მოხუცმა მიაწოდა წყალი, ამავე ღროს ანუგეშა და დაამშვიდა. გვერდით მოისვა.

— განაგრძე, შვილო! სთქვი ყოველივე დაუფარავად. ყოველად მოწყალე უფალი ღმერთი შეგებრალებს და შეგინდობს.

ნინომ მოითქვა სული და განაგრძო:

— უკვე 12 წელია, რაც პირველად ეხილეთ ერთი მეორე ჩვენს დიდ ბაღში. მე ძლივს ვიყავი 14 წლისა. მუნ სემინარიაში სწავლობდა იგი, მე კი, როგორც იცი, მცხეთის სკოლაში. იყო ზაფხულში და ზაფხულად ორი თვით მაინც მუნ მოვდიოდი, შენთან, მეუფევე. შენ მწვრთნიდი უღირსსა ძმისწულს საღეთო წერილში... საღამო იყო, ბაღში ვიყავი მარტოდ-მარტო მჯდომარე მერხზე. წიგნი მეკავა და უკითხულობდი, ოდეს ის ბაღშივე მოსიერნე ჩემს შეუმჩნეველად მომიახლოვდა. რაღაცა ძალამ ამახედა... უსაზომო შეგნების მოყმე თმა ქუჩუჩა, მაღალი შუბლით და ელვარე შავი თვალებით იდგა ჩემს წინ მდუმარედ. მორცხვი სინაზით და გაოცებით ჩვენ შევცქეროდით ერთმანეთს უნმოღ, უსიტყვოდ... ენა დაგვება... ხოლო თვალებით ჩვენ ვსაუბრობდით. რაღაც საამოდ აჩქროლდა გული... ზეცის შარბათი... სულს მოესხურა... ორივე გაეწითლდით ჩვენს უნებურად... შეგვრცხვა საშინლად... რატომ და რისა, დღემდე არ ვიცი... — ქალი შეჩერდა, ამოიკენესა. მოსვა წყალი. დაჯდა მდუმარედ.

— შემდეგ რა მოხდა? მიაშბე, შეილა!

— იმ საბედისწერო ეპიდიდან ხშირად ვხვდებოდით ერთი მეორეს იმავე ბაღში, მეტწილად მთვარიან ღამით, ოდეს მონასტერს ტკბილად ეძინა. ჩვენ შეგვიყვარდა უზენაესად ერთი მეორე. ვიმალებოდით უსურვაზებით ფარულ თალარში, ზევსურ სიყვარულს მუნ უგალობდით... ის მკითხავდა მთვარის შექმნე ლექსებს, შაირებს, ჩემთვის შეთხუღს. ვარდებს და ყვავილთ მე ვთავაზობდი. ტრფობა, ალერსი, ტკბილი სიტყვები უზენაესსა ნეტარებას გვგვრიდა ორთავეს... შემდეგ ზაფხულსაც ის განმეორდა... ეს საიდუმლო ასე რიგად ჩვენგან დაცული გამეღავნდა ჩვენდა საბედისწეროდ: დაგვიდარაჯდა და შეიტყო ბოროტმა სულმა, ზაზამ ჩემმა ბაბუღაშვილმა, მეორე ზაფხულს. ათას ქრთამებით და ნობათებით მოვალბეთ იგი და გავიხადეთ მესაიდუმლედი. იმავე ზაფხულს ჩემი მიჯნური, სემინარია დამთავრებული, უპირატესად, სამეფო ხარჯით გაამგზავრეს უცხო ქვეყანას, ერუსალიმს აკადემიის დასამთავრებლად, ჯერის მონასტერში...

ქალი შეჩერდა, აღელდა კვალად, თვალზე მოადგა ცრემლები... წყალი დალია, მოითქვა სული, განაგრძო ისევ:

— ჰოი, ის ღამე, ოდეს ერთმანეთს უქანასკნელად დავემშვიდობეთ! თვალწინ მიდგია სუყველაფერი... ის ტკბილი ტრფობა, ტკბილი ალერსი, ჩვენი სიტყვები გრძნობით სავსენი და ის წამები უნეტარესნი, ოდეს შევფიცეთ ერთი მეორეს ჩვენ სიყვარული მარადიული... იმან მომიძღვნა თავისი ლექსები ეტრატზე სუფთად გადაწერილი თავისვე სისხლში მოვლებული კალმით... მე კი მიუძღვენ ჩემივე ხელით მოქარგული ხავერდის ჭისა, მასზე ავსახე ჩემი სახელი მარგალიტისა თეთრი მძივებით და შიგვე ჩადე, როგორც მან მთხოვა, სახსოვრად ერთი ჩემი კულუღი, ფარ-

ჩის ნაპერში გამოხვეული, მისი ლექსების პაწა გრაგნილი, დაბრუნდა ამოკერილი, ევრცხლისა ძეწვეთ გულზე მკიდია დღესაცა... უკეთად ჯვართანა. ჰოი, ის ღამე დაუფიწყარი!... შეყვარებულმა... მსმალსმლე, ჩვენ გვიღიმოდა ზეციდან მთვარე... ის იყო მოწმე ჩვენი ტრფობისა და ჩვენი ფიცის... უკანასკნელად ერთი მეორეს ჩვენ ჩავეკონეთ. ავტორღით მწარედ და ათჯერ მინც ვეფიცებოდით ზენარი ფიცით... იგი წავიდა... დავჩიხი მუნ ობლად...

აცრემლდა ქალი, გულს შეუღონდა, შეშინებულმა გაიოზმა წყალი ბკურა, გონს მოიყვანა, ნუგეში სცა, დაუყვავა და გაამხნევა. გავიდა ხანი, ნინო დამშვიდდა; განაგრძო კვალად.

— წავიდა, გაქრა... და იმის შემდეგ ერთი უსტარიც არ მიმიღია ჩემს მიჯნურისაგან... მე კი ყოველთვე ბარათებს ვწერდი, გადასაგზავნად ზაზას ვაძლევდი, მის მეოხებით ხდებოდა ჩვენი მიწერ-მოწერა. რადგან პასუხსა მე არ ვიღებდი ჩემს უსტარებზე, ზაზას ტირილით ვეკითხებოდი: რა მიზეზია პასუხს არ მაძლევს?! ხომ არ შეემთხვა რაიმე ცული?! ხომ ცოცხალია?... ოჰ, მარტვი, ძმო, მე უბედურსა სუყველადერი! ნუ დამიშალავ, იწამე ღმერთი!... ის კი ბოროტი, იუდას კერძი, ჩემს შეკითხვებზე და მუდარაზე თავს გააქნევდა, ფიცით მეტყუდა: „არა ვიცი რა, არაფერს არ გეწერს და არ გეპასუხობს. ეს კი ცხადია... სჩანს, რომ მას ჩვენა აღარ უნდევართ... აღბათ, გაერთო ტოლ-მეგობრებში: იქნება კიდევ ნახა სხვა ვინმე თავის ნინოზე ბევრად ღამაზი და შევნიერი... კაცთა გული ასეთი არის, უეცტიბარო, დაუნდობელი... დღეს ერთი მოსწონთ, ეფიცებიან თავის სიყდარულს, ხვალ კი ეტრფიან სხვა კეკლუცსა, ლექსებს უწერენ... ოჰ, რა გატირებს! რად გეცხება ცრემლით თვალები! შენც ჰკარი ხელი, დაიფიწყე, სხვა შეიყვარე... იმაზე კარგი და ღირსეული... განა ცოტაა აქ ასეთები?! „მიმოიხედე“!... ასე მტანჯავდა შეჩვენებული სრულ სამ წელიწადს. მე კი სულ მუდამ გული მითზრობდა, რომ მას ვუყვარვარ და მწერს ბარათებს, ხოლო უსტარნი იკარგებიან, ან ზაზა მაღას. დავეჭვიანდი ამ ბოროტ სულზე.

ქალი შეჩერდა, მოითქვა სული, განაგრძო კვალად:

— ერთხელ მოვიდა საღამო ეამს ჩემს სანახავად ბოროტი ზაზა, გამიხმო ბაღში და საიდუმლოდ გამომიცხადა: „ცნობა მივიღე უცხოეთიდან, შენ ქებულ მიჯნურს ცოლი შეურთავს დიდი გვარისა, ერანში მყოფის ორბელიანის ტურფა ასული. ასე მწერს ერთი მეგობარი თეირანიდან, აი უსტარიც“! ამის გამგონე უგრძნობოდ დავეცი... წყალი მამკურა, გონს მომიყვანა. შემომიყვანა ამ ოთახში, თვითონ კი გაქრა. სრული სამი თვე არ მინახავს მისი სახე... იმავე ღამეს შევიქნენ ავად. არცინ ელოდა ჩემს გადარჩენას. ენატროდი სიკვდილს, მაგრამ სიკვდილიც კი გამიბოღდა. სრული სამი თვე ვიკადმყოფე. მოვრჩი ბედშავი შენი ლოცვითა, მოვლით და ზრუნვით. ერთხანს თავის მოკვლა, თავის დარჩობაც



კი განვიზრახე. უფალმა მიხსნა ამ ცოდვისაგან... გამომეცხადა თვით/მაცხოვარი ღამე სიზმარში, მიბრძანა მხევალს აღვეცილობოდა და მანამდე დედამ სავანეს. მეორე დღით გამეცნე კიდევ მე ეს სიზმარი და მწიკით რჩევით შევიქეცე მე მონაზონი. სწორედ იმ დღით მოვიდა ზაზა, გამიხმო ბაღში, მომწირდა რაღაცეები საჩუქრის სახით და მთხოვა ხელი. მე მისა ნათესავს გული გამიხსნა და ცოლობა შემომიკვეთა... გავშრი, გავშეშდი. გავმწარდი ფრიად. თავში ვახალე მოტანილები და წყება-კრულვით ის გავისტუმრე... ამ ამბის შემდეგ მეორე დღით გავხდი მონაზვნად... იმ დღიდან უფრო შემძულდა ზაზა, მისი ხსენებაც კი შეჯავრება. იმ დღიდან უფრო დავეპვიანდი მის საქციელზე...

ამ აღსარებამ ფრიად დაქანცა ისედაც მეტად დასუსტებული ნინო. მოსვა წყალი და შეისვენა.

— სულიერო შვილო! ამ გრძელ აღსარებაში ერთხელაც კი არ გიხსენებია, თუ ვინ იყო შენი მიჯნური.

— სულ დამავიწყდა მეუწყა შენთვის მისი სახელი. იცი ვინ იყო?! უსაყვარლესი შენი მოწაფე, ყველაზე უფრო ნიჭიერი, ბრძენი და მცოდნე, ფაქიზ ზნეობის ახალგაზრდა შოთა ართავაჩოსძე რუსთაველიან, ამჟამად დიდი პიტიკოსი შოთა რუსთაველი...

მოხუცს გაელიმა. მან უკვე იცოდა ბევრი რამ ამის შესახებ. ნინომ განაგრძო:

— იცი, მეუფევე, რა ჩავიდინე ამ ორი თვის წინად?! არა, არ იქნების ჩემი საშველი! ღმერთი აროდეს არ მაპატიებს! ჯოჯოხეთშია ჩემი საფანე!..

— რა იყო შვილო?

— ოდეს გავიგე შოთას ჩამოსვლა უცხოეთიდან, სამი დღით ქალაქს მე გავიპარე, თუმც ძნელი იყო; ტყუილი გავებდე. მწყუროდა ნახვა ჩემი მიჯნურის, ფიცის გამტეხის. მწადდა გამეგო ცოლიანია, თუ კვლავ უცოლო. ვაყად ჩაცმული, შავ ჩოხაში ქამარ-ხანჯლით და შავ ჩაბალახ-მობურული, ვიდევ გუშავად ორბელიანის სახლის პირისპირ, მთელი დღეები სახლისა კუთხეს მოფარებული. მოვისყიდევი ორბელიანთა ერთი ფარეში და იმისაგან ვსცან ყველაფერი. დღემდე უცოლოდ დარჩენილა ჩემი მიჯნური. შევნიერია ორბელიანის ქალი მანანა, ამბობენ კიდევ, შოთა უყვარსო, ხოლო თვით შოთას იგი ვერ ხიბლავს. თურმე გაუტრბის კიდევ ყური მოგვარი, უყვარს პირიშვე, როგორც ღვთაება, არსი ციური, ამიტომაცო მას მიუძღვნა „ქებათა-ქება“, ამ შიდილი წლის წინათ და ახლა კიდევ გრძელი შაირი, „ვეფხისტყაოსნად“ წოდებული. აქებენ ფრიად. მის წაკითხვაზე მწადდა დასწრება სასახლეშია. ეს კი ვერ შევძელ, საუბედუროდ...

— ნახე კი შოთა?

— ენახე ორ-სამჯერ აივანზე დიადი სახით. ზეარსს გავგონებს, მეოცნებე, ჩაფიქრებული... გამესაუბრა კიდევაც ერთხელ, მკითხა; „ვინა ხარ,

დამდეგ ლანდივით? მოგზავნილი ხარ ბოროტი არსის თუ ჩემს მფარველად ხარ მოვლენილი?!

— რა უპასუხე?

— „შენა ხარ ჩემი ნეტარება და სიყვარული“... ძლიერა შევძელ ამის წარმოთქმა, სახლს მივეფარე. ფრიად ფარულად დავუწყე პერეტა. კარგა ხანს იდგა გაოცებული. შემდეგ ჩამოჯდა იქვე ტახტზე, ფიქრებს მიეცა...

— ვითომ გგონია შოთას დაავიწყდი? აღარ ახსოვხარ? აღარ უყვარხარ? არ დავიჯერებ...

— აბა რას ნიშნავს, რაი წავიდა, ერთი სიტყვაც კი არ მალირსა? როს ჩამოვიდა შეიდი წლის წინად. ჩვენს ქვეყანაში, არც კი ვაიგო ჩემი ამბავი, არც კი მიკითხა... აშკარადა სჩანს, რომ დავავიწყდი, სხვა შეუყვარდა... გასტეხა ფიცი... მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამიქცია... გული მომიკლა... ოჰ, მეუფეო! შოთა შეიქნა ჩემი მტარვალი... ასეთ საქციელს, გულჭეობას, ფიცის გატეხას ვერ ვაპატიებ მას ვერასოდეს, ვერა და ვერა!.. მე კი, უბედურს, ის კვლავ მიყვარს... ვერ ამოვგლიჯე ტანჯულ გულიდან ეს სიყვარული!..

ქალი აცრემლდა, აღელდა ფრიად. მოხუცს შეებრაღა, გულს ნიიხუტა.

— ვინ იცის, იქნებ შეცდომაში ის შეიყვანეს! იქნებ ზაზას ბოროტი ზრახვა შოთასაც მიწვდა? იქნებ ჭორი რამ, სიყალბე რამე შენს შესახებაც მას აუწყა? შენ თვითონ ამბობ, ზაზას უყვარდი, და თუ აგრეა, ის ეცდებოდა დაშორებოდი ერთი მეორეს! გიფიქრია კი შენ ოდესმე ამის შესახებ?

ამის გამგონე ნინო გაფითრდა და შეანათა მოხუცს თვალები. ასეთი აზრი დღემდე არასოდეს არ მოსვლია. ეჭვი არაა, ზაზა მალავდა მათ ზარათებს და კითხულობდა. ეჭვი არაა, ბოროტი სული მისწერდა შოთას ისეთ რამეებს, რომ შოთას შეეძულებოდი და დავევიწყე! ვინ მეტყვის ამას? რა რიგ გავიგო?

ნინომ ვედრებით და სასოებით მოძღვარს შეხედა.

შეებრაღა მოხუცს, მოხვია ხელი, მოისვა გვერდზე, ალაზნა ბაგე:

— გგონებ არ მითქვამს, ჩემო შვილო, ამ ეჭვსი თვის წინათ გზიდან უეცრივ გადაიჩეხა ცოდვილი ზაზა, მძიმედ დაშავდა, საზიარებლად მე მომიხმო, მყის გავემგზავრე. მოკლედ მაუწყა ყველაფერი, შოთას და შენი გამიჯნულება და თავისი ბნელი განზრახვანი. ის იკავებდა და კითხულობდა თქვენსა ზარათებს, იგი ცდილობდა გაეთიშეთ ერთმანეთისგან, რადგან უყვარდი, უნდოდი ცოლად. სწორედ ამ მიზნით მოგაწოდათ ყალბი ცნობები: შენ დავაჯერა, თითქოს შოთამ დაგივიწყა, შეირთო ცოლი, და იცი, შოთას რა მისწერა შენზე ბოროტმა?

— რა, მეუფეო, მაუწყე ჩქარა!

— აცნობა, თითქოს მტკვარში დაირჩეო შენა... ასე მალე შენც დაიშალა წინ ცოდვილმა ზაზამ, თანაც გადმოშვა თქვენ ორთავესა და მტკვარის ტრფობის უსტარი და ამის შემდეგ სული დალია...

ამის გამოგონე მონაზონი მყის წამოიჭრა, ორივე მუხლით დაიჩოქა ბიძის წინაშე, მის მარჯვენას ეამბორა მხურვალე გრძნობით და სიხარულის ცრემლებითა იგი ატირდა.

— წმინდა მამო, უსაზღვრო არის ჩემი მადლობა! იკურთხოს შენი ღნა და ზაგე, შენი სახელი. ამ სიტყვებით ესდენ ტანჯულს დამდე საღზუნო! დიდიხნის მკვდარი შენ გამაცოცხლე! არას ვინადელი, ახლა თუნდ მოვეცდე... ვგრძნობ, დიდი ხანიც არ დამრჩენია მე ამა სოფლად... ერთ რამეს შეგთხოვ მხურვალე გულით: თუ მოგვცე მალე, მონასტრის ბაღში დამასაფლავე, იმ თაღარის წინ, სადაც შევეფიცეთ ერთი მეორეს ჩვენ სიყვარული და უკანასკნელად გამოვეთხოვეთ...

— დამშვიდდი, შეილო ნუ ჩქარობ სიკვდილს, ახლა ხომ სცანი, რომ შენსა მიჯნურს მუდამ უყვარდი, მუდამ ახსოვდი და ამის გამო მას, მგლოვიარეს, დღემდე ცოლიც კი არ უთხოვია. აწ რაღას იტყვი? ისევ ენდური, ისევ ამტყუნებ თუ მართალია შენს თვალში შოთა? სთქვი აღიარე აბატიე თუ კიდეც ვერა ესოდენ შენი დაეიწყება ზაზას მიზეზით?

ნინო ჩაფიქრდა. თავი ჩალუნა. მძიმე შეიქნა მისთვის პასუხი. გავიდა ხანი...

ამ დროს მოისმა კარებიდან ნელი კაკუნი. წამოდგა ქალი. მივიდა კართან და გამოაღო. ახალ მოსულის ლამაზმა სახემ უსაზომოდ ის გააოცა... ფართო თვალებით დააქჳრდა, იცნო ვინც იყო, თუმცა ბნელოდა.

— ოჰ, ღმერთო! შოთა!.. — ძლივ გასაგონად წამოიძახა და კარის უკან ჩაიკეცა. ველარ გაუძლო მონაზვნის გულმა ამ მოულოდნელ დიდ სიხარულს და უეცარი სიკვდილით ის მიიცვალა. ახლად მოსულმა ეს ვერ შენიშნა.

— მამა გაიოზ შინა ბრძანდები? — კარებთან მდგარის გაისმა ხმა.

— აქა ვარ, შეილო, ავადმყოფი. შინ შემობრძანდი!

ახლად მოსული სწრაფად შევიდა. მწოლარე მოხუცს თავზე დაადგა, კადრა საღამი. შენდობა სთხოვა, მოძღვრის მარჯვენას მოწიწებით ის დაეკონა.

რა დაინახა უცხო ქაბუკი, მდიდრულად ცმული, მოხუცებული მძიმედ წამოჲდა. მარჯვენა მხარით ბალიშს დაეყარდა.

— დაბრძანდი აგერ. ვინა ხარ, შეილო? ველარ გიცანი. თვალსაც დამაკლდა.

— გთხოვთ დამაკვირდე, იქნებ შემიცნო! — და ამ სიტყვებით მიუახლოვა სახე ავადმყოფს. მოხუცი ერთხანს დააკვირდა და რა იპოვა მასზე ღიმილი, მყის გაახსენდა დრონი წარსულნი და უსაზომო სიხარულით წამოიძახა:

— ვის ვხედავ! შოთა! ზარზმის მონასტრის სიამაყე, უუღლესი პირიტიკოსი!.. შენდობა შენდა, დილა მგოსანო! კურთხეულ ძეგლს, მწვერულს ვლა ამ ჩვენს საფანეს! მოდი, შენს მოძღვარს გადაეხვიე მამაშვილურად! ძველმა მოძღვარმა ამ სიტყვებით გულში ჩაიკრა უსაყვარლესი თაღისი მოწაფე. გვერდით მოისვა.

— აბა სად წახველ, შენ, მონაზონო! ნუ იმალები კარებს უკან! არ ვართ უცხონი! მოიწი ახლო! მწადის გავიგო, გიცნობს თუ ვერა ჩვენი სტუმარი...

სდუმდა სენაკი, მოხუცს პასუხი არ მოსდიოდა. შეშფოთდა იგი, შოთას მიმართა:

— მიდი კარს უკან, ჩემო შვილო. აბა გაიგე, თუ რა შეემთხვა იმ ცოდვის შვილსა!

შოთამ მყისვე შეასრულა მოძღვრის ბრძანება, ნახა კარს უკან მონაზონი გაცივებული. გული და მაჯა შეჩერებოდა. შეწუხდა ფრიად. აზიდა ხელით, სარკმელთან მიდგმულ ტახტზე ის მიაწვინა.

— გულს შეუღონდა? ამ ბოლო დროს ხშირად დასჩემდა. ფრიად დასუსტდა გრძელ მარხულობით ეგ საცოდავი! წყალი აპურე.

— არა, მამაო, უკვე მიცვლილა...

— როგორ? მიცვლილა! ბედნიერია... ამზიდე, შვილო, მომიდე ხელი და მიმიყვანე. მწადის ეკურთხო, ვუთხრა შენდობა.

შოთამ შეასრულა მოხუცის სურვილი და მიიყვანა მიცვალბულთან. გაბზმა აკურთხა იგი და გადასახა ჯეპარი; უსურვა საუკუნო განსვენება „სასუფეველსა შინა“. შემდეგ გაასწორა, დაუკრიფა გულზე ხელები და ეამბორა შეზღუზე; ცრემლი დაღვარა.

— ნეტა ვინ არის ეგ უბედური? სადაურია? — შეეკითხა შოთა.

— აჰ მოდი, შვილო, იქნება იცნო. აიღე აგერ კელაპტრის ნამწვი, აანთე ხატთან ბეუტავ ლამეარზე და დააცქერდი კარგად, გულდასმით. — სთქვა ეს მოხუცმა, იქვე ჩამოჯდა.

ანთებული კელაპტრის ნამწვით შოთა მიუახლოვდა მონაზონს და დააცქერდა კარგა ხანს მის ლამაზს, ხოლო ფრიად გამხდარ სახეს. ღიად დარჩენოდა თვალები. იმ თვალთაგან კი გამოსჩვევოდა უაღრესი სიხარული და ნეტარება.. შოთას უკებ გაახსენდა დიდიხნის წარსული და თმა აბურძგულმა წამოიყვია უსაზღვრო გაოცებით:

— ნინო!.. ნუთუ მიცვალბულნი დგებიან საფლავებიდან?! მოძღვარო, მოჩვენებაა ეს თუ სინამდვილე?!

ამ სიტყვებით მოსხლევით დაეშვა შოთა მიცვალბულის ტახტთან. დახარა თავი და იწყო მწარე ქეითინი...

— დამშვიდდი, შვილო... დამშვიდდი! ეს ყოველივე სინამდვილეა. ეგ ნინო არის, ჩემი ძმისწული, ოდესღაც შენი სატრფო პირველი სიყვარული... 12 წელიწადს ის გატანჯული...

— მაშ ტყუილი იყო, რაც მომწერეს იქ, უცხოეთში? ზაზამ გიუწყა ნინოს დარჩობა მტკერის ზვირთებში... სრულ სამ წელიწადს, ~~მძიმედ დავიწყე~~ ლოვე... კილამ გაგვიყდი...

და ამ სიტყვებით, მხურვალე გრძნობებით მან დაუკონა მიცვალებულს სახე, ხელები. იტირა დიდხანს გულამოსკენით, ღვარა ცრემლები. გმინავდა მძიმედ, უნუგეზოდ...

მოხუცებულს შეებრალა შოთა, მოისვა გვერდით, ჩაიკრა გულში ანუგეზა, რითაც შეეძლო და უამბო ყოველივე მოკლედ, თანაც გადასცა მათი მიმოწერა, ხატების უკან შენახული. შოთამ წაიკითხა ნინოს ზოგიერთი ბარათი და ბევრი იტირა. სდუმდა კარგა ხანს. ბოლოს მოსვა წყალი, მოიწმინდა ცრემლი. ოდნავ დამშვიდდა. აღმოახდინა მწვავე გმინვა და შეხედა მოხუცს.

გაიოზმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ფრთხილად შეეკითხა მის ამბებს. შოთამ უამბო მოკლედ ზოგი რამ თავის შესახებ. არ დაუფარა ის, რომ მიემგზავრება შორს, ერუსალიმს და სწადის იქ ჯვარის მონასტერში ბერად აღკვეცა. გზად მიმავალმა შეიარა ზარზმაში, რათა ენახა თავისი ძველი მოძღვარი და მიეღო მისგან ლოცვა-კურთხევა, თანაც სწადდა გაეგო ის, თუ სად ასაფლავია ნინო. რომ გამოთხოვებოდა მის სამარეს...

— ოჰ, მე ბედშავმა ჩემი მოსვლით მოვეკალ ცოცხალი სატრფო ყრმობისა და ამჟამად დავსტირი მის გაციებულ ნეშტს, აქა მდებარეს!..

ამ სიტყვებთან ერთად კვალად ატირდა შოთა. მან გმო თავისი უკუღმართი ბედი, ამ სოფლიური ამაოება.

ნინოს უეცარი სიკვდილი იმავე ღამეს ცნეს მონასტრის ბერებმა და მიიღეს ზომები, რათა პატივით დაეკრძალათ იგი, თანახმად მისი სურვილისა, ბაღში, თალარის წინ. ეგვეე სწადდა შოთას, რის გამო გაიღო დიდი საგანძი თავის საკუთარ თანზიდან მონასტრის მიმართ.

მესამე დღეს, დიდი პოეტის მხურვალე ცრემლებით ნინოს სამარეს გამოეთხოვა. გამოესალმა აგრეთვე გაიოზს და ბერ-მონაზონთ და გაუდგა გზას გვივის თანხლებით.

უკვე გაშუადღევდა, ოდეს ისინი მიუახლოვდნენ კოხტის გორას, ავიდნენ მის მწვერვალზე, გადმოხტნენ ცხენებიდან და შეისვენეს კარგა ხანს. შოთას ფიქრები მთლიანად მოეცვა ასე მოულოდნელად ნახულსა და ასე უეცრად დაკარგულს ყრმობის სატრფოს. აზუყებული გული ვერ ეტეოდა თავის ბუდეში, ზოლო თვალთაგან უნებურად სდიოდა ცრემლი. ამას მზერდა ერთგული გივი, სწუხდა უზომოდ, ზოლო ვერ ჰპოებდა სიტყვებს, რომ ენუგეზა დიდი მგოსანი.

„აჰა, დიდმა განგებამ მომცა საბაბი, შემიმსუბუქა მძიმე ჯვარი, გამიადვილა ბერად აღკვეცა!“ — ფიქრობდა შოთა.

იქნებოდა ნაშუადღევის ოთხი ეამი. როს მოკმზადნენ წასასვლელად. გივიმ შეკაზმა ცხენები. საოცნებო სურათებად მოჩანდა ამ მწვერვალზე

დან თითქმის მთელი საქართველო: აღმოსავლეთით ქართლი, სამხრეთით — მესხეთი და შავი ზღვა, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით — ვრცლად გადაშლილი მშვენიერი კოლხეთი, ე. ი. იმერეთ-გურია-სამეგრელო და რაჭა-ლეჩხუმი თავის ნაყოფიერი ქალებით და აქოზირილი მთა-გორაკებით. იქ კიდევ შორს ჩრდილოეთით, ცის ტატნობზე, თეთრ ჩუქურთმებად მაღლა აწედილი კავკასიონის ქედი, რომელზედაც გოროზად ამართულა ამაყი უშბა, თეთნულდი და ორთავა იალბუზი. კარგა ხანს შეტრფოდა პოეტი ამ საოცნებო სანახაობას ცრემლით საღვთვლებით, შემდეგ ამოიხვნეშა მწარედ და წარმოსთქვა:

„ვთა სოფელო რაშიგან ხარ, რას გვარგუნებ, რა ზნე გქირსა,
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა...
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგნით განაწირსა!..“

შოთამ ერთხელ კიდევ შეაჩერა თვალები ირგვლივ გადაშლილ ბუნებას; ამოიკენესა „მშვიდობით“... და დაეშვა ქვემოთ გურიისაკენ მიმავალ შარაზე. კიდევ ერთი დღის მგზავრობა და ჩავიდნენ ციხისძირს. აქ ჩასხდნენ ორანძიან ხომალდში და შეუდგნენ ზღვით შორეულ მგზავრობას.

შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა

„... — სიძნელე მდგომარეობს არა იმაში, რომ გავიგოთ, რომ ბერძნული ხელოვნება და ებოსი დაკავშირებული არიან განვითარების გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმებთან. სიძნელე მდგომარეობს იმის გაგებაში, რომ ისინი კიდევ განაგრძობენ მოგვანიჭონ ჩვენ მხატვრული სიტკბოება და გარკვეულის აზრით ინარჩუნებენ ნორმისა და მიუღწეველი ნიშნის მნიშვნელობას“ — სწერდა კ. მ ა რ ქ ს ი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში.

ქართულმა რუსთაველოლოგიამ უკვე საკმაო სიცხადით ახსნა და გაარკვია, რომ გენიალური პოეტის — შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ უშუალოდ და ორგანიულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიის გარკვეულ საფეხურთან. ჩვენთვის უკვე საცხებით უდავოა, რომ მსოფლიო პოეტური ებოსის ეს ერთ-ერთი უშესანიშნავესი შედეგები წარმოიშვა მე-12 და მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე, იმ ეპოქაში, რომელიც ძველი საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანად“ არის ცნობილი, როდესაც არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან განთავისუფლებულმა საქართველომ, წვრილ ფეოდალურ ერთეულთა და მოუქიდებელი არსებობის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის დამყარების საფუძველზე, პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების არაჩვეულებრივ აღორძინებას და აყვავებას მიაღწია.

რომ „ვეფხისტყაოსანის“ შესავალში ჩვენ კიდევაც არ ვხვდებოდეთ ისეთ სტროფებს, რომლებიც პოემას გარკვეულად ათარიღებენ თამარის მეფობის ეპოქით, რომ რუსთაველს კიდევაც არ გაეშიფრა თავისი გენიალური პოემის შთამოგონებელი საგანი და არ ეთქვა:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ეთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამოჩნეული“.

ჩვენთვის მაინც გასაგები იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, მართალია, გენიალურად რთულ პოეტურს ასპექტში, მაგრამ მაინც მკაფიოდ ასახავს საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის სოციალურ ატმოსფერას, არა მარტო პოემის იდეურ-მსოფლმხედველობრივი შინაარსი, არა მარტო გარემოცვის აღწერილობანი და მომ-
7. „მართალი“ № 12.

ქმედო პერსონაჟის ურთიერთობათა ხასიათი, არამედ თვით სოციალური მაგისტრალიც იმდენად ღრმად და დაკავშირებული დასახელებული ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ ვითარებასთან, რომ რუსეთში (პ. ინგოროყვა და სხვ.) წამოყენებულია დებულება, რომ ამ უკვდავ ეპიურ ქმნილებაში მოცემულია მე-12—13 საუკუნის მიჯნაზე მცხოვრებში კონკრეტული ისტორიული პიროვნებების პოეტიზირებული ბიოგრაფიის ელემენტები, რა თქმა უნდა არა უბრალოდ და უშუალოდ მოთხრობილი, არამედ გარდაქმნილი და გადამუშავებული გენიალური პოეტის განუსაზღვრელი ფანტაზიისა, ღრმა იდეური მიზანთსწრაფვისა, უფართოესი მსოფლმხედველობრივი დიაბაზონის ნიადაგზე.

რუსთაველმა იმ დროინდელ მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან შეადგინა თავისი პოემის პერსონაჟი და უფართოეს გეოგრაფიულ სივრცეებზე გაშალა პოემის გმირთა მოქმედების არე, მაგრამ პოემის ტექსტის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი შეიძლება და წარმოშობილიყო მხოლოდ საქართველოში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროთა მიჯნაზე, იმ ეპოქაში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე აღწევდა და თავის საზღვრებში შეიცავდა მუსლიმანური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის ნაწილებს, როცა საქართველოში არაბული და ირანული კულტურის ტრადიციებთან ერთად იყალთოსა და გელათის აკადემიათა მეშვეობით მკვიდრდებოდა დასავლეთის ფილოსოფიური და სამწერლო გავლენები და ამ ორმაგ ურთიერთობათა ატმოსფეროში ყალიბდებოდა სპეციფიური ქართული კლასიციზმი, რომლის უბრწყინვალესი გამომშატველიც არის შოთა რუსთაველი.

რუსთაველი, როგორც ყოველი პოეტური გენია, თავისი დროისა და თავისი ქვეყნის უღრმეს მხატვრულ ანარეკლს გვაძლევს. ეს უდავოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დადგა რუსთაველი იმდენათ მაღლა თავის თანამედროვეობაზე, როგორ გადმოლახა „ვეფხისტყაოსანმა“ თავისი წარმოშობი სოციალური ფენისა და ეპოქის საზღვრები ისე დიდის მანძილით, რომ ასეთის შარავანდედით შემოვიდა განახლებულ კაცობრიობის სამყაროში, ჩვენს სოციალისტურ თანამედროვეობაში, შემოვიდა არა როგორც იშვიათი ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტი, არამედ როგორც ცოცხალი და მომქმედი, უაღრესი შემოქმედებითი ძალის შემცველი პოეტური კატეგორია, რომელიც არა მარტო ანცვიფრებს თავისი სიდიადით, არამედ ხიბლავს, აღელვებს და აღაფრთოვანებს კიდევ დიდი სტალინური ეპოქის ადამიანებს.

რა თვალუწვდენელი დროული მანძილი, რა დიდი სოციალური ძვრები და ცვლილებანი გვაშორებენ ჩვენ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქეებს, საშუალო საუკუნოებრივი საქართველოს ამ ქე-



მარიტად ჯადოქარი ხელოვნებისაგან, მაგრამ არასოდეს რუსთაველის პოეტური გენია ასე თავისუფლად და შეუზღუდველად გამოვიხატავს. ხის გულთან და გრძნობასთან არასოდეს ისეთი სრულზნებანობით არ შევლერია რუსთაველის უკვდავ შაირს, არასოდეს ისეთი დიდებითა და პრწყინვალებით არ შევუმსავთ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი სახელი, როგორც დღეს.

მუშათა კლასის უკვდავი მასწავლებელი ლენინი სწერდა ტოლსტოის შესახებ, რომ მისი შემოქმედების გადაქცევისათვის ხალხის ნამდვილ საკუთრებად საჭიროა სოციალისტური რევოლუცია.

მართალია, რუსთაველის პოემას ყოველთვის უდიდესი სიყვარულით კითხულობდა და იზებირებდა ქართველი ხალხი, ხალხმა დაიცვა იგი ფეოდალური და კლერიკალური რეაქციის მხრივ გამანადგურებელი დევნისაგან, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნისა და პოეტური ძალის, მისი მთელი იდეურ-ესთეტიური ღირებულების ყოველმხრივი გაგება და ათვისება ხალხის უფართოესი მასების მიერ შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში, რომელმაც გზა გაუხსნა მშრომელთა მილიონებს საკაცობრიო კულტურის ისეთი მწვერვალებისაკენ, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთაველის ქმნილება საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდებოდა ჩვენი ხალხის შეგნებაში და ყოფა-ცხოვრებაში. „ვეფხისტყაოსანის“ გარდაუვალი იდეური და ოსტატობრივი ზეგავლენით აღზეპდილია და შთაგონებული ქართული კულტურისა, ხელოვნებისა და მწერლობის ისტორია მთელი უკანასკნელი 7 საუკუნის მანძილზე. მაგრამ რუსთაველის „ლექსთა გრძელთა“ სამოქმედო ვიწრო იყო ეს ასპარეზი.

მხოლოდ დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა უფართოესი არე რუსთაველის გენიალურ მემკვიდრეობას, გადააქცია იგი ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხთა საკუთრებად.

მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში რუსთაველის პოემა არ გამოცემულა ისეთი რაოდენობით, როგორც იგი გამოიცა მარტო ქართულს ენაზე საბჭოთა საქართველოს არსებობის 16 წლის მანძილზე. ესაა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია, ან ითარგმნება ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთა ენებზე. და თუმცა ჯერ კიდევ არ მოგვიღწევია ამ მდგომარეობისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანმა სრულიად განაცდევინოს მკითხველს ამ დიადი ქმნილების არა მარტო იდეური შინაარსი და სიუჟეტური აღნაგობა, არამედ მისი პოეტური ფორმის მომზიბლავი ძალა და მიმზიდველობაც, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ამოცანის განხორციელებისათვის დიდის გატაცებით და გულწრფელობით მუშაობენ დღეს ჩვენი მომე ხალხთა საუკეთესო პოეტური ძალები.

წილს რუსთაველის ბარელიეფი პუშკინისა და შევჩენკოს ბარელიეფთან ერთად ამშვენებდა პარიზის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა

მაგილიონს. ეს ფაქტი თითქო სიმბოლიური გამოხატულება იმისა, რომ საბჭოეთის დიდ ქვეყანას, ჩვენს სოციალისტურ ეპოქას ფართო-საერთა-შორისო ასპარეზზე გამოაქვს ქართველი ხალხის პოეტური გენიის ეს უმაღლესი მიღწევა, რათა დამსახურებულად და ღირსეულად დააყენოს იგი მსოფლიო პოეტური კულტურის უმაღლესი მწვერვალების გვერდით.

მართალია, წინადაც რუსულ და ზოგიერთ ევროპულ ენებზე შესრულებული თარგმანების სახით, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში ფრაგმენტული ხასიათი ქონდათ, რუსთაველი გზას მიიკვლევდა მსოფლიო პოეტური კულტურის საუკეთესო მიღწევათა საგანძურისაკენ, მაგრამ საქართველოს ძალა არ შესწევდა მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის მისაწვდომი გაეხადა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც უძველესი გადაიტყეოდა მსოფლიო პოეტური კულტურის შემდგომი განვითარების ისეთივე მძლავრ ფაქტად, როგორსაც წარმოადგენენ ჰომეროსის, დანტეს და შექსპირის უკვდავი ქმნილებანი.

ფეოდალებისა და კლერიკალების საქართველო თავგამოდებით სდევნიდა, განადგურებით ემუქრებოდა „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ღოგმატისა და ფანატოზმის დამრღვევ ქმნილებას, როგორც თავისუფალი ადამიანური აზრისა და გრძნობის ნაყოფს.

დღეს ჩვენ უდიდეს სიძნელეთა გადალახვით გვიხდება აღვადგინოთ გენიალური პოეტის ბიოგრაფიის ძირითადი ფაქტები. პოეტის თანამედროვე საისტორიო წყაროები სდუმან რუსთაველისა და მისი ქმნილების შესახებ. მარტო ეს ფაქტი საკმაო მკერმეტყველებით გვიჩვენებს, თუ როგორის გაოცებით და სიძულვილით ებრძოდნენ „ვეფხისტყაოსანს“ იმ დროინდელი ცხოვრების მესვეურები, როგორის გულმოდგინებით ისწრაფოდნენ ისინი წაეშალათ ჩვენი პოეზიის ეს უბრწყინვალესი სახელი და შთამომავლობისათვის მოესპოთ მისი შემოქმედების კვალი. აქი ჩვენამდე ვერ მოაღწია რუსთაველის სხვა ქმნილებებმა. სპეციალისტების მიერ უკვე საკმაოდ დასაბუთებულია, რომ შოთა რუსთაველი ავტორი იყო კიდევ რამდენიმე დიდი პოეტური ნაწარმოებისა და მართლაც შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანი“ ყოფილიყო მისი ავტორის პირველი და ერთად-ერთი ნაწარმოები.

იმ დიდ ღაბრევათა და განადგურებათა ტალღა, რომლებიც თამარის მომდევნო ეპოქაში თავს დაატყდა საქართველოს, რასაკვირველია განსაკუთრებულის ძალით დაეჯახებოდა ქართული კულტურის ამ უდიდეს ძეგლს, ქართველი ხალხის ნაციონალური შემოქმედებითი გენიის ამ ერთ-ერთ უდიდეს გამოვლინებას.

ცნობილია, თუ რა დიდი ზეგავლენა მოახდინა „ვეფხისტყაოსანმა“ ალექსანდრე პუშკინის — 16 — 18 საუკუნის ქართულ მწერლობაზე; ამ პერიოდის ქართულს მწერლობაში აბსოლუტურად გაბატონდა რუსთაველის პოეტური ფორმა. მაგრამ აქ ოდნავადაც არ შენელებულა რეაქ-

ციულ-კლერიკალური ოპოზიცია რუსთაველის წინააღმდეგ, რუსთაველური შაირით ამეტყველებული ამ პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი „ვეფხისტყაოსანს“ გმობს, როგორც სულის წამწყვდეულ, ანტიქრისტიანულ მოვლენას და თუ მეფე თეიმურაზი პირველობაში ეცილება რუსთაველს, ცოტა უფრო გვიან მე-18 საუკუნეში, ანტონ კათალიკოსო ცეცხლში სწვავს და წყალში ჰყრის „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდვით გამოცემის ეგზემპლიარებს.

ანტონ კათალიკოსმა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა კლერიკალურ-ფეოდალური არისტოკრატის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანი“-სადმი.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველო თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიად გადაიქცა. იგი მოექცა „ხალხთა საპყრობილეში“, ცხადია, რომ თვითმპყრობელური რუსეთის მესვეურნი, რომლებიც საქართველოს განიხილავდნენ, როგორც მხოლოდ ნედლეულის ბაზას და კოლონიზატორული პოლიტიკის სარბიელს, ვერ შეამჩნიებდნენ, ვერ გაიგებდნენ და ვერ დააფასებდნენ ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის ბრწყინვალე ნაყოფს „ვეფხისტყაოსანს“.

ორმაგი მონობის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უძაფრეს უღელქვეშ მგმინავი ქართველი ხალხი კიდევ მეტი სიყვარულით იმსჯვალებოდა თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალებით გამსჭვალულ ამ პოემისადმი. მე-19 საუკუნის დიდი სამწერლო ტრადიცია ისევ ღრმად იყო აღბეჭდილი რუსთაველის შთამოგონებელი ზეგავლენით, მაგრამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ოფიციალურად მესვეური წრეებისათვის რუსთაველის ქმნილება აქ კიდევ უფრო გაუგებარი და მიუღებელი რჩებოდა.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რუსთაველისა და მისი პოემის ბედი საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებში, ქართული კულტურის ამ გაუგონარად დაცემისა და დაცინების პერიოდში. 2—3 წლით საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სათავეში მოქცეული მენშევიკური კონტრრევოლუცია ცდილობდა იმდენად დაეწვრილმანებია და დაეხურდა რუსთაველის ნემკვიდრეობა, რომ იგი თავისი ნაციონალისტურ მოვინისტური დემაგოგიის საშუალებათა არსენალში შეეტანა.

ასეთი იყო გენიალური რუსთაველისა და მისი უკედავი პოემის ბედი პროლეტარულ რევოლუციის ეპოქამდე. ხალხი ყოველთვის მშობლიური სიყვარულით ისწრაფვოდა „ვეფხისტყაოსანისაკენ“, როგორც დიდი ჰუმანური იდეალებით გამსჭვალული პოეტური ქმნილებისაკენ, „ვეფხისტყაოსანს“ სდევნიდნენ და გმობდნენ ყოველი დროის რეაქციული ძალები, გაბატონებული ექსპლოატატორული კლასები.

მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ — მხოლოდ ხალხის გაბატონებამ ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოუღო რუსთაველის პოემის დევნას და აქედან იწყება ქართველი ხალხის შემოქმედებით პოტენციის ამ უმაღლესი გამოვლინების ნამდვილი და ღირსეული დაფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დროშიც, საბჭოთა საქართველოშიც, ადგილი ჰქონდა უბადრუკ და უნიათო ცდებს რუსთაველის დიადი მემკვიდრეობის უარყოფისა და უქუცდებისა. ის ნილილისტური თვალსაზრისი, რომელსაც მთელი ქართული კლასიკური კულტურის მიმართ ანეითარებდენ საბჭოთა ხალხის შენიღბული მტრები, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარები, შეიცავდა მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს რუსთაველის პოემა მხოლოდ წარსულის საკუთრებაა, მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატის საგალობელია და მას არაფერი აქვს საერთო სოციალიზმის მშენებლობის ეპოქასთან, საბჭოთა ხალხის ინტერესებთან.

ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებაზე აღზრდილმა საბჭოთა ხალხმა გადაჭრით უქუაგდო და გააცამტვერა ასეთი ყალბი, მოღალატური კონცეპცია, შეთხზული სოციალიზმის და სოციალისტური კულტურის გამარჯვებებით გაცოფებული კონტრრევოლუციური კლასების ნამსჭრეფი ზის მიერ.

შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის აღსანიშნავად იუბილე, რომელსაც ასეთის ერთსულოვანი აღფრთოვანებით დღესასწაულობს საქართველოს საბჭოთა ხალხი, არის კულტურული მემკვიდრეობისადმი და მოკიდებულების ლენინურ-სტალინური მოძღვრების ნამდვილი ტრიუმფი.

ის გარემოება, რომ ქართული კულტურის ეს უდიდესი დღესასწაული შორს სცილდება საქართველოს საზღვრებს, რომ მას თანაბარის სიყვარულით და ინტერესით აღნიშნავენ ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები, რომ ამ იუბილეს ეხმაურება მთელი მოწინავე, პროგრესული კაცობრიობა, მკერმეტყველურად გამოხატავს ნაციონალურ კულტურათა აღორძინებასა და აყვავებას, იმ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, რომლებიც შექმნილია ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

„საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი შოვლენაა ქართული პოეზიის გენიოსის — შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი“ — ამბობდა ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა საქართველოს ბოლშევიკების მეათე ყრილობაზე.



სოციალიზმის მშენებელი ხალხი ერთად-ერთი ნამდვილი მემკვიდრეა და ღირსეული დამფასებელი საკაცობრიო კულტურის ყველა საუკეთესო მიღწევისა, და მათ შორის რუსთაველის გენიალური პოემისაც.

რით აიხსნება სოციალისტური ეპოქის ხალხის ასეთი განსაკუთრებული სწრაფვა და სიყვარული „ვეფხისტყაოსანი“-სადმი?

ერთი მხრივ იმით, რომ რუსთაველმა ღრმად და ორგანიზულად ასახა თავის დიად პოეტურ ქმნილებაში ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხური და უაღრესად პროგრესიული როლი შეასრულა თავისი თანამედროვეობის მიმართ.

ამ შემთხვევაში უმთავრესი ეს კი არ არის, რომ რუსთაველი, როგორც განათლებული აბსოლუტიზმის მომხრე, თავისი პოლიტიკური თვალსაზრისით იმ დროინდელ საქართველოს პირობებში მეტბოლ პოლიტიკურ ბანაკთა შორის უფრო პროგრესიულ და მოწინავე ბანაკს ეკუთვნოდა. მთავარი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“-ს ავტორი თავის იდეებით, თავისი მსოფლმხედველობით მალე დადგა მთელს თავის თანამედროვეობაზე და თავისი უკუდავი ქმნილება იმდროინდელ მსოფლიოსათვის იმდენად მოწინავე და პროგრესიული იდეებით აასულდგმულა, რომ იგი დღესაც არ კარგავს თავის სიცოცხლეს, და უეჭველია დიდის ინტერესისა და ყურადღების საგნად დარჩა მომავალი თაობებისათვისაც.

სოციალიზმის მშენებელი ხალხი თავის საამაყო მემკვიდრეობად სთვლის წარსულის კულტურის ყოველ ისეთ მოვლენას, რომელიც პროგრესიულ როლს ასრულებდა თავის კონკრეტულ ისტორიულ გარემოებაში და ამრიგად ზელს უწყობდა კულტურის, აზროვნებისა და სოციალურ ფორმაციის იმ მიმართულებით განვითარებას, რომელმაც საბოლოო აწ-გარიში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალიზმის დამკვიდრებამდე მიგვიყვანა.

საშუალო საუკუნოებრივი საქართველოს სინამდვილეში რუსთაველმა შექმნა მონუმენტალური ეპიური ნაწარმოები, თავისუფალი რელიგიური დოგმატიზმისაგან, სარწმუნოებრივი და ნაციონალური განსაზღვრულობისაგან, ნაწარმოები ღრმად მთავოვნებული ადამიანის აზრისა და გრძნობის თავისუფალი იდეით.

რუსთაველის გაგება ღვთაებისა ვერ თავსდება ვერც იმდროინდელ და-საეღეთის დოგმატიზმის, ვერც აღმოსავლური მუსლიმანური ფანატიზმის ჩაჩბებში. მისი პოეტური გენია დაუდგრომლად არღვევს საშუალო სა-უკუნოებრივი დოგმატიზმის არტახებს და მძლავრად გამოხატავს ადამი-ანის აზრის დაუცხრომელ სწრაფვას თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისაკენ.

ამ მხრივ რუსთაველმა წინ გაუწრო არა მარტო თავისი დროის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მწერლობასა და აზროვნებას, არამედ ევროპული რენესანსის უდიდეს პოეტს — დანტესაც, რომლის „ღვთაებრივი კომედია“, დაწერილი „ვეფხისტყაოსანზე“ ორნახევარი საუკუნით გვიან, ღრმად არის აღბეჭდილი რელიგიური სქოლასტიკის დალით.

გასაგებია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ღრმად ჩასწვდებოდა გულში თავისუფლებაზე მეოცნებე და თავისუფლებისათვის მებრძოლს ყოველ დროის ადამიანს, მაგრამ განსაკუთრებულის ელვარებით შემოდის ეს წიგნი იმ ეპოქაში, რომელმაც საბოლოოდ დაამსხვრია ყოველგვარი სქოლასტიკური ზღუდეები, გაანთავისუფლა ადამიანი ცრუმორწმუნეობათა კოშმარისაგან და განუსაზღვრელი გასაქანი მისცა ხალხის აზრისა და გრძნობის თავისუფლებას.

„ვეფხისტყაოსანი“ ღრმად არის გამსჭვალული იმ ფართო ჰუმანისტურ იდეებით, რომლებიც გაცილებით გვიან დამკვიდრა დასავლეთის მწერლობასა და აზროვნებაში ევროპული აღორძინების ეპოქამ.

რუსთაველის პოემაში დაუდგრომლად ებრძვის და ამარცხებს ნათელი — ბნელს, კეთილი — ბოროტს, სამართლიანობა — უსამართლობასა და ძალმომრეობას.

ეს გამოხატულია არა მარტო ისეთ უქნობ აფორიზმებში, როგორც მაგ.: „ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელიო“ ან კიდევ: „რადა იგი სინათლე, რასაცა აბლავს ბნელია“, არამედ პოემის მთელ სიუჟეტურ განვითარებაში.

პოემის სიუჟეტური დრამის მამოძრავებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სამი გმირის, უსაზღვრო ურთიერთ მეგობრობისა და თავდადების გრძნობით შეკავშირებული ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონის ბრძოლა ნესტან-დარეჯანის დასახსნელად ქაჯეთის ციხიდან.

მშვენიერებისა, ნათელისა და უმაღლეს ადამიანურ ღირსებათა განსახიერება — ნესტან-დარეჯანი ტყვეობაში ყავს ბოროტებისა, ტლანქი ძალმომრეობის და ბნელეთის განსახიერებას — ქაჯეთს.

სიყვარულისა, მეგობრობისა და გმირობის უმაღლესი გრძნობებით შთაგონებული სამი რაინდი მცირე-რიცხოვანი ამალით, თავს ესხმის ქაჯეთის მიუვალ ციხე-სიმაგრეს, ანადგურებს მას და ანთავისუფლებს გველის ტყვეობაში მყოფ მთვარეს — ტარიელს უმშვენიერეს სატრფოს — ნესტან-დარეჯანს.

გასაგებია, რომ უსამართლობასა, ბოროტებისა და ბნელეთის წინააღმდეგ ამხედრებული ყოველი დროის ადამიანი „ვეფხისტყაოსანში“ თავის საუკეთესო მისწრაფებათა მაღალ პოეტურ გამოხატულებას პპოულობდა, ბუნებრივია, რომ ამ პოემას დიდის გატაცებით ჰკითხულობს საბჭოთა ხალხი, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედზე ძლეა-

მოსილად გაანადგურა მონობისა და უსამართლობის ქაჯები და სოციალისტების მზის ელვარებით განდევნა ბნელეთისა და ბოროტების სიქევე.

რუსთაველის პოემა შთაგონებული პიშია გმირობისა და ვაჟა-ფშაველესი ღირსების გამომატველი სტრიქონები „ვეფხისტყაოსანი“-სა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა — სიკვდილი საბელოვანი“, „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“, „არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა“ და მრავალი სხვა.

რუსთაველის გმირები გვზიბლავენ და გვანცვიფრებენ თავიანთი უშიშრობით, ძლიერებით, თავდადებით, უმაღლესი რაინდობით.

უეჭველია პოემა გმირობითა და მეტაფორული სულისკვეთებით აღაფრთოვანებდა, რწმენასა და გამბედაობას შთაუწერგავდა ყოველი დროის საუკეთესო ადამიანებს, მაგრამ ეს გმირობის დაუშრეტელი საგალობელი განსაკუთრებით ახლობელი უნდა იყოს ყველაზე გმირული ჩვენი ეპოქისათვის, ჩვენ მართლაც და გმირი ხალხისათვის, რომელმაც არ იცის უკან დახევა დაბრკოლებათა წინაშე, რომელმაც ქვეყანას უჩვენა გმირობისა და ვაჟა-ფშაველესი მართლაც და სასწაულებრივი მაგალითები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვრების შეუვალობის უზრუნველყოფის საქმეში, სოციალისტური შრომის ფრონტზე.

რუსთაველის პოემა განათებულია სიყვარულისა, მეგობრობისა და მშვენიერების იდეით. მისი გმირები უმაღლესი გარეგანი და სულიერი ღირსებით აღჭურვილი ადამიანები არიან. პოემის მთელი განვითარება გამოხატულებაა სიყვარულის ამამალღებელი ძალისა, სიყვარულის, რომელიც რუსთაველს თავისებურად ესმის: ეს ცნება რუსთაველისათვის არც „სიძეა“ და „მტლაშა-მტლუშია“, არც ტრუბადურთა პოეზიაში დამკვიდრებული ქალისადმი რომანტიკულ-იდეური თავყვანისმცემლობის კულტი.

ყოველი დროის ადამიანისათვის მომზიბლავი და წარმატცი იქნება ის დიადი გრძნობა, რომელითაც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვხედავთ მეგობრობისა და ურთიერთობისათვის თავგანწირულს იდეალურ გამოხატულებას.

შორეულ წარსულში, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და მონობის ეპოქაში რუსთაველმა განუმეორებელი პოეტური ძლიერებით უმღერა ადამიანის ამ უმაღლეს ღირსებებს და ამით დაურღვეველი ხიდი გასდო თავის შემოქმედებისა და ჩვენს დიად თანამედროვეობის შორის, რომელიც მოასწავებს საუკეთესო ადამიანურ გრძნობებისა და ღირსებების დამკვიდრებას ხალხის უფართოეს ფენებში.

რუსთაველის პოემაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ჩვენი დროის ადამიანის მორალურ შეგნებასთან მეტად დაახლოვებულ თვალსაზრისს. ვაგის-

სენათ თუნდაც რუსთაველის ბრწყინვალე და უკუდავი სიტყვებით: „ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხედი“ და მანამდე მთელ სივრცეზე ქალები მამაკაცთა თანასწორად გამოსჩინან, როგორც აზროვნებისა და გრძნობათა სიდიადის მხრივ, ისე მოქმედებისა და აქტიურობის თვალსაზრისით.

რუსთაველი უახლოვდება და ეხმაურება სოციალისტური ეპოქის ადამიანებს თავისი დიდი ინტერნაციონალური შეგნებით. მან არ განსაზღვრა თავისი პოემის პერსონაჟი და თავისი გმირების მოქმედების არე თავისი სამშობლო ქვეყნის ფარგლებით. მან მეგობრობითა და ურთიერთ სიყვარულის გრძნობით დაკავშირა სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანები, რაც ისე უცხო იყო საშუალო საუკუნოებრივი მწერლობისა და აზროვნებისათვის და რაც ასე დამახასიათებელია ხალხთა სტალინური მეგობრობის ეპოქისათვის, ჩვენი თანამედროვეობისათვის.

მაგრამ ეს დიდი ინტერნაციონალური შეგნება „ვეფხისტყაოსანში“ ღრმად არის დაკავშირებული პატრიოტიზმის იდეასთან. რუსთაველის გმირებს განუსაზღვრელად უყვარს თავისი სამშობლო და თავისი ხალხი. ისინი თავგანწირვით იბრძვიან თავისი ქვეყნის დაცვად დამპყრობლებისაგან, თავის ხალხის თავისუფლებისა და ღირსების შეუღებლად დაცვად.

თავიანთი პირადი ბედის უაღრესად ტრაგიკულ მომენტებშიც ისინი ღრმად იფიქრებენ თავისი სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას და ინტერესებს. ამის უძლიერეს საბუთს წარმოადგენს ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან ტარეილისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც უმაღლესო ტანჯვა-წამებაში მყოფი ნესტან-დარეჯანი სთხოვს თავის გმირ მიჯნურს წაიღეს და იბრძოლოს თავისი სამშობლოს — ინდოეთის სახელისა და ღირსებისათვის.

აქაც შორეულ წარსულის უდიდესი პოეტი ეხმაურება საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლესი იდეით გამსჭვალული საბჭოთა ხალხის აზრსა და გრძნობას.

ამრიგად სოციალისტური ეპოქის ადამიანი „ვეფხისტყაოსანს“ აფასებს არა მარტო როგორც რუსთაველის დროის პოეტურ მიღწევას, ეპოქისათვის უაღრესად პროგრესიულ მოვლენას, არამედ როგორც ისეთ წიგნს, რომელიც შეიცავს ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობისათვის აქტუალური და ახლობელი იდეების განსხეულებას ქვეყნიშობის პოეტურ ფორმაში.

თავისი ეპოქის ნიადაგზე მტკიცედ მდგარმა, თავისი დროისათვის პროგრესული იდეებით შთაგონებულმა გენიალურმა პოეტმა ჩამოძირა ისეთი პოეტური სახეები, რომელთა შემოქმედებითი ძალაც არ შემოიფარგლა დროისა და ტერიტორიის ლოკალით. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდ გამოხატული რუსთაველის სოციალური

მარწმისი უშუალოდ არის განპიროვნებული იმდროინდელი საქართველოს ვითარებით და პოეტის წარმომშობი კლასის მსოფლგანათლებლობის დიდის სიყვარულით წაიკითხავენ მომავალი თაობებიც და, რასაც ვერცელია არა მარტო საქართველოში.

ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ გაუძლო საუკუნეებს და უდიდესი შემოქმედებითი ძალა შეინარჩუნა ჩვენს ეპოქაშიც, აიხსნება აგრეთვე ქართული კულტურის ამ დიადი ძეგლის პოეტური ფორმის ორგანიულობით, სრულყოფილობით, შეუდარებელი სიძლიერით.

რუსთაველმა, როგორც მეტაფორების, აფორიზმების, უმიდრესი რითმის შეუდარებელმა ოსტატმა, პლასტიური სახეების და ადამიანთა სახეების განუმეორებელმა მხატვარმა, პოეტური ფრაზის მუსიკალური კომპოზიციის ნამდვილმა ვირტუოზმა, თავის ქმნილებას შთაბერა ის „მარადიული მშვენიერება“, რომელსაც გ. მარქსი მიაწერდა ანტიური ეპოქის მწერლობისა და ხელოვნების უდიდეს ძეგლებს.

3

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში შოთა რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს შესახებ, ნათქვამია, რომ რუსთაველმა წარუშლელი გავლენა მოახდინა შემდგომი ქართული მწერლობის განვითარებაზე და გავლენას ახდენს თანამედროვე ქართულს ლიტერატურაზეც.

რუსთაველი ქართული მწერლობის მამამთავარი და უდიდესი მასწავლებელია. მან შექმნა და დაამყვიდრა ის სალიტერატურო ენა, რომელზედაც ნვითარდება ქართული მწერლობა მე-12 საუკუნიდან—დღემდე. მან პირველმა პოეზია დაუბლოდა ხალხის სალაპარაკო ცოცხალ ენას და თავის ქმნილებაში ფართოდ გზა გაუხსნა ხალხური შემოქმედების ფორმებს და მოტივებს.

არა მარტო აღორძინების ხანის მე-16—18 საუკუნის მწერლობა, რომელშიაც აბსოლუტურად ბატონობდა რუსთაველის შიირის რიტმი და მეტრი, სახეთა და მეტაფორათა რუსთაველური სისტემა, არამედ მე-19 საუკუნის მწერლობაც, რომელიც სრულიად ახალ პერიოდს წარმოადგენდა ქართული მწერლობის მთელს განვითარებაში, ღრმად არის განაყოფიერებული რუსთაველის ზეგავლენით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ნათლად გამოსკვირვის რუსთაველის პოეტური გენიის გამოძახილი და გასული საუკუნის ქართული ლექსის ეს ჰერმეტიკი კორიფეები არც მალავენ, პირიქით რუსთაველისადმი მიძღვნილ აღფრთოვანებულ ლექსებში გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას წარსულის ამ უდიდესი პოეტისადმი, როგორც პოეზიის გარდუვალ მეტრისა და გადაუღახველი მწვერვალისადმი.

რას სწავლობს რუსთაველისაგან სოციალისტური ეპოქის ქვეყნა?

პირველ ყოვლისა სამყაროსადმი ფიზიკურ რეალისტურულ მოყვარულებას.

რუსთაველმა საშუალო საუკუნოებრივი საქართველოს სინამდვილეში შექმნა მისტიური და მითიური შინაარსისაგან თავისუფალი მონუმენტალური პოეტური ქმნილება, დიდი გრძნობებისა და ვნებათა ცოცხალ ადამიანურ ხასიათებში, ჩამოაყალიბა ადამიანების რეალურ ურთიერთობათა ნიადაგზე გაშლილი ღრმად დამაჯერებელი და მიმზიდველი სიუჟეტი. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული მხატვრული რეალიზმის მთელს ტრადიციას.

რუსთაველის პოემა იბრძვის მაღალი აზრის პოეზიის დამცვიდრებისათვის, იგი გვასწავლის, რომ პოეზია პირველად ყოვლისა მხატვრულ ფორმაში განსხვავებული სიბრძნეა: რუსთაველის პოეტის ლეიტმოტივი გამოხატულია მის შესანიშნავ თქმაში: „შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი“ და მართლა, „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური სიბრძნის შეუღარებელი დოკუმენტია; რომელშიაც ჭეშმარიტად მომაჯადოებელი პოეტური ფორმა ასულდგმულებულა აზრის მძლეობით, ფილოსოფიური სიღრმით, რად ღირს მარტო ავთანდილის ანდერძი, ან მისი ღრმად ლირიული მიმართვა მნათობებისადმი.

თუ თანამედროვე ქართულს პოეზიაში ადგილი აქვს სწრაფვას სიუჟეტური ლექსისა და ეპიური ფორმებისაკენ, ეს იმიტომ, რომ რუსთაველმა შექმნა ქართული პოეტური ეპოსის ბრწყინვალე ტრადიცია:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მოხურთალსა მოედანი, მართლად ცემა მარჯვედ ჭევე,
მართ აგრჯთვე მოლექსეთა საუბართა ტკბილთა ფრქვევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“.

ქართული საბჭოთა პოეზია რუსთაველისაგან სწავლობს ღრმა პრინციპულობას, პოეტური შემოქმედების მიზანმიმართულების გარკვეულობას:

„ჩამს მოლექსე ნაჭირებმა მისსა ცუდთ არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშვიობდეს,
ყოველსა მოთვის ხელოვნობდეს, მას აჭებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მოთვის ენა მუსიკობდეს“.

რუსთაველი ებრძვის ბუნდოვანებას პოეტურ შემოქმედებაში. „ვეფხისტყაოსანი“ ნათელი და გამსჭვირვალე საღებავებით შესრულებული პოეზია. სოციალისტური ეპოქის პოეზია, რუსთაველისაგან სწორედ სიკბანისა და სინათლის ოსტატობას სწავლობს:

„ჩვენ მათიკა გვიამების, რაცა ოდენ თქვენ ნათელად“. ცნობილია, რომ საბჭოთა ქართული პოეზიის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკას შეი-

ზაფის მხედველობისაკენ ძლიერი სწრაფვა წარმოადგენს. თანამედროვე ქართველი პოეტები ადამიანის განწყობილებისა და განცდების მატერიალურ ღრმად აკავშირებენ ბუნების ასულდგმულბუნებულ ასახვასთან. თანამედროვე პოეზიის პირველი და უდიდესი მასწავლებელი რუსთაველია, რომელმაც შეუდარებელი სიძლიერით გამოხატა ადამიანის განწყობილების ურთიერთობა ბუნების სამყაროსთან:

„რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდინ,
მისვე ხმისა სიტყვისაგან წყლით ქვანიცა გამოსდინან,
ისმენდიან, გაჰყვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იზღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.

რუსთაველისგან მოდის წერის ის აფორისტული მანერა, რომელსაც ხშირად ვხვდებით თანამედროვე ქართულს პოეზიაში, რუსთაველისაგან მიიღო საბჭოთა ქართულმა პოეზიამ მისთვის ამდენათ დამახასიათებელი გატაცებები მეტაფორებით.

რუსთაველმა დანერგა და დაამკვიდრა ქართულს პოეზიაში ის გმირული სული, რომლითაც ღრმად არის გამსჭვალული საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზია.

რუსთაველი სიცოცხლობს ქართულს საბჭოთა პოეზიაში. როცა ქართველი საბჭოთა პოეტი უმღერის თავის სამშობლოს სიდიადესა და უძლეელობას, იგი თავისი ქვეყნის მოუთრგუნავი ძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად რუსთაველის პოეზიას სახავს:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა, —
პატარა, — მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც კშობა გმირი სტალინი
დამამხოხებელი ქვეყნად ზნელისა,
როგორ დაჰყენება მთების მშვენიება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუჭრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?“

(აღიო მაშაშვილი)

როცა თანამედროვე ქართველი პოეტი შთაგონებულად ხატავს იმ გარემოს, რომელშიც თავისი ყრობის წლები გაატარა, ხალხთა გენიალურმა ბელადმა, დიდმა სტალინმა, მის პოეტურ წარმოდგენაში თითქმის მოულოდნელად გაიფრთხილა რუსთაველის ბრწყინვალე სახელი და ცოცხლდებიან რუსთაველის გამოძერწილი სახეები:

„მიწას მიკრული, როგორც მტკაველი
მტკვარი ეღვარება ქართლის უბეში,
თითქო გადააქვს ხმა რუსთაველის
საუკუნიდან საუკუნეში.“

აფთხილით მტკვარი მოიხმო
მგონის გულში და სიმღერა ეცადეთ
მოიხმო მუშთარ, მზე და მარბი
და მსოფლიოში გაშალეს ბადე“.

ერეკნული
გიგლირთუქა

(ს. ჩიქოვანი)

„ჩვენი დროც ახალ რუსთაველს ელის“ — ამბობს გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც თავის ღრმა პოეტურ დამოკიდებულებას გარემოცვისადმი ზოგჯერ რუსთაველის პოემის სტროფებში გარდატეხს ხოლმე:

„ესა, დედამიწას, ადამიანურს
ვეფხის სტრიქონებში ეხედავ არეულს“.

ს. შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი ქართულს პოეზიაში დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობენ, როცა თავიანთ ლექსებში რუსთაველს სახავენ პოეტური შთაგონების სათავედ და პოეტური მეტყველების დღემდე გადაულახველ მეტრად.

პოეტმა ირაკლი აბაშიძემ გულწრფელად და ამღერებულ ლექსით გამოხატა შოთა რუსთაველის ტრიუმფალური შემოსვლა ჩვენი დიადი სამშობლოს მშენებლობისა და შემოქმედების სინამდვილეში, ხოლო გიორგი კაჭახიძემ ლექსში „შოთას ხალიჩა“ მკაფიოდ გვიჩვენა, თუ როგორ სცოცხლობს წარსულის გენიალური პოეტი ქართული მშრომელი ხალხის დღევანდელს ყოფა-ცხოვრებაში.

პოეტი ალ. აბაშელი „ვეფხის ტყაოსნის“ გმირებს განიცდის, როგორც ჩვენი დროის დიადი ბრძოლების მონაწილეებს:

„დაუტრომელო გმირებო, რკინის სამტკიცით ნაგებო,
სინათლისათვის მებრძოლთა უცედავო ამხანაგებო,
მახარებს ჩვენს დიდ ბრძოლაში თქვენი გმირული შემოსვლა,
თქვენი ბრწყინვალე სახელის ახალი სხივით შემოსვა“.

საუკუნეთა მანძილზე შეუწელებელს ინტერესს რუსთაველის პოემის გმირებისადმი გამოხატავს აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილი რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსში:

„შენი გმირობის გზება და ფარჩა,
შენი ვეფხების გრვეინვა ალური
საუკუნეთა სხონაში დარჩა,
როგორც სიმღერა ლეგენდარული“.

ხოლო გიორგი ლეონიძე ღრმად გვაგრძნობინებს რუსთაველის მემკვიდრეობის სიახლოვეს ქართველი ხალხის გულთან და გრძნობასთან:

„წიგნი კი არა — დილა ხარ
ქართველი ხალხის ნათელი!
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი...“



რუსთაველის უკვდავი პოემისადმი ჩვენი დროის მთელი ახალ-გაზრდობის დამოკიდებულების გამოხატულებაა კომპოზირებულ პოეტის ო. ლ. გ. ო. მ. ი. ა. შ. ვ. ი. ს. სიტყვები:

„მე ვიღებ ხელში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“
გამარჯვებული შთაგონების გრივალის ბინად“.

დაეკმაყოფილდეთ ამ რამდენიმე მაგალითით იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ღრმა არის რუსთაველის გავლენა და რეზონანსი სოციალისტური ეპოქის ქართულს პოეზიაში.

თუ საუკუნეთა მანძილზე რუსთაველი მხნეობასა და გამძლეობას მატებდა ქართველ ხალხს და წვრთნიდა მის ზნეობასა და შეგნებას, ჩვენს სოციალისტურ თანამედროვეობაშიაც „ვეფხისტყაოსანი“ დაუცხრომლად ემსახურება კომუნისტური ცხოვრების მშენებელი ხალხის იდეური და ესთეტიკური აღზრდის საქმეს. რუსთაველის პოემა შედის სოციალისტური კულტურის მშენებლობის არსენალში.

ამიტომ უყვარს საბჭოთა ხალხს „ვეფხისტყაოსანი“.

ამიტომ მოსავს ჩვენი სამშობლო ასეთი დიდებით რუსთაველის ბრწყინვალე სახელს და დიადი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფის გარემოცვაში დიდი სახალხო დღესასწაულით ზეიმობს მისი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავს.

პავლე ინგოროვა

ქართული ღივჩაგუჩის განვითაჩების გზები და ჩუსთაველი

ძველი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი შოთა რუსთაველის პოემას აღარებს ცოცხალ ხეს, რომლის რტოები მუდმივად გამოსცემენ ნაყოფს, ხოლო ფესვები ღრმად არის გადგმული მიწაში.

რუსთაველის პოემა მართლაც არის ასეთი მუდმივად ნაყოფის მომცემელი ცოცხალი ხე ქართული პოეზიისა, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული ქართულის მიწაში. რუსთაველის პოემა თავისი ძირებით ორგანიულად დაკავშირებულია ძველი საქართველოს კულტურასთან, იგი არის ნაყოფი ძველი ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარებისა, უმაღლესი გამოვლინება ამ კულტურის.

რუსთაველის შემოქმედება შეუძლებელია ახსნილ იქნას მთელის საესებით ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირების გარეშე, ძველი ქართული კულტურის რთული სპეციფიკისა და ლიტერატურული გარემოს გაუთვალისწინებლად.

წინამდებარე წერილში ჩვენ მიზნად ვისახავთ გაეაშუქოთ მაგისტრალური ხაზები ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებისა, და ვუჩვენოთ ის პირობები, რომელთაც მოამზადეს რუსთაველის უკვდავი ქმნილების წარმოშობა.

ქართულ კულტურას უძველესი სათავეები აქვს.

ქართველები არიან პირდაპირი შთამომავალი და კულტურის მემკვიდრე ხეთას წლის ხალხთა, რომელთაც უძველეს ხანაში შექმნეს ბრწყინვალე კულტურა, ერთ-ერთი წამყვანი კულტურათაგანი ძველი აღმოსავლეთისა. არქაული დამწერლობის ძეგლები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე და პირველ ათასეულს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, შეიცავენ

ცნობებს ქართველი ხალხის უშუალო წინაპრების ხეთას ჯგუფის/ხალხების — მუსხების (მესხების) და თობელების (ჰიბერების) მემკვიდრეობას. მელთაძე ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ხეთას ხალხსა და ქართულ კოლექტივში მე-12 საუკუნიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა კატასტროფის შემდეგ მცირე-აზიის ტერიტორიაზე, მომდევნო საუკუნეებში ყალიბდება საქართველოს სახელმწიფოებრივობა კავკასიაში, საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე.

ჩვენ აქ არ შევდივართ ქართული ხალხის უძველესი ისტორიის განხილვაში და აგრეთვე არ ვეხებით საკითხს არქაულ დამწერლობათა შესახებ ხეთას ხალხთა ენებზე. ჩვენ მიმოხილვას აქ ვიწყებთ საკუთრივ ქართულ ლიტერატურიდან, რომელიც თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე განვითარდა, და რომელიც სარგებლობდა არა ქართულის ტიპის რომელიმე ძველი ენით, არამედ საკუთრივ ქართული ენით; ე. ი. იმ ენით, რომლითაც დაწერილია შოთას „ვეფხისტყაოსანი“ და რომლის ტრადიციები განუხრელად გრძელდება დღემდე.

ლიტერატურა ქართულს ენაზე შესაძლოა შესწავლილ იქნეს ჩვენი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობაში, 15 საუკუნის მანძილზე. უძველესი ძეგლები ქართული ლიტერატურისა, რომლებიც ჯერჯერობით აღმოჩენილია, ეკუთვნის მე-4 — 5 საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვისა.

მაგრამ დასაწყისი მწერლობისა ქართულს ენაზე, როგორც ეს შესაძლოა დადგენილ იქნეს მთელ რიგ მონაცემთა მიხედვით, ბევრად უფრო ადრინდელს ხანას ეკუთვნის, ვიდრე მე-4 საუკუნე. ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც შეუმუშავებიათ და შეუფარდებიათ ქართული ენისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში. ქართული ანბანი გამოპყობია მცირე-აზიურ არქაულ ალფაბეტების ჯგუფს უძველეს ხანაში, და მისი სათავეები, როგორც ირკვევა, თვით ხეთურ ეპოქამდე აღწევს.

დაღუპვა ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგლებისა, რომლებიც მე-4 საუკუნეზე უწინარეს დროს ეკუთვნოდნენ, გამოწვეული იყო ქრისტიანობის გავრცელებით საქართველოში, რაც მე-4 საუკუნის დასაწყისში მოხდა. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდევნიდა ეგერეთოდებულ „წარმართულ“ ხანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ამის შედეგად წინა-ქრისტიანული მწერლობის ძეგლები ხმარებიდან გამოვიდა, ზოგი მოსპობილ იქნა, ზოგიც თანდათანობით დავიწყებას მიეცა და ამ გზით დაიღუპა. აქ ჩვენ გვაქვს სრული ანალოგია ირანის ისლამის წინა-დროინდელი ლიტერატურის ისტორიასთან, როდესაც, მუსულმან-ბ. „მნათობი“ № 12.

ნობის გაბატონების შედეგად, თანდათანობით მოისპო უმდიდრესი ის-
ლამის წინა-დროინდელი ირანული (ფაჰლავრი) ლიტერატურა.

მანც წინა-ქრისტიანული ქართული მწერლობის გავრცე-
ვია, უკვალოდ ვერ გაპქრებოდა და ეს გავლენა მოსჩანს კიდევ მომ-
დევნო ხანის ქართულს ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა ლიტერატუ-
რამ, რომელიც მე-4 საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა,
შეითვისა ძველი „წარმართული“ მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე —
სიანს — ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ ტრადიციე-
ბი საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატუ-
რამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, კულტივირებუ-
ლი უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ
ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველეს ტექსტებში უკვე მოცემულია
ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები, და ისეთი ძვე-
ლები, როგორიცაა მაგალითად იაკობ ცურტაველის საისტორიო თხზუ-
ლება, რომელიც ზუსტად მე-5 საუკუნით თარიღდება, ეკუთვნის ძველი
ქართული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებათა რიცხვს.

ქართული ლიტერატურის განვითარების გზები დაწყებული მე-4-5
საუკუნეებიდან — ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, ე. ი. მე-12-13 საუკუნე-
ბამდე, წარმოადგენს მთელ რიგ თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩე-
ვს ქართულს ლიტერატურას საშუალ-საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერა-
ტურათა ციკლიდან. პირველი და ძირითადი თავისებურება ის არის, რომ
საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო წმინდა საერო მხატ-
ვრულმა მწერლობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს უახლოეს მე-
ზობლებს, ბიზანტიის წრისა და წინა-აზიის ქრისტიანული მსოფლიოს
ხალხებს, ბერძენ-ბიზანტიელებს, სირიელებსა და სხვებს არ მოეპოვებო-
დათ საშუალ-საუკუნეთა განმავლობაში საერო სიტყვა-კაზმული ლიტე-
რატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლის შედარებაც შე-
იძლებოდა ქართულთან. ქართული მწერლობა ამ მხრით წარმოადგენს
ყველაზე შესანიშნავსა და ყველაზე მნიშვნელოვანს მოვლენას საშუალ-
საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა შორის.

სურათის სისრულისათვის საჭირო იქნება აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც,
რომ ქართული მწერლობა საშუალ-საუკუნეებისა არ განისაზღვრებოდა
მარტო საერო მხატვრული ლიტერატურის დარგით. ამას გარდა ქარ-
თულს მწერლობაში მდიდრად იყო წარმოდგენილი ყველა დანარჩენი
დარგებიც, რომლებსაც კი ვხვდებით საშუალ-საუკუნეთა სხვა ლიტერა-
ტურაში. ასეთებია: ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია); აგოგრაფია
(თაღისებური ელფერი სასულიერო მხატვრული მწერლობისა, მოთხრობები
სასულიერო ელფერით, აპოკრიფები, ლეგენდარული თხრობანი და სხვ.);
თეოლოგიური ლიტერატურა ცალკეა აღსანიშნავი. განსაკუთრებით მნი-
შვნელოვანი დარგი ძველი ქართული მწერლობისა — ისტორიოგრაფია, არა



მხოლოდ სასულიერო. არამედ პირველ რიგში საერო, რუსთაველის შემოქმედება უძვირფასესი მემკვიდრეობა, მთელი რიგი პირველ-ხარისხის ძეგლები; შემდეგ — საფილოსოფიო ლიტერატურა (უმთავრესად ნეო-პლატონიკოსები); და აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის დარგები (მედიცინა და ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ასტრონომია — შეთავსებით ასტროლოგიასთან და სხვ.).

ქვემოთ, ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მიმოხილვის დროს, ჩვენ მხედველობაში გვექნება პირველ რიგში საერო მხატვრული მწერლობა და ძველი ქართული მწერლობის დანარჩენ დარგებზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

* * *

ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე სამი პერიოდი გაირჩევა, რომლებიც შემდეგს ქრონოლოგიურ რკალებს მოიცავს:

პირველი პერიოდი მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე.

მეორე პერიოდი მე-8 საუკუნიდან — მე-11-მდე;

მესამე პერიოდი — საუკუნოვ რუსთაველის ეპოქა — შეიცავს ხანას მე-11 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ქართულის მწერლობის პირველი ორი პერიოდის შესახებ ჩვენ აქ დავცმაყოფილებით რამდენიმე მოკლე შენიშვნით.

პირველი არქაული პერიოდი ქართული მწერლობისა, როგორც მოხსენებული გვქონდა, ეგრეთ-წოდებულ „წარმართულ“ ხანამდე აღწევს. ხოლო სრულდება ეს პირველი პერიოდი არაბთა მფლობელობის დამყარებით საქართველოში (უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ არაბთა მფლობელობის დამკვიდრება წარმოადგენდა არა მხოლოდ პოლიტიკური კატეგორიის მოვლენას, არამედ ამასთან დაკავშირებული იყო ძირითადი ხასიათის სოციალური ძვრები, როგორც საქართველოში, ისე მთელს აღმოსავლეთში).

ქართული ლიტერატურის ამ პირველს არქაულს პერიოდს კერძოდ ის ახასიათებს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გაბატონებული, ქრისტიანობასთან ერთად ისევ განაგრძობდა არსებობას ძველი ქართული წარმართობა და მაზდეიანობა. ამის გვერდით ფართე გავრცელება ჰქონდა აგრეთვე მანიქეელობას. ამასთან თვით ქრისტიანული ეკლესიაც არ წარმოადგენდა მონოლითურ მთლიანს, აქ ადგილი ჰქონდა შინაგან განხეთქილებას, იგი იყოფოდა სხვადასხვა სექტებად.

გასაგები ხდება ზემოაღნიშნულის შემდეგ, რომ ასეთ პირობებში ქრისტიანულ ეკლესიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა და არცა ჰქონია შეუზღუდველი ბატონობა იდეოლოგიის სფეროში და ქრისტიანულ სასულიერო

მწერლობას ამ ეპოქაში არ ეკუთვნოდა მონოპოლისტის რეჟიმის მფარველობით თანაბარის უფლებით არსებულა საერო მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც წარმართული ხანის ტრადიციების უშუალო მემკვიდრე იყო.

ამ ეპოქის ქართული საერო მხატვრული მწერლობის ფართე დიპაზონი შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ მე-6-7 საუკუნეთა საზღვარზე ქართულს ენაზე არსებულა თარგმანი ისეთი კაპიტალური ძეგლისა, როგორც იყო ირანული ეპოსის განთქმული კრებული „ხეატა-ნამჰაყი“ ანუ „უფალთა წიგნი“, (ეპიური ციკლი: ფერდუნიდან-ბაჰმანამდე). ეს კრებული, „უფალთა წიგნი“ როგორც ცნობილია არის პროტო-ტიპი ფერდოუსის „შაჰ-ნამესი“.

აღსანიშნავია, რომ „უფალთა წიგნის“ ქართული ვერსია, როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პროზაულ მოთხრობას, როგორც ეს ფაქტურ დედანში იყო, არამედ იგი ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა დამუშავებული. „უფალთა წიგნი“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ ექსცერპტებში, რომელიც დაუცავს ძველ-ქართველ ავტორს ლეონტი მროველს, შერჩენილა ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით, „დაბალი შაირის“ მეტრით. აქ, მე-6-7 საუკუნის ამ ნაწევებში, უკვე მოცემულია უმეტეს-კლებოდ იგივე სალექსო ფორმა დაბალი შაირისა, რაც ბევრად უფრო გვიან, მე-12-13 საუკუნეთა საზღვარზე გამოიყენა შოთა რუსთაველმა.¹⁾

რომ ქართული მწერლობის ამ არქაულ პერიოდში ლექსის კულტურას უკვე ჰქონია ფართე გავრცელება, ამას ადასტურებს აგრეთვე ჩვენ დრომდე მოღწეული „პროკოპის მარცტილობის“ ქართული ტექსტი. ეს ძეგლი ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს მე-6-7 საუკუნისა (თარიღი ირკვევა იმის მიხედვით, რომ ძეგლში ჯერ კიდევ წარმართული ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია არის მიღებული). და აი ამ ძეგლში ჩვენ გვხვდება ციტატი ჰომეროსიდან, ლექსად, ოც-მარცვლადი ძველ-ქართული საზომით (ოთხ-მუხლი ხუთეულით).

ქართული მწერლობის ამავე არქაულ პერიოდში, როგორც ეს დასტურდება მოსე ხორენელისა და გრიგოლ მაგისტროსის ცნობებით, ქართულად არსებულა ვერეთრაგნას ეპოსი. არა სიანს მხოლოდ, წარმოადგენდა ვერეთრაგნას ეპოსი მხოლოდ ზეპირსიტყვიერების ციკლს, თუ იგი წერილობითი სახითაც იყო აღბეჭდილი (ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ვერეთრაგნას ეპოსის გამოცახილს ჩვენ ეპოულობთ ძველ-ქართულ წერილობით ძეგლში „ჰამზავი ეახტანგ გორგასალისა“).

1) მოგვყავს აქ, როგორც ლექსად ნიმუში ქართული ლექსისა ციტატა „უფალთა წიგნიდან“, რომელიც ედება ირანული ეპოსის გმირს აფრიდონს, და რომლის მეხანებ ეპოსში ნათქვამია:

„რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრსაფი გველთა უფალი“
და „დაბა მთისა მას ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი“.

ამავე არქაულ პერიოდში ქართულს ენაზე არსებულა თარგმანი ანტიური საისტორიო რომანისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომელიც ალისთენის სახელით არის წარწერილი. ამ რომანს გავლენა მოუხდენია უძველეს ქართულ ისტორიოგრაფებზე, რომლებიც მოგვითხრობენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ კავკასიისა და საქართველოში.

ქართულ მწერლობის ამავე პერიოდს ეკუთვნის ძეგლი, რომელსაც ეწოდება „სახის-მეტყველი“ (ე. ი. ფიზიოლოგოსი), ანუ უფრო სრულად: „სახისა სიტყუა მხეტათვის“. ეს თხზულება მომდინარეობს ბერძნულიდან, აღმოსავლურ წყაროთა მეშვეობით. ქართული ტექსტი ამ ძეგლისა ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს — მე-6-7 საუკუნისა (რასაც ის გარემოება ადასტურებს, რომ აქაც ჯერ კიდევ წარმართული ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია იხმარება). ეს ძეგლი „სახისა სიტყუა მხეტათვის“ წარმოადგენს დიდაქტიური ხასიათის თხზულებას სასულიერო ხასიათისა, მაგრამ აქ საყურადღებო ისაა, რომ ამ ძეგლში შესულია ელემენტები ცხოველთა ეპოსიდან.

* * *

გადავდივართ ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდზე, რომელიც გრძელდება მე-8 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე. ეს არის ადრეული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში.

პოლიტიკურად საქართველო ამ ეპოქაში შემდეგს სურათს წარმოგვიდგენს. არაბთა მფლობელობის პირველი ხანის შემდეგ თანდათან ყალიბდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ნახევრად-დამოუკიდებელი სამფლობელოები. საქართველო მოკლებულია პოლიტიკურ მთლიანობას და მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულში ხდება საქართველოს გაერთიანება.

დიდ როლს თამაშობს ამ ეპოქაში საქართველოს ეკლესია. იგი მონოლითურ მთლიანს წარმოადგენს; სექტებად დანაწილება მოისპო და ერთმა ბიზანტიზაციურმა ფრთამ (ქალკედონიტები) შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა. ქართული ეკლესიის როლი ძლიერი იყო ამ ეპოქაში. კერძოდ იმიტომაც, რომ იგი, ერთგვარად ნაციონალური გამაერთიანებელი ცენტრის როლს ასრულებდა.

წამყვანი როლი ქართული ლიტერატურის ამ მეორე პერიოდში ეკუთვნოდა საქრისტიანო სასულიერო მწერლობას. ეს არის კლასიკური ხანა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა.

მაგრამ ამის გვერდით საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციები, როგორც ირკვევა, არ შეწყვეტილა. იგი ისევ განაგრძობდა არსებობას პარალელურად სასულიერო მწერლობასთან.

ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ნაწარმოები: ლეონტი მროველისა „ცხოვრება ქართულისა“ და უჯარმოელისა „ჰამზავი ვახტაგ გორგასარისა“.

ეს ორი ძეგლი, რომლებიც ამ მეორე პერიოდის ფარგლებშია დაწერილი, წარმოგვიდგენს საერო მხატვრული მწერლობის თავისებურს ეპოსს, საისტორიო მოთხრობას ეპიურ ხაზებში დამუშავებულს.

ორივე ძეგლს აშკარად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ეპოსისა; უცილობელი ხდება, რომ ამ დროს ქართულად სწანს უკვე იწერებოდა და პოპულარობა ჰქონია მოპოვებული საგმირო-სარაინდო რომანებს იმ ტიპისა, როგორიც იყო მაგალითად შემდეგ-დროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდებისა ლეონტი მროველისა და უჯარმოელის ისტორიულ-ეპიურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო-სარაინდო რომანები სპეციფიური სტილით.

ქართული საერო მხატვრული მწერლობა ამ მეორე პერიოდისა, როგორც ირკვევა, მდიდრდებოდა თარგმნილი ძეგლებითაც. ასე ამ მეორე პერიოდში უთარგმნიათ ქართულად განთქმული დიდაქტიური ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლის ექსცერპტი ჩვენ დრომდისაც გადარჩენილა.

„ქილილა და დამანა“-ს, როგორც ცნობილია, რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა: პროტოტიპი „ქილილა და დამანასი“ (ფანატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა, აქედან მე-რ საუკუნეში წარმოიშვა ფაპლაური (სამშუალ-ირანული) რედაქცია, ხოლო ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს არაბული ვერსია ამ ძეგლისა. უძველესი ქართული ვერსია, როგორც ირკვევა, თარგმნილი ყოფილა არაბულიდან, როგორც ამას ადასტურებს ქართულს ექსცერპტში დაცული ლექსიკური ნიმუშები.

ქართულ-არაბულ ახლო ურთიერთობას საერო მხატვრული მწერლობის დარგში მოწმობს კერძოდ ტერმინები „მოშაპირე“ (პოეტი და „შაპირი“ (ლექსი), რომელიც ამ დროს არაბულიდან შემოდის ქართულ მწერლობაში და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს.

ამავე მეორე პერიოდში სწანს უთარგმნიათ ქართულად იულიანეს და ივბიმანოსის ისტორიული რომანი. მისი გავლენის კვალს ჩვენ ეპოქაში უჯარმოელის ზემოთ-მოხსენებულ თხზულებაში („ჰამზავი ვახტანგ გორგასარისა“) და აგრეთვე სხვა შემდეგ დროინდელ ქართულ ძეგლებშიც. გამოურკვეველი რჩება მხოლოდ, თუ რა ენიდან უნდა ყოფილიყო ეს რომანი თარგმნილი ქართულად, ბერძნულიდან თუ სირიულიდან.

ამ მეორე პერიოდის მხატვრულ მწერლობაში ცალკეა აღსანიშნავი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოგვიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას.



ასეთია კერძოდ ახლად აღმოჩენილი პავლიაზის მონეტა „ქართული“, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის. ამ მონეტის წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეთავსებას (აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანიული ეპიზოდი).

საერო მწერლობის ტრადიციის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე მე-20 საუკუნის განთქმული ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელი“. ამ ნაწარმოებში ჩართულია ცალკე ნოველები რომანიული შინაარსისა, რომლებიც გვისახავენ ქართული ფეოდალური საზოგადოების გარემოს. აღსანიშნავია ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ბუნების გრძნობა, მის პავლიაზის მონეტაში ჩვენ გვხვდება არტიკულიად დახატული ქართული პეიზაჟი, რეალისტურ ფერებში შესრულებული. გიორგი მერჩული ეკუთვნის შოთს ლიტერატურულ წინამორბედთა რიცხვს.

დასასრულ საჭიროა შევეხოთ განთქმულს ქართულ მოთხრობას „სიბრძნე ბალაქვარისა“, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა საშუალო საუკუნეთა მწერლობაში.

მოთხრობას „სიბრძნე ბალაქვარისა“ საფუძვლად უდევს ჰინდური ლეგენდა ბუდდას შესახებ. გარდა იმ ინტერესისა, რომელსაც იწვევდა ბუდდას თავგადასავალი, ნაწარმოები ხიბლავდა მკითხველებს შეუდარებელი მალაქოეტური იგავებით.

ამ მოთხრობას რთული და საინტერესო ლიტერატურული ისტორია ჰქონდა.

ბუდდას ლეგენდა იმ რედაქციით, რომელიც ქართული მოთხრობის პროტოტიპი გახდა, პირველად ჩაწერილ იქნა ფაპლაურ (საშუალო-იარაღი) ენაზე მე-6-7 საუკუნეებში. ფაპლაური ტექსტიდან მომდინარეობდა არაბული თარგმანი მე-8 საუკუნისა.

ქართული მოთხრობა დამოკიდებულია არაბული ვერსიიდან. მე-8-9 საუკუნეებში ქართველმა ავტორმა (ისაც სოფრონის-ძემ) გადაამუშავა ქართულს ენაზე ეს თქმულება ბუდდას შესახებ, მოახდინა მისი შინაარსის ნაწილობრივი ქრისტიანიზაცია, შეაზავა იგი ქრისტიანული იდეოლოგიით, შეუფარდა თანამედროვე ქრისტიან მკითხველთა ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებს.

ბუდდას ლეგენდის ეს ქართული ვარიანტი შემდეგ ცნობილი გახდა მთელს ქრისტიანულს მსოფლიოში.

ქართულ მოთხრობას მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართველმა მწერალმა ეფთიმე ივერიელმა (10 — 11 საუკ.). ეფთიმე ივერიელი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უპოპულარესი ქართველი მწერალი იყო საშუალო-საუკუნეებში, რომელმაც უკვდავ-ჰყო თავისი სახელი თარ-

გმანებით ბერძნული ენიდან ქართულს ენაზე. სიტყვის ~~გამაგრება~~ იგი თანაბარის ბრწყინვალეობით ჰულობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს. ეფთიმემ მოახდინა ბუდდას ლევენდის ქართული ვერსიის ხელმეორე გადამუშავება, გააფართოვა იგი, და გამოაქვეყნა ეს ახალი რედაქცია ქართული მოთხრობისა ბერძნულ ენაზე სათაურით: „მოთხრობა ბარლაამისა და იოსაფის შესახებ“.

მოთხრობა ეფთიმეს ამ ახალი რედაქციით მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნული ენიდან ითარგმნა მეორე მსოფლიო ენაზე — ლათინურზე. ამის შემდეგ მოთხრობა — ეფთიმეს რედაქციით — ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს აღწევს, იგი ითარგმნება ბერძნულიდან და ლათინურიდან ევროპისა და წინა-აზიის ხალხთა ყველა ენებზე (ამასთან ზრგით ენაზე იგი ითარგმნა რამდენიმე — ჯხის). გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საშუალ-საუკუნეთა მსოფლიოში არც ერთს წიგნს არ ჰრგებია ისეთი პოპულარობა და არ ჰყოლია იმდენი მკითხველები, რამდენიც ამ ძველ-ქართულ მოთხრობას, დამუშავებულს ეფთიმე ივერიელის მიერ.

* * *

სესამე პერიოდი ქართული ლიტერატურისა შეიცავს ხანას მე-11 საუკუნის დასაბოლოვიდან — მე-13 საუკუნის პირველ ნახევრამდე. ეს არის რუსთაველის ეპოქა ქართული მწერლობისა, პერიოდი რომელმაც უშუალოდ მოამზადა ნიადაგი შოთას გენიალური თხზულების წარმოშობისათვის.

აღნიშნული პერიოდი, მე-11 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის პირველ ნახევრამდე ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღორძინების ეპოქას.

რუსთაველის ახსნა შეუძლებელია თუ არ იქნა გათვალისწინებული გარემო უაღრესად ორიგინალური ქართული კულტურისა მე-11-13 საუკუნეებში.

და მართლაც, საიდან მომდინარეობს ის სიფართო მსოფლმხედველობისა, ის ნამდვილი ჰუმანიზმის სული, რომლითაც გასამჭვალულია რუსთაველის პოემა, ნაწარმოები, რომელიც საშუალ-საუკუნის ქრისტიანულ ქვეყანაში დაიწერა.

ეს პოულობს ახსნას იმ გარემოებაში, რომ დიადი კულტურული მოძრაობა, რომელიც რენესანსის სახელით არის ცნობილი, იძლევა საქართველოში პირველ რტოებს რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე იგი ნიადაგს იპოვიდა დასავლეთ ევროპაში.

მთელ რიგ მიზეზთა შორს, რომლებმაც მოამზადეს ეს კულტურული მოძრაობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა-პირობა ის იყო, რომ საქართველო იმყოფებოდა ორი მსოფლიოს მიჯნაზე, მესულმანური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთისა. საქართველოს უშუალო ურთი-

ერთობა ჰქონდა ორივე მსოფლიოსთან, საქართველოს ნათესავებთან. შეხვედრა და შეჯვარება როგორც ქრისტიანული დასავლეთის, ისე მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურულ გავლენათა. ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე დაძლეულ იქმნა საშუალ-საუკუნებრივი ეწირო რელიგიური განკერძოება, გადალახულ იქმნა საშუალ-საუკუნებრივი კარჩაკეტილობა და განსაზღვრულობა, მოხდა განთავისუფლება საშუალ-საუკუნებრივი აზროვნების არტანებიდან. ამ ნიადაგზე ვითარდება კულტურული მოძრაობა, რომელიც ბევრ ხაზებში უახლოვდება შემდეგი დროის დასავლეთ-ევროპის რენესანსს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა გამანაყოფიერებელი შეხვედრა და თავისებური სინთეზი საქართველოში გააადვილა განსაკუთრებით ხელსაყრელმა პირობებმა, რომელიც შეიქმნა საქართველოში მე-12 საუკუნისათვის. საქმე ის არის, რომ მე-12 საუკუნის მანძილზე საქართველო გადაიქცა დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (საშუალ-საუკუნეთა მასშტაბით), რომლის ფარგლებშიაც თანდათანობით შევიდნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ხალხები. მე-12 საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი მრავალ-ერიანი კავკასია, ხოლო 12-13 საუკუნეთა საზღვარზე საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა ჩრდილო-ირანის რაიონები, აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციები და ნაწილობრივ ტრაპეზუნის ბერძნული იმპერია, რომლის დაარსებაში საქართველომ უშუალო მონაწილეობა მიიღო და რომელიც ფაქტიურად საქართველოს ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

აი ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელსაც წარმოადგენდა მე-12—13 საუკუნის საქართველო, რომელშიაც კულტურულ თანამშრომლობას ეწეოდნენ ქართველებთან ერთად მეზობელი ერები, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურული წრის ეროვნული კოლექტივები, ჩამოყალიბდა ბრწყინვალე ქართული კულტურა, ეს უაღრესად თავისებური და განუმეორებელი სინთეზი ორი კულტურისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, რომლის მსგავსი ჩვენ არ გვაქვს სხვაგან საშუალ-საუკუნეთა მანძილზე.

მხოლოდ ამ პირობებში და ამ ფონზე ხდება გასაგები რუსთაველის პოემა. და ის სიფართო მსოფლმხედველობისა, ის ინტერნაციონალური სული, თავისუფალი ეწირო ნაციონალური განკერძოებისა და კარჩაკეტილობისაგან. რომლითაც გამსჭვალულია ვეფხის-ტყაოსანი.

აქ საჭირო იქნება შევჩერდეთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა პირობებში და რა სახით ხდებოდა გადმონერგვა და შეჯვარება საქართველოს ნია-

დაგზე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მიმდინარე ქვეყნის მთელ გავლენათა.

ჯერ დასავლეთის შესახებ.

საქართველოს კულტურული ურთიერთობა დასავლეთთან, რასაკვირველია, არ დაწყებულა მე-11 საუკუნით. საქართველო, როგორც ცნობილია, თავიდანვე უახლოესად იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან. უფრო მეტიც: თვით საქართველო, ქრისტიანული ქვეყანა, თავისი კულტურის ძირებით დასავლეთს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე აღმოსავლეთს.

მაგრამ თუ მე-11 საუკუნეში ქართველი მწერლები ბერძნულიდან სთარგმნიდნენ უმთავრესად სასულიერო მწერლობის ძეგლებს, თეოლოგიურ თხზულებებს, სწოლასტურ ნაწარმოებებს და სხვა, ხოლო საერო მწერლობიდან ქართველ მწერალთა ყურადღებას იქცევდა უმთავრესად საისტორიო ხასიათის ნაწარმოებები (ხრონოლოგები, საისტორიო რომანები), — მე-11 — 13 საუკუნის საქართველოში ჩვენ ვხედავთ ინტერესის გაღვიძებას ძველი ელინური მსოფლიოსადმი, ძველი ბერძნული ლიტერატურის და ფილოსოფიისადმი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა — ინტერესი ანტიური მსოფლიოსადმი — არ დაწყებულა საქართველოში, იგი თავდაპირველად ბიზანტიაში ჩაისახა მე-11 საუკუნეში და აქედან გაიკვალა გზა საქართველოსაკენ. მაგრამ იმის გამო, რომ ეს მოძრაობა უცხოეთიდან შემოვიდა, იგი არ დარჩენილა უცხო და ზერელე მოვლენად, არამედ ღრმა კვალი დააჩინა მე-11 — 13 საუკუნეთა ქართულ კულტურას და პლემნითარული ფერმენტის როლი შეასრულა. ცხადია მე-11 საუკუნის საქართველოში შემზადებული ყოფილა საამისოდ ნიადაგი, რაკი აქ ამ გონებრივს მოძრაობას ფართე გასაგალი მიეცა.

ბიზანტიის ადრეულ რენესანსზე, რომელიც მე-11 საუკუნეში წარმოიშვა და რომელიც თვით ბიზანტიაში საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა, ჩვენ აქ შეგვიძლია არ გავაგრძელოთ სიტყვა. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ბიზანტიის ამ ადრეული რენესანსის მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებია მიქაელ პსელოსი და იოანე იტალი, რომელთაც გააცოცხლეს ბიზანტიაში ანტიური ფილოსოფიის (უმთავრესად ნეოპლატონიზმის) ტრადიციები. ერთ-ერთი ცენტრი ამ გონებრივი მოძრაობისა იყო მანგანის აკადემია, რომელიც დაარსდა კონსტანტინეპოლში მე-11 საუკუნის ნახევარში.

არაა ინტერესს მოკლებული ავლნიშნოთ ამასთან, რომ ბიზანტიის რენესანსის მოძრაობაში თვით ადგილობრივ ბიზანტიაში მონაწილეობას ლებულობდნენ ქართველები. ასე, ბიზანტიური რენესანსის ლიდერთა შორის ჩვენ გვხვდება განთქმული ქართული მოღვაწე იოანე ფილოსოფოსი (პეტრიწის სახელით ცნობილი), რომელსაც განათლება საბერძნეთში ჰქონდა მიღებული და რომელსაც თავისი ფილოსოფიურ-პედაგოგიური მოღვაწეობა საბერძნეთში, ბიზანტიის ქართულ კოლონიაში დაუწყო.

და როდესაც მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბიზანტიუმიდან იყო რეაქტია ჰუმანიტური მოძრაობის წინააღმდეგ დამატებითი იოანე იტალი ბიზანტიის ეკლესიამ შეაჩვენა, იოანე იტალითან ერთად დევნა განუტოლა ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწისაც.

მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში არსდება აკადემიები გელათსა და იყალთოში, რომლებიც აგრძელებენ კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიციებს. საქართველოს ამ აკადემიებს სათავეში უდგებიან — ზემოხსენებული იოანე ფილოსოფოსი (პეტრიწი), რომელიც ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნდა, და არსენი იყალთოელი, ენციკლოპედისტი, რომელიც მანგანის აკადემიაში იყო აღზრდილი და სალიტერატურო მოღვაწეობა მანგანაში დაიწყო.

ამ აკადემიებმა დიდა როლი შეასრულეს მე-12 საუკუნის ქართული განათლების ისტორიაში. მე-12 საუკუნის ქართველი მწერლები მოკრძალებით იგონებდნენ მათ როგორც *alma mater*-ს და უწოდებენ: „ახალი ათინა“ ანუ „ახალი ელადა“. ეს ზედწოდება „ახალი ათინა“ კარგად გამოხატავს, თუ რა ტრადიციების გამგრძელებელი იყო ქართული აკადემიები მე-12 საუკუნისა.

ამ ელინოფილურმა წრეებმა გააცოცხლეს საქართველოში ბერძნული ფილოსოფიის ტრადიციები. მათ სთარგმნეს ქართულად ბერძნული ფილოსოფიური ძეგლები, უმთავრესად ნეოპლატონიკოსები: პროკლე დიდახოსი („კავშირნი“), პორფირი („შეყვანილება“) ამონიოს ერმიოსი (კომენტარიები არისტოტელის „კატეგორიებისა“ და პორფირის „შეყვანილებისა“); ნემესიოს ემესელი („ბუნებისათვის კაცისა“); დიონისი არეოპაგელის სახელით წარწერილი ნეოპლატონიკური თხზულებანი; ენოს ალექსანდრიელის დიალოგი.

ნეოპლატონიკოსებს გარდა მათ უთარგმნიათ არისტოტელი („პერი ერმენია“, „კატეგორიები“). ითარგმნა თუ არა ამავე დროს პლატონი, არა სჩანს. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ დაცულა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ამ ეპოქაში დიდ სიმაღლემდე აღწევს. იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი, სადაც ეს შესანიშნავი ქართველი მოაზროვნე სქოლასტიური ფილოსოფიის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგება და ანტიური ფილოსოფიის ტრადიციებს აგრძელებს, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არა მარტო ქართული მასშტაბით, არამედ საერთოდ საშუალო-საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით.

ინტერესები ქართული ელინოფილური წრეებისა არ განისაზღვრებოდა მარტო ფილოსოფიით.

ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ეფრემ მცირემ, ქართული ჰუმანიზმის ერთ-ერთმა პიონერმა,

ქართულს ენაზე მოგვცა საყურადღებო ნაშრომი ბერძნულ-საქართველოს შესახებ, რომელიც ჩვენ დრომდის მოღწეულა.

ხოლო განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ მე-12 საუკუნეში ქართველი მკითხველები, როგორც ირკვევა, გასცნობიან თვით ჰომიროს-საც. ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნ. მარრი თავის შესანიშნავ გამოკვლევაში მე-12 საუკუნის ქართველ მეხოტბეთა შესახებ დაასკვნია ძველ ქართულ მწერლობაში დაცული ლიტერატურული ჩვენებების მიხედვით, რომ ქართულს ენაზე მე-12 საუკუნეში უნდა არსებულებოდა ჰომიროსის ეპოსი. ამის შემდეგ ახალი მასალების მიხედვით შესაძლო გახდა უფრო ზუსტად დადგენა, რომ ჰომიროსის ეპოსი გადმოვიდა ქართულს ენაზე 1123—1125 წლებში შემოკლებული გადმონაცემის სახით. ჰომიროსის ეპოსის ეს ვერსია, როგორც ირკვევა, დიდის პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ მწერლობაში და მისი გავლენის კვალს ჩვენ ეპოქაში ქართული მწერლობის ძეგლებში სამი საუკუნის მანძილზე, მე-12 საუკუნიდან — მე-14-მდე.

რომ ქართული განათლება მე-12 საუკუნისა კლასიკურ ტრადიციებს შეიცავდა, ამის მაჩვენებელია კერძოდ ისიც, რომ, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, მე-12 საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ანტიური მწერლობის ძეგლი — აფთონის რიტორიკა, რომელიც ძველად სასკოლო სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა.

ამ მოკლე შიშხილვიდანაც ცხადი ხდება, რომ მე-11 — 13 საუკუნის საქართველოში დასავლეთის კულტურა წარმოდგენილი ყოფილა ძლიერი ნაკადით.

რაც შეეხება კავშირს აღმოსავლეთთან, იგი მე-11 — 13 საუკუნეში არა ნაკლებ ორგანიზული იყო, ვიდრე კავშირი დასავლეთთან, თუ კულტურულ ურთიერთობას დასავლეთთან ადვილდება ის გარემოება, რომ საქართველო და ბიზანტია ორივე ეგრეთწოდებულ „ქრისტიანულ მსოფლიოს“ ეკუთვნოდნენ, კულტურული კავშირი მუსულმანურ აღმოსავლეთთან ადვილდებოდა ჯერ ერთი იმით, რომ თვით საქართველო გეოგრაფიულად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე იმყოფებოდა, და ამის გარდა, როგორც მოხსენებული გვქონდა, თვით საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული იყო აღმოსავლეთის კულტურის წრის ხალხები.

თარგმანები აღმოსავლური ენებიდან ქართულად, მე-11 საუკუნეზე უფრო ადრე ხანებშიაც სრულდებოდა, და ეს სამაო ფართე მასშტაბით — (იმის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი), ხოლო მე-11 საუკუნიდან კულტურული კავშირი უფრო ორგანიზული ხდება და ლიტერატურული ურთიერთობა აღმოსავლეთთან განსაკუთრებით ფართე ხასიათს ღებულობს. ქართულს ენაზე ითარგმნება როგორც სამეცნიერო ხასიათის თხზულებანი (— ასე ამ დროიდან მოღწეულა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ძეგლი, როგორიცაა არაბული სამეცნიერო ენციკლოპედია,

ნარკვევებით ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან, თარგმნილი ქართულად 1206 წლის ახლო), ისე საერო მხატვრული ლიტერატურა, *ქართული ზნეობა* (1206 წლის ახლო).

მაგრამ ეს ცოტაა. ამ ეპოქაში არა თუ ითარგმნებოდა ქართულად საერო მხატვრული მწერლობის ძეგლები, არამედ მე-12 — 13 საუკუნეებში საქართველო თვით იყო ცენტრი აღმოსავლური, ირანული პოეზიისა. საქმე ის არის, კავკასიის პროვინცია შირვანი, რომელიც მე-12—13 საუკუნეებში საქართველოს ფარგლებში შედიოდა როგორც ვასსალური სამთავრო, სწორედ ამ ეპოქაში, მე-12 — 13 საუკუნეში, წარმოადგენდა ირანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. შირვანის ირანულ პოეტთა სკოლას ეკუთვნოდნენ: განთქმული ნიზამი, უდიდესი ირანელი ეპიკოსი ფირდოუსის შემდეგ, ხაყანი, აბულ-ალა, ფალაგი, ეხსიკეტი და სხვანი. ეს კორიფეები ირანული მწერლობისა, რომლებიც საქართველოს ვასსალური სამთავროს მოქალაქეები იყვნენ, და რომელთა სალიტერატურო მოღვაწეობა კავკასიაში ჩატარდა, უშუალო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ და ყოფილან კიდევ ქართულ სალიტერატურო წრეებთან.

ქართულ მატრიანებში დაცულია აღწერილობა, თუ როგორ ღებულობდნენ ტფილისში, საქართველოს სამეფო კარზე მოსულს შირვანის ვასალ მთავარს და როგორ იმართებოდა ზეიმები მგოსნების, პოეტურ ნაწარმოებთა მთქმელების მონაწილეობით.

შირვანელი სპარსი პოეტი ხაყანი დაკავშირებული საქართველოსთან თავისი შემოქმედებით, მისთვის ახლობელი ყოფილა საქართველოს გარემო დ ამის გამოძახილი ჩვენ გვაქვს მის პოეზიაში.

ეგვე ითქმის ნიზამის შესახებ. ნიზამის განთქმული პოემა „ლეილა-მეჯნუნი“, ეს უმშვენიერესი რომანტიული ეპოპეა აღმოსავლეთისა, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, დაკავშირებული ყოფილა თავის წარმოშობით საქართველოსთან. ირკვევა ამასთან ისიც, რომ ამ ნაწარმოების ირანული დედანი და ქართული თარგმანი გამოსულა ერთსა და იმავე წელს, 1188-ში.

გარდა ამისა, რომ საქართველოს ვასსალური სამთავროს შირვანი იყო ცენტრი ამ ეპოქის ირანული პოეზიისა, თვით ტფილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში, არსებობდა აღმოსავლური აკადემია (ირანელ-არაბ-სუფიებისა და პოეტებისათვის. ტფილისის ეს აკადემია დაარსებული იყო დავით აღმაშენებლის მიერ მე-12 საუკუნის დასაწყისში (1123 — 1125 წლებში) და ბუნებრივია ეს აკადემია ასრულებდა ერთგვარი შუამავლის როლს საქართველოსა და აღმოსავლეთის კულტურულ ურთიერთობის საქმეში, ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში.

ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელია, რომ ქართველი პოეტი მე-12 — 13 საუკუნისა ჩ ა ხ რ უ ხ ა ი ს ძ ე. თანამედროვე რუსთაველისა, გამოდიოდა სპარსეთში და

არაბულ ქვეყნებში როგორც მოგზაური პოეტი, ლექსებით სარგებლობდა და არაბულს ენებზე.

ამავე დროს დადასტურებულია, რომ მუსულმანი პოეტები სწერდნენ ოდებს თამარზე და საქართველოს მეფეებზე.

ქართული ლიტერატურისა და აღმოსავლური, პირველ რიგში ირანული ლიტერატურის უშუალო ურთიერთობის ამ პირობებში გასაგები ხდება ის ღრმა კავშირი, რომელიც ამ ლიტერატურათა შორის არსებობდა.

დასასრულ დაგვრჩენია წარმოვიდგინოთ რუსთაველის ხანის სალიტერატურო ძეგლთა მოკლე მიმოხილვა.

თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია ამ ეპოქისა, ამას გვიჩვენებს ჯერ მარტო ars poetica რუსთაველისა, რომელიც შენახულა ვეფხისტყაოსნის შესავალში. ჯერ მარტო ამ პატარა ტექსტში გაბნეული შემთხვევითი ხაზებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დროს არსებობდა მთელი წრეები პოეტებისა, მათ შორის ყოფილან ისეთნი, რომელთათვის თვით გენიალური შოთა იმეტებდა სახელს „ქარგი“.

მუშავდებოდა სხვადასხვა დარგები პოეზიის; იწერებოდა მონუმენტალური პოეტური ძეგლები, ეპიური პოემები, რომელთა შესახებ შოთა ამბობს:

„ერთა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მოზურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა“...

იყვნენ „ცოტა“ პოეტებიც, რომელთა შესახებ შოთა ირონიულად შენიშნავს:

„გამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა,
დიდსა ვერ მოჰკლევნ, ხელად აქეთ ზოცვა ნადირთა მცირეთა“.

ეპიური პოეზიის გვერდით მუშავდებოდა მსუბუქი ლირიკის ტანრები:

„არს მესამე ლექსი, ქარგი, სანადიმო, სამღერელად,
სააშიკო, სალაღობო, ამხანაგთა სათნეველად.
ჩვენ მაინცა გვიამების, რაცა ოდეს თქვენ ნათელად“.

ეს მრავალფეროვანი მდიდარი პოეზია მე-11—13 საუკუნეებისა, რომლის არსებობაც გულისხმობს რუსთაველის ars poetica ნაწილობრივ დაილუპა მომდევნო ხანებში, იმ ბნელ საუკუნეთა მანძილზე, რომელიც მოჰყვა მონგოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში (მე-13 საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით მე-14—15 საუკუნეთა საზღვარ-

ზე, თემურის გამანადგურებელი შემოსევების დროს, რამაც საქართველო მიწასთან გაასწორა).

მაგრამ მაინც ის ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც უკანასკნელმა ავტორმა დაუტოვა და ჩვენ დრომდე მოაღწია, და აგრეთვე ლიტერატურული მასალები, რომლებიც მოიპოვება დაკარგულ ძეგლთა შესახებ (ლიტერატურული მოწმობანი, ექსცერპტები და სხვ.) იძლევა საშუალებას მთლიანი წარმოდგენა შევადგინოთ ამ ეპოქის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

ჩვენ აქ დავკმაყოფილებით მე-11—13 საუკუნის მთავარ სალიტერატურო ძეგლთა ჩამოთვლით.

ეს ძეგლები შესაძლოა დავანაწილოთ სამ ჯგუფად:

სალიტერატურო ძეგლები აღმოსავლური წარმოშობისა (თარგმანები, გადმოკეთება); სალიტერატურო ძეგლები დასავლური წარმოშობისა; ორიგინალური ძეგლები.

აღმოსავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლები მე-11—13 საუკუნის ქართულს მწერლობაში საკმაოდ მრავალრიცხოვანად ყოფილა წარმოდგენილი. ასე, ირკვევა, რომ მე-11—13 საუკუნეებში ქართულს ენაზე არსებულა მთელი წყება ირანული ავტორებისა, მათ შორის ირანული ლიტერატურის უდიდესი შედეგები: ფირდოუსი „შაჰ-ნამე“; ფახრედინ გურგანელის „ვისი და რამინ“; ნიზამის „ლეილა და მეჯნუნი“; ნიზამის „ხოსრო და შირინი“; რომანი „ვამეყ და აზრა“ (სიანს უხსურია ვერსია). უცნობი მწერლის რომანი „სალამან“; რომანი „ანაღათ და შატბიერ“.

ჩვენ რასაკვირველია შემცდარი ვიქნებოდით, თუ დავასკენიდით, რომ ამ ძეგლთა ქართული ვერსიები წარმოადგენდნენ ირანული ორიგინალების პედანტურ სიტყვა-სიტყვით თარგმანს. საჭიროა აღენიშნოთ, რომ ძველ-ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობდა ტრადიცია ეგრეთ-წოდებული თავისუფალი თარგმანებისა. ძველი ქართველი ავტორები ხშირად იძლეოდნენ უცხოურ ნაწარმოებთა თავისუფალ გადამუშავებას.

ამის განსაკუთრებით მკვეთრ მაგალითს წარმოადგენენ განახლების პერიოდის ქართველი ავტორები (თეიმურაზ I, ნოდარი და სხვ.). ხოლო ნაწილობრივ ამის მაგალითს იძლევა მე-11—12 საუკუნის ქართული რომანი „ვის-რამიანი“, რომელიც ბევრ ხაზებში გვაგონებს დასავლურ თქმულებას „ტრისტან და იზოლდა“-ს შესახებ. ქართული რომანი „ვის-რამიანი“ დამოკიდებულია ფახრედინ გურგანელის ირანულ დედნიდან. მაგრამ ქართველ ავტორს ბევრი თავისებურებანი შეუტანია ქართულ ტექსტში, და ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული „ვის-რამიანი“ მხატვრული ღირსების მიხედვით მალლა სდგას ირანულ ორიგინალთან შედარებით. ირანული „ვის-ო-რამინი“-ს დიდ ნაკლს შეადგენს თბრობის გაჭიანურება, სტილი ხასიათდება გადაქარბებული აღმოსავ-

ლური „ყვავილოვნობით“, მხატვრული ზომიერება აქ დარღვეულია, ხოლო ქართულ რომანში ყველა ეს ნაკლოვანებანი აცილებულია მხატვრული ტაქტიით. ქართული რომანის ავტორმა მხოლოდ წესიერად დაქვეყნებული ოსტატია და ქართული „ვის-რამიანი“ წარმოადგენს ძველი ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ უმესამიწნავეს ძეგლს.

რაც შეეხება ფირდოუსის განთქმულ ეპოპეას „შაჰ-ნამე“-ს, იგი როგორც ირკვევა, თარგმნილი ყოფილა ქართულად მე-12 საუკუნეში არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი ერთი ციკლი. ქართველ მთარგმნელს გამოუშვია „შაჰ-ნამედან“ პირველი—მითოლოგიური ნაწილი, რომელიც ისტორიულ ჭრონიკას შეიცავს და ნაკლებ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს, და უთარგმნია შაჰ-ნამეს შუა-ნაწილი, საკუთრივ საგმირო ეპოპეა—როსტომის ციკლი. ამრიგად შაჰ-ნამეს ქართული რედაქცია თავისებურს შემოკლებულს ვერსიას წარმოადგენდა და მას საგმირო რომანის სახე ჰქონია. შაჰ-ნამე მე-12 საუკუნეში პროზით ყოფილა თარგმნილი. (უფრო გვიან ხანაში შაჰ-ნამეს ეს ქართული პროზაული თარგმანი მე-12 საუკუნისა საფუძვლად დასდებია შაჰ-ნამეს ქართულ გალექსილ ვერსიას, რომელიც „როსტომი“-ს ანუ „როსტომიანი“-ს სახელით არის ცნობილი, და რომელიც შეუტარებელია ქართველ პოეტებს მე-15—16 საუკუნეებში).

რაც შეეხება დასავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლებს, მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნაწილობრივ საუბარი. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულს ენაზე არსებული პომპროსის ეპოსის შემოკლებული ვერსია, რომელიც გამოუქვეყნებია უცნობს ქართველს მწერალს 1123—1125 წლებს შორის.

მე-11—12 საუკუნეებში ქართულად ხელმეორედ უთარგმნიათ ბერძნულიდან ალექსანდრე მაკედონელის რომანი. ეს ახალი თარგმანი შესრულებული ყოფილა არა უგვიანეს მე-12 საუკუნის 20—30-იან წლებში (რადგან ამ დროს იგი უკვე ხელთა ჰქონია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს). თარგმანი სიანს მიმდინარეობდა იმავე ელინოფილური სკოლიდან, რომელმაც ამავე ეპოქაში სთარგმნა გიორგი ამარტოლის ხრონოლოგია და იოსებ ფლავიუსის ნაწერები, და აგრეთვე დაამუშავა თქმულებანი ბერძნული მითოლოგიიდან „ელინთა მეზღაპრეობა“.

დასავლური წყაროებიდან მომდინარეობს აგრეთვე დიდაქტიური ხასიათის რამდენიმე ძველი ქართული კრებული, ეგრეთ-წოდებული „აპოთეგმები“. ამ კრებულებში შესულია აფორიზმები, სენტენციები და დიდაქტიური ხასიათის მაქსიმები, რომლებიც მიეწერება ანტიური ხანის ფილოსოფოსებს, მწერლებს, ისტორიულ მოღვაწეებს. ირკვევა, რომ მე-12 საუკუნეში ქართულს ენაზე არსებული აპოთეგმების როგორც პროზაული ტექსტები ისე ლექსითი ვერსიებიც (—იამბიკური ლექსებით).

ორიგინალური ძეგლები მე-11 საუკუნის ქართული საერთო მხატ-
ვრული მწერლობისა წარმოდგენილია როგორც ეპოსის, ისე ღერძის
ფანრებით.

უძველესი ლირიკოსი, რომლის ნაწერები ჩვენ დრომდე მოღწეულა, — არის შავთელი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ლირიული პოემა დავით აღმაშენებლის (1089 — 1025 წ.) შესახებ. პოემას „აბდულმესა-ნი“ იწოდება. შავთელი განსაკუთრებულის პოპულარობით სარგებლობდა ძველს საქართველოში, ვეფხისტყაოსნის ცნობილ ბიბლიოგრაფიულ სტრატში. რომელშიაც ჩამოთვლილია ძველი ქართველი მწერლები, შავთელის შესახებ საგანგებოდ აღნიშნულია:

„აბდულ-მესია — (იგულისხმება „უქია“) — შავთელსა, ლეკსი მას უქეს რომიოსა“.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოკვეთულია, რომ შავთელს გაეღვნა მოუზღუნია რუსთაველზე. შოთას პოემაში ჩვენ რამდენსამე ადგილას გვხვდება რეჰინისცენიები შავთელის აბდულმესიანის სტროფებისა.

ძველი სალიტერატურო გადმოცემა ამავე ხანას, მე-11—12 საუკუნის საზღვარს მიაკუთვნებს მეორე ძველ-ქართულ პოეტს ძაგნაკორელს, რომლის მიერ შექმნილი საღებქსო ფორმა დამკვიდრდა ძველ ქართულს მწერლობაში და „ძაგნაკორელი“-ს სახელით იყო ცნობილი.

ქართული ლირიკა ამ ეპოქისა წარმოდგენილი ყოფილა მთელი რიგი პოეტებით, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ჩახრუხაისძე. მისგან მოღწეულა ლირიული კრებული „თამარიანი“, რომელიც შეიცავს 12 ოდას, მიმდინიერს მეფე თამარისადმი. ამ პოეტს, ჩახრუხაისძეს, უაღრესად ორიგინალური ბიოგრაფია აქვს. ჩახრუხაისძეს სალიტერატურო მოღვაწეობა საქართველოში დაუწყო, მეფის თამარის კარზე. შემდეგ იგი გამგზავრებულია საქართველოდან და შემოუვლია მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ირანი, ინდოეთი, გადასულა ჩინეთში, აქედან თურქისტანის გზით შემოსულა ხაზარეთში. ყოფილა რუსეთშიაც, შემდეგ შავი ზღვით გამგზავრებულია კონსტანტინეპოლში, აქედან გადასულა ჩრდილო აფრიკაში, შემოუვლია მალრიბი, ეგვიპტე, არაბეთი და ერაყი (ბაღდადის ხალიფატი). ირანულსა და არაბულს ქვეყნებში ჩახრუხაისძე გამოდიოდა როგორც მოგზაური პოეტი, ლექსებით ირანულსა და არაბულს ენებზე.

ჩაზრუნისძის თავგადასავალი მოთხრობილია ორს ძველ-ქართულ ელევგიაში, რომლებიც დაწერილია მე-13 საუკუნის დასაწყისში (პირველი ელევგია ეკუთვნის პოეტის ძმას ჩაზრუნისძე-მეორეს, ხოლო მეორე ელევგია პოეტს ბარამანს).

მე-11—13 საუკუნის ქართული ეპოსი წარმოდგენილია ორი ჟანრით: რომანტიკული ეპოსი და სარაინდო რომანი.

სარაინდო რომანის ნიმუშს წარმოადგენს მოსე ხონელის ამირან-დარეჯანიანი. ეს ერცელი ავანტიურული სარაინდო რომანი დაწერილია 9. „მნათობი“ № 12.

მე-12 საუკუნის ნახევარში და ჩვენ დრომდისაც მოღწეულა. მოღწეულა ხონელის „ამირან-დარეჯანიანს“ სიხანს კარგად იცნობდა რუსთაველი. შოთას პოემის ზოგიერთ ეპიზოდებში შესაძლოა შემჩნეულ იქნეს მისი ხონელის რომანის გამოძახილი.

რაც შეეხება რომანტიულ ეპოსს, ამ თანრის ყველაზე განთქმული წარმომადგენლები არიან კორიფეები ძველი ქართული მწერლობისა: შოთა რუსთაველი ავტორ-გმირის-ტყაოსნისა და სარგის თმოგველი — ავტორი დილარგეთიანისა.

ამას გარდა რომანტიული ეპოსის თანრი მე-11—12 საუკუნეებში წარმოდგენილი ყოფილა მთელი რიგი სხვა ძეგლებითაც (რომანები „ეთერიანი“, ოსნაოზ და შარიელ და სხვანი). სამწუხაროდ ეს ძეგლები ჩვენ დრომდე არ მოღწეულა და მათ შესახებ მხოლოდ სალიტერატურო ცნობებია დაცული მე-12 საუკ. ქართულს მწერლობაში.

კერძოდ მე-12 საუკუნის ქართული რომანტიული ეპოსი „ეთერიანი“, როგორც ირკვევა განსაკუთრებულის პოპულარობით სარგებლობდა და იგი გადასულა ხალხურს ზეპირსიტყვიერებაში. „ეთერიანი“ („აბესალომ და ეთერი“) ერთი უმშვენიერესი პოეტური თქმულებათაგანი ქართული ფოლკლორისა, წარმომადგენს, როგორც ირკვევა, მე-12 საუკუნის ქართული რომანის ხალხურ ვერსიას.

ჩვენ ამით დავასრულებთ ქართული ლიტერატურის ამ ზოგად მიმოხილვას ვიდრე რუსთაველის დრომდე. ასეთი იყო მაგისტრალურ ხაზებში ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და ის გარემო, რომელშიაც ჩამოყალიბდა და გაიშალა უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის შემოქმედება.

აქ. გაფჩაელია

რუსთაველის პოეზიის საკითხები

1

„ვეფხის ტყაოსანი“ წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურის უმაღლეს მიღწევას—ასეთია ის საერთო შეხედულება, რომელიც ერთნაირის უფლებით ბატონობს პოპულარულს სახელმძღვანელოებსა და აკადემიურ გამოკვლევებში. ქართული პოეზიაც მთლიანად ამ შეხედულებას ადასტურებს: მისი ისტორიის მანძილზე ჩვენ ვხედავთ მრავალი პლასტების ცვლას, რეფორმებსა და რეაქციებს, მაგრამ „რუსთაველისადმი ინტერესის შენელებას კი—იშვიათად“. „ვეფხის ტყაოსანის“ სრული უარყოფა ქართულმა მწერლობამ არ იცის არც ერთს პერიოდში, თუმცა კერძოდ პოეზიას განუცდია ქანრული რევოლუციები.

როგორც ყოველი დიდი ნაწარმოები პოეტური კულტურისა, „ვეფხის ტყაოსანი“ შემდგომს ეპოქებში გადაიქცა ბრძოლისა და კრიტიკული ათვისების საგნად. თვითეული ეპოქა მისთვის შესაფერ საზრდოს პოულობდა პოემაში. ამ მოვლენის ასახსნელად არ კმარა რუსთაველის სტილის ელემენტების აღწერა ან კლასიფიკაცია მხოლოდ საჭიროა მათი წარმომშობი წილის ჩვენებაც. ამიტომ ჩვენ გვერდს ვუხვევთ ცალკეული საკითხების ვრცელ მიმოხილვას. ასეთი საკითხებია, მაგალითად, რუსთაველის რიტმი და მეტრი, ბერწერა და ინტონაცია, სიუჟეტი და სხვ. წინამდებარე ნარკვევი „ვეფხის ტყაოსანის“ ყველა ამ კომპონენტს იხილავს მათს დიალექტიურს ურთიერთობაში.

ჩვენ წინასწარ, ურყვე დებულებად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციული შეხედულება, რომელიც „ვეფხის ტყაოსანს“ კლასიკურ ეპოქას აკუთვნებს. ყოველი ცდა, რომლის მიზანი იყო რუსთაველის პოემა თამარის ეპოქისაგან დაეშორებინათ, მარცხით დასრულდა. ასეთი შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობს უპირველეს ყოვლისა პოემის პროლოგი, რომელიც თუნდაც ყალბის მქნელის ნაწარმოებად ჩაითვალოს, მაინც გამოდგება ნაწარმოების დასათარიღებლად. ამ პროლოგში წარმოდგენილი ისტორიული რეაღიები ძველი გადმოცემის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. მათ შესახებ საკ-



რუსთაველის პოემაში ცხადად სჩანს კლასიკური ეპოქის ძეგლების გავლენა, „ვეფხისტყაოსანი“ დაკავშირებულია ამ ძეგლებთან სტილის კულტურის მხრივ. ავტორი კარგად იცნობს ბერძნულ-ფილოსოფიას, ასახელებს პლატონს, შედარებებში დასახელებული ყავს ფაბრუდინ გორგანელის პოემის გმირები, სარგებლობს ირანის სხვა პოეტების (შაგ. ნასირ ხოსროს, ნიზამისა და სხვ.) სენტეციებით, ბიზანტიის გზით მომავალი ნეოპლატონიზმისა და ირანული საერთო პოეზიის ასეთი გავლენა, როგორც ცნობილია, მე-XII საუკუნის ქართული კულტურის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

აღსანიშნავია აგრეთვე ირანულ-შიიტური წარმოდგენა მეფეში ღვთაებრივობის განსახიერებაზე, რომელიც საერთოა ჩაბრუბადისა და რუსთაველისათვის. „ვეფხისტყაოსანის“ პირველ სტროფშივე ნათქვამია:

„მისგან (ე. ი. ღმრთისგან) არს ყოელი ზელმწიფე სახითა მის მიერთთა“.

ბოლო ღმერთის ხატად რუსთაველს მიაჩნდა მზე:

„იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გოქვის მზიანისა ღამისად“.

(895, ა).

ან:

„ვის ხატად ღმრთისა გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“.

(896, ა).

რუსთაველი, ისევე, როგორც ჩაბრუბაძე, მზის განსახიერებას ზედაეს თამარში. აქ გვაქვს „ლთაების ინკარნაცია ადამიანის სახით“¹⁾.

აღსანიშნავია აგრეთვე პოემის სტროლოგიური მხარე. რუსთაველი, შავთელი და ჩაბრუბაძე მიმართავენ ბერძნულსა და არაბულს ტერმინოლოგიას; მაგალითად:

რუსთაველი: „კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორეა სიტკმო მზისა“. (482-2)

ჩაბრუბაძე: „უგავს ეტლობა კრონოს ციერსა“ (ქება 3,4) ა).

მოყვანილ ტაეპში ბერძნული სახელებია გამოყენებული. უფრო ხშირად კი რუსთაველი არაბული გარსკვლავთმრიცხველობის ტერმინებს მიმართავს (იხ. ავთანდილის ლოცვა მნათობებისადმი). ავილოთ ცნობილი ტაეპი:

„ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა სარათანისა“.

(1392, ა).

სარათანი აქ კირჩხიბს ნიშნავს (ვახტანგ: „საროსტანი — კერძო მკვლელობა“²). შავთელს იგივე შედარება არაბული ტერმინის ტარაღით აქვს გამოთქმული:

„სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა“. (ქება 13, 7).

ფრაზეოლოგიის მხრით შესადარებლად საყურადღებოა აგრეთვე მეორე ადგილი „აბდულ-მესიანიდან“:

„მზრდელ არს მონათა, ზეცით მონათა
იელისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით“ (ქება, 10, 4).

მაშასადამე ასტროლოგიურს პლანშიაც „ვეფხის ტყაოსანი“ კლასიკური ეპოქის ძეგლებთან ახლო მდგომი ნაწარმოებია.

მაგრამ უფრო საინტერესოა სტილიური ნათესაობა აღნიშნული თხზულებებისა.

ცალკე ფრაზები და თვითონ პოემის მეტრიკი კი გენეტიურად უკავშირდება ჩაბრუხადის³ ოდებს.⁴ შეხვედრები ამ მხრით შავთელსა და რუსთაველს შორისაც არსებობს. რუსთაველის ტაეპები:

„თამარს ეაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული“ (4, 1).

და

„ქნა მართლისა სიმართლისა ზესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (585, 4).

საესებით ენათესავეებიან „აბდულ მესიანის“ შემდეგს ტაეპებს:

„თამარს ეაქებდეთ მეფედ ცხებულსა“ (2, 2).

და

„ესა მართალი: ე სამართალი ზეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ“.
(21, 2 — 3).

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტი ე. წ. 16 მარცვლიანი „შაირის“ არსებობისა „თამარიანში“.⁵ ჩაბრუხადის მიერ ერთხელ ნახმარი საზომი „ვეფხის ტყაოსანში“ იქცა ძირითად მეტრად. სამაგიეროდ ჩაბრუხადის ქებათა მიუცილებელი კომპონენტები — შინაგანი რითმა და ომონიმები — შემთხვევით ელემენტებს წარმოადგენენ „ვეფხის ტყაოსანში“. ეს გამოწვეულია აღნიშნულ ნაწარმოებთა ენარული განსხვავებით.

პოემას არ შეეძლო ოდების სტილის ყველა ელემენტი ესესხებინა და რუსთაველის მაჯამები ჩაბრუხადისაგან შეძენილ რუდიმენტებად უნდა ჩათვალოს. „ვეფხის ტყაოსანში“ მათი ფუნქცია ძალზე შეცვლილია.

„ვეფხის ტყაოსანი“ შემდგომი საფეხურია ქართულს პოეზიაში ენარის თვალსაზრისით: „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ წარმოადგენენ ოდებურ კრებულს, ისიც სხვადასხვა დროს დაწერილს⁶. „ვეფხის ტყაოსანი“ კი — პოემას.



როგორც რომანს, „ვეფხისტყაოსანს“ საერთო ბევრი ფაქტორი უნდა ჰქონდეს. მაგრამ მხედველობაში უნდა მოვიტანოთ ისიც, რომ „ვისრამიანი“ წარმოადგენს პროზად თარგმნილ პოემას, ხოლო „ამირანდარეჯანიანი“ — ამბავთა კრებულს. ამის გამო, დასახელებული თხზულებანი მოკლებული არიან ფაბულის იმ თავისებურებას, რომელსაც ლექსის კონსტრუქცია ჰქმნის და რომელიც რუსთაველს განსაცვიფრებელ სიმაღლეზე აყვავს.

ჩვენ აღნიშნეთ ზოგადი ხაზები, თუმცა შესაძლებელი იყო მეტი დეტალიზაცია საკითხის. სპეციალურ ლიტერატურაში ამის შესახებ საკმაოდ მასალა მოიპოვება.

„ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო მიღწევათა კრიტიკულად გამოყენების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებს, რომელშიაც თავს იყრის ამ ლიტერატურის განვითარების ყველა ძირითადი ხაზი. ამავე დროს პოემა აღბეჭდილია განუყოფელი ინდივიდუალებით. ეს ნიშანი განასხვავებს მას — ქართული პოეტური მეტყველების უპირველეს ნაწარმოებს — თავისი დროის შედეგებისაგან.

2

„ვეფხისტყაოსანის“ ენა ძალზე რიტმიზირებულია და, რასაკვირველია, განსხვავდება პროზაული მეტყველებისაგან. ეს ნათლად ჩანს თუნდა მთავარი ცენზურის ადგილებში, სადაც დახანება შეაზე ჰყოფს სინტაქსურად მთლიან ერთეულებს (მაგ. „მე გარდავსულვარ, სიბერე მქირს, ჳირთა უფრო ძნელია“, „ეითა კაკაში არწივსა ჳევეშე მიდამო ძრწებოდა“ და მრ. სხვ.). ასეთი მოვლენა წარმოუდგენელია პროზაში. (მაშინაც კი, თუ ჩვენ მთავარ ცენზურას არ გავუწვეთ ანგარიშს, ვიგრძნობთ სხვა ტონს — სინტაქსის ძალმომრეობის მეტრზე. რიტმიული ჩარჩოების მსგავს დარღვევას პროზაში ჩვენ ვერ ავითვისებდით. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ლექსის ინტონაციით გამოწვეულ მოვლენასთან). რიტმის ბატონობა ენაზე იწვევს მორფოლოგიური და სინტაქსური ერთეულების გადაჯგუფებას, ტაქტის კონსტრუქცია ლებულობს თავისებურ სახეს.

რიტმიული ფაქტორები საზღვრავენ აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობასაც. რუსთაველის პოემაში სიტყვა დატვირთულია მრავალი გამგებრივად ნუანსით, გარდა მისი ძირითადი, ლექსიკური მნიშვნელობისა. ამიტომ სრულიად არ არი მოულოდნელი რუსთაველის მეტაფორა, რომელსაც არ მოეჩვენება ბადალი ქართულს პოეზიაში.

რუსთაველის ენის პრობლემასთან არის დაკავშირებული მისი სიუბრალოვის საკითხი.

„ქართლის ცხოვრება“, ჩახრუხადისა და შავთელის ოდები „ვეფხისტყაოსანთან“ შედარებით უფრო მწიგნობრული მეტყველების ფაქტებია. ამ

ძეგლების ენა შემუშავდა ე. წ. საეკლესიო ენის ტრადიციების განაზღვრულსათაველის ენა კი უფრო ახლოსაა სასაუბრო მეტყველებასთან. „ვეფხისტყაოსნის“ სახით ჩვენ გვაქვს კლასიკური ეპოქის ნაწარმოები, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ალორიზების მწერლობის ენაზე. ამ გავლენის პარალელურად მოდის მეორე ხაზი, რომელსაც სათავე აქვს პიმნოგრაფიასა და ჩახრუხადის ოდებში, გამოივლის ბესიკს და უკანასკნელ თავშესაფარს პოულობს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არქაისტებში. ამ პლასტს თან მოსდევს შინაგანი რითმები და ომონიემები, რომლებსაც „ვეფხისტყაოსნის“ კანონიზაცია უარყოფდა.

მაგრამ რუსთაველის ენის უბრალოება როდია ხალხური ენის ფორმათა უკრიტიკოდ მიღების შედეგი. „ხალხური“ ნაკადი მის ჰორიზონტში შესულია გადამუშავებული სახით და შენარჩუნებული აქვს პირველდელი საწყისის მნიშვნელობა. კონტროლისათვის რუსთაველი მიმართავს კლასიკურ ქართულს; „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს რაფინირებულ უბრალოების საუკეთესო მაგალითს. ამიტომ შეინარჩუნა მან დღემდე სტილიურად დაუძლეველი ნაწარმოების სახელი.

ავიღოთ სტროფი (1392):

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწევანისა,
ვარდის ფურცლების ნიშანი, დრო მათის პავმანისა,
ერთის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სირათანისა,
სულთქნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.

ამ სტროფში, სადაც სიტყვიერი მასალა დიდი სიფაქიზით არის დამუშავებული, მოჩანს ის ზომიერი უბრალოება, რომელიც საცხებით არ ეშვება სასაუბრო მეტყველებამდე. მაგრამ არც მწიგნობრული ენის სიმძიმის მატარებელია.

ენის უბრალოებამ, იუველირის სიმკაცრით სტილის დამუშავებამ, რუსთაველის პოემის გავლენის ხანგრძლივობა საუკუნეებით განსაზღვრა. „ვეფხისტყაოსანში“ მხილდება მაქსიმუმი ქართული ენის შესაძლებლობისა და გამოთქმის მხრით.

4

რუსთაველის მიერ ენის სტიქიის სრული დამოუკიდებლობის გამო „ვეფხისტყაოსანი“ სტილიურად არაჩვეულებრივად რთულ ძეგლს წარმოადგენს. აქ მოკლედ შევხებით იმ ფაქტორებს, რომელნიც ამ სირთულეს იწვევენ. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია პოემის საზომი, მისი მეტრიკა.

„ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია 16 მარცვლიანი საზომით, რომელსაც ორი ძირითადი, აკცენტური სისტემისა და ტემპის მხრით ერთმანეთისაგან განსხვავებული, აგებულობა აქვს (ე. წ. „მაღალი“ და „დაბალი“ შაირი). ამით არის გამოწვეული ის მრავალფეროვნება ინტონაციისა, რომლის მსგავსს ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთს დიდს ეპიურ ნაწარმოებში კლასი-

კური ეპოქებიდან. რუსთაველმა დასძლია ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელი მონოტონური ღინება თხრობისა და თავიდან აიცილნა ხელოვნურება, რომელიც შესაძლო იყო კონტრასტული მეტრების ურთიერთცვლას გამოეწვია მთელი პოემის მანძილზე.

ასევე შეუდარებელია რუსთაველი, როგორც ეფფონისტი. პოემაში განსაკუთრებული გულმოდგინებით არის შერჩეული ბგერები (ხმოვნები და თანხმოვნები). ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ქართველი მკითხველისათვის მაგალითებს არც კი საჭიროებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მხოლოდ სიტყვების განმეორება, რომელსაც რუსთაველი ხშირად მიმართავს. საყურადღებოა უფრო ის ტაქტები, რომელშიაც განმეორებული სიტყვები ერთად მოხვედრილან; მაგალითად:

„შე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დაროხს, დარულად“ (839, ა).
 „შენ გენუკვი, შემოჯერო, ღმერთი იღმართო, ცაცა იცო“. (711, ო).
 „მივეგებვი, მომვეგებოს ამიტირდეს, ამპატროს“ (942, ა).
 „დე მოვიდა, ნავზორობა, დედოფალსა ძღვენი ძღვენიოთ.
 ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავიცენიოთ, ავააცენიოთ“ (1187, ა—).

ფლეჟიის მცირეოდენი მიმოხრით აქ მიღწეულია სიტყვათა სემანტიური სხვაობა; *) ეფფონიის მხრით კი მოყვანილ ტაქტებში სიტყვათა ორკესტრული დენა საცხებით აღწევს თავის მიზანს.

5

უფრო საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ ინტონაცია. პოემაში ერთი მხრით ძლიერია ემფატიური (მიმართვის) ტონი (შესავალი, წერილები, ლოცვები და სხვ.), ხოლო მეორეს მხრით — ეპიური თხრობის მომენტი (მოგონებანი, მოგზაურობანი და სხვ.). ემფატიური ინტონაციით დაწერილ თავებში მეტია ჩახრუხადის ოდების გავლენა (ფრაზეოლოგიისა, შედარებებსა და ლექსიკონში), თხრობითი ნაწილში კი — ირანული ეპოსის ზოგიერთი ტრადიციის მხატვრული, გადამღმავებული სახით გამოყენება. ცალკეულ შეხედრათა მიუხედავად „ვეფხისტყაოსანი“ გამოირჩევა სიუჟეტის არაჩვეულებრივი არტისტული გაშლით აღმოსავლეთის ეპიურ თხზულებათა შორის.

მიმართვით (ემფატიურ) ადგილებში პოემა იშლება ასტროლოგიური პლანის ხაზით [თამარის შედარება მზესთან პროლოგში, ვარსკვლავთა ჩამოთვლა ავთანდილის ლოცვაში, ამ უკანასკნელის მიმართვა მთვარისა და მზისადმი მეორედ გაპარვის აღწერის სცენაში, და სხვ.]. ეს პლანი გადადის ეპიურ ნაწილშიც, განსაკუთრებით იმ თავებში, სადაც მომქმედი პირები ასტროლოგიურ ხაზებშია დახასიათებული, საერთოდ კი პოემის ეპიური ნაწილი უფრო რეალურ პლანს შეიცავს. ეს შინა-

განი ორ-პლანობა ერთერთი დამაბასიათებელი ნიშანია „ვეფხისტყაოსნის“ სტილის [დაწერ. იხ. ქვემოთ].

მაგრამ ემფატიური ინტონაციის ძლიერ ნაკადს შეედრება შეესუსტებინა სიუჟეტის გაშლის მომენტი, ამბავთა ცხოველი განვითარება. ავტორი თითქოს იძულებული უნდა ყოფილიყო მექანიკურად მიეკერებინა ამბავთა შემცველი ადგილები ლოცვებისა და წერილებისათვის; ამის მაგალითები საკმაოდაა ირანულ ეპოსში. „ვეფხისტყაოსანში“ კი მექანიკურად გადასვლები არ არსებობს და სიუჟეტური ძაფი არ სწყდება მიმართვითი ტონით შესრულებულს თავებშიაც: ესენი შინაგანი ძაფებით არიან ფაბულის მთავარ ხაზებთან დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის წერილი, რომელიც ლირიული მეტყველების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს და რომელშიაც ტარიელი ასტროლოგიურ პლანშია დამაბასიათებული [1368, 1—2: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, განაღმაც მას ეახლე, მისი ეტლი არ თუ წილი“], იმავე დროს შეიცავს ადგილს, სადაც ნესტანი სთხოვს ტარიელს წავიდეს ინდოეთს და შეეხასხალოს. პოემის ბოლო თავებში აღწერილია ამბავი თვითონ ამ შეძიხისა, — სრულიად რეალურ პლანში. ეს, ერთის შეხედვით თითქოს უხილავი ძაფები, ჰქმნიან „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტს, რომლის მსგავსს ჩვენ ამაოდ ვეძებთ კლასიკური ან ალორმინების ხანის მწერალთა ნაწერებში.

პოემაში ორი პლანი ერთმანეთს კი არ უშლიან ზღვს, არამედ ანვითარებენ და ავსებენ. რუსთაველი ამას აღწევს სიუჟეტის შეთანხმებით ემფატიურ ინტონაციასთან, რომელიც ჩვეულებრივ ვერ ითმენს რთულ ფაბულას. „ვეფხისტყაოსანში“ შესანიშნავად არის გადაჭრილი ეს საკითხი.

6

პოემის ფაბულა, სიუჟეტის ყველა ძირეული ხაზებით, უთუოდ დიდს ადგილს დაიკავებდა, რომ ავტორს ის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით და სწორხაზობრივად განეცხადებინა. ეპიზოდებიდან ეპიზოდზე გადასვლა მაშინ მოითხოვდა უფრო ვრცელი პანორამის გაშლას და მივიღებდით ამბავთა კრებულს, რომლის მსგავსი (ტიპოლოგიურად) ბევრი მოიძებნებოდა ქართულს, ირანულს და საერთოდ აღმოსავლურს ლიტერატურაში.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი იშლება პოემის რიტმის მოძრაობის თანახმად. ამიტომ ძალზე განსხვავდება ჩვეულებრივი, პროზაული სიუჟეტისაგან. ის* შეკუმშულია და ჩასმული ინტონაციის ჩარჩოებში.

ამას კარგად ადასტურებს პოემის დრო.

აგილოთ ტარიელის საძებრად კაცების გაგზავნის აღწერის სცენა (მოგვყავს ნაწყვეტი):



122. მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა;
 ლბრძანეს: „წადით, პატივთა თაღიმცა რად დაპრიდეთა“;
 მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიკლიდნეს,
 მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწედეთ, ვერ მიხვიდეთა“.
123. „კაცი წადიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია,
 მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა დია;
 ვერცა თუ ნახეს მნახველი ღმრთისაგან დანაშაულია,
 ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.“
124. მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით;
 მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
 მისსა მნახველთა სულდგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით,
 ჩვენ ვერა ვარგეთ, საქმენი სხვანი რომ მოიგვარენით“.
125. მეფე ბრძანებს... და სხვ.

აქ შეგვეცილია მოგზაურობის აღწერა და ის „საინტერესო ამბები“, რომლებიც მოგზაურობასთან დაკავშირებით შეეძლო მოეთხრო ავტორს. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ლირიულ, დრამატიულ და პლასტიურ სურათების ცხოველ დენას, და არა ამბავთა ქრონიკას.

აეთანდილის პირველი გამგზავრების აღწერაშიაც გვხვდება შემდეგი ადგილები:

156, 1 — ვ: „გამოემართა აეთანდილ, მოყმე მხნე, ლაღად მავალი,
 ოც დღე იარა, ლამესა დღე ზედა წართო მრავალი.“

ან:

201. ყოელი პირი ქვეყნისა მოვლო, სრულად მოიარა,
 ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა არ იარა,
 მაგრა იგი მის ამბისა მამენტლსაცა ვერ მიმხედარა
 ამაშიგან წელიწადი სამი სამთედ მიიყარა“.

და ა. შ. — პოემის სხვა თავებშიაც.

რუსთაველი ამოკლებს თხრობის დროს, მოქმედება გადააქვს შეგვეცილ ხანაში: დროის, ადგილისა და სივრცის მთლიანობის საშუალებით ის აღწევს საგნების ყოველმხრივ და პლასტიურ ჩვენებას. ყოველივე ამის მიღწევა გრძელი დროის მანძილზე გაძნელებდებოდა.

„ვეფხისტყაოსანში“ დრო კონსტრუქციის საკითხს სწვევტს. ეს კარგად შენიშნა ჯერ კიდევ აკად. მ. ა. ბროსე. ის სწერს:

— „გამოვიანგარიშეთ სულ რაოდენი დრო გამოვა „ვეფხისტყაოსანის“ მოქმედებაში. ეპოევბთ 13 წელიწადს, 9 თვეს და რაოდენსამე დღეს თუ მეტს ნაკლებს. თუმცა დრო ესე გრძელია, მაგრამ რუსთაველის ხელოვნე-

ბითა ასე შემოკლებულია, რომ იმისი ანგარიში წამყობეულს დაავიწყდება. მაგალითად ორი მოგზაურობა ავთანდილისა, რომელიც გაწეულდება ოთხსწელიწადზედ მეტს, მხოლოდ რაოდენათმე მუხლთა შეიცავს. თუ სხვა მწერალი ან მეზღაპრე ყოფილიყო, უთუოდ ზღაპარსა თვისსა გმირის დაბადებიდან იწყებდა და გრძელად აღწერდა სიყრმესსა მისსა. ხოლო რუსთაველი, ტარიელის პირით, ყველას ასე მოგვითხრობს, რომ მოქმედების დროში არ შევა არც მისი შობა, არც უდაბნოში ათწელ დგომა. ამისმებრცა სხვანი გარემოებანი შემოკლებულ არიან.“¹⁾ მართლაც—ვეფხისტყაოსანში“ რეალური დროს დინებისას დაუშვებელია გადახვევანი (წარსული დრო), რომელიც ავსებენ ამბავს, მაგრამ რეალური დროში არ შემოდის. უამისოდ პოემა ძალზე გაიზრდებოდა.

რუსთაველი მიმართავს მოგონებებს (ტარიელის მიერ ყრმობის ამბავთა თხრობა, ფატმანის საუბრები და სხვ.), რომელიც პოემაში პარალელურ დროს ბადებს და კარგადაა შეთანხმებული რეალურ დროსთან. ამ მოსაზრებას ადასტურებს როგორც მთლიანად პოემა, ისე ცალკე თავები და სტროფებიც კი. რუსთაველი, მაგალითად, არ ივიწყებს მთხრობელის მდგომარეობას თვითონ თხრობის პროცესში, ტარიელი ჰყვება:

„ — მე ხელთისა წლისა ვიყავ დაორსულდა დედოფალი,
ესე რა თქვა, ყმამან სულთქა, ცემლით ბრძანა: „შობა ჭალი“
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასბა გულსა წყალი,
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა აწ მედების ვისგან ალი“! (355).

პარალელური დრო (მოგონება) აქ ხელს არ უშლის პოემის რეალურ დროს დინებას. პირიქით ის ხელს უწყობს მიმართვისა და თხრობის ერთმანეთთან შეთანხმებას პოემაში, ინტონაციის დინამიურ განვითარებას. მეტრიული ცვალებადობაც ამ დინამიკის თანახმად ხდება: ემფატიური ინტონაციის ადგილებში სქარბობს დიქჟრული და პეონური საზომი. (ე. წ. „მაღალი შაირი“), ხოლო ეპიურ ადგილებში—ქორე-დაქტილური მეტრი (ე. წ. „დაბალი შაირი“) თავისი ნელი ტემპით.

ასევე კარგად არის გადაჭრილი რუსთაველის მიერ ორი პლანის — ასტროლოგიურისა და რეალურის — ურთიერთ მოქმედების საკითხი.

7

პოემის პროლოგში თამარი შედარებულია მზესთან:

3. 1 — 2: „ვის შევნის, ლომსა, ხმარება შეუბისა ფარ შიშვრისა,
მეფისა მზის თამარისა...“

ეს არის ზოგადი, ასტროლოგიური პლანი. მეხუთე სტროფში კი მოცემულია პლასტიური სურათი თვითონ მეფის გარეგნობისა:

5. მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროღბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქეასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ეს არის რეალური პლანი.

შესავალში რუსთაველი მეფეს მიმართავს, როგორც ერთერთი მკერეტელი („მისთა მკერეტელთა...“), მისთვის ნაცნობია თამარის სახე ორივე პლანში (როგორც მეფის ანუ შვის, ისე ქალის, — გარეგნობის ყველა ატრიბუტით!..¹³¹).

ასევე იქცევა რუსთაველი პოემის ძირითად ნაწილშიაც. თინათინის პირველი გამოჩენა ასეა აღწერილი:

35. სხვა ძე არ ესეა შეფესა მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მკერეტთა წაულის გული გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული“.

ამ სტროფში გადმოცემულია შორით მკერეტელის, სამეფო დარბაზის წევრის („მისთა მკერეტთა...“) თვალებით ასტროლოგიურ პლანში დასახული მეფის სახე („სოფლისა მნათი მნათობი“). ჯერ კიდევ არ არის ნაჩვენები სახის დეტალები, მათი აღწერა. ავტორი მთხრობელი თავის ადგილს უთმობს ავთანდილს, რომელმაც იცის:

„ამოა მკერეტა ტურფისა, სიახლე [ე. ი. სიახლოვე] საყვარელისა“ (128, ა).

სიახლოვის მომენტში კი, როცა თვითონ მეფე-მზე მიიწვევს მას თავისთან, ავთანდილისა და მკითხველის წინაშე იშლება პლასტიური სურათი:

130. „გაცრციელსა ტანსა ემოსნეს ყარყუშნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასის თქმად გასაპირონი;
შეწოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი, არ უხშირონი“.

რეალური პლანის (თინათინის გარეგნობისა) დაახლოვება მკითხველთან შესაძლებელი გახდა ასტროლოგიური პლანის დაახლოვებით მკერეტელთან (ავთანდილთან). ამის შესახებ ნათქვამია პოემაშიაც:

- 131, ა: „პირისპირ პირსა უმკერეტდა სასე ლბინთა დიდითა“.

„ვეფხისტყაოსანში“ სხვა ადგილსაც მეორდება ეს ხერხი: ხატაელებზე გამარჯვებული ტარიელი ბრუნდება ინდოეთს და მერტყაბაშის მკურთხედ შელის დარბაზში, სადაც პირისპირ შეხვდება ნესტანს:

521. „მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა
შეხედენ, დაცრით ელვასა ლაწვთა მზეებრ ნათელთასა!“

522. „მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერნი ჯუბანი,
ზურგით უთქს ჯარი ხადუშთა, დას-დასად, უბან-უბანი.
სრულად ნათლითა ეცხო სახლი, შუკა და უბანი;
მუნ ვარდაა შუა შეენოდეს ძოწ-მარგალიტი ტყუბანი“.

524. პ. პირისპირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისაც კედებოდა.

526. რა უამეა პირისპირ საყვარელისა ქვერტასა?!

როგორც ვხედავთ აქ თითქოს განმეორებულია სურათი თინათინისა და ავთანდილის შეხვედრისა. ერთნაირია ლექსიკონიც კი (...ტანსა ემოსნეს...), ეს მომენტი ხაზგასმულია ფაბულაშიც.

ტარიელის პირველი გამოჩენის აღწერის დროს რუსთაველი განზრახ მალავს „უცხო მოყმის“ გარეგნობას.

90. „წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდღუარისად
თაფამოვდითა მტირლისა არ ქვერტით მოლიწღარისად“.

მის საძებრად წასულ ავთანდილს მგზავრები აცნობებენ:

„რადგან ისი (ტარიელი) არის სადმე უცნობო და ისრე რტად
რომე კაცისა არ მიუშვებს საუბრად და მისად ქვერტად“.

(238).

გამოქცეულში კი სულ სხვა სურათი იშლება:

291. „ავთანდილ საკმლით უმზერდა ქვერტითა იდუმალითა“.

292. „ამართის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
დიდბანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა მოიყვანა მან;
დადუმდეს, ცრემლი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან“.

საკითხავია, რატომ ავგიანებს რუსთაველი რეალური პლანის ჩვენებას? ნუთუ ავტორი აქ პერსპექტივის საერთოდ ცნობილ კანონს იცავს მხოლოდ?

ასტროლოგიური პლანი მოითხოვს მეფე-მზე ზოგად ხაზებში იქნას დახასიათებული. თინათინი ამ პლანში ნაჩვენებია, როგორც მზის ბადალი, მზის სწორი; აი ტაეპები, რომელნიც მას ახასიათებენ:



36, 1 — 2. „მისი სახელი თინათინ, არს ესე საცოდნარია
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.

49, 1. შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეზრ განაცხადია.

45, 1. მან განანათლნეს ყოველნი, ეთი მზემან მანათობლმან.

53, 4. თინათინი მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.

68, 2. ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.

106. აღდა და კარსა მივიდა, — ჰქონდა მზისა ცილობა.

ამ სიტყვიერ ატმოსფეროში საესებით იკარგება ზორციელი ადამიანის განცდა; პოეტი განგებ არ მიმართავს ნილაბის კონკრეტული რელიეფის გამოკვეთას: მჭერეტელი და დარბაზი აქ მოქცეულია თვითონ მეფე-მზის შუქის ქვეშ; ამიტომ არის ნათქვამი თინათინზე:

47, 1: „ქალი მზეზრ უმერეტს ყოველთა ცნობითა
ზე-მზედველითა“.

რეალურ პლანში კი იგივე მზე-თინათინი ჩვეულებრივი ადამიანის ატრიბუტებს იძენს და თუ აქაც ხშირად ისმის სიტყვა „მზე“, არა როგორც მეფე-ლეოთების შემცველი ცნება, არამედ, როგორც ეპიტეტი.

საერთოდ მკითხველმა უნდა გაარჩიოს სად როგორი მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა. „მზე“ ხშირად მიემართება შამაკაცებსაც (მაგ. ავთანდილს, ტარიელს და სხვ.) რაიც საესებით ბუნებრივია. რეალურ პლანში სიტყვა მზე ამოვარდნილია იმ ლექსიკურ ატმოსფეროდან, რომელშიაც მას უხდებოდა მოძრაობა ასტროლოგიური პლანის დინებისას. რეალურ პლანში ის სხვა დანიშნულებას ასრულებს, მოხვედრილია სულ სხვა ლექსიკურ რიგში. „მზე“ აქ გვხვდება, როგორც აღწერის საშუალება, შედარების ელემენტი და სწორედ ამის გამო მის გვერდით ჩნდებიან სიტყვები: „დარი“, „ჰგევანდა“, „მსგავსი“ და სხვ.

ტარიელი ამბობს:

351, 1: „მოვიწმიფე, დავემგზავსე მზესა თვალად ღმრთა ნაკეთად“.

ზოლო ნესტან-დარეჯანი ასეა დახასიათებული ტარიელის მოგონებაში (სადაც პირველად ჩნდება მისი სახელი).

355, 1: „თქვა: „მაშინვე მზესა ჰგევანდა, აწ მედების ვისგან აღი“.

358, 2: „მართ მაშინვე ჰგევანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა“.

360, 1: „მთვარისა მსგავსი, მზისაგან შევნებით არ შეფლობილი“ და სხვ.

მკითხველს უნდა მოეგონოთ, რომ ნესტანი თვითონ არ არის მეფე (როგორც მაგ. თინათინი). ამიტომ კონკრეტულ პლანში მისი დახასიათება

სავესებით ბუნებრივია. მაგრამ საკმარისია პოეტმა ის ასტროლოგიურ პლანში მოაქციოს (პოემის შემდგომს თავებში), რომ *„მზესა-მზეს“* სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინოს. ემფატიური ინტონაცია ამ მომენტს კიდევ უფრო აძლიერებს. მაგ. მიმართვა ნესტანისადმი ტარიელის წერილში:

546, 1: „მივეწერე: „მზეო, შეუბ შენი, შენგან მონათენი“.

ან კიდევ ფატმანი ნესტანს:

333, 1: „ფატმან წერს: აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო!“ და სხვ.

8

როგორც ვსთქვით, ასტროლოგიური პლანი განსაკუთრებით ძლიერია იმ ადგილებში, რომლებიც ემფატიური ინტონაციით არიან დაწერილი, რუსთაველი ამ ადგილებში მიმართავს შინაგანი სიმბოლიკის განსაკუთრებულს ინტენსივაციას: მნათობებთან დაკავშირებულია ბედის სხვადასხვა საფეხური (ლოცვა მნათობებისადმი) ნესტანის წერილში ტარიელი მზის წილად არის მიჩნეული და სხვ.¹²).

ჩახრუხადის ოდებშიაც, რომლებიც მიმართვის ფორმებს წარმოადგენენ, თამარი დახასიათებულია ასეთს ზოგად ასტროლოგიურს პლანში:

თამარ! შენ გიცნობ, ასულად გიცნობ
მზე დაუვალი შეუ მომფინარი! (ჭება 21)
არსნი მზედ გზმობენ... (23)
მან ცათამ არის, მან ცა თამარის
და მზე აბნელა მაცისგროვნებად (25)
შენსა სად არსა? შენსა სადარსა
ვერა ესპერეტ ცხადად და ნახსოვარად!
თქვენ ას ენათა, მზეო ზენათა! (28)
ზეესმან მზედ გიცნა, უმზესად ზესა
მით რომელ უცხო ხარ სახილველი (70)
შენ მწუწნობი ხარ მნათობთა... (85)
(შედარ. რუსთ. „თინათინ მზესა სწუწნობდა...“).

ჭერეტის მომენტს ჩახრუხადეც აქცევს ყურადღებას; ის მიმართავს თამარს:

„მჭერეტი ენი იყო სხვა დაუწველად?“ (46).

ან:

„ვერეინ გიხილა, ნახვად გიხილა
ანუ გიჭერედეს გარეტებულად“ (53)¹³.



(აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს მომენტზე: „ჭერე-ტა“ და „ხილვა“ (ან „ნახვა“) სხვადასხვა მდგომარეობაშია წარმოდგენილი აქვს ესენი გამოჩენილი: „...უმწერდა ჭერეტითა იღუმალთა“ — ამბობს ის ავთანდილზე (ხომ არ „შეიძლება მაგ. თქმა: „ცქერით უცქერდა“). სიტყვა ჭერეტასთან დაკავშირებულია აგრეთვე ემოციური მომენტი.

მოყვანილ ტაეებში დაცულია დისტანცია მზე-მეფისა და მჭერე-ტელს შორის. რეალურ პლანში, როგორც ვსთქვით, რუსთაველი აბსოლუტებს გმირთან აბსტრაქტულ პლანს და მიმართავს გარეგნობის დაწვრილებით აღწერას. ამ მხრივაც რუსთაველს ბევრი საერთო აქვს ჩაბრუბადესთან, რომელმაც პირველად შემოიღო „მელნის ტბის“ პოეტიკა (იხ. ქვემოთ). მაგრამ აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მზეს“ ჩაბრუბადე აღარ ხმარობს რეალურ პლანში ეპიტეტის მნიშვნელობით, რადგან მიმართვის ტონი მის ოდებში არ იცვლება ეპიური თხრობით და ლექსიკურ ატმოსფეროს ხასიათი ბოლომდე ერთფეროვანი რჩება.

9

ქალის (თამარის, თინათინის და ნესტანის) აღწერისას რუსთაველი უმთავრესად სახის ნაწილებს აღნიშნავს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ის თავალებს, რომლის მეტაფორული გამოხატვისათვის მას აქვს სახე: „მელნის ტბა“, და წ ა მ წ ა მ ე ბ ს, — რომელსაც აღიარებს: „გიშერს“, „ჰინდოთჯარს“ ან „ყორნის ბოლოს“. პოემაში მრავლად მოიპოვება ვარიაციები ამ სახეებისა და შედარებების. ავიღოთ ტიპური მაგალითები:

- „შიგან მელნისა მორცხა ეყარის გიშრის შუბები“
- „მელნისა ტბათა მიჯარვით ჰპურავს გიშრისა კერითა“
- „ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ჰინდოთა [ე. ი. წამწამები] ტომისა“.

რუსთაველი აქაც ხედება ჩაბრუბადეს:

„ლაწვთა არესა, შუქნი მთვარესა,
მელნისა ტბანი ღვანან მორცხად
ვნახე რა სახე, შამშინარისა ხე
ჰინდოთა ცვად, ჟონ ნამუხთალევათ“ (ქება 49).

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

მოკმეოდ პირთა გამოსახვის ასეთი მანერა — პლასტიური მხარის ხაზგასმა, — რასაკვირველია, მართო რუსთაველის პოემისა და ჩაბრუბადის¹⁴⁾ ან შავთელის ოდების თვისებას არ წარმოადგენს. „ვისრამიანში“ და საერ-

10. „მნაობი“ № 12.

თოდ ირანულ ეპოსში ის საკმაოდ გავრცელებული ხერხია, მშვენიერად ფლობენ მას თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსი (ქართლის ცხოვრება¹);¹⁵⁾ რუსთაველს კი უკიდურესობამდე აქვს განვითარებული აღნიშნული მომენტი.

„მელნის ტბის“ პოეტიკამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული პოეზიის შემდგომ ისტორიაში. ამ გავლენის საერთო სიძლიერეს, თვით ყოფაშიაც კი, მოწმობს აგრეთვე მე-18 საუკუნის მოგზაურისა და კლერიკალის ტომთე გაბაშვილის განცხადება რუსთაველზე:

„...აღწერა ქალისა ვისთვისმე თუალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა; და ამის გამო დედანი საქართველოსიანი ხატად ღუთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საფრხედ სულთა“¹⁶⁾.

რაინდების დასახასიათებლად რუსთაველს აქვს სხვა სახეები: ხე“, „სარო“, „ღერწამი“, რომლებიც მიემართებიან ტანს, სხეულს.¹⁷⁾ ზოგჯერ ეს „ტანი“ სახის გარეშეა დატოვებული: ხაზგასმულია მხოლოდ სიარულის მომენტი. უფრო ხშირად კი ორივე ერთად არის მოცემული;

პირველივე ცნობა ავთანდილზე ასეთია:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ სპასალარისა
საროსა მჯობი ნაზარდი“

მას თინათინის მშენება ჰქვედის წამწამთა ჯარისა“ (46).

აქ დაპირისპირებულია ქალის სახის ნიშნობლივი ატრიბუტი („წამწამები“) ავთანდილის აღმნიშვნელ ეპიტეტისადმი („სარო“).

რაინდის („ჩაუქის“, „ლომის“) ავთანდილის დასახასიათებლად რუსთაველს აქვს თავის პოეტური შედარებანი:

„ადგეს სოგრატი და ავთანდილ ტანითა მით კენარიითა“ (59)

„ავთანდილის შემხედველთა, ჰგავს ალვაა, ედემის ხეს“

„იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხევლიდ“

„ნახოს, მჭერეტელთა ახელებს, ტანი ღერწამი ხე ვითა“.

ტარიელი:

„ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მგავსი გმირისა“

„ძალად ლომისა, თვალად მზესა, ტანად გვგანდი ედემს ზრდილსა“

„ცნა მფეფმან ტარიელ ა, — მარტო მოვა, მოხრის ტანსა“. და მრ. სხვ.

ტანის მოყვანილობისა და უსიტყვო სიარულის ხაზგასმით ჩვენება „ვეფხისტყაოსანში“ ჰქმნის პანტომიმურ სურათებს.

მაგრამ რუსთაველი, ზემოდ მოყვანილ მეტაფორებს აღწერილობითი მარტო როდი მიმართავს. სიუჟეტში „მელნის ტბისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ თიერთმომჭმედებაც არის ნაჩვენები. პროლოგში პოეტი ამბობს:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად ნაი [ლერწამი] რბეული“ (4, ა).

ეს მეტაფორა გაშიფრვით ნიშნავს: მელნად მე მქონდა (თამარის) თვალები, ხოლო კალმად — ლერწამი (თვით მე ვიყავე).

ტექსტში ავთანდილი მიმართავს ოტარიდს:

„დაჯე წერად ჰირთა ჩემთა, მელნად მოცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ ტანსა ჩემსა გაწლობილსა ვით ლერწამსა“.

როგორც ვხედავთ, აქ მეტაფორა უცნაური შინაარსის შემცველია: კალმის დანიშნულებას ასრულებს ტანი — ლერწამივით გაწლობილი. „ვეფხისტყაოსანში“ „ლერწამი“ ჩვეულებრივ მიემართება ტანს. იხ. „ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს“ (სტროფი 193,3) და „...ტანი ლერწამობს ხე ვითა“ (სტროფი 1038,4) ნესტან-დარეჯანიც სწერს ტარიელს: „ტანი კალმად მაქვს კალამი ნაღველთა ამონაწები“ (1356,2)].

ამ რთული მეტაფორების გაგება შესაძლებელია კონტექსტში, პოემის სიუჟეტის გათვალისწინებით.¹⁸⁾ უნდა მოვიგონოთ, რომ ავთანდილს „პკლავს“ თინათინის „მელნის ტბა“ და „წამწამთა ჯარი“. ჯარისგან გაღებული ტანი ემსგავსება — „ლერწამს“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კალმად, ისაზრდოს „მელნის ტბით“ (ე. ი. თვალებით). მეტაფორა ამრიგად პოემის მთელს შინაგან ფორმასთან არის დაკავშირებული და მისი სრული ახსნა შეიძლება პოემის დინამიურად ათვისების დროს.

10

„ვეფხისტყაოსანში“ სატრფოს სიყვარულით დაბნედილ და ველად გაქრილ მიჯნურს ეწოდება „ხ ე ლ ი“. ¹⁹⁾ ასეთია მაგ. ტარიელი, რომელსაც ავთანდილი ნახავს დახოცოლ ლომისა და ვეფხის გვამებთან ერთად შამბნარში. პოემის ამ ადგილის პოეტიკა მოცემულია ჩახრუხადის ოდების შემდეგს ოთხს ტაეპში:

„ჩემსა მოყმესა, ლომთა მომესა,
ვის არად უჩნდის სახლი და კარი,
დამმეტეს მქმნელად: გაიპრეს ველად
სადგურად ჰონდეს ლომთა შამბნარი“ (59).

ასეთი შეხვედრები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ ერთსა და იმავე/ლიტერატურულ სკოლას, სპოქას. მაგრამ არ ღნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთაველი აღრმავებს ამ სკოლის კულტურას, აძლევს მას მხატვრულ შეფერვას.

რუსთაველი ხშირად მიმართავს მხატვრულ გადაკარბებას: მისი გოლიათი გმირები ცრემლს აფრქვევენ, ვეფხთან მორკინალი ტარიელი იმავე დროს უაღრესად მგრძნობიარე რაინდია. რუსთაველი ამართლებს თავისავე კოდექსს მიჯნურობისას:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძვეი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქა, უში“ (26).

ამ შეგნებულ მხატვრულ მეთოდთან ერთად [აქვე უნდა მოვიგონოთ პოემის ფანტასტიური ადგილები, დევები და სხვ.], „ვეფხის ტყაოსანი“ შეიცავს რეალისტურ ადგილებს, ყოფის დამახასიათებელი შტრიხებით (მაგ. ფატმანის თბრობაში).

რუსთაველისათვის ობიექტურ სამყაროს („რეალურ პლანს“) დამოუკიდებელი აღწერის მნიშვნელობა მართა როდი აქვს. პოეტი იმავე დროს იძლევა მის ახსნას სიმბოლიურ ხაზებში („ასტროლოგიურ პლანში“). თავის გმირებს, მაგალითად, რუსთაველი ხშირად უკავშირებს კოსმიურ სისტემას; აქ ეს სწორ უბოვარია. ამიტომაც ასე ხშირია პარალელები ვარსკვლავებთან, მზესთან და მთლიანად ცასთან.

ტარიელის ნახვის შემდეგ არაბეთს მიტყეული ავთანდილი შედის სასახლის დარბაზში და ზედაეს თინათინს:

732. „მას ავთანდილ თავიანი სცა, ლომთა ლომჲან მზეთა მზესა,
მუნ ბრაღი და ვარდგოშერი გაეტურფა სინაზესა!
პირი მისი უნათლესა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლსა მყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა“.

რუსთაველისთვის ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს კოსმიური ან-საშბლის შემადგენელს ნაწილს; პოემის ქვეყანა გაშუქებულია მზით, თეი-თონ ადამიანებიც მზის ამ ქვეყნიერ სახეებად არიან გამოცხადებული (ტარიელზე: „ვთქვით თუ მზეო ქვეყნად“; ნესტანზე — „ანუ მზე იყო ქვეყნად, ან მთვარე პირგავსებული“), რომელნიც ბოლოს უბრუნდებიან მთავარ, კოსმიურ მზეს; ნესტანი მიმართავს ტარიელს:

„მუნა [მზეში] ვნაზო, მანდე ვსაზო, განმინათლო გული ჩრდილი.
თუ სიცოცხლე მწარე მჭინდა, სიკვდილიმცა მჭინდეს ტყბილი“ (1368).

ასე, — მზე არის სიცოცხლის საწყისიც და მისი დასასრულის შემცველიც.

დასკვნები

„ვეფხისტყაოსანში“ პარალელური ხაზები ბოლოს მაინც იჭრებიან ურთერთში: მათი ურთიერთ-მოქმედება შეადგენს პოემის სტილის უმთავრეს ნიშანს. ზემოდ თქმულის მიხედვით აქ წარმოვადგენთ სქემას, როგორც ერთგვარს ილუსტრაციას ჩვენი მოსაზრებისას:

რიტმისა და ინტონაციის მრავალ ფეროვნებას პოემაში ჰქმნის ორი მთავარი მეტრის — „მაღალი შაირისა“ და „დაბალი შაირისა“ — ურთიერთმოქმედება. მეტრიული ცვალებადობა (უმთავრესად ტემპის მხრივ) მიღწეულია, როგორც მიმართვის, ისე თხრობითს ადგილებში, მაგრამ დომინანტური როლი ერთს მათგანს აქვს შენარჩუნებული მისთვის შესაფერად ადგილებში [ვეფხისტყაოსნის ან დიქტორულ მეტრს — მიმართვით ადგილებში, ხოლო ქორედაქტილურს — თხრობითს ადგილებში]. შინაგანი სიმბოლიკის მხრივაც პოემაში ორი პლანია მოცემული: ასტროლოგიური და რეალური. ეს ორი პლანი ბოლოს ურთიერთში იჭრებიან, თუმცა პირველი სქარბოპს უფრო ემფატიური ინტონაციით შესრულებულ თავებში, მეორე კი — ეპიურ ნაწილში.

პარალელიზმს იცავს რუსთაველი აგრეთვე მოქმედ პირთა განაწილებაში [ერთის მხრივ — თინათინი და ავთანდილი, ხოლო მეორეს მხრივ — ნესტანი და ტარიელი]. მათი ბედიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული [იხ. პოემის ბოლო].

პარალელური ხაზების ურთიერთმოქმედების მომენტიც ხაზგასმული პოემის დროშიც („რეალური“ და „პარალელური“ დრო) და მეტაფორებში („მელნის ტბა“ და „ზე“, „ლერწამი“).

როგორც ვხედავთ, რუსთაველის პოემის სტილის ყველა ელემენტები დიალექტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან. სწორედ ამის გამო — „ვეფხისტყაოსანი“ უაღრესად დინამიური თხზულებაა.

1932. დეკემბერი *).

*) წაკითხული იყო მოხსენების სახით საქ. მწერალთა კავშირის სხდომაზე 1932 წლის 19 დეკემბერს.

შენიშვნები

ქართული
ენის ინსტიტუტი

¹⁾ Н. Марр: Древне-грузинские описцы (XII в.), СПб. 1912.

6. მარის მოყვას Kremer-ის ციტატა, სადაც მსგავსი შეხედულება დახასიათებულია, როგორც „Incarnation der Gotheit in Menschengestalt“... [გვ. III].

²⁾ ჩახრუბაძის ოდებიდან ადგილები მოგვეყვას ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით (ტფ. 1913 წ.), ვეფხის-ტყაოსნიდან კი კ. კიკინაძის გამოცემის მიხედვით (1935 წ.)

³⁾ შდრ.: Н. Я. Марр: Грузинская поэма „Витязь в Барсовой Шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, П — д, 1917, გვ. 432.

⁴⁾ ადგილები მოგვეყვას მ. ჯანაშვილის გამოცემის მიხედვით (1920).

⁵⁾ იხ. Марр: Древ.-груз. опис., პირდაპირმა შეხედულებმა ფრაზებში ნიკ. მარის იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვეფხის-ტყაოსნის დამწერი და ოდების ავტორი ერთი და იმავე ავტორად გამოაცხადა, თუმცა ერთგვარი იქნის ქვეშ.

⁶⁾ აი ისიც (მოგვეყვას ტაეპი სტროფებიდან):

„შენ მწურობი ზარ მნათობთა: არის ასშენ, ლებ, არიდენ“ (ქება 85, 1).

და:

„მსგავსად აქილევ ტროელთა უშიროსისგან შესხმანი“ (ქება 86, 6).

⁷⁾ მარის: Др.-груз. опис.

⁸⁾ რუსთაველის მეტრიკის საკითხები ცალკე გამოკვლევის საგანს წარმოადგენს; ჩვენ ამჟამად გვინტერესებს მისი ფუნქცია პოემაში; ყოველ შემთხვევაში მივუთითებთ საერთო ნიშნებზე:

„ვეფხის-ტყაოსანში“ მოცემულია ორი მეტრი: „დაბალი შაირი“ და „მაღალი შაირი“. „დაბალ შაირში“ სპარბობს რიტმიულად ნელი ტემპის მქონე ტერფების კომბინაცია: დიპოდიის [ქორე + დაქტილი ან დაქტილი + ქორე] და ცალკე ტერფის [დაქტილის] შეერთება თვითნებულ კოლონაში, ერთი მთავარი ცეზურით. მაგალითად:

იყო არაბეთს | როსტევან | მეფე ღვთისაგან | სეიანი* (34,1)

— — — — | — — — — | — — — — | — — — —

ან:

„მისივე მეტობს | ყოველსა | სული და ტურფა | ფერობა* (39,3)

— — — — | — — — — | — — — — | — — — —

„მაღალ შაირში“ კი მოცემულია პეონური ტერფების კომპლექსი, ოთხი მთავარი ცეზურით. მაგ.:

მე რუსთველი | ზელობითა | ეიკი საქმესა | ამაღარი

— — — — | — — — — | — — — — | — — — —

(სამი მე-2 პეონი + მე-3 პეონი ბოლოში).

ან:

დიქორული საზომი, სადაც ზოგჯერ მე-2 პეონიც გვხვდება [სხვადასხვა ტერფში, გარდა სარიტმო ტერფისა]:



ნახეს უცხო | მოყმე ვინმე | ჯდა მტირალი | წყლისა პირსა

ქართული
ზიგლირთუა

ამ ძირითადი მეტრებიდან გამომდინარეობენ დანარჩენი რიტმული ვარიაციები. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ორივე ეს მეტრი პირველად გვხვდება ჩაბრუბადის ოდებში: არა მარტო სილაბის მხრით, არამედ აცენტურის სისტემის მხრივაც. თუ ჩვენ გავშლით ჩაბრუბადის ტაქს:

„თამარ წყნარი შესაწყნარი ხმა ნარნარი პირმცინარი“.

მედიდებთ „მაღალ შაირს“ — აგრეთვე ოთხი ცეზურით პეონურ ტერცებში, ხოლო იმავე პოეტის ტაქსში:

„შეგავსად აქილევს ტროელთა, უმირისისგან შესხმანი“.

მოცემულია „დაბალი შაირის“ მეტრიული ტიპი. რუსთაველი აღნიშნულ მეტრებს ამრავალფეროვნებს, უფერის სხვა ფუნქციას.

¹⁾ იხ. Н. Марр: Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Рустава. СПб, 1911, გვ. 38.

²⁾ იხ. ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსეს წინასიტყვაობით (СПб, 1841, გვ. 9).

³⁾ რუსთაველის სტილის ეს ნიშნობილი ბეობი პირველად ნ. შარვაში აღნიშნა (იხ. მისი: Вступит. и закл. строфы. გვ. 21).

⁴⁾ ვეფხისტყაოსნის ამ მხარის გასაცნობად იხ. პროფ. ზ. ავალიშვილის ნაშრომი: ეფუხისტყაოსნის საკითხები. პარიზი, 1931.

⁵⁾ შდრ. თამარის დაბასიათება მემპტიანის მიერ: „...მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა გლვარება, და მზეებრ მაშუკებელი სივი კამყამებათა“ (ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, СПб. 1849, გვ. 277); ან: „ქველად დაჯდა ცხებულის ღვთისა საყდართა ზედა ზე ამაღლებულთა, შევნიებითა მით აფროდიტიანთა, და სიუხვითა მით მზეებრ აპოლონიანთა, სატურფო საჭურეტი, ვიდრე დაბნედამდის და გატრა-გახელებამდის ყოველთა მისთა გაიცდელ მზედთა...“ (262).

⁶⁾ იხ. მარის შრომები: Древне-груз. одописцы... და Вступит. и закл. строфы... (გვ. 24).

⁷⁾ „ქართლის ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს გარეგნობის ხშირი აღწერა. მემპტიანები ამ მხრივ შესანიშნავ სურათებს იძლევიან. ჩიხვის-ხანის ურდოების შესახებ, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ შემდეგნაირად მოგვითხრობს (გვ. 343): „...ხოლო იყუნეს ტანითა სრულ, გვაბითა ახოვან და ძლიერ, ფერხითა შევნიერ და სპეტაკ ხორცილთა; თვალითა მცირედ ქვრიტ და გრემან, განხილულ და საზიო. თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლბრტყელ, ცხვირითა მდბაღალ, ეს-ოდენ რომელ ღაწენი უმაღლეს იტყვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩნდნან ცხვირთა: ეს ვითარი აქენდათ უმგავსო სახე“.

⁸⁾ იხ. მოხილვა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესგან, ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა, პ. ოსელაიანის გამოცემა, 1852, გვ. 154. შენიშვნაში.

⁹⁾ შდრ. Марр: Вступит. и закл. строфы, გვ. 27.

¹⁰⁾ მეტაფორების კონტექსტიდან იზოლირებულად განხილვის კარგ მაგალითებს იძლევა ალ. სარაჯიშვილი თავის ნაშრომში: „ეფუხისტყაოსნის“

ყალბი ადგილები" (ე. „მოამბე“, 1896 — 1900 წ. წ.). მან ყალბად წყუღებულა მაგ. მთელი სტროფი, სადაც ნესტანი სწერს ტარიელს: „ტანი კალმად მტყუარა წყუღებულა ამონაწები" (იხ. ე. „მოამბე“, 1900 წ., № 3, გვ. 9). ამ მართლაც „საყვრიველი მეტაფორის" გახსნა მან ვერ შესძლო ნაწარმოების სტატიურ ფორმად მიჩნევის გამო [სტილიური კომპონენტი მკვლევარს უბრალო „სამკაულად" მიჰყავდა]. მთელი გამოკვლევის მანძილზე ა. სარაჯიშვილი აკრიტიკებს პოემის სტროფებსა და ცალკე თივებს იქ, სადაც საგნებსა და მოვლენებს შორის ზოგჯერ ლოგიკური კავშირი არ არსებობს. — თითქოს ხელოვნება არასოდეს არ ღალატობდეს მოვლენების ბუნებრივ წესრიგს!

¹⁹⁾ მაგ. რუსთაველის სიტყვები პროლოგში:

„ჩემმა ხელმძღვანელმა დამმართოს, ლაღმა და ლამაზმა ნები (2),

ან:

„აჰა გული გამიჯნურდა, მიზდომია ველთა რბენა" (10),

ან კიდევ:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა" (23, ა),

ავთანდილი ამბობს:

„ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად".

(შედრ. ამონაწერი „ქართლის ცხოვრებიდან").



ალექსანდრე ბარამიძე

შოთა რუსთავედი

დაახლოებითი ვარაუდით შვიდასორმოცდაათი წლის წინად დაიწერა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ავტორის ხსოვნასაც ესოდენი სიყვარულით აღნიშნავს დღეს ბედნიერი საბჭოეთის დიადი ხალხი და მასთან ერთად მთელი მოწინავე კულტურული კაცობრიობა. განვლილ საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა მრავალი გასაჭირი გამოიარა, მრავალი ტანჯვა, ძარცვა-გლეჯა, აწიოკება, რბევა, ვაგლაზი გადაიტანა, მაგრამ ამ ხალხმა მაინც ღირსეულად შეინარჩუნა თავისი სიცოცხლე და შეუბნელი ისტორიული ქართველთაგან ვერ მოდრეკილმა ლენინ-სტალინის დიად ეპოქას გადმოსცა რუსთაველის სიტყვა, რუსთაველის სიტყვა ქართველ ხალხს გულს უმაგრებდა, ამხნევებდა და უკეთესი მერამისათვის ბრძოლის წყურვილს უასკეცებდა.

საუკუნიდან საუკუნემდე, თაობიდან თაობამდე ლეგენდარული შარავანდედით იმოსებოდა გენიალური ქართველი პოეტის უკვდავი ხსოვნა. ქართველი ხალხი ყოველ სიკეთეს, ყოველ სიბრძნეს, ყოველ წმინდა აზრს რუსთაველს აწერდა, რუსთაველისად რაცხდა. ყოველივე ეს ასბიოვნებდა პოეტის სახელს, მაგრამ ამავე დროს ართულებდა და აბუნდოვანებდა წარმოდგენას სინამდვილეზე. პოეტის ექვმიუტანელი ბიოგრაფიის აღდგენა მეტად ძნელია. ბევრი თქმულება, ბევრი გადმოცემა, ბევრი ლეგენდა დაგროვილი წერილობითაც და ზეპირი გზითაც. დღესაც იზრდება ამათი რიცხვი. განსაკუთრებით მდიდრდება რუსთაველის ბიოგრაფიული მასალის ციკლი ფოლკლორის ხარჯზე. სამწუხაროდ, ჩვენი თაობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამეა დაფარული სასიქადულო მგოსნის უთუოდ ლაშაზი და მრავალფეროვნად შინაარსიანი ცხოვრება-მოღვაწეობის მატინიდან. მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელოა. ძირითადი და მთავარი მაინც დოკუმენტის სახით მოცემულია სახელოვანი პოეტის შიერი: თავისდათავად უდიდესი და ურყევი ფაქტია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, უდიდესი და ურყევი ფაქტია მისი ავტორი, უდიდესი და ურყევი ფაქტია „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის მოღვაწეობა გარკვეულად კონ-

კრეტიზებულ ისტორიულ სინამდვილემში. ეს სამი შენახვის საშუალებაა საქართველოს ისტორიის, რომ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვიდგინოთ ჩვენი პოეტის ბუმბერაზობა. მრავალი საყურადღებო დეტალი ისედაც აშკარადღება უკვე მოცემული ძირითადი წინამძღვრებიდან, მრავალ საყურადღებო დეტალს აღბეჭდავს „ვეფხისტყაოსნის“ განთქმული სტროფი:

„მე, რუსთველი, ზელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის შორიილობს ჯარი სპათა, მისთვის ეხელობ, მისთვის მკედარი.

დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულუბხვარ სობილი.“

ქართული ხალხური შეგნება რუსთაველის სახელს დაჟინებით და დაბეჯითებით უკავშირებს ძველი მესხეთის დღესაც არსებულ სოფელს — რუსთავს.

— „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარისა და დავით სოსლანის სახელოვანი მოღვაწეობის დროში, XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე. იმდროინდელი წესის თანახმად, პოემის შესავალში შეტანილია მეფე-პატრონთა ზვიადი ქება:

ვის შეგნის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერიისა,
მეფისა მზის თამარისა, ლაწვე-ბადახშ თმა-გიშერისა,
მას არა ვიცი შეგვადრო, შესხმა ხოტბისა შე-რისა,
მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ და შერისა.)

ამ სტროფის მზე-თამარი თამარ დედოფალია, ხოლო მისი ლომი — დავით სოსლანი. პოეტი ქვემოთაც განაგრძობს თამარის შესხმას:

„თამარს ვაჭებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამოჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.“

მართალია, ძველად ერთი შავრაზმელი რუსი მკვლევარი სწერდა, თითქმის „Грузинов не было в Грузии до двенадцатого столетия“, („ქართველები მეთორმეტე საუკუნემდე საქართველოში არ ყოფილან“), მაგრამ ყველასათვის ნათელია როგორც ამ დებულების მთელი კუთხოვნობა, ისე მისი ავტორის ბნელი ზრახვები. ქართველი ხალხი რუსთაველის ეპოქამდეც ცხოვრობდა მრავალსაუკუნოვანი ინტენსიური კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებით. ხოლო XII საუკუნისთვის ჩვენი ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. სა-



ქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური უფლებები ზრუნავდა მათი დაცვით იუწყება „ქართლის ცხოვრება“, ვრცელდებოდა, „ნიკოფსიით დარუბანდამდე“ (ე. ი. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე). წინა აზიის მასშტაბით XII საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა აბსოლუტისტური ხასიათის უძლიერეს ორგანიზებულ ფეოდალურ მონარქიას. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრი კულტურისა და განათლების ცენტრსაც წარმოადგენდა. იქ იკრიბებოდნენ და — ასე ვთქვათ — ერთ მთლიან ეროვნულ ინტელექტუალურ გარემოს ჰქმნიდნენ საქვეყნოდ ხელმძღვანელები პოეტ-მწიგნობარნი, ისტორიკოსნი, მეცნიერნი, ფილოსოფოსნი, სჯულისმცოდნენი და მისთანანი. საქართველოს ხელმძღვანელ საერო წრეებში მტკიცე იყო ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველობის ტრადიცია. ჯერ კიდევ დავით მეორემ (1089 — 1125) ტფილისში ააგო სამეცნიერო თავშესაფარი მაჰმადიანი სუფიებისა და მგოსნებისათვის. ასეთი პირობები, რასაკვირველია, საუკეთესო ნიადაგს უქმნიდნენ მშობლიური ლიტერატურისა და პოეზიის აყვავების საქმეს. XII საუკუნის ანუ კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურა ისტორიული უკუღმართობის წყალობით მხოლოდ ნაწილობრივად არის გადარჩენილი. როგორც მხატვრული მწერლობიდან, ისე ფილოსოფიიდან და მეცნიერებიდან დაღუპულია მრავალი ძეგლი. მიუხედავად ამისა, გადარჩენილ ძეგლთა შედარებითი რიცხობრივი სიმცირეც კი საკმარისია მათი დიდი იდეურ-აზრობრივი და მხატვრული ღირსების ნათელსაყოფად. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის ქართული კულტურის სწორედ მთავარი ბრწყინვალე დოკუმენტია.

რუსთაველისათვის პოეზია, უწინარეს ყოვლისა, სიბრძნის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. პოეზიას ამოძრავებენ დიდი და ფართო საზოგადოებრივი ინტერესები. მხოლოდ მაღალ იდეურ, ნათელ და ოსტატური მოხდენილობით აღბეჭდილ შემოქმედებას შეუძლია ნამდვილი ესთეტიური სიამოვნების მიცემა მკითხველისათვის ანუ „სრულქმნა სიტყვისა გულისა გასაგმირეთა“, მხოლოდ ასეთ პოეზიას შეუძლია ღირსეული სამსახურის გაწევა საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ საუცხოოდ სწვევტს დასახულ დიდ ამოცანებს. რით გვიზიდავს შოთა რუსთაველი?

რუსთაველი გვიზიდავს და გვზიბლავს ჯერ თვითონ პოემის ლამაზი ფაბულით. მოთხრობის საგნად პოეტს აუღია ძლიერი და ხიფათიანი სიყვარულის უბრალო ამბავი. ორ მშვენიერ მოსიყვარულე გულს ბოროტი ძალა გათიშავს. ქალი (ნესტანი) უგზო-უკვლოდ იკარგება და რაინდი მიჯნური (ტარიელი) თავსა სდებს სატრფოს გამოხსნისთვის. რაინდის დიდი გულმოდგინება, სიმამაცე და მზნეობა საკმაო არ აღმოჩნდება. მაგრამ გულმოკლულ ქაბუტს კპოულობს, ძმად ეფიცება, იამხანაგებს და

მეგობრულად გვერდში უდგება ორი სხვა მოყმე (ავთანდილ [გაბაშვილი] და დიმიტრი). მოყმე ქაბუკთა სოლიდარული და თავგანწირული მოქმედებით ზღვა და ხმელეთი მოხილულია, ქაჯეთის ციხე შენგურელია, „მთვარე დასსნილია ვეშაპისაგან“: ბოროტება იძლია და სიყვთემ გაიმარჯვა.

რაოდენი სიყვარული, რაოდენი ქეშმარიტი, მართალი გრძნობა და ნიჭი შთაუწერგია რუსთაველს ამ სიყვარულის მარტვე ამბავში! „ვეფხისტყაოსანი“ ეხლაც, შვიდი საუკუნის შემდეგ, უდიდესი ინტერესით, დამაბულობით და მღელვარებით იკითხება. მკითხველს იტაცებს, ჰმოქავს, აჯადოებს, ხიბლავს რუსთაველის თხრობის უებრო ძალა. თხრობის აგებობისა და სიუჟეტის გაშლის ხერხებით რუსთაველი აღწევს მხატვრული შემოქმედების უმაღლეს მწვერვალს. „ვეფხისტყაოსანი“ ეპიური ნაწარმოებია, მაგრამ იქ ნასახადაც კი ვერ იპოვით ეპოსისათვის დამახასიათებელ ერთფეროვნებას, განმეორებას, გაზვიადებას. რუსთაველი ერთხელაც კი არ ანელებს მოქმედების ტემპს. იგი ერიდება მოთხრობის მიმდინარეობის მყუდრო სიმდოვრეს. სამაგიეროდ ძალზე ამბაფრებს დრამატულ კოლოზიებს, ახშირებს მოულოდნელ სიტუაციებს, ერთად აზავებს ტრაგიკულ მამდე მისულ რთულ ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს, აღრმავებს და აძლიერებს აზრობრივ მხარეს, ამშვენებებს, ამსუბუქებს, ახალისებს ფორმას.

რუსთაველისათვის უცხოა ავანტურული ტრიუკები, მოჭარბებული ფანტასტიკობა და ზღაპრულობა, საერთოდ ზებუნებრიობა. რუსთაველი სრულიად არ იცნობს ჯადო-თილისმას, აესულს, კაციქამიას. თვითონ ქაჯნიც კი პოეტს გაუმიწიერებია. გაურეალებია, გაუადამიანებია: „არ ქაჯნია, კაცნია“-ო, საგანგებოდ აცხადებს ერთგან. „ვეფხისტყაოსანში“ მიუწოდომელი მხატვრული უბრალოებით და დამაჯერებლობით არის მოცემული ნამდვილი, ცოცხალი ადამიანების, კაცური-კაცების და ქალური-ქალების მართალი, ადამიანური, თუმცა ძლიერი, ტიტანიურად ძლიერი გრძნობის ამბავი. ამ მხრით რუსთაველი. უდიდესი რეალისტი, ცხოვრების პირდაპირ შემხედვარეა, სინამდვილის მხატვარია, პოეტ-მოაზროვნეა. რუსთაველისათვის თანაბრად ღირებულია ყოველი მოქმედი პირო, იგი არ არჩევს დიდსა და პატარას, მზრუნველობას და ოსტობას არავის არ აკლებს. ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი, თინათინი, ფრიდონი, შერმადინი, ასმათი, ფატმანი, — ყველა უბადლოდაა გამოკვეთილი თავისი ნიშნული ინდივიდუალური და სოციალური სახით. არ არის დაფიქსებული თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი. ყველაფერში საოცარი ზომიერებაა დაცული. ყველაფერი თავის ადგილზეა. ყველაფერი ნათლად, მკაფიოდ და სხარტულადაა გადმოცემული. ტიპების გამოსახვაში რუსთაველი ვირტუოზია, იგი აბსოლუტური მხატვრული სრულქმნის განსახებაა.

რუსთაველის საყდარელი გმირების სახელები დღემდისაც საქართველოს უპოპულარეს საზოგადო სახელებად რჩებიან. „ვეფხისტყაოსანი“

იყო და არის ქართველი ხალხის უპოპულარესი და უძვირფასესი საგნო-
ხავე საოჯახო წიგნი.

ქართულში

გვიზიდავს და გვზიბლავს შოთა რუსთაველი თავისი ზეგნითი, მოზილური, მოწინავე ჰუმანისტური იდეებით. კვლავ ხაზი უნდა გაესღას იმ გარემოებას, რომ რუსთაველი ადამიანის გრძნობათა თავისუფლებისა და ადამიანის საუკეთესო ზრახვათა გამოშვატვლი შემოქმედია. ნუ დაივიწყებთ, რომ რუსთაველის ეპოქაში კაცობრიობის მთელი დასავლეთ ნაწილის აზროვნებას ქრისტიანულ-თეოლოგიური დოგმატიზმი და სჭოლასტიზმი განსაზღვრავდა, ხოლო მახლობელი აღმოსავლეთი მუსულმანურ ფანატიზმსა და სუფისტურ მისტიციზმს ჰყავდა დატყვევებული. დაბნული, დაბუთული, ჩახშობილი იყო აზრი, გრძნობა და სინდისი. მშრალი ფორმალიზმი, სქემატიზმი და რელიგიური შხამი ჰპოქავდა და ჰკლავდა ადამიანის სულსა და ხორცს, ადამიანის აზრსა და სწრაფვას. მკაცრი და ფარისევლური მორალი სწამლავდა და უშინაარსოს ხდიდა სიცოცხლეს.

რასაკვირველია, ასევე იყო საქართველოში. საქმარისია გიორგი მერჩულის დასახელება. მერჩული X საუკუნის შესანიშნავი მწერალი იყო, დახელოვნებული ისტატი, მაგრამ მშრალი, თეოლოგიური აზროვნების მონა, ბერ-მონაზვნური თვალსაზრისის გამტარებელი. მერჩულს საუკუნოდ აქვს აწერილი რამდენიმე საყოფაცხოვრებო რომანული ამბავი. ამით მან ახალი ნაბიჯი წარდგა წინ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ბერ-მონაზვნური მორალის მქადაგებელი ნამდვილ ადამიანურ გრძნობით მოვლენას რაცხს ეშმაკეულ, შაყვრულ, ბოროტ კათევორიად. მერჩული სიყვარულს აცხადებს საძრარას, მაგნე, უწმინდურ გზნებად. ჰგმობს, სწყველის, ჰკრულავს ყოველგვარ საამქვეყნიო სწრაფვას, ითხოვს სოფლის დაგდებას, ხორცის დათრგუნვას, სულის ბერულ სამსახურს. მერჩულის შეხედულებით (ეს იყო ეკლესიის შეხედულება), ზილული ქვეყნის მშვენიერება და სილამაზე ადამიანის საფრთხეა მხოლოდ. კეთილმორწმუნე ზნეობით პიროვნებას სწორედ აქ მართებს რიდი, დათმენა, თავშეკავება. სულს და საამქვეყნიოს ხორცი და საამქვეყნიო უნდა ამონოსო. ასეთ და ამის მსგავს სხვა აზრებს სთესდა ეკლესია, როგორც მხატვრული სიტყვით, ისე ფილოსოფიით, და სიტყვიერი ქადაგებით. ყოველგვარ საერო მომენტს დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდა გაცხადებული. საერო-საამქვეყნიო განწყობილება ინათლებოდა ურწმუნოებად, მწვალეზლობად და გარყვნილებად.

ასეთ სულისშემოთავ ატმოსფეროში გამოვიდა რუსთაველი სრულიად ახალი, ცოცხალი, მოწინავე, ჰუმანისტური, თავისუფალი აზრის, თავისუფალი გრძნობის და სინდისის ქომაგად. შოთა რუსთაველი ადამიანის აზრისა და გრძნობის თავისუფლების გულადი და სწორუპოვარი დამცე-

ლია მთელს მსოფლიოში სხვადასხვა ჯგუროს რელიგიური აზროვნების მქაძრე მძლავრობის დროში. ამაშია ჩვენი პოეტის ბუმბუტყობა.

შოთა რუსთაველი მაშინ მოღვაწეობდა, როცა საქართველოს ტყუილ-ლურმა საბელმწიფოებრიობამ ძლევაშისილების უმაღლეს მწერგელს მიიღწია. მუსულმანურ საბელმწიფოთა გარემოცვით შევიწროებულ ქართველ მეფეებს თავი მოჰქონდათ ქრისტიანული კაცობრიობის ერთადერთ მხსნელ აფანგარდად. ასე ფასობდა ქართველ მეფეთა ღვაწლი საზღვარგარეთაც. იერუსალიმის უდაბურ მიდამოებში მებრძოლ ჯგვაროსანთა ფანატიკოსებს თურმე ბრძოლის წყურვილს უცხოველებდა პატარა და შორეულ, მაგრამ მამაც საქართველოს იმედი. ასე გადმოგვცემენ ევროპელი ისტორიკოსნი. XII საუკუნის საბელოვანი კარის პოეტი ჩაბრუნების თამარს უწოდებს ქრისტიანული კაცობრიობის ნამდვილ მესაძა, ქვეყნად მოვლენილ ღვთაებრივ ძალას, ღმერთს.

ამ ქრისტიანულ-ნაციონალისტური გულზვიადობის დროს შოთა რუსთაველი არც კი ეხება ქრისტიანობის რაიმე საკულტო მხარეს, რასაკვირველია, ის არ ამჟღავნებს არც სხვა რომელიმე რელიგიური სინტეზის საწესო ფორმებს. რუსთაველი მაღლა დგას ყოველგვარ რელიგიურ საწესო ფორმალბაზე. რუსთაველი იცნობს მხოლოდ ერთადერთ ყოვლის შემომქმედ აბსოლუტს, უზენაეს კეთილ არსებას, რომლის საქმიანობა ადამიანის მფარველობით და მზრუნველობით განისაზღვრება. წუთისოვლა საესეა ქირით, ვაგლახით, ადამიანის ცხოვრების გზა მოფენილია ნარკოთა და ეკლით, — ამბობს რუსთაველი, — მაგრამ ადამიანი არ უნდა დაეცეს სულით, სასო არ უნდა წარცვეთოს, უკან არ უნდა დაიხლოს, ვამაგრებული და გამხრევებული უნდა ისწრაფოდეს წინ, სულ წინ, რადგან ღმერთი არ გასწირავს კაცსა სოფლით განაწირსა“-ო.

რუსთაველი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ათეისტი. ის მორწმუნეა, თავისებური რელიგიური მრწამსის მიმდევარია. მაგრამ რა უფსკრულია რუსთაველის რელიგიური იდეებისა და ქრისტიანულ სქოლასტიკზმს ან მუსულმანურ სუფიზმს შორის! რუსთაველის რელიგია ამალღებულო, კეთილშობილური, კაცთმოყვარული ფილოსოფიური რელიგიაა, რომელიც არა თუ ზღუდავს ადამიანის გრძნობათა სწრაფვას, არამედ ხელსაც უმართავს ადამიანებს, შველის, მფარველობს მათ, იმედს აღუძრავს, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის იდეით ავსებს, აქეზებს ბოროტების დასათრგუნავად და სიკეთის გასამარჯვებლად. ასეთია რუსთაველის რწმენა, ასეთია რუსთაველის ღმერთი, რომელიც თურმე მიჯნურობასაც თვითვე წარმოშობს და თვითვე აწესებს „მისსა წესსა“. უდიდესი და უწრღელესი ადამიანური, პირწმინდად პირველყოფილი წარმართული პიშნით მიმართავს რუსთაველის გმირი თავისი ინტიმური გრძნობის მესაიდუმლეს, გულისთქმათა მფლობელ ღვთაებას:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
 ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
 უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
 მომცე დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო.“



ღმერთო, ღმერთო, გაეჯგები, რომელი ჰფლობ ქვეყნათ-ზესა,
 შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
 მე სოფელმან მომავორგა უცეთესსა ზემსა მზესა,
 ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ზემთვის დანათესსა“.

რუსთაველის გმირი განგებას შესთხოვს არა სულის ცხონებას და ნეტარებას საიმკვეყნიოს, არამედ მოზღვრებული ვნებათაღელვის დაცხრომას, სიყვარულის ნერვის სიცხოვლეს, სიყვარულის ტკბილ ნაღთსაყუდარს. რუსთაველის ღმერთი სიყვარულისა და ადამიანობის ღმერთია.

რუსთაველი კიდევ იმით გვიზიდავს, რომ მისი ადამიანები მართლაც ღირსნი არიან გულწრფელი თანაგრძნობისა და სიყვარულისა. რუსთაველის დადებით გმირებს უხვად ამკობს ყოველგვარი სასიკეთო ადამიანური ღირსება — ფიზიკურიც, მორალურიც, გონებრივიც. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი გარეგნული სილამაზის სრულყოფილ გამოხატულობას წარმოადგენენ, ტანის მოხდენილობით კვიპაროსის და ალვის ხესაც სჯობიან, ხოლო მათი სახის მთელი უცხო კომპლექსი მზეს და მთვარესაც კი შორს იტოვებს. მომჯადოებელია რუსთაველის გმირთა გრაცია. ყოველად უზადო, ყოველად სრულქმნილია რუსთაველის გმირთა ფიზიკური აგებულება. გმირთა მშვენიერებას ნათელსაყოფად რუსთაველი წარმოატყუო პოეტური ფიგურალობას მიმართავს, მაგრამ მაინც კრძალვით შენიშნავს:

„მე ვით ვაქებ, ათენს ბრძენთა ზამს აქებდეს ენა ბევრი.

ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი“.

სხეულის შნო და ლაზათი რუსთაველის ქალებს შეხამებული აქვთ სათნოებასა და სინაზესთან, მარადიულ ქალურობასთან — როგორც იტყოდა დიდი გოეთე. ვაჟი-გმირები კი თითქმის ფოლადისაგან არიან გამოქედილნი: გოლიათური მკლავი, დევ-კაცის მკერდი, სალი კლდის გული, არწივის ხედვა, მგლის მუხლი. ტანით სანაქებონი ბუმბერაზის სულს ატარებენ, იჩენენ ტიტანის ძალას, ფლობენ გიგანტის სიმზნეს, სიმკვირცხლე-სიკისკასით გაგონებენ ვირტუოზ სპორტსმენს. რუსთაველის გმირთა სტიქიონია: შეუპოვრობა მამაცობაში, თავგამოდება-ვაჟაკობაში, ხმლის სიმკვეთრე ბრძოლის მომენტში.

რუსთაველის გმირთა მშვენიერ სხეულს ღირსეულად შეჰფარებია ლამაზი სპეტაკი სული. მორალური წონასწორობით და სიფაჭიზით რუსთაველის გმირებს ტოლი არ მოეპოებათ მსოფლიო პოეზიაში: ზრდილნი,

კრძალულნი, თავმდაბალნი, თავაზიანნი, მოყვარულნი, მოსყვარათვის თავდადებულნი, მეგობრობისათვის თავგანწირულნი, ამხანაგობის სულნი და გულნი, სულგრძელობით შეუწონელნი, დარბაისურნი, მშვენი, წინარნი და უზაკველნი, უხენი, უმურველნი, უანგარონი, უიარს ამტანნი, ქვეყნის ერთგული მამულიშვილნი, მტერთა მზარავი, სიმართლის ბურჯნი, — რომელი ერთი უნდა აღინიშნოს?

რუსთაველის გმირნი გონიერების მაღალ მწვერვალზე დგანან. „ვაჰებ ჭკუასა ბრძენთასა“, — ამბობს რუსთაველი, და ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ მისი პოემის პერსონაჟები, ქალნიც და კაცნიც. გრძნობის ამყოლნი გაჭირვებაში არ იბნევიან. წონასწორობას არ ღალატობენ, თავს იკავებენ შეუფერებელ საქციელისაგან, ეკითხებიან ჭკუას, გონიერების კარნახს მისდევენ.

რუსთაველის გმირებს უყვართ ნამდვილად ადამიანური, შინაარსიანი, ღამაზი, წარშტაცი სიცოცხლე, უყვართ ძალუმაღ, უყვართ ჯანმრთელად, სიღრმით, სიწრფელით, გატაცებით. მაგრამ სიცოცხლის იდეას განყენებულად როდი მონებენ, ნაძრახ, ვაგლახ სიცოცხლეს ჰკიცხავენ, ჰგმობენ.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანო“, — ამბობს რუსთაველი. ეს მშვენიერი, ეპიკატური დევიზი ამოძრავებს რუსთაველის გმირებს. რუსთაველის გმირები სილაშაზესა და სიმშვენიერეს მხოლოდ ამ ქვეყნად სცნობენ, სიცოცხლის აზრს აქ ეძიებენ, სწყურიათ ეს სიცოცხლე, იბრძვიან ღირსეული სახელისათვის, რადგან ბრძენი რუსთაველი ასწავლის მათ:

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

ადამიანური ღირსება, ადამიანური სახელი. — ეს არის სიცოცხლის აზრი: უშინაარსო და უსარგებლო სიცოცხლის დაცვა სულით მდაბალი ღაწრის საქმეა. რუსთაველის გმირებს უყვართ სიყვარულით სავსე სიცოცხლე. ღრმა წრფელი და მართალი გრძნობა სიყვარულისა ასახივანებს და აკეთილშობილებს ადამიანის ყოფას, შინაარსით აცხებს სიცოცხლეს, ააზრებს მას და ამდიდრებს. რუსთაველის სიყვარული უაღრესად ზნეობრივია, ურთიერთის თანაგრძნობაზე დაფუძნებული, თავისუფალი, ძალდაუტანებელი, ყოველგვარ სექსუალურ სიმახინჯეს მოკლებული, ნაზი, სათუთი. რუსთაველს სწამს გულმზურვალე ვნებათაღელვა, მაგრამ სტუქსავს ანორმალობას, მართოდენ ზორცის ღრეობას, სექსუალურ სულწასულობას, სიძვას, მრუშობას.

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“, —

დაასკენის რუსთაველი. აბა იგი რა მიჯნურია, „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“. ერთის სიტყვით, მიჯნურობა

ღრმა და ძლიერი ზენა გრძნობაა და არა გულის ქაეღი, ~~ფრთხი ქმრულ~~ ტულად თავშესაქცევი გზნება. მსგავსი მიჯნურობა „გამწიქტულტულტა-
აშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.“

რუსთაველი ამკობს სიყვარულის თავისებურ რაინდულ ფორმებს. ვაჟ-
კაცისათვის სიყვარული მძიმე გამოცდას უდრის. რაინდისათვის საძრა-
ზისია სანტიმენტალური ოხვრა და კენესა მიჯნურობის კარზე, ან წრესგა-
დასული მტლაშა-მტლუში. რაინდული საქციელით უნდა მოიგოს ვაჟ-
კაცმა მიჯნურობის გული, რაინდული თავგამოდებით დაიმსახუროს სატრ-
ფოს დასტური. ნესტანი ტარიელს სწერდა:

„ბედითი-ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია,
სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“.

რუსთაველურ სიყვარულს მხოლოდ საქმე ამტკიცებს და არა სიტყვა. თინათინიც თავის ღირსეულ სატრფოს შორს ისტუმრებს, თანაც პირობას უდებს: „სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი“ და „მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე“.

რუსთაველის სიყვარულმა ბიწი არ იცის, არც ეგოიზმი. რუსთაველის სიყვარული ადამიანის თავისუფალი და საღი გრძნობის არეში ხარობს, მას ისაზრდოებს მოსიყვარულე გულის თანხმობა, სულის ერთობა, მიზნის სიცხადე. რუსთაველის გმირები თავგამეტებით იბრძვიან საუკეთესო მერმისისათვის, ამ ბრძოლის იმპულსს ჰქმნის სიყვარული. სიყვარულია სიცოცხლის დიდი ფაქტორი. გულით მართალთა მართალი სწრაფვა კიდევ იმარჯვებს. რუსთაველის სიყვარული არც დასავლური უსაგნო და განყენებულად მშრალი ტრფიალებაა ფიქტიური ქალბატონისთვის, არც აღმოსავლური ჟინის გზნებაა, ეროტიკული გადაზღაშება, რომლის შესახებ რუსთაველი ამბობს:

„მძულს უგულო სიყვარული ზვეენა-კოცნა, მტლაშა-მტლუში.“

რუსთაველის სიყვარული ამალღებული სიყვარულია, „სიყვარული აგვამალღებსო“, გვაცნობს პროლოგში ავტორი. ამალღებული სიყვარული ზორცს არ უარყოფს, არც ვნებას ძრახავს, პირიქით, საღი, ძლიერი, წრფელი ვნებათაღელვა ქეშმარიტი სიყვარულის საფუძველია. ამ ვნებათაღელვას შეპყრობილი ჰყავს რუსთაველის გმირები, მაგრამ სულიერი წონასწორობის ჰარმონია არ დარღვევიათ, პირუტყველ გზნებას არ მისცემიან, ჰვენა გრძნობების ტყვენი არ გამხდარან. რუსთაველის სიყვარული დასაძლევია საფეხურია სამეუღლეო, მტკიცე ოჯახური ცხოვრებისა-
კენ. რუსთაველს სწამს სიყვარულით განმტკიცებული საღი ოჯახური ცხოვრების მაღალი საზოგადოებრივი აზრი.

რუსთაველის სიყვარულმა, რუსთაველის სამეუღლეო პრინციპმა არ იცის იმძლება, ძალდატანება, სურვილების თავზე მოხვევა. რუსთაველის

სიყვარული მხოლოდ თავისუფალ არჩევანს იცნობს, მხოლოდ ერთობა-
თა ერთიანობას ემორჩილება.

დიდ გრძნობიერებასთან ერთად რუსთაველს სწამს მანდილოსნის დი-
დი ზნეობრიობა და ინტელექტუალური ღირებულება. რუსთაველს მან-
დილოსანიც ნამდვილ ადამიანად მიაჩნია, ადამიანური გრძნობების პატ-
რონად და ადამიანური უფლებების ღირსად. XII საუკუნის სინამდვი-
ლეში რუსთაველმა წამოაყენა მანდილოსნის კულტი. ამ კულტს მანდი-
ლოსანი მიაჩნია არა მხოლოდ სატრფიალო ობიექტად, არამედ თვითღირ-
სებულ ადამიანურ პიროვნებად, დიდი მორალურ-ინტელექტუალური
შესაძლებლობის წყაროდ. დედაკაცი მამაკაცის თანატოლია: „ლეკვი ლო-
მისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“. მუსულმანური აღმოსავლეთისა-
გან განსხვავებით, საქართველოში არსებობდა ქალის პატივისცემის დიდი
ტრადიცია. ჯერ კიდევ IX საუკუნის ერთი შესანიშნავი ქართული ძეგ-
ლი ამბობდა: „არცა მამაკაცები, არცა დედაკაცები, არამედ ყოველნი
ერთ ხარტ“-ო. XII საუკუნისათვის ქალის პატივისცემის კულტი ისე გან-
მტკიცდა, რომ შესაძლებელი გახდა ისტორიით შეუძლებელი ფაქტა.
მანდილოსნის გახელმწიფება. მართალია, რეაქციურ წრეებს ეს არ მოს-
წონდათ. გამელავებული ცხარე ბრძოლაც კი იყო გაჩაღებული. პროგ-
რესისტებიც დიდ ძალას წარმოადგენდნენ, ცდილობდნენ მომხდარი ფაქ-
ტის ისტორიულ დასაბუთებას. ნინოს კულტის ანალიზიდან გამომდინა-
რე ნიკოლოზ გულაბრისძე აშკარას ჰყოფდა „დედათა პატივის ღირსე-
ბას“ და მოპირდაპირეთ მწვავედ ამხელდა: „და იყავნ პირი ბოროტად
და ამოდ მეტყველი“-ო. ნინოს მაგალითიდან გულაბრისძეს საბუთი ჰჭონ-
და დედათა პატივისცემის უტყუარი საფუძველი გამოენახა და ქალის
გახელმწიფების გამამართლებელი გარემოება ამ მხრივაც ემცნო. გულა-
ბრისძე არ ემაყოფილდება ქალის ღირსების აღიარებით. ქალის აღზევება
მას სასიკადალო და სასიხარულო მოვლენადაც კი მიაჩნია. ისტორიული
ანალოგიების სანაცვლოდ, შოთა რუსთაველმა გამოიყენა მხატვრული
სიტყვის მკვეთრი, მახვილი და დედათა პატივისა და ღირსების საქმეს
კიდევ აუგო ხელთუქმნელი ძეგლი.

შოთას გენია ამაგრებს მამაკობის კულტს: გმირობა, ვაჟკაცობა, მზნე-
ობა, შეუპოვრობა, გულადობა, გამძლეობა და სხვა ამისი მსგავსი თფო-
სება ამკობს, რუსთაველის აზრით, ნამდვილ მამაკაცს, ქეშმარიტ რაინდს.
რუსთაველის სარაინდო ლოზუნგებია:

ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა ზიგან არ დალონდეს...

ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხვდეს მამაკურად.

ღიადი ომი და მახვილთა კვეთა ვაჟკაცის სტიქიონია:

არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მღეჭელსა,



შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეშველსა
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ჭლისა მშველსა

რუსთაველი ჰკიცხავს მზდალსა და ლაჩარს, სულმდაბალს, მშიშარს, რუსთაველი მიწასთან ასწორებს ორპირს და მზაკვარს, ცბიერს, მოშურნეს, ფიცის გამტებელს, ორგულს, ცრუს და მოღალატეს, მლიქვნელს, გაშცემელს, უკმებს, უდიერს, უშვერს, ყბედს და უქნელს, ქვემძრომს, ბაქიას.

რუსთაველი სიკვდილს ბრძნულად უყურებს, როგორც ყოველდღიურად მოსალოდნელ ბუნებრივ მოვლენას. სიკვდილი ვერ აშინებს რუსთაველის გმირებს, „სიკვდილის მეშველ“ ლაჩარს ძრახავენ. ნაძრახ სიცოცხლეს ამჯობინებენ სახელოვან სიკვდილს. ანდერძად სდებენ დიად აფორიზმს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“,

სასიკადაულო რაინდული მონაცემები კეთილშობილური მიზნებისათვის ბრძოლას ხმარდება. ვერავი მტერი ვერ ეღირსება გმირის დანდობას: „მორჩილ ქმნილნი გაეახარო, ურჩი ყოვლი ავატირო“-ო, რაინდინ პირით აცხადებს შოთა, თუმცა სულგრძელობა და ლმობიერება სამამაცო ზნეობის კარგი მხარეა. თუ შესაძლოა, გმირი გაურბის ზედმეტ მსხვერპლს, ზედმეტ სისხლს. ტარიელი ამაყად ამბობს:

„ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არც მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე.“

მტერთა შორის ყველაზე უნდო და საზიზღარი, რუსთაველის აზრით, არის „მოყვარე მტერი“, შენიღბული ფარისეველი, ქვემძრომი გველი, შენაგამცემი:

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.“

რუსთაველი ჰკრულავს ცრუს, მუხთალს და მოღალატეს:

„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“-ო.

და კიდევ:

„კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაქრელად!“

რუსთაველმა კარგად იცოდა, რომ:

„სიცრუე და ორპირობა აენებს ზორცსა, მერმე სულსა.“

ბრძოლაში შეუბოვარი და გერაგი მტრის მიმართ დაუფრთხილებელი, მა-
მაცი მოყმე გულკეთილობის, მოწყალებისა და სათნოების შემთავრებელი, ჭე-
ჭერიეობოლთა, დაერდომილთა, უძლურთა, გლახათა, შეჭირვებულთა
და უპოვართა მფარველობა, პატივი, ზნეობრივი და ნივთიერი დახმარე-
ბა რაინდობის სავალდებულო ნორმად ითვლება. რუსთაველს ეკუთვნის
კაცთმოყვარული გრძნობით აღსავსე ცნობილი ფრაზა:

„მიეც გლახათა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.“

რაინდობის და მამაცობის ლამაზი კულტი შოთა რუსთაველმა სიყვა-
რულის ფონზე ასახა. რუსთაველი ხატავს ნამდვილ, ცოცხალ გმირ-ადა-
ზიანებს. მისთვის უცხოა განყენებული სქემა, შაბლონი, ტრადიციები. ამი-
ტომ არის, რომ რუსთაველის გმირებს მამაცობასთან და მხნეობასთან ასე
სხევეიანთ ადამიანური ტანჯვა, წუხილი, ცრემლი, ეჭვი, შმაგობა, მომენ-
ტური სასოწარკვეთა და გულწრფელობა.

რუსთაველმა მშვენივრად იცის, რომ „თუ მოყვარე მოყვრისათვის
ტირს, ტირილსა ემართლებს“, რადგან კაცსა გრძნობიერება, კერძოდ —
„მიჯნურობა ატირებს და აგულწიფილებს“. მით უმეტეს, რომ: „სდევს
მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანაღვლებს“. ამიტომაც: „მიჯნურო-
ბა საჭიროა, მით სიკედილსა მოგვიბაღვებს“. და საბოლოო ანგარიშით
„საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად“ — და ასევე
ადამიანთა გულის დიდი მესაიდუმლე მგოსანი.

რუსთაველის გმირები საზოგადოებრივ თვალსაზრისზე მდგომი მთლი-
ანი, სრულქმნილი ტიპებია. მათ არ იციან შინაგანი გაორება, რყევა, ჭა-
ნაობა. რუსთაველის აზრით ჰარმონიულად უნდა ეთავსებოდეს, ერა მა-
ნეთს აესებდეს და აგრძელებდეს ინტერესები პირადული და საზოგადოებ-
რივი, საკუთარი და საქვეყნო. საოჯახო და სახელმწიფო. ხოლო თუ სა-
კუთარი ინტერესები რომელიმე დროს საზოგადოებრივს დაეჯახება,
კონფლიქტი საზოგადოებრივის სასარგებლოდ უნდა გადასწყდეს. ეს პო-
ეტის ურყევი რწმენაა. ხატაეთიდან ძლევაშოსილად დაბრუნებული ტა-
რიელი საბედისწერო თათბირზე იხმეს და საბედისწერო ამბავი ამცნეს:
ნესტანის გათხოვება უცხო მოყმეზე. თათბირზე ჭაბუკს ღირსეულად
სპერია თავი, გამოუჩენია მომენტის შესაფერი სიფრთხილე, დაუმორჩი-
ლებია ახალგაზრდული ენებათაღელვა, თუმცა საზარო ამბავს „დაუმი-
წებია“ და „დაუნაცრებია“ მდივით კაცი, მხეცებრ ქცევია გული, ბოლ-
მა მოსწოლია, სევდას შეუპყრია, მაინც შემოუნახავს წონასწორობა,
გრძნობას არ აჰყოლია, გონებას დაჰკითხებია:

„თავსა ვუთხარ: მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულმაგრობა.

ვთქვი: ამითა ველარას ვიქმ, ღონე სხვა რამ მოვიგვარო.“



მეფე-დედოფალს წინაღვე თურმე დაესვენათ ხეაზე მელე მოყმის მოყვანა. ხეარაზმელი მოყმის შემოსვლით კი უწინარეს გოგონა-მეფის სახელმწიფოებრივი ინტერესები ილახებოდა. ნებაყოფლობითა საფუძველი უნდა ჩაპყროდა სახელმწიფოებრივად და ეროვნულად უცხო ელემენტის გაბატონებას. საკუთარ ბედზე უფროსად ეს აღარდებდა გამოჯანურობულთ. გონიერი და სათნო ნესტანი პირველ რიგში აყენებს ინდოეთის ეროვნული პრესტიჟის-კითხვას:

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“-ო.

„ჰადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“.

ნესტანი და ტარიელი მოქმედებდნენ შეთანხმებულად. ფარსადან მეფის ნაბიჯი დიდ უსამართლობად იყო მიჩნეული. ტარიელი მამაცურად აგონებს მეფეს:

„მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხაზს მჭნელი სამართლისა“.

საყოველთაოდ ცნობილია ნესტანის შესანიშნავი ბრძნული განცხადება ამ მიმართებით:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.“

ტარიელი და ნესტანი მხოლოდ იმაზე სწუხდნენ, ვაი თუ მოუფიქრებლობით და აჩქარებით ქვეყანას საფრთხე შეექმნას, „ინდოეთი გარდაქარდეს“-ო. ამ რთულ და მძიმე მომენტში შეყვარებულებმა დროებით განზე გადასდეს პირადული გრძნობის საკითხი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი გაიზიარეს. თვითონ ნესტან უცხადებს მიჯნურს:

„ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა,
ამით უფრო მოგვეცემის სამართლისა შენ მოხდომა.“

რასაკვირველია, ნესტანმა ისიც კარგად იცოდა, რომ ტარიელის პოლიტიკურად სამართლიანი ნაბიჯი ქვეყანასაც იხსნიდა განსაცდელისაგან და დადებითად მოაგვარებდა მათ საკუთარ ბედსაც:

„ქმნას მეფემან ყელ-მოტებით შემოხვეწნა, შემოკვდომა,
ხელთა მოგცეს თავი ჩემი, შეგვეფრობდეს ერთგან ხდომა“.

მე და შენ დაგხსდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოელსა სიძე-სძლობასო.

ცალკეულად უნდა გამოვეყოთ ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიკური შინაარსისათვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო მხარედ ვერ ჩაითვლება მთელი პოემის ხაზგასმული ანტისპარსული ტენდენცია:

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ.

ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა.

ქართულნი
გამზლირთქა

წარსულში ირანელთა ძალმომრეობით შეჭირვებულ საქართველოსთვის რუსთაველის ეს ტენდენცია შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. რუსთაველი ამ შემთხვევაში გამოდიოდა ყოველი ხალხის, ყოველი ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ღირსების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი თავისუფლების დაცვის თვალსაზრისიდან. რუსთაველი ომს უცხადებდა ყოველგვარ ძალმომრეობას, უზურპაციას, უცხოეთის გაბატონებას.

ცხრა მთას იქით გადაკარგული და ქაჯეთის მიუვალ ციხე-დილეგში გამომწყვდეული სათნო ნესტანი სულ არ ფიქრობდა საკუთარ თავზე, საკუთარი დარდი მას არ გააჩნდა, საკუთარი სურვილებიც კი აღეკვეთა, თითქოს საკუთარი გრძნობაც ჩაეხშო. ნესტანს არად უღირდა შავი სიკვდილი, მას აწამებდა, გულს უკლავდა, სტანჯავდა ტარიელისა და მშობლიური ქვეყნის საბედისწერო ხვედრი. განუმეორებელი და გამოუთქმელია ნესტანის ზნეობრივი სიდიადე, მოთძინების ძალა, გამძლეობა, ერთგულება, სიყვარული და თავგამებება, ამასთან სინაზე, სიფაქიზე, ქალწულებრივი სისპეტაკე, გრძნობათა სიღრმე, სიწრფელე და სიძლიერე. მსოფლიო ლიტერატურას არ გააჩნია ნესტანის მიერ ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი წერილის ბადალი რამე. საკუთარი ბედი, საკუთარი თავი, საკუთარი გრძნობა, ყველაფერი, რასაც კი ფლობდა, სხვას ანაცვალა, მსივერპლად შესწირა სხვის სამსახვერპლოზე. ნესტანი სცნობდა მხოლოდ სამშობლოს მიწას და სატრფოს საკერპოს. ნესტანი სწერდა ტარიელს „გულამოსკენილი“, „მტირალი“:

„შენმა მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე,
ჩემი მეთქვა-გარდასრულდა სიცოცხლე და ყოველი ღონე,
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვამონე,
ჩემი ყველა აქანამდის ქირი ღვინსა შევაწონე.

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად,
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგულისად...

მე სიკვდილი აღარ მიმიძის, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრამ შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა,
მომეგონოს მოშოვრება, გემატების წყლული წყლულსა.
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა.



წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწირებულსა, ყოვლგნით ხელ-ალუპყრებულსა
გულსა ალბინე ჩემისა მოშოვრებისა მთმობელსა, მის ზეშინელსა
მომიგონებდე მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა“.

XII საუკუნეში საქართველო ერთ-ერთ უძლიერეს გაერთიანებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენ ჰყვანას ძვირად დაუჯდა ეს გაერთიანება. მთელი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა დაუნდობელი, სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა ცენტრად-მსრბოლი და ცენტრიდან მსრბოლი ძალებისა.

რუსთაველის აზრით, ცხოვრების სარბიელი საცდელი ასპარეზია რაინდისათვის. ხიფათით საცე ნარ-ეკლიანი გზების დიდ დამრკოლებათა ძლევის ნიადაგზე უნდა გამოიბრძმედოს ვაჟკაცის გული. ჯერ კიდევ XI საუკუნის ერთი, შედარებით უჩინარი მწერალი სწერდა: „ვითარ საცნაურ იქმნეს მენავეთმოდღარი, უკეთუ ღელავთა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს, გინა მხედარი ვითარ... იდიდოს, უკეთუ განწყობილთა არა ეკვეთოს მრავალგზის“ (გიორგი ათონელის ცხოვრება, 298-299). შოთა რუსთაველით: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ფრქვევა“. ხოლო რაინდს, მიჯნურული ცეცხლით აგზნებულ რაინდს, — დიდი დამრკოლება, დიდი განსაცდელი, დიდი ჭირი, დიდი ცრემლი, დიდი ვაება. ვინც ჭირს გაუძლებს, ტანჯვას აიტანს, დიდ გამარჯვებას, დიად სიამეს ირგებს. დიდი გამარჯვება დიდ მსხვერპლს მოითხოვს: „მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჰრელად“, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია“. სიმწარეა სიტკბოს მშობელი, „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო“. სამაგიეროდ „მაშინ ლხინი ამო არს, რა გარდინდის კაცი ჭირსა“ ანუ, სხვაგვარად: „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, კაცის ცხოვრება დაუნდობელი ბრძოლის სარბიელია კეთილი და ბოროტი ძალებისათვის. ბრძოლისას „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ჭვითკირსა“. მაგრამ ცალკე ინდივიდი მაინც უძლურია გამარჯვების მოსაპოვებლად, რა ვინდ რკინისებური არ იყოს მისი ნებისყოფა და რაგინდ მამაცური მკლავი არ ამშვენებდეს შის ვაჟკაცურ სხეულს. გამარჯვების საწინდარია სოლიდარობა, ძმობა, მეგობრობა და სიყვარული. შოთა რუსთაველის კეთილშობილურ იდეათა უკეთილშობილესი სახე მობა-მეგობრობაა. არა მგონია მთელს მსოფლიო პოეზიაში გამოიძებნოს იმის შესატყვისი რამ (სილამაზით თუ სიდიადით), როგორიცაა რუსთაველის განთქმული აფორიზმი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰქირსა არ დამრიდალ,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიზნული
გინდისა მისა“

რუსთაველი გონივრულად ითვალისწინებს, რომ „ოდეს კაცსა დაეჭი-
როს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“, რომ „ძმა ძმისა უნდა ძმობილი“. ამ
დებულებათა ცხადსაყოფელად რუსთაველმა შექმნა შესაფერისად მოტივი
რებული მხატვრული ტილო, ორი შესანიშნავი ვაჟკაცის სახე: ერთი უზო-
მო ჰქირსა და განსაცდელს მისცა, მეორე კი მას ძმად მიუჩინა, ერთი
ერთგვარად კიდევ გასწირა, ხოლო მეორეს მეგობრული თავგამოდების
ასპარეზი გადაუშალა:

„სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.“

სოლიდარობა და მეგობრობა საბოლოოდ თავისას გაიტანს. მართალი
გულით და მართალი რწმენით გამსჭვალული რუსთაველის გმირნი ბრწყინ-
ვალედ აღწევენ დასახულ მიზანს: სიკეთე სძლევს ბოროტებას, ტარეელი
ანთავისუფლებს ნესტანს, გმირნი ლხინობენ, გმირნი ტყეებიან ბრძოლის
ნაყოფით. ტრიუმფალურად ასკენის რუსთაველი:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“

რუსთაველს სწამს სიკეთის უძლეველობა, ჰიმნარტლის გამარჯვების
აუტოლულობა, ჰუმანიტეტის მარადისობა. რუსთაველს სწამს კაცობრი-
ობის საუკეთესო მერმისი და კიდევაც დასახული აქვს გამარჯვებისათ-
ვის საჭირო გზები. ესაა, როგორც აღენიშნეთ, სოლიდარობა, ძმობა, მეგო-
ბრობა და სიყვარული, შეერთებული მამაცობასთან, ვაჟკაცობასთან, სა-
ხელისათვის შეუპოვარი ბრძოლის წყურვილთან, ნათელ, ჰუმანიტეტ აზრ-
თან, ნათელ მიზანთან.

კეთილშობილი მიზნებისათვის თავგანწირული ბრძოლის პირობით
რუსთაველი გამარჯვების ტრიუმფს აღუთქვამს მკითხველს და მსმენელს.
იმედით, რწმენით, სიხარულით აცხებს რუსთაველი ყველა მკითხველის
სულსა და გულს. „ვეფხისტყაოსანი“ უშრეტო ზღვაა ესთეტიური სია-
მოვნების, მალალი და წრფელი აზრების, სიბრძნის, სიმხნის და სიხა-
რულისა. რუსთაველს უყვარს და სხვებსაც აყვარებს შინაარსიან, ლამაზ
სიცოცხლეს, რუსთაველი ოპტიმისტია, სალი და ჰუმანიტეტი ოპტიმისტი.

თავის ბრძნულ და მართალ აზრებს რუსთაველი ზატავს შეუდარებ-
ლად ლამაზი ფორმით. რუსთაველის აზრის სიღრმე და სიძლიერე პირდა-
პირ პროპორციულია მხატვრული გამოსახვის უებრო ხერხებთან. დიადი
აზრი რუსთაველს აღუბეჭდია მკვეთრი, მოჭილი, სხარტი, ლაპიდარული
სტილით. ამ მხრით განსაკუთრებით საგულისხმოა რუსთაველური აფო-
რიზმები, რომლებიც იდეურ-შინაარსეული სიდიადითა და გამოსახვის

მოხდენილობით მსოფლიო ლიტერატურას მარგალიტებად გამოადგებოდა. უბადლოა და შეუწონავი რუსთაველის პოეტური ბუნება. მწიფე, ლაზათი, გემოვნება, სიფაქიზე, სიახლე ერთმანეთს ეჯიბრება. იშვიათად მოეძებნება ტოლი რუსთაველს მეტაფორისტს. რთული, ვრცელი, გაშლილი რუსთაველური მეტაფორები ხშირად მთელ სტროფებს ფარავენ და პოეზიის ნამდვილ ლაბირინტს წარმოადგენენ თავიანთი ხლართებით. მოშზიბველელია რუსთაველური პარალელიზმები, კონტრასტები და მხატვრული გამოსახვის სხვა მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებანი. მდიდრული აფორიზმები, ნაირი მეტაფორული რგოლები, ლირიკული პრელუდიები, ლამაზი ეპისტოლეები, ბუნების სხარტი აწერილობა და სხვა ამისთანანი საუცხოვოდ აწონასწორებენ „ვეფხისტყაოსნს“ დინამიკას, ზრდიან პოემის მონუმენტალობას, მოთხრობას აცხოველებენ, ლექსს ახალისებენ, ინტერესს უფრო ამჟაფრებენ, ამალღებენ მკითხველის მხატვრულ გემოვნებას, მკითხველს იტაცებენ, ზიბლავენ.

ადრითგანვე სახელმძიმეჭილია რუსთაველი, როგორც პოეტიკური მეტრის გენიალური ოსტატი. რუსთაველი პირველმთქმელია და საყოველთაოდ მიჩნეული კანონმდებელი ქართული შაირისა. ეს დიდებული ეპიური ზომა ღირსეული ზომიერებით არის შეფარდებული რუსთაველის მთლიან მხატვრულ ზრახვებთან. პოემის მკვეთრი, მწყობრი, ზუსტი რიტმი შაირის ორ სახეობას ჰქმნის ე. წ. მაღალ და დაბალ შაირს. მაგალითები:

ნახეს უცხო | მოყმე ვინმე, || ჯდა მტირალი | წყლისა პირსა,
შავი ცხენი | სადავითა || ყვა ლომსა და | ეითა გმირსა,
ხშირად ესხა | მარგალიტი || ლაგამ-აზჯარ | უნაგირსა;
ცრემლსა ვარდი | დაერთვილა || გულსა მდღღორად | ანატირსა.

იყო არაბეთს | როსტევან || შეფე ღეთისაგან | სვიანი,
უხვი, მაღალი | მღაბალი, || ლაშქარ მრავალი, | ყმიანი,
მოსამართლე და | მოწყალე, || მორკმული, განგე | ბიანი,
თვით მეომარი | უებრო, || კვლა მოუბარი | წყლიანი.

შაირის მეტრულ სახეობათა ნაირობა პოემაში შეხამებულია რითმული სისტემის გარკვეულ წესთან. რუსთაველი რითმის დიდი ბელოვანია. შაირის სტროფი ოთხტაეპოვანია. ოთხივე ტაეპი ერთმანეთთან შერითმულია (aaaa) რუსთაველის რითმები ყოველთვის ორიგინალურია, ბუნებრივი, კოხტა, ამასთან მუდმივად ზუსტი და მდიდრული. დაბალ შაირს სამმარცვლოვანი რითმები მოსდევს, მაღალს კი — ორმარცვლოვანი. ეს წესი მტკიცეა დატული მთელი პოემის სივრცეზე. რუსთავე-

ლის ლექსები მუსიკალურად ბრწყინვალეა. ბგერული პარმონიკა აქმიუ-
წვდომელ სიმაღლეს აღწევს. აზრი და ბგერა ერთმანეთს მჭიდროდ აკ-
სებს, ამდიდრებს, აძლიერებს. ხშირად რუსთაველური მჭიდროდ შეკრებილი
განსაცვიფრებელი სიახლოვით და სიძლიერით გადმოსცემს მოქმედების
ტემპს, აზრს და შინაარსს.

გამოთქმელია რუსთაველური ალიტერაციების სიუხვე და სილამაზე.
საოცარია რუსთაველის სიტყვის შინაგანი ტევადობა, გარეგნული მოხდე-
ნილობა და სილამაზე. სურათის აწერისას რუსთაველი გვაძლევს სიტყვი-
ერი ეკონომიის, ბგერული პარმონიკის და საერთო გამოსახვითი ძალის
ნამდვილ სასწაულს. ასე, მაგ.:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავსქერ, ჩავაკარაბაკე.“

აქვე დავიმოწმებ ორ სტროფს ზატაელებთან ბრძოლის ეპიზოდთან:

„ახლოს მივე, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა.

მუნ მიემართე მკლავ მაგარმან, საღ უფროსი ჯარი დგესა.

კაცს შუბი ეკარ, ცხენი დავეც, მართ ორივე მიხედეს მზესა.

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, შრმალო, ვინცა გლესა.

შეგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოეტყროცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,

კაცი, ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი.

ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძი რაზმი ორი“

ყველაფერთან ერთად მომჯადოებელია რუსთაველის ენის სისადავე.
ვთქვათ, იშვიათად მდიდარ, მაგრამ მძიმე ძველ-ქართულ სასულიერო-
საეკლესიო მწიგნობრობასთან საპირისპიროდ. რუსთაველისათვის უცხოა
ნაძალადეობა, ხელოვნურობა. სინათლე, სიახლე და სიჯანსაღე, — აი
რუსთაველის სპეციფიკა. ენობრივი სისადავე, იდეური სიღრმე და მხატვ-
რული უშუალობა მონუმენტურად ამთლიანებენ და კლასიციზმის სიმ-
ტკიცით სალტავენ რუსთაველის ქეშმარიტად გენიალურ ვეფხის ტყაო-
სანს.“ ერთის სიტყვით, შინაარსისა და ფორმის ერთიანობა განუმეორე-
ბელ სისაესეს აღწევს რუსთაველის ხელში.

გენიალური ოსტატის ხელით ნაქმედი „ვეფხის-ტყაოსნის“ მრავალასე-
ული შიირის ლექსი საუკუნეების განმავლობაში მკითხველთა გულ-
წრფელ აღტაცებას და სიხარულს იწვევდა. ამიტომაც იყო, რომ საქართ-
ველოში დიდხანს ხელშეუვალად ბრძანებლობდა რუსთაველური ნორმე-
ბი, რუსთაველური გემოვნება.

რუსთაველი იყო ქართული პოეზიის ნამდვილი კერძი. ყოველი ძვე-
ლი პოეტი მოვალედ სთვლიდა თავს რუსთაველისაგან გამოვითხოვა შემო-
ქმედებითი საქმის ნებართვა. რუსთაველის წამბაძველობა მხატვრული გე-

მოენების საუკეთესო საზეობად იყო აღიარებული. არჩილი (1647—1713)
სწერდა:

ერეკლე
გიგლიშვილი

„ვინ ვერ მიჰყვას რუსთაველის თქმულსა, გადმობრუნდეს იმან აქეთ, მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ“.

საიდან ჰკრებდა რუსთაველი თავის ბრწყინვალე აზრებს?

თავის ბრწყინვალე აზრებს რუსთაველი ხალხიდან ჰკრებდა, ქართველი ხალხის გულის სიღრმიდან. რუსთაველმა დედის რძესავით შეირგო და შეიხორცა მთელი სიმდიდრე დიდად განვითარებული ძველი ქართული მწერლობისა, რაფინირებული აღმოსავლური (ირანულ-არაბული) პოეზიისა და ანტიური ქვეყნების სიბრძნისა, მაგრამ, როგორც კეშმარიტი გენიოსი, ის ვერ ეტევა ვერც თავის დროის და ვერ თავისი წრის აზროვნების ფარგლებში. რუსთაველს შემოქმედებითი ფესვები ღრმადაა ჩაქსოვილი ეროვნულ ქართულ შეგნებასთან, თუმცა უაღრესად საკაცობრიო, კოსმოპოლიტურ იერს ატარებს. თავისი თავისუფალი მსოფლმხედველობით რუსთაველმა არა თუ დაჩრდილა თანამედროვენი, არამედ აღრეული რენესანსის ჰუმანიტური იდეებიც წამოაყენა, იდეა ძმობისა, მეგობრობისა, სიყვარულისა, ერთგულებისა, თავგანწირვისა, სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა—ხალხური იდეაა, ხალხური რწმენაა. ეს რწმენა ქართველმა ხალხმა შეიმუშავა საკუთარ და უცხო მტარვლებთან მრავალ საუკუნოვან მძიმე ბრძოლებში, ღრმა ხალხურია იდეალი მამაცობისა, გამირობისა, ეატკაცობისა და შეუპოვრობისა, რომლებიც რუსთაველის გმირებს ამოძრავებენ. თავისი ღრმა ხალხურობით, ჰუმანიტურობით, თავისუფალი აზროვნებით რუსთაველის პოემამ სამართლიანი აღტაცება და სიყვარული გამოიწვია საზოგადოების შედარებით ფართო წრეებში, მაგრამ დიდი სიძულვილიც დაიმსახურა ეკლესიის მსახურთა და მათ დამქაშთა შორის. რუსთაველმა პანიკაც შექმნა და სიხარულიც, სიხარულით ზედბოდნენ მას პროგრესისტები, შხამს აგებებდნენ კონსერვატორები. ზოგი მზაკვარი პოემას რყენდა. ზოგი ჩირქს სცხებდა რუსთაველის სახელს. „ეფების ტყაოსნის“ მრავალ ხელნაწერს შემოუწახავს ვერაგი სტროფი:

„პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
ეუბნობთ ეფების-ტყაოსნობით, არას შეიქს ზორცს არ სრულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად.
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“.

ამის დამწერი სათავეშივე სწამლავდა პოემის ანკარა წყაროს, პირველ სტროფშივე ჩაგესლილია გველური შხამი: აქაო და რუსთაველი ურწმუნოა, ქრისტიანულ ღმერთს არ იცნობსო, სულის დამლუპველ ამბავს სჩმაზავსო, თუ წაიკითხე, საუკუნო ნეტარებაზე უარი თქვია და სხე. ყალბის მომქმედი ამით ცდილობდა მკითხველთ დაფრთხობას, იძულებით

გადაბირებას კლერიკალების ბანაკში. მაგრამ იმედი არ გულმარტოლდათ იველ ფარისეველთ. რუსთაველის ტექსტი ხელიდან ეცდნენ გადაიღოდა, დღითი დღე ემატებოდა მკითხველი მასსა. რუსთაველი საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა, რუსთაველი საყოველთაო სათაყვანო მგოსნად ხდებოდა. მდგომარეობა უფრო გამწვავდა. კლერიკალები ბრძოლას არ ელევინ: გარყვნილების, გათახსირების, ბიწიერების წყაროდ ნათლავენ უკვდავ პოემას. მთავარეპისკოპოსი ტიმოთე სწერდა: „რუსთაველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება, და გარყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი, აღწერა ქალისა ვისთვისმე თვალი მეღნისა, პირი ბოლოსა, ღაწვი ძოწისა, და ამის გამო დედანი საქართველოსნი ხატად ღვთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საფრთხელ სულთა“.

სამღვდელოების გაბოროტება რუსთაველს ვერაფერს აკლებს. რუსთაველს კომაგობს მთელი ქართველი ხალხი. კლერიკალები სცელიან ბრძოლის მეთოდებს. სიტყვიერი მავნებლობიდან გადადიან საქმითს მავნებლობაზე. კათალიკოსი ანტონ პირველი მთელ ქვეყანაში აგროვებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებს და ქართველი ხალხის ამ ხელთუქმნელ დოვლათს უტიფრად აძლევს ცეცხლს. პოემის მრავალი ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ტექსტი ფიზიკურად გაანადგურა „წმინდა“ ბარბაროსმა. მაინც ვერ მოჰკლეს წიგნის ავტორი, რუსთაველის ბსოვნა ვერ აღმოფხვრეს ქართველის გულიდან. ვერც თვით პოემას დააკლეს ბევრი რამ. კიდევ გადარჩა მრავალი ცალი.

რუსთაველის წიგნმა გაუძლო საუკუნეებს, ჯამთა სიავეს, მონღოლთა ურდოს, ყიზილბაშთ რისხვას, ლეკთა თარეშს, კლერიკალთა დევნას. რუსთაველის წიგნი რომ მთლად გამჭრაღეყო, მას აღადგენდა ქართველი ხალხი, უწიგნო მასსა. ქართველი ხალხის გულის წიაღში ჰქონდა მყუდრო სამყოფი რუსთაველის სიტყვას. პოემის ტექსტი ზეპირად იცოდა ჩვენმა ქვეყანამ. ჩვენი ქვეყანა გაჭირვებაშიც არ იფიწყებდა თავის დიდებას. და, აჰა, შეინარჩუნა კიდევ ღირსებით. შეინარჩუნა და ჩააბარა ნამდვილ მემკვიდრეს, საბჭოთა მოდგმის ბედნიერ აწმყოს.

კონსტანტინე კაპანელი

კონსტანტინე კაპანელის ესთეტიკა

ადამიანი და სამყარო რუსთაველის პოემაში

ადამიანის ღრმა ცოდნა, მისი ესთეტიკური განცდის და ნების ურთიერთობის გამომრკვეველი, მოცემულია ავთანდილისა და ტარიელის მეორე შეხვედრისას: ტარიელი უძრავად აგდია მიწაზე — „ერთკენ ლომი უძს მოკლული და ზრმალი სისხლ-მოცხებულნი, კელა სხვაგან ვეფხი უსულო, მკედარი, ქვე-დანარცხებული“. ტარიელი ატირებული სახით პირადმა წევს: „შიახლებოდა სიკვდილსა, მოშორებოდა ცნობასა“. ავთანდილი ეხვეწება, თხოვს გონს მოვიდეს, გამაგრდეს მამაცურად: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითყირსა, თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“, ეუბნება ავთანდილი ტარიელს. აქ ერთ-მხრივ დასმულია ნებელობის საკითხი: სუბიექტიური, შინაგანი მძლეობის დახედვით გარეგან მოწოლილ უბედურებას, აზღვავებულ საფრთხეს. ქვეყნისა და ადამიანის შორის გამართულია ბრძოლა: ამ ბრძოლისათვის რუსთაველი ქადაგებს არა მორჩილებას, ლოცვას, მონობას, არამედ გამაგრებას, გაჭირვების ატანას, შეტევას. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითყირსა“. „რომ სჭმუნვიდე რა გერგების“... ავთანდილი გზასაც გვიწვენებს — როგორ შეიძლება შეებრძოლოს ადამიანი მოზღვავებულ უბედურებას: ავთანდილი, ადამიანის ხსენს ხედავს არა მარტოებაში, არამედ ადამიანებში, საზოგადოებაში: „მინდორს სტირ და მხეტია ახლავ, რას წადილსა აისრულებ? ვისთვის ჰკედები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“. აქედან დასკვნა — შეელა ადამიანებისა სოფელში, შეელა საზოგადოებაში. რუსთაველის გაგებაში სამყარო შეიცავს წინააღმდეგობას, რომლის დაძლევაში ადამიანი აღწევს მიზანს და ეუფლება სილამაზეს ბრძოლით — „ტაბილსა მწარით ჰპოვებ“... ბრძოლის, სიყვარულის, სილამაზის ფილოსოფია გაშლილია შემდეგ სიტყვებში:

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმელნი სდებოდა მისი
ვის არ უნახავს პატიერი, ვისთვის ვინ არა ბნდებოდა მისი მისი
მითხარ უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგნდებოდა?“

არ იცი, ვარდი უეცლოდ არავის მოუტყრეფიან?

ვარდას ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად?“

მან თქვა: „ტბილისა მწარით ჰპოვებ, სჯობს, იქნების რაცა ძვირად.
ოდეს ტურფა გაიფუტეს, აღარა ღირს არცა ჩირად.“

ორი დებულებაა აქ წამოყენებული: ერთი — სიყვარულს თან ახლავს ტკივილები, როგორც ვარდს ეკალი; სიყვარული მოითხოვს ბრძოლას, ტკივილების ატანას: არ არსებობს სიყვარული უტკივარი, როგორც არ არსებობს ვარდი უეცლო. მეორე დებულება: სიტკბოების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ბრძოლის ტკივილებით — „ტბილისა მწარით პოვებს, სჯობს იქნების რაცა ძვირად“.

რუსთაველის აზრით ცხოვრება ეკლიანია, მიზნის მიღწევა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც გადალახავს ეკალს; რუსთაველი სიმბოლიურად გამოსახავს ცხოვრების მთლიან მიმდინარეობას — კაცობრიობის ისტორიას, სინამდვილისა და იდეალის ურთიერთობას, მიზნის ბრძოლით მიღწევას. განა მთელი წარსული ადამიანებისა ეკლიანი არ იყო? განა რომელიმე საუკუნეში ადამიანებს მიუღწევია მიზნისათვის უბრძოლველად, უტკივარად? განა რუსთაველის სიტყვებში არ გამოისახება ისტორიული ჰერმეტიკობა, საუკუნეთა ძიება, აზრი ცხოვრებისა? რუსთაველის წარმოდგენაში აქ სამყარო მოცემულია როგორც უსაზღვრო ბალი, სადაც შეყვარებული ადამიანები აეთანდილისა და ტარიელის სახით ეძებენ ბედნიერებასა და სილამაზეს, მაგრამ აეთანდილი — აზრისა და ტვინის განსახიერება ხედავს, რომ „ვარდი უეცლოდ არავის მოუტყრეფიან“. რუსთაველი აქ უფრო ღრმად, ვიდრე ლაიბნიცი და შოპენჰაუერი: ლაიბნიცი ჰეგელის იდეებს როგორც წინასწარ მოცემულ ჰარმონიას, რაც ჩვენში ბადებს თვითკმაყოფილებას, მეშინურ განწყობილებას: შოპენჰაუერი სასოწარკვეთილებასა და უიმედობაში გვაგდებს თავისი პესიმიზმით, ნირვანიით და სურვილების ჩაკვლით. ჰეგელა — მშვენიერია — ამბობს ლაიბნიცი, ჰეგელა საძაგელია — ამბობს შოპენჰაუერი. ჰეგელა არც მშვენიერია და არც საძაგელი, ამბობს რუსთაველი: სიმშვენიერე და სისაძაგლე მთლიანობაშია და ვისაც მშვენიერება უნდა, მან უნდა ბრძოლაში სძლიოს სისაძაგლე ლაიბნიცისა და შოპენჰაუერის მსჯელობაში სამყარო განხილულია თავის თავად; ადამიანების მიღმა, კაცობრიობის შემოქმედება და საქმიანობა გამოირიცხულია ამ ფილოსოფიიდან; რუსთაველის წარმოსახვაში ადამიანი მოცემულია, როგორც სამყაროს გარდამქმნელი, გამამკეთებელი ძალა; აეთანდილის ფილოსოფია ბრძოლის და ჰეგელის ვა-



დაკეთების ფილოსოფიაა და სწორედ ამიტომ არც ერთი მკვლევარი ლიტერატურის ისე საინტერესო არ არის ჩვენი ჯერჯერობითა და კულტურის თვალთახედვით, როგორც ავთანდილი თავისი აზრებისა და მოქმედებათა ერთმანეთთან შერწყმით.

ცხოვრების უღრმეს ფილოსოფიას, თეორიას რუსთაველი ავსებს მოქმედებით, საქმით, პრაქტიკით: შესანიშნავად გაუშალა ავთანდილმა ცხოვრების აზრი, არსი, თვისებები სიმწარისა და სიტყბოების ურთიერთობა ტარიელს, მაგრამ ტარიელი მაინც ფეხზე ვერ ააყენა, მისი გრძნობა, ნება ვერ შეცვალა. მაშინ ავთანდილმა დაიხმარა სხვა ხერხი: გონებისა და ნების მომართვისათვის შეუცვალა მდგომარეობა ტანს, სხეულს, მატერიას:

ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი:
ერთელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა-მხედლო,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ასე აწინდელი,
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქნას შენი საქადელი“.

ეხვეწებოდა: „შეჯეო“, აჯა-ხვეწნითა არეგბდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარებდა,
ლერწმისა ტანსა დასდრეკდა, გიშრისა დააკარვებდა,
დაიმორჩილა, იამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.
ცხადად უთხრა: „შეჯდებო, მომიყვანე ცხენი წინა“,
მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთავე წაიყვანა, ტანი მჭევრი ააძვრინა
ხანი წარვლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“.

სიარულმა — მოძრაობამ „მოჯობება დააჩინა“: მოძრაობამ ტანისა შექმნა სულიერი განწყობილებისა და ნების სხვაობა; შეიცვალა ტანის, სხეულის მდგომარეობა, მასთან შეიცვალა სული, გრძნობა, განწყობილება, ნება; შეიცვალა ადამიანი, ხასიათი, ქცევა, მისწრაფება. განუზომელად დიდია რუსთაველის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში: დოგმატიზმისა და სჭოლასტიკის ეპოქებში იძლევა მოძრაობის და მოქმედების ფილოსოფიას, მაგრამ არა ემპირიული განაპირებით, ფაქტურით საქმოსნური, წერილმანური მიდგომით, არამედ აზრისა და საქმის გაერთიანებით, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთ მიშველიებით. „პირველად საქმე იყო“ — ამბობს ფაქტი, მაგრამ საქმე საჭიროებს აზრს: აზრი და საქმე ერთმანეთს აფორმებენ და აწვითარებენ; არ არსებობს უაზრო საქმე და არც უსაქმო აზრი: არ შეიძლება აზრისა და საქმის ერთმანეთისაგან განაპირება ემპირიულად, როგორც ამას ჩადის გოეტე; შესანიშნავად არკვევს აზრისა და საქმის ურთიერთობას კარლ მარქსი, „კაპიტალიზმი“ შრომის ანალიზის დროს. რაც უნდა ცუდი ინჟინერი იყოს, ამბობს

მარქსი, — მას საქმის დაწყებამდე თავში აქვს გეგმა, სქემა, პროექტი — და გააკეთოს.

რუსთაველის ავთანდილსაც აქვს გარკვეული გეგმა. რომლითაც ის აღწევს მიზანს: აზრის საშუალებით ავთანდილი ცელის ტარიელის მდგომარეობას — შეაჯენს ცხენზე, რადგან იცის „შეჯდომა კაეშანს მოაქარებებს“. ამის შემდეგ რუსთაველი ფილოსოფიურად ამბობს:

რა შეატყო მოგზოებმა მან, სევდა მუფარახმან,
გაანათლა პირი ვარდი სახარულმან დაუსახმან,
ცნობიერთა დოსტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე მზრახმან.

შეცვლილმა მდგომარეობამ შეცვალა ადამიანი მთლიანად: ავთანდილი შეიქმნა ტარიელის სევდის მუფარახი, გამქარვებელი.

აკვირდებით რა რუსთაველის ესთეტიკურ წარმოსახვას, თითქოს იწმინდებით თქვენს განცდებში, განწყობილებაში; თქვენ გმორიდებით თქვენი განწყობილებიდან ყველაფერი, რაც თქვენ გამძიმებთ, გაწუხებთ, გააგრავეთ, რუსთაველს მიყვებით და გიხარიათ, რომ ადამიანს შეუძლია ამდენი ატანა, ამდენი ბრძოლა, ასეთი მეგობრობა და სიყვარული: რუსთაველის ადამიანი ალამაზებს ქვეყანას, გარემოცვას, ბუნებას, სოცოცხლეს: რუსთაველის ადამიანი გონების, მოხერხების, სილამაზის, სიძლიერის, სიყვარულის, თავდადების ოსტატია.

რაც კარგია, ძლიერია, მშვენიერია ბუნებაში, სამყაროში, ის ყველაფერი შეთვისებული აქვს რუსთაველის ადამიანს: რუსთაველი ხშირად აღარებს თავის გმირებს ლომს, ეფუხს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს შოლოდ იმიტომ, რომ შეაქვოს ადამიანის მძლეობა, მისი ესთეტიკური გამოხედვა, მისი ქცევა, მისი ვატაცება. შემცდარია ის აზრი, რომელიც ცდილობს რუსთაველს თავზე მოახვიოს მზის, ფერის ან პლანეტების კულტი: რუსთაველი სასტიკი წინააღმდეგია ყოველგვარი კულტის, გარდა სიყვარულისა და ადამიანობის კულტის; რუსთაველის ესთეტიური სოფლშეგრძნობა ანტიდოგმატიური და ანტიმეტაფიზიკური ა: მთელს პოემაში არსად არ არის მოცემული არავითარი ყურადღება კულტებისა და ადათებისადმი, ეკლესიისა და რელიგიისადმი; სამყარო. მისი უსაზღვროება, საგნები, მოვლენები, დღე, ღამე, მზე, პლანეტები, რუსთაველის წარმოდგენაში გამოიყურებიან როგორც ბერძნულ მიტებში.

აღარებს რა ბუნებას და სამყაროს თვისებებს თავის გმირების თვისებებს, რუსთაველი მტკიცედ აღნიშნავს ადამიანური თვისებების უპირატესობას. „მთვარეს მისთან შეუქთაგან უკუნო გადაფენოდა“, „თინათინ მზეს სწუნობდა მაგრა მზე თინათინობდა“, „რა გაიზარდა გა-

იესო მზე მისგან საწუნარია“. საღ არის აქ მზის, ან მთვარის, ან მთვარის კულტი თინათინის, ქალის, ადამიანის; მთვარეს ანათებს ადამიანის გამოხედვის შუქი, მზე ადამიანის წინაშე, ადამიანთან შედარებით სა-წუნარია, მზე თვითონ თინათინობს. მულაზანზარის ეელზე აეთანდი-ლო, უმღერის რა მზესა და პლანეტებს, თითოეულ მათგანს მიაწერს ადა-მიანურ თვისებებს: მარიხი, ოტარიდი, ზუალი, მთვარე წარმოსახულია ადამიანური ყოფა-ცხოვრების ატრიბუტებით; თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსთაველი რაკი ხშირად ახსენებს მზესა და პლანეტებს, მათი კულტის შემომტანია ლიტერატურაში, ცდება: რუსთაველი თავის გმირებს ღო-საც ეძახის და ვეფხსაც ძალიან ხშირად, მაშინ „ვეფხის ტყაოსანში“ ვეფ-ხის კულტი მაინც უნდა იყოს... ასეთი ბუკინისტური, კომენტატორული გაგება რუსთაველის დამახინჯებაა. ასეთი გაგებით რუსთაველის პოე-მაში სხვა კულტიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, მაგრამ რუსთაველთან, მის პოემასთან, მის ესთეტიურ განსაზიერებასთან ამას არაფერი საერთო არ ექნება.

რუსთაველის ტიპების გამოხედვა იმედებსა და სიცოცხლის ენერგიას შლის: ამ მხრივ რუსთაველის გმირები გევანან მიქელ-ანჯელოს ქანდაკებებს. რუსთაველსა და მიქელ-ანჯელოს — ორივეს ახასიათებს ერთი ძირითადი თვისება — ადამიანისა და ადამიანობის მძლეობის გამოსახვა, რაც გეგავნებს ანტიკურ ესთეტიურ ასახვას თავისი ატრიბუტიზმით. ანტიკურ ხელოვ-ნებას, რუსთაველს და მიქელ-ანჯელოს ახასიათებთ ადამიანების ტიპო-ლოგიური გამოსახვა ძირითადი ატრიბუტის მიხედვით: ანტიკურ მითო-ლოგიაში ქალის ტიპი მოცემულია სამი ასპექტით, სამი ატრიბუტით: გე-რა ნებისყოფის ატრიბუტით, ათინა გონიერების ატრიბუტით, აფროდი-ტე — ენების, ანტიკური ტრაგედიებიც ამაზეა მთლიანად აშენებული: პრომეთე, იქსიონი, ორესტი, შედეა, ანტიგონე. სამყაროს ვრცელ არეზე ადამიანი დგას გარკვეული ატრიბუტით.

რუსთაველიც იგრე იქცევა: ტარიელი, აეთანდილი, ფრიდონი გა-კვეული ატრიბუტების წარმომადგენლები — ტარიელი გრძნობის, ფრი-დონ — ნებისყოფის, აეთანდილი — გონების; ეს იმას არ ნიშნავს სრულებით, რომ ტარიელს, ან ფრიდონს გონება აკლდეს, ან აეთანდილს და ტარი-ელს ნებისყოფა, მაგრამ თითოეულ გმირში განსაზიერებულია ადამიანო-ბის რომელიმე ძირითადი თვისება და გმირი იქცევა ამ ძირითადი თვი-სების მიხედვით სიყვარული, ქცევა, ბრძოლა პოემაში საზიერდებიან გმირის ზასიათის ატრიბუტის მიხედვით: ამ ატრიბუტის საშუალებით რუს-თაველს დაძლეული აქვს ფანტასტიური, მისტიური, თილისმური ელემენ-ტები აღმოსავლეთის ესთეტიური გემოვნების, „შაჰ-ნამეს“ და „ვისრამია-ნის“ მხატვრული ხერხები.

აეთანდილი და ტარიელი ორივე შეყვარებულია ძლიერი და გატაცე-ბული სიყვარულით: მაგრამ თითოეულის სიყვარული თავისებურია სწო-12. „მნათობი“ № 12

რედ იმ ატრიბუტის გამო, რომელიც თითოეულს მათგანს ატარებდა, როგორც წამყვანი ძალა პიროვნების; ავთანდილის სიყვარული სხვანაირია, ტარიელის სხვანაირი, რადგან სიყვარული გატარებულია პიროვნების ატრიბუტში: რუსთაველის ტიპების განრიგება დიდი და საინტერესო მეცნიერული პრობლემაა, განსაკუთრებით დიდი მასალაა მოცემული შემოქმედებითი ფსიქოლოგიისათვის; ქალების ტიპებიც რუსთაველს თავისი ესთეტიური მეთოდოლოგიის მიხედვით აქვს დახასიათებული: ნესტან-დარეჯანის ხასიათი მოცემულია გრძნობის ძლევადით, თინათინის — გონების; აქედან — ნესტან-დარეჯანის ხასიათში მუდმივი ცეცხლებრივი გაალება, ანთება, განრისხება; ხოლო თინათინის ხასიათში გაზომვა, აბრუნება, მოფიქრებული ყოველი ნაბიჯის გადადგმა; თინათინი დინჯია და ფრთხილი არა მარტო სიყვარულში, არამედ ოჯახურ ურთიერთობაშიც; როდესაც მოღარემ მოახსენა მეფე მოწყენილიაო, არ შევიდა უცბად მამასთან... თინათინი, არ შევიდა მანამდე, სანამ თვითონ მამამ არ დაიბარა.

ამ რიგად რუსთაველის პოემაში ანტიკური სისრულით და სტილით მოცემულია გონების, გრძნობის და ნებისყოფის ესთეტიური გამომეტყველება თითოეულ სიტუაციურ ვითარებაში: მშვენიერია მტირალი ტარიელი წყლისპირად, როგორც ესთეტიური გამოხატულება მარტოობით და უნუგეშობით დაზარალებული ადამიანისა; არანაკლებად მშვენიერია ქაჯეთის ციხის აღებისას ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს შეწყებულნი: „მკერდი მკერდსა შეეწება, გადაეჭო ყელი ყელსა“. ემოციის სიჭარბეშიც ადამიანის გამოხედვა ატარებს ესთეტიურ ღირებულებას. მაგრამ განა ნაკლებად მშვენიერია ავთანდილი, როდესაც დაბრუნდა თინათინთან შეხვედრის შემდეგ შინ და როდესაც „ვითა ვერხვი ქარისაგან ირხევის და იკეცების“. რუსთაველმა შეიტანა თავის პოემაში ულამაზესი ლირიკული ადგილი, დამამშვენებელი ერთნაირად როგორც ქართულა, ისე მსოფლიო ლიტერატურის: ავთანდილის მეორე წასვლას და ტარიელის შეყრას რუსთაველი აგვიწერს ისეთი ფსიქოლოგიური სიღრმით და ლირიკული ამღერებით, რომელსაც ყოველთვის ექნება ღირებულება ქვეყნად, სანამ არსებობს ადამიანის აზროვნება და მეტყველება; სასოწარკვეთით, შინაგანი წვალებით სავსე, მიდის ავთანდილი; რუსთაველი ასე ახასიათებს ავთანდილის სულეირ დრამას:

„აწლა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამაელობასა:
მივა და მისტარს გულმდუღრად, ვერ იტყვის ცრემლთა მცრობასა.
წამ-წამ შობრუნდის იაჯდის მისთვის მზისავე შობასა,
უქვრივდის თვალნი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის, მიჰხდნის ცნობასა,
რა მიიხლის დაბნედად, ვერ ხელჰყვის გაძვრად ენისად,



მაგრამ სდის ცრემლი თვალთაგან, მსგავსად დილაგის ღრისადა; რა გაემართის, არ იცის. მას თუ არბევდის ცხენი საღ?!

თქვა: „ჩემო შენი შორს-მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს, რადგან შენ დაგრჩა გონება, გული შენსკენვე დაბრუნდეს, თვალთა მტირაღთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს, სჯობს სიყვარულსა მოყვარე რაზამცა დაუზაბუნდეს.

ასე მოთქმოდის, იწოდის, ვითა სანთელი ღნებოდის, დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის; რა შეალამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის, მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭკერეტდის, ეუზნებოდის.

ღამე ილხენდის, ღლე სჯიდის, ელის ჩასვლასა მზისასა, რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭკერეტდის ჩასვლა წყლისასა, მასთანა ჰრთოდის ნაკადისა სისხლისა ცრემლთა ტბისასა, კელა გაემართის, ისწრაფდის წაელასა მასვე გზისასა“.

მივა აეთანდილო და მისტირის, წამ-წამ მობრუნდება და უკან იხედება, თვალს ვერ აშორებს თავის საყვარელს, გონება მისკენ აქვს და გულიც მისკენ იწევა: რუსთაველი ახასიათებს ადამიანის პიროვნებას, როგორც მთლიანობას, რაკი გონება გარკვეული მიმართულებით მიდის, გულიც იმ მიმართულებით უნდა წავიდეს. რუსთაველის გაგებით გონებისა და გულის შორის არ უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებს ჰამლეტისა და ფაუსტის ეპოქებს: ტრაგედია ფაუსტისა და ჰამლეტის გონებისა და გულის წინააღმდეგობის ტრაგედიაა; ევროპის სოციალურ ფორმაციებში ჰრისტიანულ-ინკვიზიციურ ეპოქებში გულსა და გონების შორის მოათავსეს დოგმები, სქოლასტიკა, მონასტრულ-ეკლესიური განაპირება სინამდვილიდან და კეთილშობილი ჰამლეტი აშკარად ამჩნევს, რომ მასში მთლიანობა არ არის. „დარღვეულია ღრითა კავშირი“. „გაბედულებას მოსაზრება წინ ეღობება“. რუსთაველის აეთანდილში მოსაზრებასა და გაბედულების შორის წინააღმდეგობა არ არის:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედან ჰკიდიათ;
რა გული წავა, იგიცა წაელენ და მისკენ მიდიან“.

ამ სიტყვებს ვერ იტყვის ვერ ჰამლეტი და ვერც ფაუსტი: მათი ჰარონება გაორებულია; ამ გაორებაშია მათი ტრაგედია. გამოუვალო მდგომარეობა, ადამიანის პიროვნება ჩიხშია მოქცეული, — პერპეტუა, ჰორიზონტი არ მოსჩანს...

აეთანდილის ტიპში ჰრისტიანულ-სქოლასტიკური მომენტი დაძლეულია: შიშის, მონობის, იქვების, სისაწყლის, ზევწნის მაგიერ აეთანდილი

გასაღებელი ებრძვის მოზღვავებელ უბედურებას, გრძნობისა და ნების საწყისების ერთმანეთთან მჭიდრო შეკავშირებით. მიმოხედავთ, ეძებთ მსგავს მოვლენას მსოფლიო ლიტერატურაში და ვერსად ვერ ხედავთ გარდა ერთი ქვეყნისა, რომლის ხელოვნებას მარქსი ახასიათებს, როგორც მშვენიერების მიუწვდომელ ნიმუშს, საიდანაც გამოიყურება ადამიანის მძლეობა და სილამაზე.

მართლაც, მსოფლიო ლიტერატურაში ბერძნულ ლიტერატურას უკავია განსაკუთრებული ადგილი თავისი ესთეტიური პრინციპებით; ამ ლიტერატურას ახასიათებს საგულისხმო მოვლენა საერთოდ ბერძნულ კულტურისა და ხელოვნების: ეს არის ადამიანის ცხოვრების, მისი პიროვნების სილამაზის კულტად ქცევა; ბერძნული ხელოვნება საერთოდ ეთაყვანება ადამიანს, მაგრამ ამჩნევს, რომ ადამიანის მძლეობას ხელს უშლის ბედისწერა: იწყება აქედან ადამიანისა და ბედისწერის ერთმანეთთან ბრძოლა: ბერძნული ტრაგედია თავისი სცენიური გაფორმებით არსებითად გამოსახულებაა ადამიანის ბრძოლისა ბედისწერასთან: პრომეთე, ორესტი, ანტიგონე ებრძვიან ბედისწერას ადამიანის უფლებისათვის; ბერძნული მსოფლმხედველობისათვის ცნობილია, რომ ადამიანი განწირულია: ბრძოლა ბედისწერასთან უთანასწორო ბრძოლაა, საბოლოოდ ბედისწერა იმარჯვებს, ადამიანი მარცხდება; აქ იწყება ბერძნულ ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულება, ფუნქცია, ბერძნული მსოფლმხედველობის მიხედვით ეს ფუნქცია გამოისახება ადამიანის ბედისწერასთან ბრძოლის სილამაზის გამოსახულებაში: სხვა დანიშნულება ხელოვნებასა და ლიტერატურას არა აქვს: ბერძნული მითოლოგიაც, რომელიც წარმოადგენს ბერძნული ხელოვნებისა და ლიტერატურის უზრევე წყაროს, ყოველგან გვიჩვენებს ადამიანის ბრძოლის სილამაზეს, ადამიანის ტანისა და სულის აღნაგობის განსაკუთრებულ ჰარმონიას; ბედისწერა ადამიანს აწვალებს, ტანჯავს, მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ ადამიანი იბრძვის და ისე, რომ მართლა ღირს სიცოცხლე და წვალება ამ ბრძოლისათვის, თვით ბრძოლის პროცესის სილამაზისათვის; აქედან სილამაზის კულტი, რომელიც ამშვენებს ბერძნულ ხელოვნებას, მის შინაგან წყობას, მის სტილს, სილამაზის კულტი მოცემულია როგორც შედეგი არსებობის წარმავლობის და ბედისწერის ძლიერების შეგრძნობის; სილამაზის კულტი აქ ამართულია ესთეტიური წარმოსახვით ცხოვრების საშინელების და უკუღმართობის დასაფარავად, არსებობის ადამიანური ტიპიულების მოსაშუშებლად; არისტოტელის ტერმინით ეს ერთგვარი კათარსისია — ერთგვარი განწმენდა ადამიანის სულისა იმ შიშისაგან, რომელსაც გრძნობს ადამიანი არსებობის წინააღმდეგობებით სავსე დენაში, ბედისწერასთან ბრძოლის სწრაფსა და მოუსვენარ ლელვაში.



ბერძნული ხელოვნებიდან, პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიიდან ასეთი წარმოდგენა ადამიანის არსებობის და ბრძოლის მიზანშეწონიერების არაბებმა და არაბულ ფილოსოფიურ სექტებმა მხოლოდ სუფისტების მოძღვრებაში ნათლად გამოიყურება არაბული სოფლმშენებლობის ელინიზირებული ესთეტიური წარმოსახვა.

შოთა რუსთაველის პოემაში ავთანდილის ანდერძს უკავია განსაკუთრებული ადგილი ესთეტიური კონცეპციის გაშლით, ცხოვრების უღმრთელ სირთულესა და მიმდინარეობაში ადამიანის ბრძოლის სიღამაზის დახასიათებით: ავთანდილის ანდერძი დამამშვენებელია მსოფლიო ლიტერატურის, უმაღლესი ფორმაა აზროვნებისა და მეტყველების კულტურის, დიდება და სახელია იმ ერის, რომლის ენაზე დაწერილია ეს მშვენიერი ძეგლი გენიოსური სულის მღელვარების და შინაგანი წვალების; ავთანდილის ანდერძი ადამიანის სულიერი დრამის ღრმა ფილოსოფიური გამოსახულებაა: ამ ანდერძში მეთოდურ-მეთოდოლოგიური დაროგებაა მოცემული ადამიანის ქცევის, აღზრდის, ბრძოლის, ნუგეშის შესახებ. აქ ცხოვრება დახასიათებულია, როგორც აუცილებლობის პროცესი: როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი არა მარტო ღვინისა და მშვიდობიანობის, არამედ საფრთხისა და წვალების ტანჯვისა და წამების დროს—აი რა არის მოცემული ავთანდილის ანდერძში.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა შეადგენს ავთანდილის ანდერძის დედა-აზრს: ქვეყანას დაპირისპირებულია ადამიანის მე თავის სიყვარულით და პატიოსნებით, სიცოცხლესა და ორპირობის უარყოფით, ნების სიძლიერის შეცნობით — „სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მჭონდეს ნებისა“. ადამიანის ნებისყოფა ამართულია მთელი თავისი შინაგანი სიმტკიცით, სიძლიერით ჭირთა და ტკივილთა თმენის აუცილებლობის წინაშე; იწყება ბრძოლა ადამიანის სუბიექტური, შინაგანი მძლეობისა და გარეგანი, უსარგებლო ობიექტური აუცილებლობათა შორის:

არას გვარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა;

არ გადავა გარდაუვლად მომავალი საქმე ზენა,

წესი არის მამაცთაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა.

არვის ძალუქს ზორციელსა გონებისა გარდავლენა.

მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს ადგილი, რომელიც ეგრე მკვეთრად, სახიერად, ფილოსოფიური სიღრმით იძლეოდეს ოთხ სტრიქონში, ისიც წყობილსიტყვაობაში სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობას გამწვავებული ბრძოლის მომენტში: ბრძოლის პროცესი ასახულია მთელი თავისი ტკივილებით, სიმწარით, ჭირთა თმენით და ობიექტური აუცილებლობის შეცნობით, რუსთაველი ცხოვრებას ინდიფერენტული განწყობილებით და გულუბრყვილობით კი არ უყურებს; უღრმესი სიბრძნით სავსეა რუსთაველის მწარე სიტყვები:

„ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად,
მოვა შემყრელი ყოველთათვის ერთგან დღისა და ღამისად.



მაგრამ აქედან რუსთაველს გონჯი ხასიათი და ქცევა კი არ გამოყავს, არამედ ვაგეაკობის და გმირობის კულტი, სულიერი, ზნეობრივი სიძლიერის განსახეობა:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეკა ყოველსა მოსახვეკელსა“.

წამოყენებულია საინტერესო საკითხი ცხოვრების ღირებულებათა წარმავლობის, ღენისა და ცვლილებისა: ჩვეულებრივად, ასეთი ფსიქოლოგიური განცდების შედეგი ყოველთვის იყო წარსულში: რომაელების Carpe diem სიაზოვნების წუთის დაჭერა; ყოველი გაბატონებული სოციალური ფენა, შეიცნობდა რა არსებობის წარმავლობას, ცდილობდა ხორცისა და სულის ლოთობით, თავდავიწყებით დაეჭირა იდეა, წარმოსახვა „უფამოსა ჟამისა“. რუსთაველი არ მიდის ამ გზით: სწორედ რუსთაველი აქ არის საინტერესო, როგორც მოაზროვნე, რომელიც უარყოფს უმელობასა და დაცემის განწყობილებას; უჭერტს რა სამყაროს, სიკვდილის ძალას, რომელსაც ვერ დაიჭირავს ვერც ვიწრო, ვერც კლდოვანი გზა, რომელიც ბოლოს ერთად ყრის მიწაში მოყმესა და მცხოვანს, რუსთაველი ამართლებს ადამიანის წარმავალ არსებობას თვით ადამიანის ბრძოლის, სილამაზით — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. სიკვდილი დაძლეულია ბრძოლის ესთეტიკური შეგრძნობით, რომელიც შემდეგში ბარათაშვილის „მერანში“ მოძრაობის ესთეტიკად გადაიქცა.

რუსთაველი თავის პოემაში არსად არ იღებს ადამიანს განაპირებულად, დროისა და სივრცის გარეშე: რუსთაველის ადამიანი ყოველთვის ჩაყენებულია გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეულ პირობებში ხოლო ადამიანის გარშემო გაზლართული სიტუაციები აერთებენ ადამიანს სამყაროსთან. ავთანდილი მიიმდერის საღამო ჟამს მულღაზანზარის ველზე: მულღაზანზარის ბუნება, ტყეები, ველები, მინდვრები, ფრინველები, ცხოველები შეადგენენ რეალურ-კონკრეტულ გარემოცვას ავთანდილისას: ამ კონკრეტულ გარემოცვიდან, ამ ადგილიდან ავთანდილი უმღერის მნათობებსა და პლანეტებს, სამყაროს უსაზღვროებას, ბუნების ძალების სიდიადეს. ადამიანის „მე“ გარკვეულ სიტუაციიდან უკავშირდება სიყვარულის მეშვეობით და მოთხოვნილებით კოსმოსის სისრულეს, ასტრონომიულ-კოსმიურ განფენილობას; სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობაში პირველი ადგილი უკავია ადამიანს.

რუსთაველი პოემაში საყურადღებო ადგილს უთმობს კოსმოგრაფიულ იდეებსა და სურათებს: მზისა და მნათობების თაყვანისცემა საერთოდ

დამაბზნიათებელია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის შროშელ წარსულისათვის: არა მარტო წარმართული ქვეყნები აღმოსავლეთისა, არამედ ქრისტიანობაც ისტორიულად განიცდის მზისა და მნათობების კულტის გავლენას; ასტრალური კულტი აღმოსავლეთიდან გადავიდა ძველად დასავლეთში: დანტე ალიგიერი მოწიწებით და თაყვანისცემით იხსენიებს, თუ როგორ იშლებიან სამყაროში „მზის ელვათა ფენანი“.

მზე შევიდა ქართულ ღვთის-მეტყველებაში; წმ. სტეფანეს ერთერთ ჭებაში ნათქვამია: „ღმრთივ ბრწყინვალენი იგი თუალნი შენნი ვითარ მძლე ექმნეს აღსა მას საშინელსა, ცეცხლსა, ნიფთსა, მზის თუალსა სახუმილისა? რამე თუ ვერ დააბრკოლნეს თუალნი შენნი მცხინვარებად მზისამან, არამედ ვითარცა სარკესა შინა, ეგრეცათა შინა იხილე მეფე იგი“. ნ. მარის მიერ გამოცემულ სეინარაქსარში წმ. სტეფანეზე არის ასე ნათქვამი: „ხატი მისი არის სამეფო და პირი მისი ვითარცა მზე“. ძველი არაბები მზეს ეუბნებიან: „ძლიერა შექო, ნათელით აღსავსე ძალო ყოვლის ცხოვრებისა და მსოფლიო სულის მფლობელო“. ძველი ბერძნები მზეს შემდეგი სიტყვებით ეთაყვანებოდნენ: „მეფეთა მეფეო და ბრძანებელთა ბრძანებელო, უზენაესო ბუნებაო, ძალო საუკუნოო!! ტრაგიკოსი ესხილე თავის „მიჯაქულ პრომეთეში“ მზეს ეუბნება: „მზე ყოვლის თვალო“...

სხვადასხვა ხალხს დღემდე აქვთ შენახული დღეების სახელები მნათობთა სახელებიდან წარმოშობილი: მეგრული — თუთაშხა-მთვარის დღე — ორშაბათი, ფრანგული — მარსის დღე — სამშაბათი; ინგლისელების — სატურნის დღე — შაბათი. ლეონტი მროველის მეფეთა ისტორიაში ნათქვამია: „უბრძანა ალექსანდრე (მაკედონელმა) აზონს; რათა პატივს სცემდენ მზესა და მთვარესა და ეარსკვლავთა ხუთთა“...

აქედან ცხადია, რომ მზის თაყვანისცემა საერთოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა კულტურისათვის, წარმართებისა და ქრისტიანებისათვის ერთნაირია: მზისა და მნათობების კულტი ერთერთ გამოვლენათაგანია იმ ექსტაზის — აწეული სულიერი განწყობილების, რომელსაც იწვევდა ადამიანებში სამყარო თავისი სახეებისა და ჯიშების სიმრავლით, ნაირობით, ფერებით, თვისებებით. ლუი მეთოთხმეტე თავის პიროვნულ სიდიადეს ადარებდა მზეს — თაყვანისცემა ატარებდა რალაც აბსოლუტურ-დოგმატიურ ხასიათს: ასეთ თაყვანისცემას გამოსახავს შეშინებული, მონური განცდების მატარებელი ადამიანი:

მაგრამ, რუსთაველის წარმოსახვაში — მზის, მნათობის და საერთოდ სამყაროს პატივისცემა სრულებით არ ატარებს დოგმატურ-კულტობრივ ხასიათს: რუსთაველის წინაშე სამყაროს დაუსრულებლობაზე დგას არა შეშინებული, სტიქიების ძლიერებით დამორჩილებული ადამიანი, არამედ ადამიანი შემკული გამარჯვებისა და სილამაზის ყველა თვისებით.

რუსთაველი საერთოდ წინააღმდეგია სამყაროსადმი დოგმატიზმს და კულტობრივი დამოკიდებულებისა: სამყაროს ყველა სიღრმეზე და სილამაზეთა შორის მალლა აყენებს ადამიანის სიდიადეს და სიღრმეზე — ადამიანობას და ეპიკეობას საერთოდ. რუსთაველის პოემაში პლანეტებისა და მნათობებს მიეწერება თავისებური ადამიანური ინტერესების ცენტრში გატარებული: მზე, მთვარე, ზუღალი, ოტარიდი და სხვა პლანეტები და მნათობები, რუსთაველს წარმოდგენილი აქვს როგორც გაშტარებლები — კნადიზატორები ადამიანურ მძლეობათა, სურვილთა, ნდომათა, განცდათა: რუსთაველის გაგებაში მზე ისეთივე სიმბოლოა, როგორც მთვარე, ვეფხი, ღომი, გველი („გამოეშვა მთვარე გველსა“). რუსთაველის თქმა ყოველთვის საესეა მეტაფორებით, მეტონიმებით, სიმბოლური ნიშნებით; „აღმოსავლეთისებური“ გაგება ქვეყნისა — გაგება დოგმატიური, კულტობრივი რუსთაველმა უარყო: სამყაროს და ადამიანებს შორის არსებული უფსკრული, მოცემული რელიგიურ-ფილოსოფიური იდეებში, რუსთაველმა ამოავსო ელინური ხასიათის სოფლმხედველობით, საიდანაც ადამიანი გამოიყურება როგორც სამყაროს სიდიადე და სიამაყე: რუსთაველის სამყარო გაადამიანებულია და შეფერადებული ესთეტიურ განცდათა ამყოლობით: ზუღალი შავია, მუშთარი — ლურჯი, მარიხი — წითელი, მზე — ყვითელი, ასპიროზი — თეთრი, ოტარიდი — ცისფერი; გარკვეული ფერი მხოლოდ ნიშანია, გარეგანი გამოსახულება იმ თვისებებისა, რომლის მატარებელია თითოეული პლანეტა, თითოეული მნათობი, ზოლო თვისება სამყაროს მოვლენათა და სანახაობათა ანთროპომორფიზმით — გაადამიანებულია.

ზუღალი მრისხანებისა და ბოროტების სიმბოლოა, მუშთარი ცხოველების მომწესრიგებელი, მარიხი — ომის და ძლიერების განსახიერება, ასპიროზი — სიყვარულის ნიშანი, ოტარიდი — მოხერხების და გამჭრიახობის ინკარნაცია. აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო დიდი პარტიკიკმა მნათობების: უდაბნოებში ბნელ ღამეებში მნათობთა მხიარული ციმციმი იწვევდა ყურადღებას; ამბობენ — ნინევიასში, ექბატანაში ყოფილა ობსერვატორიები, ხშირად შეიღძსართულიანი — სიმბოლური გამოსახულება შეიდი მნათობის, მათი თვისებების; საბერძნეთის ფილოსოფოსის პლატონის ესთეტიურ წარმოსახვაში მნათობთა სამყარომ დაიკავა პირველი ადგილი; ამ სამყაროს გამონადენად მიიჩნია, პლატონმა მრავლობა ნივთებისა, მოვლენებისა, სტიქიებისა, რომლებთაც ვხვდებით ქვეყნად.

დანტე ალიგიერი „ღვთაებრივი კომედიის“ მეორე ნაწილში ასე მიმართავს მზეს: „ჰოი, ტყბილო მნათობო, ჩემო დიდო იმედო, წაგვიყვანე ამ ახალი გზით“. რუსთაველი მზეს ეუბნება ფილოსოფიურად: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა, მის უკამოსა ჟამისად“. რუსთაველის თქმაში ისმის ფილოსოფიური სიღრმე: საშუალო საუკუნეების ცხოვრებას რუსთაველი ემახის მზიან ღამეს

და მზეს ამ მზიან ღამის აზრის, არსის გამოსახულებას, იდეას, რა სამყაროს როგორც მთლიანობას — გრანდიოზულ სანახაობას, რუსთაველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანს, მის მატყუარებას, აზრისა და ნების ურთიერთობას. ადამიანი რუსთაველის წარმოდგენაშია წილია სამყაროს მთლიანობის, მისი უსაზღვრობის. სიყვარულსა და გმარობის განცდაში რუსთაველის ადამიანი — ეს ნაწილი სამყაროსა თავს გრძნობს სამყაროსთან გაერთიანებულად, თითქო ნაწილი უბრუნდება იმ მთლიანობას, რომლიდანაც გამოსულა, გამოთიშულა არსებობის ვითარების აუცილებლობით; ადამიანისა და სამყაროს გაბაასების მშვენიერ ესთეტიურ გამოსახულებას იძლევა რუსთაველი აეთანდილის სიმღერაში მუღღანზანზარის ველზე: სულიერი დრამა შეყვარებული აეთანდილის, რომელიც თავის ტაჩით მიჰჭრის საღამო ეკის მუღღანზანზარის მინდვრად, ერთვის სივრცეში ღამაზად მიმოფანტულს განრიგებულს მნათობებსა და პლანეტებს; რუსთაველი, გამოსახავს რა თავის ღრრის კაცობრიობის მოწინავე ნაწილის წარმოდგენას, აღწევს მხატვრული მერყეულებისა და აზროვნების შერწყმის სიღამაზის უმაღლეს ფორმას.

განყენებული კოსმოგრაფიული იდეები რუსთაველს გამოთბარი აქვს ესთეტიური გრძნობის უნაზესი ნაკადებით; აეთანდილისადმი თანაგრძნობით აღელვებული ბუნება ცრემლებს ღვრის: „ისმენდიან გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან, იმღერსთ ლეჟთა საბრალოთა ღვარისაებრ ცრემლი სდიან“. ამ სიტყვებით ახასიათებს რუსთაველი ბუნების უთვალავ არსთა რიტმიულ — მუსიკალურ რხევას, გამოწვეულს აეთანდილის ღრმა სიყვარულით; რუსთაველის მხატვრული განსახეობა აქ აღწევს უმშვენიერეს, უძლიერეს ესთეტიურ გაერთიანებას ინდივიდუალურისა და უნივერსალურისას.

რუსთაველის პოეზიამდე, ელინური კულტურის ზოგიერთი ეპიზოდის გამოკლებით, კაცობრიობის კოსმოგრაფიული წარმოდგენა დოგმატიურ — კულტობრივ თვისებებს ატარებს: სამყაროს წინაშე დგას შეზინებული ადამიანი და ღალადის ხმით აღიდებს ბუნებას, მის სტიქიონს, მნათობებს, ცხოველებს, მცენარეებს. უძველესი ეპოსიდან, გარდა ელინური პერიოდისა, რომელსაც მარქსი მიუღწეველ ნიმუშს უწოდებს, ყოველგან მოსიანს ისტორიაში, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში დოგმატიკებისა და კულტების ბატონობა. ქრისტიანობამ შესცვალა წარმართული კულტები და დოგმატები, მაგრამ პრინციპი დოგმატიური შეხედულებების, ფსიქოლოგია ბატონ მორჩილებას დარჩა ისტორიაში მთელ საშუალო საუკუნეებში და კავიტალისტურ ქვეყნებში.

მხოლოდ რუსთაველი დგას განაპირებულად ამ კულტებისა და დოგმატებისაგან: რუსთაველის პოემაში მზე, მთვარე, ვეფხი, ღომა, ქაჯები, გველი სათაყვანებელი. საკულტო მოვლენები კი არ არიან, არამედ ადამიანური ცხოვრების, მისი ფიზიკურ-სულიერი და გონებრივი შესაძლებ-

ლობის მეტაფორული, მხატვრული გამოსახულებანი: „თინათინი, მზესა სწულობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“. — ამბობს რუსთაველი.

ძველი აღმოსავლეთის კულტურაში ადამიანებისა და მცენარეულ სტიქიათა შორის ბრძოლა გვევლინება როგორც შიშისა და მრისხანების პროცესი, როგორც კოსმიური წყრომა და ადამიანების გათელვა შეუბრალებლად; უძველეს მითებსა და თქმულებებში, კარნახისა და პერსეპოლის ნანგრევებში გამოსახულია მცენარეთა, ცხოველთა და სტიქიათა წინაშე ათრთოლებული, აცახცახებული ადამიანი: ფრთოსანი ქარები, კენტაურები, გველეშაპები, ალქაჯები, სფინქსები, გილგამეშთანის ჭუმვავებით, ცეცხლის ალებით, გამანადგურებელი სუნთქვებით, მხურვალე ჭაობებით და მზუთავი ქარებით ჩაგრავენ ადამიანებს; ადამიანები კი ჩაგრავენ ადამიანებს; ადამიანები კი ცრემლებით, ლოცვებით, თილისმებით, ცახცახით ფეხქვეშ ეგებიან, ემორჩილებიან სტიქიებს, მცენარეებს, ცხოველებს. ბატონ-მორჩილებისა და მონობის განცდა დოგმატებად, რელიგიურ ჩვეულებებად იქცევა თანდათანობით, საუკუნეებში. შეშინებული, ადამიანები ძრწოვან დოგმატების ქსელში, ყალბად წარმოსახული კოშმარების წრეში, აშვენებენ ტაძრებს, სწირავენ მსხვერპლს და ამეტყველებენ თქმულებებსა, ლეგენდებსა და ლოცვებში თავიანთი მძიმე სულიერ დრამას, თავიანთი არსებობის ტრაგედიას.

ასეთი სოფლმეგრძნობა ისტორიაში პირველად უარყო ანტიკურმა საბერძნეთმა, რომლის ხელოვნებამ ეგრე ადიდებს მარქსი: თავიანთ მითებში ბერძნებმა სამყაროს წინაშე ამართეს თვალისწარმტაცი ძლიერება და სილამაზე ადამიანების, მათი ბრძოლების, მათი მოხერხების, მათი ეაქვაცობისა და სილამაზის.

მიუხედავად საშუალო საუკუნეების დოგმატიურ — ეკლესიურ განწყობილებისა საერთოდ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მისი მისწრაფებისა სჟოლასტიურ-ბიზანტიურ განხრით, რუსთაველი საქართველოს სოციალ-ისტორიული სინამდვილის შინაგანი ვითარების საფუძველზე ანვითარებს ელინურ — კლასიკურ შეხედულებას ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ: რუსთაველი იძლევა თავის გმირების — განსაკუთრებით აეთანდილის, თინათინის, ნესტანის და ტარიელის სახეებით ადამიანური მძლეობის, მოხერხების, ეაქვაცობის და სილამაზის თვალწარმტაც გამოსახულებას. რუსთაველის ტიპები წარმოადგენენ ადამიანების უმაღლეს შესაძლებლობას ინდივიდუალიზმის ეპოქებში: ამით აიხსნება ხალხის სიყვარული და პატივისცემა რუსთაველის პოემისადმი, მისი გმირებისადმი.

ბ. რუხაძე

იდეური ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

იდეური ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო დაკავშირებულია სასულიერო და საერო სტილის შორის ბრძოლასთან. ამ ორ სტილს შორის ანტაგონისტური ურთიერთობა არსებობდა. ამის კვალს წერილობით ძეგლებში ჯერ კიდევ საერო მწერლობის ჩასახვის დროს ვხვდებით.

ექვი არ არის, სასულიერო მწერლობას მაინცა და მაინც არ ესაიამოვნებოდა სცენაზე ახალი სტილის — საერო სტილის — გამოჩენა, მით უფრო, რომ საერო მწერლობა თავისი წარმოშობიდანვე (მე-10 — 11 საუკ.) შეიცავდა არაქრისტიანულ, ე. ი. ირანულ-მაჰმადიანურ სუფეტს, ირანულ-მაჰმადიანურ იდეოლოგიას, თუ რა სახისა იყო ეს ურთიერთობა და ლიტერატურულ-იდეური ბრძოლა მე-11-12 საუკუნეში, ამის ზუსტი გათვალისწინება წერილობითი ძეგლებით ძნელდება, მაგრამ, ექვი არ არის, ამ ბრძოლას ადგილი ექნებოდა. როგორც ცნობილია, ბევრი რამ მატანეს ფურცლებზე არ აღნიშნულა. ამ იდეურ ბრძოლას კანტი-კუნტად შეხედებით ფარული სახით. მით უმეტეს ძნელი გასათვალისწინებელია ის, თუ რა სახის ბრძოლა სწარმოებდა დაცემის ხანაში: რადგან დაცემის ხანიდან ლიტერატურული ძეგლები თითქმის არ დარჩენილა, შეუძლებელი, ხდება იმის გამოკვლევა, თუ რა სახის ბრძოლა სწარმოებდა, „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო მე-13 — 16 საუკუნეებში.

ამ ბრძოლას სასულიერო და საერო სტილის შორის, სასულიერო მწერლობის ბრძოლას „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ და საერთოდ იდეურ შეხედულებებს „ვეფხისტყაოსანზე“ აშკარა თუ ფარული ფორმით ვამჩნევთ მე-16 საუკუნიდან.

ბრძოლა საერო და სასულიერო სტილის გარშემო გამოხატულია ზოგჯერ ერთსა და იმავე თხზულებაში, მაგალითად მე-16 საუკუნის მწერალი ბაგრატ მუხრანელი, ან მუხრან-ბატონი, როცა იძლევა იგი ცნობებს იმის შესახებ, თუ საიდან ითარგმნა ჩვენს მწერლობაში „ამირან-დარეჯანიანი“, ვინ არის თხზულების ავტორი, პირდაპირ ჰყოფს მწერლობას ორ დარგად — სასულიერო და საერო მწერლობად. და ამბობს

„ყისაი ჰამზას მთარგმანებელ არს ენასა ჩვენსა გარეშე კაცთა მიერ“, ე. ი. საერო პირთა მიერ და ამ თხზულებას „ამირან-დარეჯანის ქუდი“ უბოძებოდა...

შენიშვნები

მე-17 საუკუნის პოეტი — თეიმურაზ მეფე გრძნობდა, რომ თანამედროვეთა სიმპათია საერო მწერლობისაკენ არის და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დიდი პატივისმცემელი იყო საერო მწერლობისა, განსაკუთრებით ირანული მწერლობის, მაინც სწუხდა, რომ თანამედროვენი არ არიან იდეურად მტკიცენი და საღვთო წიგნს იფიწყებენო. ირანულ მხატვრულ მწერლობას იგი დიდის სიმპატიით ეპყრობა, მაგრამ სადაც ზედაეს, რომ აშკარად მოსჩანს მაჰმადიანური იდეოლოგია. იგი პირდაპირ ამბობს: „თბუ ამის მოქმელს“—ო... („თეიმურაზ I-ლი“, 1935 წ., გვ. 58).

პოეტს არჩილსაც არ მოსწონდა თუ საერო თხზულებაში, როგორც ის ამბობს, „სპარსთა ნაქორი ამბები“ იყო წარმოდგენილი. იგივე არჩილი სწუხდა, რომ რუსთაველმა და თვით თეიმურაზმა თავი შეიწუხეს „სპარსთა ნაქორი ამბების გადმოსაღებად“—ო.

ეს წინააღმდეგობა სასულიერო და საერო მწერლობას შორის გრძელდება დღემდე, ზოგჯერ მოწოდებადაც იქცევა, ასე, მაგალითად, ალექსანდრე ხანის ერთი ავტორი პირდაპირ გვეუბნება — სიფრთხილით მოვეპყრათ, ნუ წავეიკითხავთ „ვისრამიანს“, რადგან იგი საერო წიგნია:

„სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს, მოგახსენებ ბოძენსა-ტყვიანს, არ გამხილებ გიგს-ბენდიანს, ვის ღმერთი სწამს ადამიანს, თუ ჩაზედაეს ვისრამიანს, დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს“...

ამ თხზულებათა რიცხვს მიაკუთვნეს თვით „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ უმართებულო იქნებოდა იმის თქმა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ კრიტიკულად უცქეროდნენ მარტო სასულიერო წრის მწერლები, რასაკვირველია დიდად საინტერესოა სასულიერო მწერლების შეხედულება „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ იდეური ბოძოლა „ვეფხისტყაოსანის“ გარშემო სხვადასხვა მხრივ არის გაშლილი.

თუ რა მსოფლმხედველობის, რა იდეოლოგიის შემცველი იყო „ვეფხისტყაოსანი“, ამის გამოსაკვლეად ძველმა დრომ ყველაზე უფრო ცოტა გააკეთა.

„ვეფხისტყაოსანთან“ იდეური დამოკიდებულება ორი ზაზით მომდინარეობდა: ერთი „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდნენ ანტიკრიტიკულ ნაწარმოებად, ხოლო მეორენი სპარსულ-მაჰმადიანურ, ე. ი. ქართველობისათვის მიუღებელი იდეების მატარებლად. ამ ორ მთავარ შეხედულებას შორის ვხედავთ მრავალ დიფერენციაციას. ცალკე უნდა აღვნიშნოთ რეალისტური სკოლის (ფეშანგი, არჩილი, იოსებ სააკაძე) დამოკიდებუ-



ლება „ვეფხისტყაოსანთან“. ეს ბრძოლა ესოდენ დიდია, რაზედმეტყულება რეკლამა მე-18 საუკუნის ბოლომდის მოაღწია.

ეჭვი არ არის, რომ სასულიერო ფრთა დაიწყებდა ბრძოლას „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ. მართლაც, ამის ანარეკლს ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ვხედავთ. ისტორიულად უფრო ადრე გვხვდება ნაციონალურ-რეალისტური მწერლების კრიტიკა ანდა იდეური გადაფასება „ვეფხისტყაოსნისა“. როგორც ცნობილია, მე-17 საუკუნეში წარმოიშვა ე. წ. ნაციონალურ-რეალისტური ჯგუფი მწერლებისა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედების საგნად გაიხადეს ქართული ნაციონალური თემები, ასეთი პოეტები იყვნენ ფეშანგი, ავტორი პოემა „შაჰნავაზიანისა“, იოსებ სააკაძე, ავტორი „დიდი მოურავისა“, და არჩილი. პოეტი ფეშანგი სწუხს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოგონილ-მოჭორილი ამბებია წარმოდგენილი. იგი ამბობს, რომ ტარიელ და ავთანდილ, როსტევან და ფარსადან, — ყველა ესენი მოგონილი უცხო გმირები არიან და საქართველოსთან მათ საერთო არაფერი აქვთ. მაგრამ, მისი აზრით, სწორედ აქ არის პოეტის ძალა, სადაც „მრულიცა მართლად გამართა“. ის პირდაპირ მიმართავს რუსთაველს და ეუბნება, რომ სჯობდა ამ უცხო ამბების გადმოცემას, მოგონილ-მოჭორილი ამბების გადმოცემას, ქართულა სინამდვილიდან აღებული ამბები დაგეწერათ.

ოგივე გზა განაგრძო პოეტმა იოსებ სააკაძემ, რასაკვირველია, იგი დიდი პატივისმცემელი იყო რუსთაველის მხატვრული შემოქმედებისა, მაგრამ მისი რეალურ ეროვნული თემატიკა ეწინააღმდეგებოდა „ვეფხისტყაოსანს“.

ეს შეხედულება, ე. წ. ნაციონალურ-რეალისტური შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ სისტემატად იყვანა პოეტმა არჩილმა, იგი თავის შემოქმედებას ეძახის „არა ხოტბას, არამედ მართალს“. „მოგონილ-მოჭორილ ამბებს, — ამბობს არჩილი, — „ესე მართალი ამბავი ეარჩიე“—ო და ბოდიშსაც ითხოვს იმისთვის, რომ ჩემს თხზულებაში „თეიმურაზის და რუსთაველის გაბაასებაში“, ტყუილი სწერია, მოჭორილია რუსთაველის ცხოვრებაო. მას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ მოსწონდა სპარსთა ნაჭორი ამბებო და მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან, პირდაპირ ქართულ სინამდვილიდან აღებული სუბექტების გამოყენებას.

ეს შეხედულება შემდეგში ერთგვარ იდეურ სარჩულად გადაიქცა ნაციონალური თემატიკის შემუშავებისათვის, რომლის გამოძახილს აშკარად ვხედავთ მე-18 საუკუნის პოეტის თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში. თეიმურაზ მეორე პირდაპირ მიმართავს რუსთაველს და ეუბნება: „რად დაშერი ტყუილს ზედაო“. ნესტან-დარეჯან. ტარიელ, ფარსადან, როსტევან — ყველა შეგიტმასნავს მოგიგონიაო. თვით სახელებიც კი მოგონილიაო.

„არ გავიწილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ჭაჭილას
არცა ტარიელ კაცს ერქვას, გიწოდებია ძალადა.
არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლფიქალადა,
ვერ პპოვებთ ავთანდილსაცა მის ეშხით დანამთერალადა“.

ნაციონალურ-რეალისტური ფრთა არ იყო საერთოდ უარყოფითად განწყობილი „ვეფხისტყაოსნისადმი“. ეს იყო მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ფანტასტიური სუფეტის იდეური კრიტიკა. მიუხედავად ამისა ეს „რეალისტი“ მწერლები პატივს სცემენ „ვეფხისტყაოსანს“ და მის ანტორს. ისინი ედავებოდნენ რუსთაველს მხოლოდ და მხოლოდ ამბების ფანტასტიურობაში, მათ „ვეფხისტყაოსანი“ არ მიაჩნდათ რეალისტურ ნაწარმოებად.

ეტყობა „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ საერო ნაწარმოებად მიიჩნიეს. ამის საბუთი შეიძლება მიეცა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. ამის გამო ჯერ კიდევ აღორძინების ხანაში უნდა ჩაერთოთ „ვეფხისტყაოსანში“ გაანაფრთხილებელი სტროფი, რომლითაც მკითხველს აფრთხილებენ“:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქს ზორცა სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად,
და არ გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“.

ეს სტროფი ნიშანი იყო, მკითხველს ეუბნებოდნენ: ფრთხილად იყავი, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ აზრების გამოყენებას შეუდგები.

„ვეფხისტყაოსნის“ ამგვარად დაგმობა და ზოგჯერ მისი უარყოფაც აშკარად სჩანს მე-17 საუკუნეში. პოეტი არჩილი ერთგან ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ბევრს სჩხრეკენ, თუმცა შიგ ისეთ უარსაყოფ ამბავს ვერას პპოულობენო.

იმავე არჩილს ნათქვამი აქვს მე-17 საუკუნის ერთი პოეტის — იაკობ სამეხელის შესახებ, რომ ის: „ხუცური ენით მელექსეობს, არის საეროს მგმობარიო“.

ამ ბრძოლის ანარეკლს მე-17 საუკუნეშივე ვხვდებით. თვით არჩილი გრძნობდა, რომ გაბატონებულია სასულიერო იდეოლოგია, რომ დომინანტი მის ხელშია. არჩილი პირდაპირ სწერს: „ორი არის სიტყვის ცოდნა სამღვდელსა და საეროს, სამღვდელსა მცოდნარე საეროსა მოერიოს“.

როდესაც ვლადპარაკობთ სასულიერო იდეოლოგიის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თითქმის ყველა სასულიერო მწერალი ებრძოდა „ვეფხისტყაოსანს“. იყვნენ ისეთი სასულიერო მწერლები, რომ-

ლებიც აფასებდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და მისი სიბრძნე-
გია მისაღებად მიაჩნდათ. ასეთი იყო, მაგალითად, იოსებ სააკაძე — მიტ-
როპოლიტი ეპისკოპოსი პოეტი იესე ტლაშაძე (მე-18 ს.), მწერალი იონა
ხელაშვილი და სხვები. ი. ტლაშაძე იმასაც კი სწუხდა, რომ ზოგიერთებ-
მა რუსთაველს ლექსები მოპარეს:

„რიტორ რუსთაველო, კარგ გამოთქმელო, ენა ტკბილო და შაქარი-
ანო, აგმა მთქმელებმა, ცუდმა მელებმა ლექსი მრავალი მოგპარია“-ო.
(იხ. „ბაქარაიანი“).

მართალია, არჩილის თქმით, იაკობ სამებელი „ხუცური ენით მელექ-
სობდა“, მაგრამ იგივე იაკობ სამებელი რუსთაველის შესახებ სწერდა:

„რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ კირიხიბის ეტლს მჯდომა-
რედ,

თეიმურაზ, არჩილ მეფე ორივე მისად მეჯღუფთარედ...“

ცნობილი იოანე ბატონიშვილი იონა ხელაშვილს — მიტროპოლიტს
თავის „კალმასობაში“ ათქმევინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ
ზნედ სწავლულება არის და ვინც როგორც იხმარებს, იმ ნაყოფს გამოი-
ღებს — „კალმასობა“, 1936 წ. გვ. 53).

ასე რომ, როდესაც ვლაპარაკობთ სასულიერო წოდებაზე, როგორც
„ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ მებრძოლზე, ისტორიული სამართლიანო-
ბა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ზოგიერთი, უფრო რეაქციული
წრეები ებრძოდნენ იდეურად „ვეფხისტყაოსანს“. აქვე ისიც უნდა აღი-
ნიშნოს, რომ მე-13 საუკუნიდან ჩვენს ქვეყანას იდეურად და პოლიტი-
კურად ანადგურებდნენ აღმოსავლეთის დესპოტები, და ქრისტიანული
იდეოლოგია წარმოდგენდა ეროვნულ დროშას, რომელმაც უსათუოდ
დიდი როლი ითამაშა, ქართველი ხალხის ნაციონალური დამოუკიდებლო-
ბის შენარჩუნებაში. ამ დროშის, ამ იდეოლოგიური იარაღის გარეშე,
შესაძლებელია ქართველი ხალხი გათქვეფილიყო აგრესორებში და მისი
ათასწლოვანი კულტურა დაღუპულიყო.

ქართველებს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მეფეებს ჩვენში
13—18 საუკუნეების მანძილზე ირანული და თურქი დესპოტები ნიშ-
ნავდნენ, ქართველი მეფეები გადაქცეული იყვნენ აღმოსავლეთის
მბრძანებელთა უბრალო მონა-მორჩილებად და საკმარისი იყო ხალხს გა-
მოსცლოდა ხელიდან ქრისტიანული იდეოლოგია, რომ საქართველო გა-
დაქცეულიყო ირანის უბრალო პროვინციად. რასაკვირველია, ამ დროს
ყოველივე იმას, რაც ირანული იდეოლოგიის შემცველი იყო, კრიტიკუ-
ლი თვალით დაუწყებდნენ ცქერას.

პირველ ყოვლისა, აქ ლაპარაკია ამა თუ იმ თხზულების იდეურ რაო-
ბაზე. თუ წმინდა მხატვრული თვალსაზრისით მიუღდებით, ქართველები
აფასებდნენ ირანულ მხატვრულ მწერლობას, მაგრამ არ მოსწონდათ ირა-
ნული მწერლობის იდეური რაობა. პოეტი თეიმურაზი პირდაპირ ამბობ-

და „სპარს ენათა სიტყბომა მასურვა მუსიკობანი“-ო. *მეგრულ-სპარსული* მურაზი ებრაჟოდა სპარსულ ეპიკურ-რომანტიულ თხზულებებში გატარებულ მაჰმადიანურ იდეოლოგიას.

აღორძინების პერიოდის საერო მწერლები მოვალედ სთვლიდნენ თავს, თავიანთი ნაწარმოებებისათვის წაემძღვარებინათ საღვთისმეტყველო შესავალი. აქ, ამ პროლოგში პოეტები იძლევიან საკუთარ ქრისტიანულ შეხედულებას, გვამცნობენ, რომ ისინი ამ იდეოლოგიის ნიადაგზე დგანან და სხვა. ქრისტიანული იდეოლოგიის თვალსაზრისით, არც ერთი ნაწარმოები, რომელსაც ოდნავ მაინც ორიგინალობის ბეჭედი აზის, ქრისტიანული ტენდენციის გარეშე არა დგას. მეტიც: ამ ტენდენციის მატარებელად მიიჩნდათ თვით „ვეფხისტყაოსანი“. „ვ. ტყაოსანში“, ერთხმად აღიარებდნენ აღორძინების ხანის საერო პოეტები: — „არის საღმრთოც და საერო სიბრძნეც“. ამიტომაც არ არის აღორძინების ხანის თითქმის არც ერთი პოეტი, რომელიც „ვ. ტყაოსანს“ არ იმოწმებდეს, არ იმოწმებდეს მის აფორიზმებს, მის ცალკეულ შეხედულებებს და სადმე სტროფში თუ სუეეტის გაშლაში ამ წინასიტყვაობაში „ვეფხისტყაოსანს“ არ იყენებდეს.

შემდეგ აღორძინების ხანის საერო პოეტებს სურდათ, „ვ. ტყაოსანი“ გამოეცხადებინათ ქართველებისათვის მისაღებ ქრისტიანულ ნაწარმოებად. ეს საქმე იდეურ სიმაღლემდე, სისტემაშიდე აცვანა „ვ. ტყაოსანის“ პირველმა გამოცემელმა ვახტანგ მეექვსემ. მან არ დაინდო რისიკი, ვინც არ სცნობდა „ვ. ტყაოსანს“ და მას „სამეძაოდ სთარგმნიდა“, ვისაც „ვ. ტყაოსანის“ ავტორი „არ დაშურებოდა წასაწყებდელად“. რუსთაველმა საღვთო სიბრძნე მოგვცა და „ვ. ტყაოსანში“ მისი აზრით, ქრისტიანული ალევორიები უნდა ვეძიოთ. ვახტანგს უნდა თითქმის ყოველი სტროფი ისე განმარტოს, როგორც ეს ქრისტიანულ იდეოლოგიას შეეფერება. მისი აზრით, „ვ. ტყაოსანში“ წარმოდგენილია ქრისტიანული იდეოლოგია. თვით სიყვარულიც კი, რომელიც „ვ. ტყაოსანში“ ასე ვრცელდება წარმოდგენილი, ღვთისადმი სიყვარულს უნდა გულისხმობდეს: „მიჯნურობა საღვთო მიჯნურობისათვის“, — ამბობს იგი.

ამგვარად, პირველი, რომელმაც „ვ. ტყაოსანის“ მსოფლმხედველობად ქრისტიანობა მიიჩნია, ვახტანგ მეექვსე იყო. ვახტანგს ამით სურდა „ვ. ტყაოსანი“ გამოეცხადებინა სრულყოფილ ნაწარმოებად, მხატვრულად და იდეურად მისაღებ ნაწარმოებად, მაგრამ ამას ვერ მიაღწია: დაბეჭდა თუ არა „ვ. ტყაოსანი“, იმავე წუთს დაიწყო ბრძოლა მისი შეხედულებისა და მის მოერ გამოცემული „ვ. ტყაოსანის“ წინააღმდეგ. ამ მხრივ ყველაზე უფრო დიდი ლაშქრობა, როგორც ეს ქველა, საბუთიდან სჩანს, ჩაუტარებია ტიმოთე გაბაშვილს და ანტონ პირველს, ქართლის კათალიკოსს.

აქაც ერთი რამ უნდა აღინიშნოს. ანტონ პირველი შოთას ეძახის „ბრძენს“, „ფილოსოფიის მეტყველს“. „უცხო საკვირველუ ჰერტყველს, ქეს-ტახეს“, „მაგრამ ამოდ დაშვრა, საწუხარ არს ესე“ — „გ. ტყაოსნის“.

ამაო შრომა გულისხმობს იმას, რომ რუსთაველი იყო ფილოსოფიის მეტყველი ირანთა ენისა... ეს იყო გამოსავალი წერტილი. კლერიკალურა წრეები ტიმოთე გაბაშვილის და ანტონ პირველის სახით ებრძოდნენ „გ. ტყაოსანს“, რადგან შიგ, ანტონის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „სპარსთ მეტყველება“, ე. ი. მაჰმადიანური იდეოლოგია იყო წარმოდგენილი. არც მეტი და არც ნაკლები. მაგრამ, როდესაც ვახტანგმა და სხვებმა „გ. ტყაოსანს“ ჩამოაცალეს სასიგნლო სტროფი: „ნათქვამი იგ სპარსულად...“ შაშინ, რასაკვირველია, სასულიერო კლერიკალური ფრთა, რომელიც ქვეყნის იდეური პეგემონი იყო, იმაღლებს ხმას. დაიწყო სასტიკი ბრძოლა ვახტანგის წინააღმდეგ. შეიძლება ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ვახტანგი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო და 1724 წელს თავისი დიდი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო. ვახტანგის აზრი მის თანამედროვე სასულიერო კლერიკულ წრეებს სპარსულ-მაჰმადიანური იდეოლოგიის ლეგალიზაციად შიანდათ. ტიმოთე გაბაშვილი პირდაპირ ამბობს: „ჩვენს წინად უმეცრებმა საღმთოდ თარგმნეს „გ. ტყაოსნის“ ბოროტი ლექსი“. რა არის იმის მიზეზი, — განაგრძობს იგივე ტიმოთე, — რომ „დედანი საქართველოსანი ხატად ღვთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და შიცვალებულთა თმათა მოიბმენ საფრთხედ სულთა“ (იხ. „ტიმოთეს მოგზაურობა“). იქვე ტიმოთე ამბობს, რომ რუსთაველი იყო მთქმელი ბოროტი ლექსისა, რომელმაც ქართველებს სიწმინდის მაგივრად ასწავლა ბილწება და „განჰრყვნა“ ქრისტიანობა.

საინტერესოა, რომ ტიმოთემ რუსთაველი არ დაინდო მაშინაც კი, როცა იგი ჯვარის მონასტერში ბერის ტანსაცმელში კედელზე გამოხატული ნახა. ტიმოთე არ დაფიქრებულა იმაზე, რომ თუ ჯვარის მონასტერში კედელზე გამოხატული ბერი რუსთაველი ნამდვილად ჩვენი შოთა რუსთაველია, რატომ უნდა ყოფილიყო იგი „ბოროტი ლექსის ავტორი“, როდესაც ბერობით დაასრულა თავისი მოღვაწეობა?

ანტონ I-ლი მარტო კრიტიკულად როდი უდგებოდა „გ. ტყაოსნის“ იდეოლოგიას. მან, როგორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, პირდაპირ ალტოდადე გაუმართა „გ. ტყაოსანს“. მოვიყვანოთ ეს ცნობა: „ამავე პაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონ I-ლი, რომელმაცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგისა დროსა (1712 წ.) „გ. ტყაოსანი“ დაჰსწუნა და შთააყრევინა მტკვარში და ალუქრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველთა“ (მიმოხ. გვ. 154).

„გ. ტყაოსნის“ დაწვა-განადგურებას ადასტურებს რუსი მიტროპოლიტი ევგენი. მას 1802 წელს დაუბეჭდია წიგნი „Историческое изображение Грузии“, სადაც ამბობს, რომ, „გ. ტყაოსანი“ ვახტანგ მეექვსემ 13. „მნათობი“ № 12.

დასტამბა, მაგრამ მალე გაანადგურეს, ასე რომ — დაასკენის ავტორი, —
 ეხლა იშვიათად იშოვება ეს გამოცემაო.

პ. იოსელიანის ცნობით, ანტონ პირველს 80 ცალი უნდა დაეწვას.

ასე გაუმასპინძლდა რუსთაველს სასულიერო კლერიკალური ფრთა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მოსპობა მაინც ვერ მოახერხეს, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ცხოველმყოფელობა.

ამგვარად, აღორძინების ხანაში „ვ.-ტყაოსანს“ ყველაზე უფრო დიდ მოწინააღმდეგედ სასულიერო წრის კლერიკალური ფრთა გაუჩნდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვეობას მაინც მისაღებად მიაჩნდა „ვ. ტყაოსანის“ იდეური და მხატვრული სული. ყველას სურდა, წაეხადა რუსთაველისათვის, ყველას სურდა გამოეყენებინა მისი დებულებანი, აფორიზმები და მათ საფუძველზე აეგო თავისი ნაწერები.

იდეურ ბრძოლად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე გარდატეხის ხანა „ვ.-ტყაოსნის“ ლექსის ბატონობაში. ეს არის მე-18 საუკუნის დამდეგ-მანამდის გაბატონებულ ფორმად ითვლებოდა რუსთაველის ლექსი იმდროდან კი შემოვიდა ლექსთწყობის ახალი ფორმები, რომელთა დამწყობად ითვლებოდნენ საბა ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი და ვახტანგ მეექვსე.

ვახტანგმა „ვ.-ტყაოსნის“ ქრისტიანულ-ალეგორიული გადაფასება მოგვცა, საბამ ახალი ვერსიფიკაცია შექმნა, ხოლო მამუკა ბარათაშვილმა საბოლოოდ გადააფასა რუსთაველის ვერსიფიკაცია და იდეური თვალსაზრისით ვახტანგის გაგების გზას გაჰყვა. ამიერიდან პოეტები იყენებენ ლექსთწყობის ნაირ სახეობას. მაგრამ ამ ახალი ვერსიფიკაციის გვერდით ვხვდებით რუსთაველის ლექსსაც.

საბოლოოდ ვახტანგის აზრმა გაიმარჯვა. დამახასიათებელია, რომ მე-19 საუკუნის სამეცნიერო აზროვნებაც კი ვახტანგის აზრს გაჰყვა. დაწყებული პროფ. ჩუბინაშვილით და გათავებული ისტორიკოს ს. ქვარიანი თუ ყველა ფიქრობდა, რომ „ვ.-ტყაოსანში“ მე-12 საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან აღებული სუფიტი უნდა ვეძიოთო.

ამ ბრძოლას ფართო ხასიათი არ მიუღია. ყველა ამ ბრძოლისა და იდეური ჭიდილის მიუხედავად, „ვ.-ტყაოსანმა“, როგორც გრ. ორბელიანი, ამბობს „ბრწყინვით განვლო საუკუნეები“.

მიხეილ ჩიქოვანი

შოთა რუსთავედი და ხალხური შემოქმედება

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი არნახული სისწრაფით დაეუფლა საკაცობრიო კულტურის ყველა სიმაღლეს. მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა ყველაზე ღირსეული შემოქმედრეა იმ უძვირფასესი საგანძურისა, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია წარსულში. ხელოვნება და ლიტერატურა, მეცნიერება და ტექნიკა ჩვენში მრავალმილიონიანი მასების საკუთრებას წარმოადგენს.

მშრომელი ხალხი არა მარტო სწავლობს და ეუფლება დიდ ადამიანთა შემოქმედებას, არამედ თვითონაც ჰქმნის, თვითონაც უდიდესი შემოქმედია, პირველი მხატვარი და მოაზროვნე. ათასჯერ მართალი იყო დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, როდესაც ამბობდა: „ხალხი მარტოდონ ის ძალა როდია, რომელმაც შექმნა ყველა მატერიალური ღირებულება, იგი სულიერი ღირებულებების ერთად-ერთი დაუშრეტელი წყაროა; იგი დროის, სილამაზისა და გენიალური შემოქმედების მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტი, რომელმაც შექმნა დედამიწის ყველა დიდი პოემა, ყველა ტრაგედია და უდიდესი მათ შორის — მსოფლიო კულტურის ისტორია“. დიდი მხატვარი ღრმად ჩაწვდა ადამიანური შემოქმედების ფესვებს და უბრალო გულწრფელობით აღიარა, რომ ხალხი არის „დასაწყისთა დასაწყისი“.

უძველესი დროიდან დაწყებული მსოფლიო ლიტერატურის რჩეული კლასიკოსები მუდამ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთი ხალხის შემოქმედებასთან, ნაციონალურ ფოლკლორთან. ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, შექსპირი, გოეთე, პუშკინი, ტოლსტოი, გორკი, აკაკი წერეთელი, ვეაჟ-შაველა მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფებით იყვნენ დაკავშირებულნი ხალხის კულტურასთან, ხალხის ზეპირსიტყვიერ შემოქმედებასთან და მის განცდებთან. მწერლობა მუდამ სწავლობდა მასისაგან. ხალხური პოეზიით გამთბარი და ფრთებშესხმული ქეშმარიტი პოეტი თავს დასტრიალებდა ხალხის ბედს, მუდამ მის ჭირვარამსა და განცდებს

გადმოსცემდა. მეორეს მხრით, თვით შშრომელი ხალხიც დიდად ატყაპნებდა, რაბლოვებს ასეთ პოეტს და უდიდესი სიყვარულით აჯილდურებდნენ.

მრავალმილიონიანი შშრომელი მასების ერთ-ერთ უსაყვარლეს მომენტად გენიალური შოთა რუსთაველი წარმოადგენს. შოთა რუსთაველი თავისი „ვეფხისტყაოსნით“ ღირსეულად შედის მსოფლიო ლიტერატურის რჩეულთა პლეადაში და საპატიო ადგილს იკავებს პოეზიის იაღმურ ზეგნებში. ვეფხისტყაოსნის მთელი ტარიელი, მეგობრისათვის ველად გაქრილი ავთანდილი და ქაჯეთის ცხრაკლიტულში მომწყვდეული მზის მსგავსი ნესტან-დარეჯანი ისეთივე მსოფლიო ხასიათის ტიპები არიან, როგორც გმირი აქილესი, ცეცხლით შეიარაღებული პრომეთე, მშვენიერი ბეატრიჩე, ღრმავილსოვითი აზრებით შეპყრობილი ფაუსტი, იქნეული ოტელო ან სიყვარულის სენით შეპყრობილი ტრისტანი და იზოლდა.

დიდ შოთა რუსთაველს ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებასთან ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც თავიანთი ქვეყნის ფოლკლორთან ჰქონდათ ჰომეროსის, დანტეს, შექსპირს, გოეთეს და ჰუშკინს. რუსთაველის პოეტური შემოქმედება განუყრელად დაკავშირებულია ქართულ ხალხურ პოეზიასთან, ეპოსთან და მუსიკასთან.

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი შეიძლება ითქვას საუკუნის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში ობოლი მარგალიტებით ბრწყინავენ. მათ შექონსობას არა ერთხელ აუღელვებია სახალხო მთქმელები და მომღერლები. „ვეფხისტყაოსნის“ მაღალმხატვრული ლექსი, ამზის საარაკო მდინარება, ფორმის ვირტუოზული შეთანხმება სუჟეტთან, თქმის შეუღარებელი სისადავე და სიბრძნე, ლექსის უდიდესი პლასტიურობა და მუსიკალობა, ადამიანის განცდათა სრულყოფილი სახით გადმოცემა,—ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც შოთა რუსთაველის შემოქმედებას ჰქონდა საკაცობრიო კულტურის სიამაყედ, წარმოადგენს ეპოქის მონუმენტალურ ძეგლს, რომელიც შეიცავს თავისი დროის ყველაზე მოწინავე იდეებსა და მარგალიტებს.

შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება უდიდესი თემაა, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი. გაცხოველებული მუშაობა ამ მიმართულებით მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო. შეგროვილია დიდძალი ფოლკლორული მასალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილ იქნას მრავალი, აქამდე სადაოდ მიჩნეული საკითხი და მიახლოებით მაინც გაიკვეს გენიალური პოეტის დღემდე უცნობი ბიოგრაფია.

მდიდარი ქართული ფოლკლორის მეცნიერული ანალიზი გვიმტკიცებს, რომ რუსთაველოლოგიას არ შეუძლია გვერდი აუაროს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, თუ მას ჰსურს ღირსეულად შეისწავლოს სახელოვანი პოეტის შემოქმედება, მისი პიროვნება და მოღვაწეობის პირობები.

ქართულ ხალხს დღემდე შემოუნახავს მრავალი თქმულება, სიმღერა და ლექსი, ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა, მოსწრებული თქმა, რომლებიც თავის გამოხატულებას პოულობენ დიდებულ ნაწარმოებში — „ვეფხისტყაოსანში“. საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც შთაში, ისე ბარში: ქართლ-კახეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მესხეთ-ჯავახეთში, გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და სამეგრელოში, აჭარაში, — ყველგან გაიმზობენ „ვეფხისტყაოსანის“ გმირის ტარიელის ზღაპარს.

ლეგენდარული გმირის თავგადასავალს უდიდესი სიყვარულით გადმოსცემს ხალხი. ამ მოთხრობას სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდება აქვს, ზოგან მას პირდაპირ „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებენ, ზოგან „ტარიელს“, „ტარიელის ზღაპარს“, „ტარიელიანს“, ანდა სრულებით აღარ იხსენიებენ დევებთან მებრძოლ სახალხო გმირს და „ხელმწიფის ნაშვილებით“, ამბობენ. შეცნირების განკარგულებაში ამჟამად ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ 70-ზე მეტი სხვადასხვაგვარი ვარიანტია.

„ტარიელიანის“ ანუ ზეპირსიტყვიერი „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. ასევე დიდად განსხვავდებიან ისინი რუსთაველის პოემისაგან. შოთა რუსთაველის ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთისთვის უცნობი გმირები არიან, რომლებიც რაიმდღელი წესით, გმირობის, თავდადებისა და მიჯნურობის საფუძველზე უკავშირდებიან ერთმანეთს და სამუდამოდ შეგობრდებიან.

ხალხური გადმოცემის მიხედვით ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი ზოგჯერ ძმები არიან, ზოგჯერ-ბიძაშვილები ან მონათესავე ხელმწიფეთა შვილები. ვარიანტების ერთი ნაწილი არ გვიჩვენებს სამეფულს, ის მხოლოდ ერთი გმირის ცხოვრებას გადმოსცემს. ხშირად ეს ძირითადი გმირი არის არა ტარიელი, არამედ ავთანდილი. ეს უკანასკნელი კი სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: უშკური, მანუმა, ხელმწიფის ნაშვილები, სპირდონი და სხვ. მეტად ორიგინალურია ტარიელის აღზრდა. ძუძუმწოვარი ბავშვი მინდვრის ყვავილთა შორის იზრდება. ბავშვს ძუძუს ირემი აწოვებს და ირმისავე ქათმი ეზრდება. ხელმწიფის მონადირეები შეამჩნივენ, რომ მინდვრად სასწაულად ხდება: ჩილი ყრმა ირემს დასდევს, ძუძუს სწოვს, ხოლო ულამაზესი ცხოველი მშობლიურ გრძნობით ეალერსება მას. ხელმწიფის ბრძანებით ყრმასა და ირემს სასახლეში მიიყვანენ. ამის შემდეგ კი იწყება ტარიელის გამოგზნება მზეთუნახავთან.

მეორე ჯგუფის ვარიანტები ტარიელსა და ავთანდილს წარმოგვიდგენენ, ისეთი სახის გმირებად, როგორიც ხშირად გვხვდება ჩვეულებრივ ჯადოსნურ ზღაპრებში. ტარიელს მზეთუნახავი უყვარს. ქალს მფრინავი დევები ან ქაჯები მოიტაცებენ. არაჩვეულებრივი ძალის მქონე ტარიელი, მფრინავ რაშზე მჯდომარე, ეძებს მზეთუნახავს. გზაზე დაუმეგობრ-

გარკინსკი

დება აეთანდილს. ეს უკანასკნელი ძმადშეფიცულისათვის დაჟინებით საგნებისა და ცხოველების შემწეობით მზეთუნახავს ხან პაერში ეძებს, ხან ზღვაში, ხან კი ქვესკნელში ჩაეშვება ვეშაპებთან მებრძოლი უმცროსი ძმის მსგავსად.

მესამე ჯგუფის ვარიანტებში სუფეტის განვითარება უახლოვდება შოთა რუსთაველის პოემის სუფეტს. აქ აშკარად იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა და ის დიდი როლი, რომელიც ამ ნაწარმოებმა ითამაშა ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში. ეს გარემოება არ არის მწელი ასახსნელი. შოთა რუსთაველის დიდმა ნიჭმა რუსთაველობის მთელი ტალღა შეჰქმნა საქართველოში. მრავალი საუკუნის მანძილზე „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა პოეტობისა და სიტყვის ოსტატობის საზომს. „ვეფხისტყაოსანი“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. დიდებული პოემა და მის სუფეტზე აგებული სურათები სამზითვო განძს წარმოადგენდნენ.

„ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმოართული, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ქორწილში სუფრის თავში მჯდომარე თამადა მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს ლექსად წარმოსთქვამდა, სადაც არა ერთხელ იხსენიებოდა დიდებული „ვეფხისტყაოსანი“.

აბა, ყანწები შეავსეთ,
ასწიეთ მაღლა, ხელითა!
უფრი მომიგდეთ, ჯამათნო,
გითხრათ რამ ტკბილის ენითა
მეფე-დედოფლის სახელზე,
და როგორც უფროსს ვალად მძევს,
დავლოცო რიგსა და წესზე...
ჩემ ქალს თან ვატან მზითვად,
რიგით რაც განაწესია,
ზედმეტად „ვეფხისტყაოსანს“
რაც სულმთლად უკეთესია“.

ხალხს უყვარს შოთა რუსთაველი და ძალიან ბშირად იხსენიებს მას. „ენა არა მაქვს შოთასი, რომ ვუთხრა ყველაფერია“. ბევრმა გლეხმა მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ქალმა თუ კაცმა, ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, იცის ტარიელის სიხარულისა და ნაღველით გაჰირვების შეზიგებული თავგადასავალი.



შოთა რუსთაველი პოემის შესავალში გვამცნობს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ გმირის თავგადასავალი უწინ უბრალო ამბის ქვეშ იყო მოხვედრილი. მან ლექსად გარდაქმნა იგი და წელი-ხელ საგომანებ მარგალიტად აქცია. „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წულობილი“. ამ სიტყვიდან ირკვევა, რომ ჩვენი სახელოვანი პოეტი მკიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ფოლკლორთან და მის გამოყენებას არ გაურბის.

დიდებული პოემის ავტორი მრავალგან მიმართავს ხალხურ თქმებს, აფორიზმებს და მოსწრებულ სიტყვებს. ამ შემთხვევაში შოთა რუსთაველის სიტყვა ისეა გადახლართული ხალხურ შემოქმედებასთან, რომ ზოგჯერ ძნელია იმის თქმა, ვის ეკუთვნის ესა თუ ის სიბრძნე — შოთას თუ ხალხს.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ, ხალხური აფორიზმები დაუპირდაპიროდ დიდი პოეტის ღრმა ფილოსოფიურ სენტენცია-აფორიზმებს, თუმცა მათ შორის განსაცვიფრებელ მსგავსებას აქვს ადგილი, მაგ., შოთა: „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების“, ხალხი: „კარგი ქენი, ქვას დადევნე, გაიარე, წინ დაგზედება“ და მრავალი სხვ. ბევრ შემთხვევაში თვით პოეტი გვშველის, თვითონვე გვეუბნება: „ესე არაჲი მართალი ჩინს ქვასა ზედან სწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. შოთა რუსთაველის დამოკიდებულება ფოლკლორთან შემოქმედებითია, ის არ არის მისი ბრმა მიმბაძველი ან უბრალო განმეორებელი. პოეტი, იყენებს რა ზეპირ გადმოცემას, ამბავს თუ აფორიზმს, გენიალური შემოქმედების მაღლივანი ხელით გარდაქმნის მას, დახვეწს, ყოველი დეტალი მას უდიდეს სიმაღლეზე ჰყავს.

შოთა რუსთაველი ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრს იცნობს და საპირობის ღროს დიდი ოსტატობით იყენებს მათ. პოეტისათვის კარგად ცნობილია ზღაპარი, თქმულება-გადმოცემა, ამბავი, არაჲი, ბრძენთა თქმული და ლექსის-სიმღერა. თათოულის დამაბასიათებელი ნიშნები და მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ მრავლად მოიპოვება. ზღაპარი პოეტს მიჩნეული აქვს, არარეალურ და მოგონილ ამბად. ამ ჟანრს ის სამჯერ ასახელებს თავის პოემაში. ერთგან დიდი პოეტი ზღაპართან შედარებით რამდენიმე სიტყვით არკვევს გადახვეწილ ნესტან-დარეჯანის მდგომარეობას.

„არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა კიირი ზედა-ზედი;
ვით ზღაპარი ასე ესმის უბედობა თუნდა ბედი“.

შოთა რუსთაველი, ისევე, როგორც მსოფლიო ლიტერატურის სხვა დიდი კორიფეები, ღრმად ჩასწვდა თავის ქვეყნის ზეპირსიტყვიერებას და დიდი ოსტატობით და ზომიერებით გამოიყენა ის. შოთა რუსთაველის შემოქმედება დიადი ხალხურობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს და ასეთად დარჩება ის მუდამ.

თველოს ყველაზე მოწინავე რაიონის ხალხური შემოქმედებაა შოთა რუსთაველის შესახებ არსებულ გადმოცემებში მოხსენებული მატერიალური კულტურის ძეგლები. ლიტერატურის, ფოკლორის, მატერიალური კულტურის, ენისა და ხელოვნების ძეგლების ურთიერთთან დაკავშირებით შესწავლა საშუალებას მოგვცემს დაახლოვებით აღვადგინოთ შოთა რუსთაველის მოკლე ბიოგრაფია.

მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას მოკლედ შემდეგი სახით წარმოგვიდგენს:

შოთა რუსთაველი დაიბადა დაბა რუსთავში, ახალციხიდან 12 კილომეტრის მანძილზე. პოეტის მამა, ჩახრუხა, იყო რუსთავის მფლობელი მდიდარი ფეოდალი. ჩახრუხა ნიჭიერი კაცი იყო, ხშირად სწერდა ლექსებს და ცნობილი იყო როგორც „ტკბილი მოსიმღერე და შხამიანი სიტყვებით მოშირიე“. ერთხელ შოთას მამა იესე ბატონს სოფ. პატარა-შენში ქორწილში მიუბატონია და ამ ქორწილის დროს ამბავი მოსვლია ვაჟის შეძენის შესახებ. გაზარებულ ჩახრუხას ქეიფი კვლავ განუგრძვია, მაგრამ მოსისხლე ფეოდალებს შეუწმენველად მოუწამლავთ იგი. შოთა რუსთაველს მამა არ უნახავს, მომავალი პოეტი დაბადების დღესვე დაობლებულა.

ობლად დარჩენილ შოთას აღზრდა მის ბიძას უკისრია და ტბეთის მონასტერში წაუყვანია. შოთა სასწავლებლად სოფ. იმპოლის სკოლაში შეუყვანიათ, სადაც მას დიდი ნიჭი და წარმატება გამოუჩენია. ბიძას შოთა შემდეგ დედის ნათესაებთან, ათაბეგებთან გაუგზავნია ზარზმში. ზარზმში შოთა სამს წელს დარჩენილა.

ახალგაზრდა შოთა სწავლაში დიდ ნიჭს იჩენდა. ამით წაბალისებულ ნათესაეები მას კახეთში, იყალთოს აკადემიაში ჰგზავნიან. აკადემიაში შოთა ოთხ წელს დაჰყოფს. 17-18 წლის მოწიფული აკადემიკოსი უკვე ცნობილი პოეტია, სწერს პატარ-პატარა ლექსებს. მისი ნიჭი ყველას ანცვიფრებს. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოეპარა თამარ მეფეს, და ნაჭიერი პოეტი ფილოსოფიური განათლების მისაღებად საბერძნეთში გაგზავნა, იმ 30 ახალგაზრდასთან ერთად, რომელთაც ის ყოველწლიურად საზღვარგარედ გზავნიდა განათლების მისაღებად. შოთა რუსთაველი საბერძნეთში ექვსი წელი სწავლობდა. როდესაც შოთა სამშობლოში, მესხეთის რუსთავში, დაბრუნდა, 23-24 წლისა იყო. ამ დროს თამარ დედოფალი 14 წლის ნამეფები ზყო, უმატებენ ხალხური გადმოცემები, მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო 1198 წელს. ამის პირველი დიდი პოეტის დაბადება 1174 წლით დათარიღდება.

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი განაგრძნობს წერას და თავის ირგვლივ შემოიკრებს მესხეთის მოწინავე ახალგაზრდობას. ხსნის რამდენიმე სკოლას და ხალხს სწავლა-განათლებისაკენ მოუწოდებს.

ამ პერიოდს ეკუთვნის შოთა რუსთაველის დაქორწინება ქრეთიმეზე, თან ახლავს სამიჯნურო თავგადასავალი. თმოგვეში ცხოვრობდა ქრეთიმე-ლი თომა თმოგველი, მამა „ვეფხისტყაოსნით“ ცნობილი პოეტის სარგის თმოგველისა. თომას ჰყავს სილამაზით სახელგანთქმული და თინათინ. შოთა რუსთაველიდან თმოგვეში მიდის ქალის სანახავედ. გზაზე, ორმოცის ციხესთან, სოფ. ნიჯგორში მოსწყურდება და ერთ ოჯახში წყალს ითხოვს. სახლიდან გამოიხედავს ახალგაზრდა ქალი და მგზავრს შინ შეიპატიებებს. სახლში შესულ შოთას ქალი მოეწონება, რის შემდეგ, ქალ-ვაჟი ერთმანეთს სურვილებს გაანდობენ და პირობასაც დასდებენ. პირობის დამრღვევი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ეს მოხდა ნიჯგორელი თავადის აბაშიძის სახლში. აბაშიძის ქალს შეიძი ძმა ჰყავდაო, შენიშნავენ სახალხო მთქმელები.

შოთა კვლავ განაგრძობს გზას თმოგვისაკენ. იქ ის ნახავს თმოგველის ასულს თინათინს, რომელიც თავისი სიმშვენიერით ჰზიბლავს ჰაბუკ პოეტს, და ქორწილი მაისისთვის ინიშნება. უკან დაბრუნებული შოთა ნიჯგორელ აბაშიძის ქალს გვერდს უვლის და სამზადისისათვის რუსთავში მიემგზავრება.

მაისში მოხდა ქორწილი. მაყრიონი თმოგვიდან მტკვრის სანაპიროთი რუსთაველსაკენ დიძრა. ამ ამბავს შეიტყობს ნიჯგორელი, იგივე ორმოცელი, შოთას საცოლო. ქალი კაცის ტანისამოსში გამოწყობილი მტკვარს ძმის ცხენით გაცურავს და ხმალამოწყდილი შოთას გადაუღდება წინ. ქალი შოთას უბრძანებს: მარცხენა, ჩემზე უკეთესი მოგყავს თუ არაო. შოთა ახდის ქალს პირბადეს და ყველა დაინახავს, რომ თმოგველის ქალი სჯობს აბაშიძისას. მაშინ აბაშიძის ქალი შოთას გზას დაულოცავს და პირობას გადაუცხადებს.

ამის შემდეგ შოთა რუსთაველს თამარ მეფე მიიწვევს სასახლეში და უბოძებს მოლარეთუხუცესობას, თუ მდივნობას. ამ დროს შოთას უფროს ძმას, ავთანდილს, უბედურება შეემთხვევა. ავთანდილს თამარ დედოფალი უყვარს, თამარი ავთანდილს უარს ეუბნება და გიორგი რუსზე ქორწინდება. ამ ნიადაგზე ავთანდილი სამშობლოდან გადაიხვეწება და გზაზე დაიღუპება.

ძმის უბედურება შოთა რუსთაველს საბაბს აძლევს დასწეროს სამიჯნურო პოემა-რომანი. სახელოვანი პოეტი შესდგომია წერას და რამდენიმე ხნის შემდეგ დაუმთავრებია „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანს“ თამარ მეფეს უძღვნის და ინიშნება საზოგადო კითხვა სასახლეში. შოთას ნიჭი ყველას აღაფრთოვანებს. თვით თამარი დიდად დაასაბუქრებს პოეტს. მორიგი გამარჯვებით აღტაცებული პოეტი თავს ბედნიერად გრძნობს.

ამ დროს თამარ მეფე გიორგი რუსს გააგდება უზნეობის გამო, და, რადგან შოთა რუსთაველი ადრინადად მოსწონდა, ახლა წინადადებით

მიმართავს, მიატოვოს, თმოგველის ქალი და მას ექმრონება. რამდენაა რუსთაველს თავის ცოლი ისე გატაცებით უყვარს, რომ თამარს უარს ეუბნება. დედოფალი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და შურს იძიებს ღიღებულ პოეტზე: შოთა იძულებულია დასტოვოს სამშობლო და ნაცნობ საბერძნეთში გაემგზავროს.

ქართველი მშრომელი ხალხი დიდი საყვარულით გადმოგვცემს საამაყო ადამიანის ცხოვრებას. პოეტის სიცოცხლის ყველა მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს, ჩვენ აქ მოვიყვანეთ ყველაზე უფრო გავრცელებული ვერსია.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ჯერ კიდევ უცნობია. მისი შედგენისათვის შემოწმებული ზეპირსიტყვიერი გადმოცემები და თვით პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ყველაზედ უფრო საიმედო მასალას იძლევა. ჩვენის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ბევრი ავტობიოგრაფიული და ბიოგრაფიული მომენტი, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი თემაა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლისათვის, ისე თვით გენიალური პოეტის პიროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამოკვლევისათვის. ფოლკლორი რუსთაველოლოგიის ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

„ვეფხისტყაოსანს“ ისე გულმოდგინეთ, ღრმამეცნიერულად, და ღირსეულად არასოდეს არ სწავლობდნენ, არასოდეს არ ჰკითხოვდნენ, როგორც სოციალიზმის ეპოქაში. დიდი სტალინის ეპოქაში.

დაშატავა

 ეპოქის
 გიგანტური

მიმდინარე წლის ზაფხულში, ივლისს, რუსთაველის სახ. ლიტერატურის საშენიერო-საკულტურო ინსტიტუტის ფოლკლორის სექციამ ჩემი ზეღმძღვანელობით მესხეთ-ჯავახეთში გაგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს ივრეთზე ადგილობრივმა ამხანაგებმა. მესხეთ-ჯავახეთში წასვლის მიზანს შეადგენდა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლა სპეციალურად შოთა რუსთაველის შესახებ. ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში, ექსპედიციამ დიდძალი ზეპირსიტყვიერი მასალები შეგროვა, როგორც დიდებული პოეტის შესახებ, ისე ზალხური „ვეფხისტყაოსნის“ გარბინების სახით. ექსპედიციის მუშაობის შედეგები მონოგრაფიის სახით დამუშავდა და დაიბეჭდება რუსთაველის ინსტიტუტის შრომებში. აქ სანიმუშოდ მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი ტექსტები შოთა რუსთაველისა და მისი ნაწარმოების შესახებ, ჩაწერილი ექსპედიციის მიერ.

მ. ჩიქოვანი.

1. შოთა რუსთაველის ამბავი

თმოგვში მეფობდა თომა თმოგველი. მას ჰყავდა ერთი ქალი, სახელად თინათინ, რომელიც იყო ძალიან მშვენიერი. როდესაც შოთა დაბრუნდა პერსიიდან, სწავლიდან, მაშინ მოინდომა თმოგველი ქალის ცოლად აყვანა.

ერთხელ შოთა ფეხით წავიდა რუსთავიდან თმოგვში ცოლის სათხოვნელად. გზად მივიდა ორმოცში. მანდ იყვნენ შვილნი ძმანი აბაშიძეები, შვიდივე გმირები, უცოლოები. მათ ჰყავდათ ერთი და, ცოტა ფეხიდან კოჭლი და სიტყვიერი, მოლაპარაკე, როდესაც მივიდა მანდ შოთა, წყალი მოსთხოვა იმ შვიდი ძმის დას, კეკელას. ამ დროს ძმები სახლში არ იყვნენ. კეკელამ უთხრა: თუ წყალი გინდა, სახლში მომხმადიო.

შოთა სახლში შევიდა. დაიწყო საუბარი და ბევრი ლაპარაკის შემდეგ ერთმანეთის თხოვნაც დაიწყეს.

აქ შოთამ იფიქრა, ამის უკეთეს ქალს მე გერ შევირთავო. მორბენენ ესენი ერთმანეთის თხოვნაზე და დასდეს ასეთი პირობა: თუ შოთა უღალატებდა, ის უნდა მომკვდარიყო კეკელას ხელით და თუ კი კეკელა უღალატებდა, — ის მომკვდარიყო შოთას ხელით. ამ პირობის შემდეგ შოთა გამოვიდა სახლიდან და წავიდა თმოგვში. ავიდა თომა თმოგველთან. საღამო იყო. ივანშემს იქ, ინახულა მშვენიერი თინათინი და ის უფრო მოეწონა, ვიდრე კეკელა. მოილაპარაკეს.

შოთამ და თმოგველმა დადეს პირობა, რომ მაისის თვეში უნდა მივიდნენ შოთა და წაიყვანოს ქალი. როცა დაბრუნდა შოთა რუსთაველი, იმ ვხით აღარ ჩაიარა, რომელიც კეკელას სახლს უფლიდა და წავიდა წყლის გაღობიდან. როდესაც მოვიდა დათქმული დრო, რომ შოთამ ქალი უნდა

წამოიყვანოს, კიდევ არეული გზით წავიდა, კეკელას რომ არ ენახა. შოთამ თმოგვში დიდი ქორწილი გადაიხადა და წამოიყვანა. *გადაიხადეს ქორწილი*

ამ დროს კეკელამ როგორღაც გაიგო, შოთას საცოლო მოჰყავს ტოლოშის გზითო, მაშინ შეიძინა ძმანი სახლში ჰყავდა...

კეკელა სადილს უმზადებდა შეიდ ძმას, როცა შოთამ თავისი ცოლით ჩამოიარა. ძმებს კეკელას ამბავი გაგებულნი არ ჰქონდათ. ძმებს ჰყავდათ შეიდი წლის ხამზე ნაბამი ცხენი. სადილის მირთმევაც კი ვერ მოასწრო კეკელამ, ჯამები ძირს ჩამოლაგებული დატოვა, აისხა უფროსი ძმის იარაღი, შეეჯდა ამ ცხენზე და შევიდა ადიდებულ წყალში. ძმებს სადილი რომ დაუგვიანდა, გაგზავნეს პატარა ძმა. უთხარი კეკელამ სადილი შემოგვიტანოსო. პატარა ძმამ ნახვ, რომ სადილი მზად არის, ჯამები დალაგებულია და იფიქრა, ალბათ ჩქარა შემოვაო.

კეკელამ კიდევ დაიგვიანა. ახლა მეორე ძმა გამოვიდა. იმანაც ისე ნახა, როგორც პირველმა ძმამ და იმანაც იგივე ამბავი შეუტანა ძმებს. სადილში კიდევ რომ დაიგვიანა, გაჯავრდა და გამოვიდა უფროსი ძმა. იმან ნახა, რომ თავისი იარაღი აღარ არის, ცხენთან გაიქცა, ნახა არც ის არის, მაშინ ძმებს დაუძახა: გამოდით, ჩვენი და ვილაცამ მოიტაცა, ან თითონ გაიპარაო. გამოვიდნენ ძმები გარეთ და დაიწყეს ყურება აქეთ-იქით. ნახეს, რომ ქალმა ცხენი შეიყვანა წყალში. მათი ცხენები ამ წყალში ვერ შევიდოდნენ და დაიწყეს ყურება. ცხენი ისე შევიდა წყალში, რომ ქალს მხოლოდ თავი უჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი გავიდა მეორე ნაპირას. ამ დროს ჩამოიარა შოთა რუსთაველმა ქორწილით: ქალი გადაუდგა წინ შოთას და უთხრა: შეაჩერე ქორწილიო, და ამოიღო თავისი პირობა, წინასწარ რომ ჰქონდათ დადებული. შოთამ გადაუწია გული და უთხრა: მე ვტყუდებიარ და შენი ხელითაც უნდა მოგკედო. მაშინ ქალი კეკელა ჩამოვიდა ცხენიდან, დაულოცა ქორწილი და წამოვიდა, ისევ წყალში გამოვიდა გამოღმა. ძმები უყურებდნენ ისევ. როცა კეკელა მოვიდა, ძმებმა უთხრეს: რა ამბავი იყო, რად გახვედი გაღმაო. ამაზე დამ უთხრა: ეს იყო რუსთაველი შოთა, მას მოჰყავდა ცოლი თმოგვიდან და ქორწილი დაულოცეო. ნამდვილი ამბავი კი არ გააგებინა, რომ ძმებს შოთა არ მოგვკლათ.

მთქმელი: ხიზაბერელი კოლმეურნე ნ. წლის თომა გოგოლაძე.
ჩაწერა ნ. ტატიშვილმა.

2. შოთა რუსთაველი

გაქვეყნებულია

შეგუბიძე

ასე გამიგონია, რომ შოთა რუსთაველი ძალიან ნაქმში შეღებულ ყოფილა, ახალციხისკენ, რომ რუსთავია სოფელი, იქაური ყოფილა, გლეხის შვილი. პატარაობისას რუსთავის ტყიან მთებში ცხვარს აძოვებდა. ათი წლისაც არ ყოფილა, რომ დაობლებულა: მამა მოჰყვდომია. მალე დედაც მოჰყვდომია და დარჩენილა სულ ობლად.

შოთა რუსთაველს დედა ძალიან უყვარდა და რომ გაიგო დედის სიკვდილი (მაშინ ის ცხვარში ყოფილა), ჯავრისაგან ლამის გაგიგებულა: თურმე გაქცეულა და მტკვარში (მტკვარი რუსთავის ახლო ჩადის) უნდა დამხრჩეალიყოფო, მაგრამ იმის ბედზე ვარძიიდან ბრუნდებოდა თამარ დედოფლის მამა, შესცოდებია საწყალი ბავშვი და დახრჩობას გადაურჩენია. წაუყვანია და თითონ გაუზღადა თავის ერთადერთ შვილთან: თამარ დედოფალთან.

თამარ დედოფალს და შოთა რუსთაველს პატარაობისასვე ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ და ცოლ-ქმრობის პირობაც გამოუცხადებიათ ერთმანეთისათვის. მერე, როცა თამარ დედოფლს მამა მომკვდარა, ტახტი იმისათვის მიუცია. ქალი რომ იყო, დიდკაცებმა კრება გამართეს და სთხოვეს: მოდი ქმარი შეიერთე, აგრე როგორ იქნებაო.

იმანაც უთხრა, რომ არა, მე უქმროდ უნდა დავრჩეო. ხალხმა არა ქნა, როგორ იქნება ეგაო. მაშინ თამარ დედოფალმა შინაურებს ჩუმად გაავებინა, რომ აგრე იმიტომა ვთქვიო, რომ მე საქმრო მყამსო. რომელიც მთელ საქართველოს გაუძღვებო, და შოთა რუსთაველი დაუსახელა.

ეს რომ გაიგეს, ძალიან გაუწყრნენ: როგორ გაბედე ვილაც ობოლი გლეხის შვილის ქმრად არჩევაო. ეგ აღარ გაბედო, თორემ ტახტიდან შენც ჩამოგაგდებოთ. რალას იზამდა: ბევრი იდარდა, მაგრამ ამით რას უშველიდა თავს.

შოთასაც ძალიან უყვარდა თამარ დედოფალი, ეს ამბავი იმასაც ძალიან ეწყინა. მაშინ თამარ დედოფალმა თავის ლამაზი შოახლე (ხალაილი) შერთო ცოლად. შოთა რუსთაველი ამანე ძალიან შეწუხდა, დაჰკნა, გახდა და სიკვდილის ფერი დაედო. თამარ დედოფალი მის ცოლზე ძალიან ლამაზი იყო, და როცა ნახავდა, იტყოდა: რა დავეკარგე და რა ვიშოვნეო.

შოთა იყო თამარ დედოფლის კარისკაცი, რაკი თავის თავს დაატყო, რომ უთამაროდ ვერ გასძლებდა, ნება სთხოვა, გამიშვი, არაბეთში წავალ, აქ მამბეზრდაო. თამარ დედოფალმა იწყინა ესა და უთხრა: მერე შენ მაგივრობას ვინ გაგიწივსო, ვილანა გვითხრას „ქებანიო“. მაგრამ შოთამ მაინც არ დაიშალა და წავიდა არაბეთში. ცოლი უნდოდა აქ გაეშვა, თამარმა გაუგო ესა და უთხრა: თუ ჩემი ზათრი გაქვს, ეგ ქალიც

წაიყვანეო. რაღას იზამდა, იმის ხათრისთვის ცეცხლშიც ჩაეარდებოდა და წაიყვანა ცოლიც და წავიდა არაბეთში.

იქ სულ ნადირობაში ატარებდა დროსა და გულს იმით იყვანებდა. ლეჩქებსაც წერდა, ერთი დიდი წიგნი დაწერა, „ვეფხისტყაოსანი“, ცოლი სულ შეიძულა და აღარც კი აგონდებოდა.

ერთხელ, შოთა რომ სანადიროდ იყო წასული, იმის ცოლს ერთი კარგი ვაჟკაცი არაბი შეუყვარდა, და ღამეს იმასთან ატარებდა. როცა შოთა ნადირობიდან დაბრუნდა, არაბს შინ მიუსწრო. თუმც არ უყვარდა ცოლი, მაგრამ მაინც იწყინა ესა: არაბმა როგორ უნდა ვადაშქელისა. იძრო ხმალი და ეს ლეჩქი სთქვა:

„ჯერ დაივირამს სიკვდილსა
ვიწრო გზა, ვერცა კლდოვანი,
სუგობს სიციცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი“.

ეს თქვა თუ არა, ცოლიც და არაბიც იქვე აჩეხა. ადგა იმ ღამესვე გამოიპარა საქართველოში. თამარ დედოფალიც აღარ ნახა, გულმოსული იყო. ბერად შევიდა ერთ საყდარში. მერე ბევრი აღარ უცოცხლნია. მოკვდა და ბერებმა იმავე საყდარში დაასაფლავეს. მეტი არაფერი განიგონია, დააბოლოვა მთქმელმა.

მთქმელი: ბ ა ს ი ლ გ ო გ ო ლ ა ძ ე, ბარათელი, 72 წლის კოლმეტრზე, წ/გ
ტელდინარი.
ჩასწერა გ. გოგოლაძემ.

2. შოთა რუსთაველის პინაოზა

შოთა რუსთაველი სოფელ რუსთავეში დაბადებულა. მამა მისი, რომელიც კარგი ლეჩქების გამომთქმელი ყოფილა, გარდაიცვალა შოთას ბავშვობის დროს. ამის გამო პატარა შოთა აღზრდილი თავის ბიძას — ბერს. ბიძამისიც მოლექსე ყოფილა. ბერი ლეჩქებს ამბობდა ქრისტეზე და ღმერთზე. შოთას მამა კი სოფლის ამბავებზე. მგონი შოთას მამა-ბიძას არც ძმა და არც და არ ჰყოლია.

როგორც გადმოგვცემენ, შოთამ პირველად ისწავლა თავის ბიძასთან. მერე ტბეთში თავის ძმასთან ერთად. შოთა პატარაობიდან ლეჩქების გამომთქმელი ყოფილა. თურმე ჯერ ისობიცი არ ესწავლა, რომ რასაც შეხედავდა, იქვე შაირს გამოუთქვამდა.

ბიძამისის დაუნახია შოთას კარგი ქება, და გულში ჩაუთქვამს, ყმა-წვილისათვის კიდევ ესწავლებინა. მართლაც, უსწავლებიათ, ჯერ საქართველოში და მერე სხვა ქვეყნებში, საბერძნეთში და სპარსეთში. ის

უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებული დიდი სწავლით, აქ წერილ-წერილი ლექსებით მალე სახელი გაუთქვამს. აქვე შოთას უთხოვეყნო მღვდელად ბატონის ქალი. ეს ქალი ყოფილა ძალიან გამბედავი დედა-მამა.

თურმე შოთას ქება თამარსაც გაუგია. ამ დროს შოთას დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“. ეს „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველს დაუწერია თამარის პატივისცემისათვის და მიუთმევია კიდევაც. აქამდე თურმე შოთას თამარი არ ენახა.

თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მოსწონებია, რისთვისაც შოთა კიდევ დაუსაჩუქრებია. იმის მერე შოთა მუდამ მიდიოდა თამართან. თამართან მიდიოდა აგრეთვე შოთას ძმაც. ეს ძმა თურმე მაშინ ჯარში ყოფილა, ძალიან გულადი და მებრძოლი ვაჟკაცი.

შოთას ძმას თურმე თამარ დედოფალი ჰყვარებია და შოთასაც უყვარდაო თამარი; ძმებმა კი ერთმანეთისა არა იცოდნო. და, ბოლოს, შოთას გაუგია, რომ თავის ძმას უყვარს თამარი და დარდები ძალიან გასდიდებია.

შოთა რუსთაველს თავის ძმის დიდი ხატრი ჰქონდა და ამიტომ თამართან არაფრის მოხერხება არ შეეძლო. მაგრამ ამავე დროს სიყვარულიც ძალიან აწუხებდა. შოთამ ვერც სიყვარულს უღალატა და ვერც ძმასა.

შეჯდა თურმე თავის ცხენზე, ძირიდან სამჯერ მიწა აიღო, აკოცა ამ მიწას და სთქვა ეს ლექსი:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
სილამაზე და სიტურფე
მზისაგან გადგილიაო.
ნეტავი შენსა მგვრეტელსა, —
მე ბევრჯერ მინატრიო,
ცხრა გზით ვეწამე მე შენთვის,
ღირსება დამითმიაო.

და გაიქცა სპარსეთში შოთა რუსთაველი. გაქცევის დროს შოთას ცოლი ძალიან შეხვეწნია, მაგრამ იმას ცოლისათვის არა დაუჯერებია რა.

რამდენიმე ხნის მერე შოთას ცოლი კაცურ ტანსაცმლით ცხენზე მჯდომარე წასულა ჭმრის საძებრად. დიდი ძებნის შემდეგ უნახავს სპარსეთში. პირველ შეხვედრის დროსვე ბრძოლა დაუწყევია შოთას და თავის ცოლს ერთმანეთისათვის, და ორივე ამ ბრძოლაში მომკვდარან.

მთქმელი: ბ ა ლ ა ხ ა ძ ე, 24 წლისა, 9/1 მკოდნე, ს. ქ ი ლ დ ა.

ჩასწერა ნ. ტატიშვილმა.



4. შოთას აზვავი

გაქცეული

გაქცეული

შოთა რუსთაველი ყოფილა დაბადებული სოფელ რუსთაველაში. პირველი სწავლა მას მიუღია სოფელ ტბეთში, ახალციხის რაიონში. შოთა ობოლი ყოფილა. ბიძას მოსწონებია შოთას ბავშვური აზრი და გაუგრძელებინებია სწავლა საბერძნეთში. საბერძნეთში სწავლის გათავების შემდეგ შოთას დაუწყია მწერლობა. შეუთხზავს „ვეფხისტყაოსანი“ და უძღვნია თამარ დედოფლისათვის.

შოთას თხოულება მეფეს მოსწონებია და მიუღია. მიუცია ჯილდო. რუსთაველი შემდეგ რალაც შემთხვევით კიდევ წასულა საბერძნეთში. იქ უშვახურია ბერად, რომელიღაც მონასტერში. იქიდან თითქმის წასულა სპარსეთში და მგზავრობის დროს მოუკლავთ სპარსეთში.

მეტყველი მიქელაძე ონისიძე, 58 წლისა, წ/კ მცოდნე, ს. ქალა, ახალქალაქის რაიონი.

ჩაწერა ნ. ტატიშვილმა.

5. შოთა რუსთაველი

ტფილისიდან რო გამოამწესეს და საომრად წამოვიდა, გზა მაშინ მთებზე გადმოდიოდა. შოთა ჩამოვიდა ორმოცში¹⁾. მტკვარზე ბოგირი მანდ იყო, რომ თათრებთან საომრად გასულიყო. რუსთაველმა გაიმარჯვა, მტერი გააბრუნა უკან და ჩამოვიდა ისევ ორმოცში. ამ დროს მანდ შეჩედა ერთი შეძლებული გლეხის ქალი და ძაან მოეწონა ის. ამ ქალსაც შოთა მოეწონა ძაანი, მერე ამით მაგარი ხელშეკრულება დასდეს; ერთი ერთმანეთს ფიცი მისცეს. თუ მე გიღალატე, შოთა ეუბნება, მაშინ შენი ხელით უნდა მოგვკდე, ანდა, პირიქითო, — ახლა ქალი ეუბნება.

შოთა რო ჩამოვიდა ტფილისში, ყველაფერი უამბო თამარ დედოფალს და სთხოვა, ამომგვარეთ ეს ქალი თუ შეიძლებაო. მაშინ თამარ დედოფალმა უთხრა: როგორ შეიძლება შოთა, ნუთუ აგრე უკანასკნელი ხარ, გლეხის ქალს თხოულობო. თუ გსურს დასახლება, წავიდეთ საიმერეთოში და რომელიმე თავადის ქალს ავიყვანო. აუყვანა კოდევაც თამარ დედოფალმა ერთი თავადის ქალი და შოთამ ეს ქალი მოიყვანა ტფილისში.

ჩამოდენიმი წელიწადი გავიდა, ორმოცელი ქალი შოთას მაინც ელოდებოდა. ბოლოს ამ ქალმა გაიგო, რო შოთა უკვე დანიშნულია და ქალი კიდევ აუყვანიაო. ადგა ეს ქალი და თვითონ წავიდა ტფილისში

¹⁾ უძველესი ციხე ხერთვისის მახლობლად, მტკვრის პირას, ასპინძის რაიონი.

ვაეურად გამოწყობილი. რო ჩავიდა, მისამართი იცოდა. მივიდა პირდაპირ მის ოჯახში, შევედა. ფანჯრიდან გადაიხედა. დაინახა ^{მისი} ~~მისი~~ შავი არაბი მოხვევია ქალს — შოთას ცოლს.

როცა დაიხმალა, გამოვდნენ იქიდან. ორმოცელი ქალი შეეკითხა: ვინ ხაროთ თქვენ? შოთას სახლი ეს არის თუ არა? ამაზე ქალმა უპასუხა: მე ცოლი ვარ და შოთა აქ არ ბრძანდებო. მაშინ ამ ქალმა უთხრა: სადაა შოთა, სად ეპოვნო, საქმე გვაქვს ცოტა მასთან. რა ვიცი აბა, — უპასუხა ცოლმა, — სასადილოებში თუ იქნება თვის სწორ-ამხანაგებში.

გამობრუნდა ქალი და წავიდა შოთას საძებნელად.

მოეტი იპოვა სასადილოში. ნახა რო შოთა თავისი ამხანაგებით ქეიფობს. გაუგზავნა კარის კაცი და დააბარა, დაუძახეთ შოთასაო, საქმე მაქვსო.

შოთა გამოვიდა. მისალმა ვაეურად ჩაცმულ ქალს. ამ ქალმა უთხრა: აბა შოთა, წავიდეთ შენ სახლში! კარგი, წავიდეთო, შოთაც დაეთანხმა. მივიდნენ და ნახეს, რო არაბი კიდევ შოთას ცოლთანაა.

მაშინ უთხრა ორმოცელმა ქალმა: შოთა, ხომ დაინახე, მოგწონდა ბატონის ქალი და შეურთე. ახლა დახე, რა გიყვო. ამ დროს შოთამ ამოიღო დანა და დაჰკრა ძუძუზე, ეს საქმეები რათ მანახვეო და ორმოცელი ქალი მოკლა იქ. სანამ ქალი მოკვდებოდა, უთხრა: მე ჩემი ფიცი შე-ვასრულე, და ეხლა შენ რაც გინდა, ჰქენიო.

აღვა შოთა და გაჯავრებული შევიდა თავის ამხანაგებთან. ამხანაგებმა უთხრეს: შოთა, რათ შეიგვიანეო. არაფერიო, დაუშალა.

შოთა რუსთაველი მეორე დღით წავიდა თამარ დედოფალთან და გამოსთხოვა, რო ჩემი არაბი გამომიყვანე ხმალშიო. მაშინ თამარმა უთხრა: რა დაგეპართა, რათ იწვევო. შოთამ უთხრა: ჩემი ცოლის თაობაზეო, თუ კი ჩემზე გმირი არისო, ხმალში გამოჩნდებო.

დაუძახეს და გამოიყვანეს არაბი. არაბმა კანკალი დაიწყო. შოთამ უთხრა: აბა გამოდიო, ღმერთი ან შენ გაგამარჯვებს ან მეო. არაბმა მაშინ გაიგო, რო შოთას უკვე გაგებული აქვს ყველაფერიო.

ხმალში შოთა რუსთაველმა აჯობა და არაბს თავი მოსჭრა. წაიღო ეს თავი და ჩამოჰკიდა ცოლს გულზე. ქალი ძლიერ იტანჯებოდა, სანამ მოკვდა. ცოცხლობისას ვიყვარდიო და მკვდრობისასაც უნდა გიყვარდესო.

ამის შემდეგ შოთა აღვა, გასწია და წავიდა ელუსამეთში, იქ ბერათ შევიდა. შოთა რუსთაველმა ელუსამეთში დასწერა „ვეფხისტყაოსანი“ და იქიდან გადმოგზავნა ჩვენ საქართველოში.



6. შოთა რუსთაველი

ქართული
შეხვედრისათვის

როცა შოთა რუსთაველმა თამარს გააცნო თავისი დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მან თამარზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც თამარს ანდრეი ბოგოლუბსკის შვილი საქმაროდ ჰყავდა მოწვეული. ამ დროს თამარს მოეწონა შოთა. თამარმა გაუზიარა, ყველაფერი გაუმზილა პოეტს, მაგრამ შოთას თავისი საყვარელი ცოლი იშვიათ ადამიანად მიაჩნდა და მის ღალატს დიდ ბოროტებად სთვლიდა. ამის გამო შოთამ თამარს მის სიყვარულზე უარი უთხრა.

თამარს სურდა რომ შოთას ხელი აეღო მის ცოლზე. შეუჩინა ზანგები. დაავალა იმათ, რომ შოთას ცოლს დაახლოვებოდნენ. მეფის ბრძანება მონებმა შეასრულეს. ერთხელ ამ გარემოებას წაასწრო თვით შოთამ და ორივე ზანგს მოჰკვეთა თავი. ეს გაიგო თამარმა და სასტიკი შურისძიება განიზრახა. შოთამ ეს რომ გაიგო, საბერძნეთში გაქცევით უშველა თავს.

მთქმელი: ა. მელიქიძე, ს. ტოლოშა.

ჩაწერა მ. ჩიქოვანმა.

7. შოთა რუსთაველისა და თამარ დედოფლის შეხვედრა ჩორჩანში

სოფელ ჩორჩანში თამარი და შოთა მგდარა ერთად სადილზე. საუბარში თამარს უთხრობია შოთასათვის — კაცი ზრდილობით დაფასდება თუ გვარიშვილობითო. ამაზე შოთას უპასუხებია:

ათასათ კაცი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ეარგა,
ცუდია გვარიშვილობა!

მთქმელი: პ. ბაბლიშვილი, 59 წლისა, კოლმეურნე. ს. უდე.

ჩაწერა ი. მისიურაძემ.

8. სარგის თმოგველი და რუსთაველი

სარგის თმოგველი, რომელთანაც ხშირად მიემგზვრებოდა შოთა რუსთაველი სოფელ ნიჯგორში ყოფილა მთავარი ნიჯგორისა და მას ყოლია ერთი ქალი. როცა შოთა რუსთაველი თმოგველისაკენ მიწავალა, უნახავს ეს ქალი და მოსწონებით ამათ ერთმანეთი. მოსწონებით და

პირობაც დაუდევიათ. ეს ამბავი როცა თამარმა გაიგო, ძალიან ეწყინა, რატომ შენ ეგრეთი საქმე დაიჭირეო.

ამის გამო შოთამ უარი უთხრა ნიჯგორელს ქალს ცოლად თხოვნაზედ. ერთხელ შოთა რუსთაველი, როცა თმოგვიდან მოემგზავრებოდა, ამ დროს გადმოუდგა გზაზე ეს ქალი და უნდა მოეკლა შოთას. მაშინ შოთამ არ გამოიმეტა და არ მოკლა, არ შეშეტები სასიკვდილოთო. მერე გასწია შოთამ თამართან და თამარს უთხრა აგრეთი საქმე რათ ჩამადენინეო.

მიქველი შაქსა ანანიაშვილი, 78 წლისა, კოლმეურნე. ს. კოთელია, ახალქალაქის რაიონი.

ჩაწერა მიხ. ჩიქოვანმა.

9. საყვარელი წიგნი

„ვეფხისტყაოსანი“, გულის საყვარელი რომ ეყოლება კაცს, სწორედ იმნაირი რამ არის, მისი დაგდება არავის შეუძლია.

საქართველოში თავადის ქალიშვილი ვერ გათხოვდებოდა, თუ ვეფხისტყაოსანი არ იცოდა ზეპირად. მე ერთი კაცის ოჯახში ვიშოვნე ეს წიგნი და კითხვა მერე დავიწყე.

უწინ მზითვის წიგნში პირველად შოთა რუსთაველის წიგნი იწერებოდა.

მიქველი სტეფანე ზნაიშვილი, 73 წლისა, კოლმეურნე. იცის ქართული და თათრული ენები ს. უდე.

ჩაწერა მიხ. ჩიქოვანმა.

10. ვეფხისტყაოსანი“ სიმღერად

ყოველწლიურად ჩვენში დღესასწაულებზე და ქორწილებში დიდო ლხინი იმართებოდა, სადაც სიმღერა ხშირად თათრულად იყო. ქეიფის დროს შოთას ლექსებს დავამღერებდი და გაიმართებოდა შეჯიბრება. ხშირად ჩემი მოწინააღმდეგისათვის სიმღერით მითქვამს:

ქართული ენით მალეჭე, რუსთაველის წინ ვინ არის, არვის უთქვამს მისი ცუდი, მისი ტოლი არეინ არის.



გაქცეული
გაბეზრებული

თორმეტი საუკუნეთში
რუსთაველის აზრი წინ არის,
მისი ნაწერი ლექსები
დღესაც კი აქამდის არის.

ამას მის შემდეგ ვამბობდი, როცა ნათქვამი მქონდა:

დასრულდა ეს ამბავი,
ვით სიზმარია ღამისა,
გარდახდეს გარდასახადი
ნახეთ სიმუხთლეთ ქამისა...

განმეორებით მოწინააღმდეგე გუნდს ბოლოს კიდევ ვეტყვოდი:

ზოგიერთი ცრუ მოშაირე,
პოეტს ძველს დაიწუნებს,
ბრიყვი უსწავლი კაცი
სოფელს მთლად დაიწუნებს.
უცხო, გარეგანი უყვარს,
თავის ქართულს დაიწუნებს,
ორიოდე ლექსი იცის
უკვდავ რუსთაველს დაიწუნებს.

ამით თავდება შეჯიბრება გუნდებს შორის. ჩვენი გუნდი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

მთქმელი დ. შ ა გ ს უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ს. კოთელია.

ჩასწერა მიხ. ჩიჭოვანმა.

11. ჭაჭათის ციხე

1916 წელს მე ჩვენებურთან ერთად მოვდიოდით ქ. არდაგანიდან ახალქალაქისაკენ: გზაზე რაბათთან ახლოს (მდ. მტკვრისა და ზურ-ზუნას შესართავთან) შემოგვეყარა ერთი თათარი, სახელად იბრაჰიმი, სოფ. ჭამარბელიდან (ხოზაფინის ტბის ახლოს). როდესაც ზევიდან გადმოვხედეთ რაბათს, გზის მარცხნივ მტკვრის პირზე დავინახეთ ერთი ძველი შენობა, რომელიც შორიდან ძნელი გასარჩევი იყო, ეკლესია იყო თუ ციხე-სიმაგრე. მაშინ მე მიფუტრუნდი ჩვენს თანამგზავრს იმბრაჰიმს და ვკითხე: ეს რა ძველი შენობა არისთქვა. ჩემს კითხვაზე იბრაჰიმმა მიპასუხა: ეს ძველი ციხეაო. ამან მე უფრო დამაინტერესა და სახელიც გამოვკითხე — შეითან ყალა ქეიაო, მითხრა თანამგზავერმა. როცა ციხეს გაუპირდაპირდი, მე თვალწინ წარმომიდგა „ვეფხისტყაოსანში“ აღ-

წერილი სურათი ქაჯეთის ციხისა. იბრაჰიმმა ისიც მიიღო, რაზეც უფროსი ერთი შესასვლელი ბილიკი აქვს მარტოვო და შიგ სამიზნეობა. (სამი კლიტული, სამი ერთმანეთზე შემოვლებული ციხე, სამ კარიანი).

მე ძლიერ დავინტერესდი და კარგად გავსინჯე, თუ როგორი იყო ამ ციხის ადგილმდებარეობა. მართლაც, ამ ციხეს ეშმაკი თუ მიუდგება. აშენებულია კლდეზე. იქეთ-აქეთ წყალი ჩაუდის (დასავლეთით მტკვარი და აღმ.-სამხრეთით — ზურზუნის წყალი), ირგვლივ კლდეები შეჰყურებს, ციხე თავისი შესახედაობით მოზრდილი არის.

როცა შევეცითხე, თუ რატომ ქვია, „შეითან ყალა“ (ანუ ქაჯეთის ციხე), მან მითხრა, რომ ასე გეაქვს გადმოცემა და შინაარსი არ ვიცო. მე მას ვუამბე შოთა რუსთაველის პოემის შინაარსი, სადაც აღწერილია ქაჯეთის ციხის აღება. ის კაცი მაშინვე დამეთანხმა, ეს მხარე ძველად საქართველოს ეკუთვნოდა და შეიძლება შოთა რუსთაველსაც ეს აქვს აღწერილი.

მთქმელი დათო კ ა რ ა პ ე ტ ო ვ ი, 48 წლისა, კოლმეურნე, ს. კოთელი.

ჩაწერა მიხ. ჩიქოვანმა.

12. ტარიელის ზღაპარი

იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.

იყო ერთი მეფე, რომელიც ძლიერ განთქმული იყო თავისი მოქმედებით ყავდა მას ერთი იარაღთა ხელმძღვანელი, რომელიც შემთხვევით უცბათ გადაეცვალა. ამ იარაღთა ხელმძღვანელს დარჩა ერთი შვილი, სახელად ტარიელი. მეფემ, რადგან ის უშვილო იყო, შვილად აიყვანა ტარიელი, განვლო მის შემდეგ ექვსმა წელიწადმა და მეფეს შეეძინა ქალიშვილი, სახელად ნესტან-დარეჯანი ანუ მზექალი.

მთელი სიბავშვეობა ორთავემ, ტარიელმა და მზექალმა, ერთად გაატარეს, ერთად იზრდებოდნენ ისინი. მათი აღმზრდელი იყო ასმათი. ასაკში შესვლის დროს ტარიელი სიყვარულს უცხადებს მზექალს და ისინი ერთმანეთს პირობას აძლევენ. მეფეს, როგორც შვილად აყვანილი ყავდა ტარიელი, არ უნდოდა გაეშვა სულ ცარიელი და უნდა დაეყენებინა ლაშქარით უფროსად რადგან ის გზირი კაცი იყო. მზექალა კი უნდა გაეთხოვებია სხვაზე და ზედსიძედ შემოეყვანა ვინმე. ეს ამბავი ტარიელმა არ იცოდა. მეფემ მოიწვია ერთ-ერთი ხემწიფის შვილი და ასეთი პირობა დაუდო, თუ ჩემი ქალი მოგეწონება, როგორც ქალს მოგცემ ისე სახელმწიფოსაც ჩაგაბარებ, რადგან მე მოხუცებული ვარო.

ეს ამბავი ასმათმა აცნობა ტარიელს. ამ დროს მეფეს უკვე მოწვეული ყავდა სასიძო. სასიძო დაბანაკებული იყო ქალაქ გარეთ თავისი ამა-

ლით. ეს ტარიელმა გაიგო თუ არა, გადასწყვიტა: თუ საჭიროა, მაშინ
დეს, პალალი იყოს მზექალა მასზე, და თუ არა, მაშინ მე ვიციო. ადგა
ტარიელი და ეწვია სასიძოს. ტარიელი ისე მარბათ შევიდა ბანაკში, რომ
მცველებმა სრულიად ვერ შეიტყვეს. ტარიელი მივიდა პირადათ სასი-
ძოსთან, რომელიც ამ დროს ხალიჩაზე წამოწოლილი ყავასა სვამდა.

— მზექალას თქვენა თხოულობთ?

— დიან, პასუხობს უცხო ხელმწიფის შვილი.

— მე რა პასუხს მაძლევთ, როცა ის ჩემი მიჯნური არის?

სასიძოვო გავიწივით:

— აკი შეფე შემპირდა, ჩემი ქალი ხელუხლებელიაო.

— შენც გაცნობებ და შენს მეფესაცაო, დაეშურება.

ამ დროს სტაცა ტარიელმა ზელი და სვეტს მიანარცხა. ტარიელს მაშინ მცველები შეუტყვევნ, მაგრამ ის იქიდან გამარჯვებული გამოდის და თავის ქალაქში ბრუნდება. ეს ამბავი გაიგო მეფემ და შეუთვალა ტარიელს:

ტარიელ დავსვი ვეზირათ,
სიტყვა შენ გაფაჭრევიწე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე?
ქაქოელებსა ხოროებს
კიდობანს ავაგებინებ,
შვგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს,
წყალს მივცემ, წაეღებინებ.
არცა შენ მოვცემ, არც სხვასა,
შენ ზედ ხელს ავაღებინებ.

მეფემ თავისი თქმულება სისრულეში მოიყვანა და მზეჭალა ჩასვა
კილობანში და ისე გადაადგო წყალში.

როცა ეს ამბავი ტარიელმა გაიგო, გამოიტაცა თავისი ერთადერთი შვიმედე ასმათი და დაუწყო მზექალას ძებნა. ასმათი დაბანაკა ერთ ზამოქვაბულში და თვითონ კი ეძებდა ქალს. ტარიელი საღამოობით ზრუნდებოდა გაჯავრებული, რომელსაც ასმათი ანუგეშებდა მარტო. სხვა არავინ ჰყავდა ნუგეშისმცემელი.

განელო რამოდენიმე ხანმა. ტარიელი უმეტეს ნაწილს წყლის პირს დადიოდა, რადგან იცოდა მისი მზექალი წყალს მისცეს. მოღალულ ტარიელს ერთ დროს წყლის პირზე დაეძინა. ეს სამფლობელო გაზდათ თუ-რემ როსტევან მეფის სამფლობელო. როსტევანი ამ დროს ნადირობდა თავის ნაზირ-ვეზირებით. შენიშნეს მძინარე ტარიელი თავისი რაშით და განცვიფრებაში მოვიდნენ როგორც ტარიელის ვაჟკაცობით, ისე ცხენის სიმშვენიერით. ისურვეს მისი დაპატიმრება და ვინაობის გაგება. მაშინ

მეფემ გაუგზავნა ორი კაცი. ისინი წყალგამოდმიდან წყალგამოდ-
ნენ ტარიელს: გამოდი, მეფე გიხმობსო.

ტარიელს გამოეღვიძა, ყურადღება არ მიაქცია მათ ძაბილს, შეჯდა ცხენზე და სხვა მხრისაკენ გაეშურა. მაშინ როსტევან მეფემ მოსიურვა გამოკიდება და მისი შეპყრობა. როსტევანს ყავდა ერთი ყოჩალი აეთან-
დილი და მისი იმედით უნდოდა დაეტუსალებია უცნობი. გამოეკიდნენ იარაღით, მაგრამ ტარიელმა იარაღი არ იხმარა, მათრახით მოიგვრია მტერი. მაშინ თავგამოდებით გამეყიდა აეთანდილი და ლამობდა მის დაჭერას. ტარიელმა მას შეხედა და უთხრა: — ძმაო, ჩემ ბიძაშვილს გავ-
ხარ, დამანებე თავი, ნუ მომდევო.

ტარიელმა შეიტყო, რომ აეთანდილი გმირი ადამიანი იყო და არ გაიმეტა სასიკედილოდ. მერე ჰკრა ცხენს ქუსლი და თვალიდან დაიჯარ-
გა. მდევრები მიჰყვნენ კვალზე, მაგრამ ვერც კაცი ნახეს და ველარც კვალი გაიგნეს; არც მისი მნახველი კაცი აღმოჩნდა ვინმე. დაბრუნდა დაღონებული როსტევანი თავის ქალაქში.

როსტევან მეფეს ჩვეულება ჰქონდა, თვეში ერთხელ ნადიმს გამარ-
თავდა. რაც ეს ნახა, მას აქეთ ნადიმობა აღარ მოიწვია, იყო ნიადაგ მო-
წყენილი. როსტევანს ყავდა ერთი ქალი, თინათინი, რომელმაც უთხრა ერთხელ თავის მამას: რათა ხარ ეგრე მოწყენილიო. ამაზე მამამ უთხრა შვილს: ოდეს მე და აეთანდილი სანადიროდ ვიყავით, მაშინ ესეთ-ესეთი კაცი ვნახეთო. ჩვენ მოვისურვეთ მისი ნახვა და დაპატიმრება, მაგრამ ჩვენმა აეთანდილმა მისი დაჭერა ვერ შესძლო, ის თვალიდან დაგვეკარ-
გა, რომ ვერც კი გავიგეთ, ადამიანი იყო თუ ეშმაკი. მე ვფიქრობ, შვი-
ლო, რომ ადამიანი ყოფილიყო, ჩვენს გარდა სხვა მაინც ნახავდა. მაგრამ თუ ეშმაკი იყო, ისიც ვიცით, რომ ამ ქვეყნათ ეშმაკი არ არსებობს. ეშმაკებისათვის არის მისაკუთრებული ჯოჯოხეთი, საიდანაც ისინი ვერ გამოვლენ, აი, ეს ამბავია მე, შვილო, რომ მალონებსო. შვილმა გაიგო-
ნა და უთხრა მამას: ძლავრი და ღონიერი ხემწიფე ხარ, გავზავნე კაცი აღმოსავლეთით, სამხრეთ-ჩრდილოეთით, აძებნიე და მნახველს მაინც ვინმეს ნახავთო. ამით გათავდა მამისა და შვილის ბაასი. მამა აღგა და გავიდა.

თინათინ შეიპყრო ფიქრმა. მერე ეს ამბავი განუცხადა აეთანდილს, რომელიც მას უყვარდა. ჰკითხა, მართლა იყო თუ არა ასეო. აეთანდილ-
მა ყველაფერი ისე უთხრა, როგორც მამამ უთხრა. აეთანდილმა დამატე-
ბით უთხრა: მე როცა ახლო მივედი დასაკავებლად იმ ადამიანთან, მაშინ მან მითხრა: ჩემს ბიძაშვილს გავხარ და თავს ნუ შემეკლავო. შეიტყო ჩემი გმირობა და არ მომკლაო. ამაზე თინათინმა უთხრა დავალების სა-
ხით აეთანდილს: თუ თვალით ნახე ეს საქმე, მართალია, უნდა წახვიდე და მოძებნო ის კაცი, იმას რაღაც დარდი აქვს. წადი და გაიგე მისი ვი-
ნაობა. შემდეგ მოდი და ეს ჩემი სიყვარული მალამოთ მოიხმარე, თუ წა-

ხვალ და ნახავ, ჩემი თავი შენ გეკუთვნის, თუ არა და—არაფერს ვეფიქრებოდას რასაკვირველია, უარი არ უთქვამს წასვლაზე. აძლეეს *ქაქალაქიშკის* სამხნის განმალობაში მე შემიძლია ის გმირი მოვნახოვო.

ამის შემდეგ ავთანდილი გაპარვით წავიდა. წავიდა და ორწლამდი იარა, მაგრამ მაინც ვერაგინ ნახა. ბოლოს ერთ უღრან ტყეში ჩავარდა. ისეთი ტყე იყო და ისეთი ნადირი იყო, რომ ვერაფერი ვერ მოკლა. ავთანდილს ძლიერ უნდოდა ცოტადენი საჭმელი ეჭამა, მაგრამ ნადირს ვერ კლავდა. ბოლოს დიდი წვალებით ერთი შველი მოკლა. ერთ ადგილს დაანთო ცეცხლი და წვადების შეწვა დაიწყო. ავთანდილმა იქ გაათენა. დილით დაინახა სამი კაცი მოდიოდა და ორს ერთი მოყავდა. ავთანდილმა აისხა აბჯარი და მოწინააღმდეგეთ დაუდგათ. მტერი ეგონა. შოსულებმა ტირილით მომართეს: — ჩვენ, ნაცემი ხალხი ვართ, აი მესამე ძმაც სიკვდილის პირას არის და რას გვერჩიო. ავთანდილმა უთხრა: ვის მიერ ხარო ნაცემი ან რა გჯეროთ. მაშინ მოახსენეს, ერთმა კაცმა ჩამოგვიარა ნადირობის დროს. ჩვენ მოვინდომეთ მისი შეპყრობა. იმ კაცმა იარაღი არ იხმარა ჩვენზე. მაგრამ ამ დღეში კი ჩაგვადგო. ავთანდილმა თვითონ იფულისხმა, რომ თუ იქნება, ის იქნებაო, და ჰკითხა, საით წავიდაო. იმათ აჩვენეს კვალი. ავთანდილი გამოემშვიდობა და უთხრა, აი იქ შვლის ტყინი არის და თქვენს ავადმყოფს თავზე წაუსვით, მოარჩენსო, იქ ერთი ჯიხვიც დამრჩა და შემინახეთ, გამოვლაზე წავიღებო.

ავთანდილი გაევიდა კვალს. დიდი ხნის მერე მომავალს მოასწრო თვალი. მხედარი მიუახლოვდა ერთ კლდეს. აღმართთან ცხენი დაბა და თვითონ კი აიჭრა მაღალ გამოქვაბულში და იქიდან მას გამოეგება ქალი. ყველაფერი ეს ავთანდილმა გარკვევით დაინახა. რამოდენიმე საათის შემდეგ ჩამოვიდა ძირს ის კაცი, შეეჯდა ცხენზე და გაემართა სხვა მხარეს.

ავთანდილმა დრო იხელთა და გამოქვაბულში მივიდა. ცხენის ხმა რომ გაიგონა ქალმა, იმასაც გამოეგება, მაგრამ როცა დაჰკვირდა და უცნობი აღმოჩნდა, საშინლად დაიკივლა. ავთანდილმა დაუწყო ხვეწნა-ვედრება, მე ვარ მეგობრულად მოსული და თქვენი სამტრო არაფერი არ მაქვსო. ამ შემთხვევაში მიიღო ქალმა ავთანდილი, როგორც სტუმარი. მაშინ ავთანდილმა ყველაფერი გმოიკითხა იმ მხედარის შესახებ. ქალის გადმოცემით, ვაჟს ერქვა ტარიელი, რომელსაც დაკარგოდა მზექალი და მისი ჯავრით ტყე-ღრეში დაიარებოდა გამწარებული.

დაბრუნდა უკან ავთანდილი და ეს ამბავი მოუტანა თითნათინს. თინათინმა უთხრა, შენ კარგათ იცი სიყვარულისათვის წახვედი, გაიგე ეს ამბავიც. აწი იმ კაცს უნდა მოეხმარო მზექალის ნახვაში რადგან შენ კარგათ იცი, თუ რამდენად მწარეა სიყვარული. მაშინ ზელმეორედ გაიპარება ავთანდილი ტარიელის საშველად.

ავთანდილი მივიდა იმავე გამოქვაბულში. ჩვეულებრივად ვეძებოდა ქალი. ავთანდილმა ჰკითხა ქალს, ტარიელი სად არისო. ქალმა უპასუხა: რაც შენ მოხვედო, მას აქეთ აღარ მოსულაო. შეგდა ავთანდილი ცხენზე და დაუწყო ტარიელს ტყეში ძებნა. ერთ ადგილას წააწყდა, ტარიელს მოეკლა ერთი მხრით ლომი, მეორე მხრით ვეფხვი და დაბნედილი მათ შუაში ეგდო. ავთანდილმა ძლივს მოასურრიელა წყლით. როცა გამოარკვია, ჰკითხა, თუ რისთვის შეებრძოლა ამ ნადირებს. ამაზე ტარიელმა უპასუხა: მე მინდა თავი ვისმეს შეეაკლა, რადგან სიყვარული არ მკლავს და უფრო მტანჯავს. ავთანდილს გაეცინა.

ღმერთსა გავიცებ ავთანდილ,
მე არა მეცინებია.
ერთი მზე მყავდა მიყვარდა,
ქაჯები მეცილებიან,
დავშავდი ვაფცაოზიდან.
სიბერე მელირებია!

ამის შემდეგ ადგნენ და წავიდნენ გამოქვაბულში. იქ მეგობრები აწყობენ გეგმას, თუ როგორ მოძებნონ დაკარგული მზექალი. გამოიარჩიეს, ავთანდილი მიდის აღმოსავლეთით, ტარიელი კი დასავლეთით.

შემდეგ ტარიელის მგზავრობისა არა ვიცი რა, ხოლო ავთანდილი კი მიდის ფრიდონის სამფლობელოში. აქ ავთანდილი ფრიდონის მენახირეს ყაჩაღურად იფრენს. მენახირეები აცნობენ ფრიდონს—ისეთ-ესეთი კაცი დაგვეცა, გვიშველეო. ფრიდონიც ჯდება ცხენზე და გამოდის უცხო კაცის საწინააღმდეგოდ. მანამ ეწინააღმდეგებოდა. ფრიდონმა გაიგო, რომ ის როსტევეან მეფის ყოჩაღი¹⁾ ყოფილა და მათ შუა კეთილი მეგობრობის მეტი არა მომხდარა რა. ავთანდილი თხოვს ფრიდონს რაშს, რომ ტარიელის მზექალის საძებნელად წასულიყო. ტარიელის ამბავი ფრიდონმაც იცოდა, აღმოუჩინა დახმარება, მისცა ცხენი და ასწავლა ქაჯეთის გზა-კვალი.

წავიდა ავთანდილი. ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ფატმანის სამფლობელოში. იქ დაუახლოვდა ფატმანს და ჰკითხა დაკარგული ქალის ამბავი. ფატმანმა უთხრა: თუ ცოლად წამიყვან, მე მის გზა-კვალს გასწავლიო. ავთანდილს არ უნდა თინათინი დაივიწყოს, ამისათვის ტყუილად აძლევს სიტყვას ფატმანს, რომ ასწავლოს მზექალის გზა-კვალი. მაშინ ფატმანმა უთხრა: ამ ერთ თვეზე წინ ჩემმა მონებმა ზღვის პირას დაიპყრეს ორი ქაჯი, რომლებსაც მზექალი კილობნით მიჰყავდათ, ის ქალი მომიყვანეს მე. ერთი თვე დარჩა ის ჩემთან. ამ ხანში ვერც მისი სიცილი ენაზე, ვერც მისი ლაპარაკი ენაზე, ნიადაგ ტიროდა. თვის ბოლოს წავიყვანე აბანოში საბანაოდ, მინდოდა გამერთო, დრო გამეტარებინა.

¹⁾ გმირი, ფალავანი.



მაშინ ქაჯეთის ხელმწიფიდან მივიღე ცნობა, რომ აუცილებლად უნდა მომეცა ის ქალი. მერე ის ქალი ჩავებარე ქაჯებს, იმ პირობით, რომ მზექალმა უთხრა ქაჯეთის ხელმწიფეს, 40 დღეს ვერ მოგეკარებო. 40 დღის შემდეგ რაც გასურთ, ისე ინებეთო. აი ეს 15 დღეა ქალი წაყვანილია და მალე უშველეთო, — უამბო ფატმანმა ავთანდილს. ავთანდილი ფატმანს მაინც არ ეკარება, თუმცა ქალმა ყველაფერი უამბო. ქალს გული მოუვიდა, მაგრამ ავთანდილმა უთხრა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, მანამდე ვერ მოგეკარებო. ადგა და წავიდა, გავიდა ქაჯეთში. მას ფატმანის მიერ ჰქონდა ნათქვამი, რომ ის ქალი ამა და ამ ციხეში არისო. ავთანდილი თოქს მიაბამს ციხეს და იმის საშუალებით შედის ციხეში, ნახულობს მზექალს და წერილს წამოიღებს მზექალიდან ტარიელისათვის: მე ჯერ ხელშეუხებელი ვარო.

ავთანდილი ისევ ბრუნდება და მოდის ტარიელთან. ამ ამბავს აცნობებს ტარიელს. მერე მოდიან მზექალის გამოსახსნელად. ფრიდონიც ეხმარება. მოდიან ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი ძველებურად ზემოდან ჩადის; ფრიდონი და ტარიელი კი იბრძვიან გარედან. დიდი ბრძოლის შემდეგ ისინი შედიან ციხეში, გამოჰყაეთ მზექალი და მოჰყამთ თავიანთ სამფლობელოში.

გზაზე ფატმანი დუხვდება და ავთანდილს დაუწყებს ბრძოლას თავისი ჯარით, პირობაზე როგორა ხარო. რადგან აღარ ცილდება ქალი, ფრიდონი აძლევს სიტყვას თვითონ წაიყვანოს ცოლად. მართლაც ფრიდონმა ითხოვა ცოლად ფატმანი. გადაიხადეს ფატმანის სახელმწიფოში ჭორწილი. შემდეგ ყველანი მიდიან ფრიდონის სახელმწიფოში. აქ გადაიხდიან ტარიელისა და მზექალის ჭორწილს, შემდეგ მიდიან როსტევეანის სამფლობელოში და იქ იხდიან თინათინისა და ავთანდილს ჭორწილს. მერე გმირებმა ეს სამივე სახელმწიფო (ფატმანის, როსტევეანის და ფრიდონის) შეაერთეს და ბრძოლა დაუწყეს მზექალის მამას, რომელიც მალე დაიპყრეს და დაიწყეს მის შემდეგ ტყბილი ცხოვრება.

ციდან ჩამოვარდა სამი ვაშლი: ერთი მე, მეორე ვინც ზღაპარი თქვა, — იმას, და მესამეცა დომენტის.

მოქმელი დომენტი ყაფრელიშვილი, ს. კოთელი. 36 წლისა, კოლმეტურე. წ/კ. მკოდნე.

ჩასწერა მ. ჩიქვანაძე.

საქართველოს განათება

ი. მანუშაშვილი

მცირეოდენი უნიუზნა „ვეფხისტყაოსნის“ თარგამ

დღეს ბევრს სწერენ, უფრო ბევრს ლაპარაკობენ ვეფხისტყაოსნის თაობაზე, იხსენიებენ ყველას, ვისაც ამ დარგში რამე გაუკეთებია. საჭიროა დავიწყებას არ მცდეც წინა თაობის მოღვაწეთა ერთი ჯგუფის შრომაც ამ საგნის შესახებ.

მოგახსენებთ იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც დამზადდეს ეს დასურათებული და მდიდრულად დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართველთა შიშის გამოცემად არის ცნობილი. მოგიხსენებთ ამ გამოცემისათვის გაწეულ შრომას.

1887-1888 წლებში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განიზრახა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა.

რა ჰქონდა „საზოგადოებას“ აზრად? რამ იძულება ხელი მოეკიდა ამ გამოცემისათვის? ვითომ ნაკლებად იყო იმ დროს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები?

პირიქით. გადაჭარბებითაც იყო. ვინ არა ჰკიდებდა ხელს რუსთაველის გამოცემას, ყველა წიგნის მალაზია, ყველა მესტამბე, ყველა ბუკონისტი ეპოტინებოდა ამ დიდ სახელს.

ქართველებშიაც დიდი მოთხოვნილება იყო. წიგნს დიდი გასავალი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამ გამოცემებს უმეტეს ნაწილად კომერციული ხასიათი ჰქონდა, მოგებას ეძებდნენ. თვით გამოცემის დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ხალხურულად იბეჭდებოდა: მდამიო ხარისხის ქაღალდი, დავეყილი, დამტვრეული შრიფტი, უკმარაოდ გაფორმებული, კორექტურული შეცდომებით ავსილი, — ამ რა ახასიათებდა უმეტესად ამ გამოცემებს.

იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა განიზრახა, სწორედ ეს ჰქონდა სახეში, რომ ყველა ეს ნაკლოვანება თავიდან აეშორებინა.

ეს აზრი დაიბადა პირველად „ივერიის“ რედაქციაში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ აზრის განხორციელება კი მიენდო „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რადგან ამ საზოგადოებამ თავს იღო იმ დროს ახალი და ძველი წიგნების გამომცემლობა.

როგორი იყო თვით პროცედურა ამ გამოცემისა? ვინ შედიოდნენ წევრებად იმ ჯგუფში, რომელმაც ეს საქმე ეღალა იღო?

ჯგუფის შემადგენლობა ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე (თამაჯდომარე), ივ. მაზაბეილი, პ. უშაკიშვილი, თედო ჟორდანია, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხევიძე, გ. იოსელიანი, ალ. შირიანიშვილი, ალ. ჭყონია, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ნანეიშვილი, გ. ყუფშიძე, ი. მამიკაშვილი, გ. ქართველიშვილი (წ.-გ. საზოგადოების ხაზინადარი) და კიდევ სხვები, რომელთა მოგონებას სთენა მალატიკის.

ეადრე „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად დამზადების პროცედურაზე გადავიდეთ. იგი, ირითღე სიტყვა მინდა ეთქვა ამ წერილების შესახებ, რუმეფრეფე უმჯობეს იბეჭდებოდნენ ქართულ ეურნალ-გაზეთებში ამ სათაურით: „ვეფხისტყაოსნის“ ადგილები“. ეს წერილები ეკუთვნოდა ზემოდ დისახელებულს ალ. სარაჯიშვილს. დიდი შრომა აქვს გაწეული ამ უანგარო მოღვაწეს ამ ყალბი ადგილების გამორკვევაში.

მაგრამ ესეც კი უნდა ითქვას, რომ მუშაობამ ცოტა გაიტაცა პატიცემული მკვლევარი, ძალიან შორს წავიდა, და ისეთი ადგილებიც კი სცნო ყალბად, ე. ი. სხვების დაწერილად და ტექსტში ჩართულად, რომელნიც არაერთი ექვს არ მხადავენ, რომ ეკუთვნოთ რუსთაველის კალამს.

ამაზე არა ერთხელ გვქონია „ივერიის“ რედაქციაში ლაპარაკი თვით სარაჯიშვილთან, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მერე თითონაც აღიარა თავისი შეცდომები და ბევრი, წინად ყალბად ცნობილი ადგილი კვლავ აღადგინა და რუსთაველს მიაცუთვნა.

თვით პროცედურა „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად დამზადებისა ასე მიმდინარეობდა.

ქართულ ბანკის დიდ დარბაზში დადგმული იყო მწკრივად რამდენიმე მაგიდა. ზედა ელაგა „ვეფხისტყაოსნები“, — ნაბეჭდი თუ ხელთაწერი. ამ დროს „წერა-კითხვა“ საზოგადოების“ წიგნთსაცავში უკვე ბლომად იყო შეკრებილი ხელთაწერი „ვეფხისტყაოსნები“.

შემოქმედებით მაგიდებს გარშემო. ყველას „ვეფხისტყაოსანი“ ელაგა წინ. თავმჯდომარეობდა ილია. მდივნად იყო გ. ყიფშიძე. ეს უკანასკნელი კითხულობდა თავის ეგზემპლარს. დანარჩენები თვალყურს ადევნებდნენ ყველა ხანას ცალკე, და დიდხანს ეარჩევდით.

თუ რაიმე განსხვავება იყო ნაბეჭდას და ხელთაწერს შორის, გარჩევდით, ვარკვევდით, დიდხანს ეჩერდებოდით ამგვარ ხანებზე... და მხოლოდ ხანგრძლივი თათბარის, აზრთა გაცემა-გამოცემის შემდეგ გადაწყვეტდით ბოლმე. მიგველო ასეთი თუ ისეთი რედაქცია საგვეო ხანისა. აქვე ეარჩევდით შეცდომებს, რომელიც დაშვებული უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით, გადაწერის დროს, და აგრეთვე ყალბ ადგილებს, რომლებიც უნდა ჩაერთოთ ინტერპოლაციებში.

ამგვარად ბევრი ადგილი იყო შესწორებული, ბევრიც არ შეტანილი ამ გამოცემაში. ამ მუშაობის ოქმები იწერებოდა, ეგონებ, დღესაც ყოფ. „წერა-კითხვას საზოგადოების“ არხივში უნდა ინახებოდეს.

ამგვარად იყო დამზადებული დისახელებად „ვეფხისტყაოსანი“. გადაწყვეტილი გვქონდა დაგვებეჭდა კარგ ქაღალდზე, კარგი ახალი შრიფტით და, თუ შესაძლო იქნებოდა, სურათებით.

აქაც ხელი მოგვემართა. სწორედ ამ დროს, ე. ი. 1888 წ. საქართველოში ჩამოვიდა ალექსანდრე მე-III. მის ამაღლებაში, სხვათა შორის იყო ცნობილი, მეფის კარის მხატვარი, ზიჩი. ვისარგებლეთ და მივმართეთ სწორედ ამ ზიჩის, დაესურათებინა „ვეფხისტყაოსანი“.

დაგვთანხმდა და დიდის ხალისით და სიყვარულით შეუდგა საქმეს. ეგონებ, რომ რუსთაველის წარმატება გენიოსობამ ზიჩედაც იმოქმედა.

ახლა სურათებს ხეზე ამოჭრა და კლიშეების დამზადება უნდოდა. აქაც საქმეში გამოგადგა მეტეჟერთივე გრიგოლ ტატიშვილი, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში ცნობილი იყო მეტწოდებული სახელით: „ფიგარო“ და კიდევ „უშანგაში“. გრ. ტატიშვილი ძალიან დაბალი ტანისა იყო, წვერი კი ისეთი გრძელი ჰქონდა, რომ თითქმის სარტყელზე სცემდა. ამ წვერით ძალიან გვაგონებდა „ყარაშინაის“ გმირს უშანგაშის, რის გამოც ტატიშვილსაც ეს ზედმეტი სახელი უწოდეს.

გრ. ტატიშვილი ბუნებით დიდი ნიჭის პატრონი იყო. ასოების, სურათების ამოკრაში ბევრი ვერ შეედრებოდა მას. სწავლა არ ჰქონდა არსად მიუხედავად მჭიდროდ მეობა თავისივე სწავლა, მიხედულობით.

დავით ერისთავი, დრამა „სამშობლოს“ ავტორი, ხშირად ეტყოდა ხოლმე ამ ნიჭიერ მერტყურთმეს: სწორედ ოქროს თითები გაქვს. აფსუსი არ არის, რომ შესაფერი სწავლა არ მიგალია. არც ხელსაყრელი იარაღები გაქვს. სწავლებით კი აბა რას გიშველი და იარაღებს კი, აი საზღვარგარეთ წავალ და იქიდან მოგიტანო. მართლაც მოუტანა.

აი ამ ტატიშვილს ჰქონდა მინდობილი ამოკრა ხეზე „ვეფხისტყაოსნის“ სურათებისა და ასომთავრულებისა.

კარგი ქაღალდი, ახალი ასოები, სურათები, — კარგი რამ იყო. მაგრამ ყველა ამას ფული უნდოდა და დიდი ფულიც. „წ.-ქ. საზოგადოებას“ კი ამისთვის საჭირო თანხები არ მოეპოვებოდა.

იქაც ბედმა არ გვიმტყუნა. გამოგვიჩნდა ხელშეწყობი. ეს იყო გიორგი ქართველიშვილი, კაცი მდიდარი, ხოლო არა მარტო ფულით, არამედ გულითაც. თანაც, დიდი მოყვარული და გულშემატკივარი იმ დროს დევნილ ქართულ მწერლობისა. დიდი თავყვანისმცემელი ილიასი და ი. შანაბლისა. მან აღგვითქვა დაფარვა მთელი იმ ხარჯისა, რაც კი „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარ გამოცემას დასჭირდებოდა.

და მართლაც იაფი არ დაჯდა ეს გამოცემა. ათას თუმანზე მეტი დაიხარჯა. ეს დიდი ფული იყო. ბევრს უკვირდა ამოდენა ფულის გადაყრა ერთი წიგნის დასაბეჭდად. დაგვიჩინოდნენ, ქართველების ბედოვლათობას გვიკითხინებდნენ.

მახსოვს, კ. ბებუთოვი, „Тифлисский вестник“-ის რედაქტორი, კაცი ჭკვიანი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, ასე დაიცინებოდა: — ერთი მდიდარი კაცი ჰყავთ ქართველებს და ისიც უნდათ ვეფხისტყაოსნი გააბვიონო, ე. ი. გააღარიბონო.

ასე და ამგვარად მომზადდა და დაიბეჭდა ის სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“. რომელიც თვალწინ გვაქვს. ავია თუ კარგი, ამაზე სჯა ყველას შეუძლია იჭონიოს.

მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა ამ მცირე შენიშვნაში, რომ ძველი თაობაც გულხელდაკრეფილი არ იჯდა და „ვეფხისტყაოსანს“ თავს დასტრიალებდა. რაც შეეძლო, გააკეთა. ცდა, შრომა არ დაუზოგნია. ზემოდ დასახელებულ მოღვაწეთაგან დღეს თითქმის აღარაივნ არის ამ ქვეყნად. მე ჩემად და იმათ მაგიერადაც შემიძლიან მხოლოდ ესთქვა ის, რასაც რომაელები იტყოდნენ ხოლმე: „Feci quod potui, feciunt alieni melior“¹⁾.

¹⁾ გააკეთეთ. რაც შემიძლო, გააკეთონ სხვებმა უკეთესად.

ი. ენაოლოგოვი

შოთა რუსთაველი და მისი პოემის „ფეფასება ქუჩანალ“ „ტელესკოპ“-ში 1833 წელს

1833 წელს ეურნალ „ტელესკოპ“-ში დაიბეჭდა პირველად რუსულ ენაზე საფუძვლიანი წერილი შოთა რუსთაველზე.

ამ წერილში მოყვანილი ცნობები საგულისხმოა იმით, რომ შეგროვილ იქნენ ისინი ადგილობრივი — ტფილისში, ამასთან ისეთი კაცის მიერ, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა კლასიკურ ლიტერატურას.

იმ ხანად კავკასიაში გადმოსახლებულთა დიდ პროცენტს, დეკაბრისტებთან ერთად, შეადგენდნენ პოლონელები, საიდუმლო საზოგადოებათა („სარმატთა ტომი“, „ზირიანები“ და სხვ.) წევრები, აგრეთვე 1831 წლის აჯანყების მონაწილენი. მეტწილად ესენი განათლებული ადამიანები იყვნენ, სამშობლოს განთავისუფლებისა და ნაციონალური აღორძინების იდეისათვის მებრძოლნი.

ამთ რიცხვს ეკუთვნოდა ალექსანდრე ხოდუკოვ—აღნიშნული წერილის ავტორი. ხოდუკოვ საქართველოში 11 წელი დაჰყო და აქ ყოფნის პირველ წლებშივე დაინტერესდა ქართული ლიტერატურით, მეტადრე შოთა რუსთაველით. რუსთაველის გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი ლეგენდარულ საბაბო გმირს მთელს აღმოსავლეთში — ქაროლის, ჰერებდა მის შესახებ გადმოცემებს, დასტანებს (ეპოპეებს) და სიმღერებს ადგილობრივ ენებზე და კილო-კავებზე. ამ კვლევა-ძიების შედეგად გამოვიდა ინგლისურად წიგნი (გამოსცა იგი ლონდონში „აღმოსავლეთის კომიტეტმა“) შემდეგი სათაურით: Specimens of the popular poetry of Persia¹⁾. წიგნი დიდს წარმატებით გავრცელდა და მაშინვე გადაითარგმნა ფრანგულად — მთლიანად და ნაწყვეტ-ნაწყვეტებად.

აკადემიკოსი მარი თავის ცნობილ შრომაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ფართოდ იყენებს ხოდუკოს ამ წიგნს, მოჰყავს იქიდან ციტატები.

მთარგმნელის (პოლონურიდან) პ. დუმბროვსკის მიერ ეურნალ „ტელესკოპ“-ის არჩევა თარგმანის მოსათავსებლად შემთხვევითი როდი იყო: „ტელესკოპი“ საუკეთესო რუსული ეურნალი იყო და ეს რეპუტაცია მან მეტად მცირე დროში მოიპოვა. 1830 წელს დაიხურა ყველაზე უფრო გავრცელებული ეურნალი რუსეთში—„ვესტნიკ ევროპი“. ამ ეურნალის თანაშრომელთა უმეტესობა, ზოსკოვის უნივერსიტეტის ხელოვნებათა თეორიის პროფესორის ნ. ი. ნადეჟდინის შეთავაზებით, მაშინვე აარსებს „თანამედროვე განათლების ეურნალს—„ტელესკოპს“ და გაზეთ „მალეა“-ს. ამ გამოცემების ირგვლივ შემოაყრიდნენ უმთავრესად ევრეთწოდებული „რაზნოჩინცი“ მწერლები. ნადეჟდინი თავშივე გაბედულად გამოვიდა და პირველ ხანებშივე გამოავსკარავა „რაზნოჩინციკ“ სოციალური ბუნება, რის გამოც მან სასტიკი საყვედური მიიღო ხელისუფალთაგან „მანებელი ლიბერალიზმის იდეებისთვის“.

1) „ნიმუშები სპარსული ხალხური პოეზიიდან“.

ახალგაზრდა ბელინსკის მონაწილეობამ ამ გამოცემებში, — ბელინსკისა, რომელმაც ერთბაშად უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, დიდი პოეტის ჯერჯერობით წერილებმა (პეტშინი ფეოფილატე კოსიკინის ფსევდონიმით სტატუტისწმინდები მიმართული იყო ფ. ბულგარინის წინააღმდეგ), თვით ნადეჟდინის, XIX საუკუნის პირველი მესამედის ამ ყველაზე უფრო ნიჭიერი რუსი კრიტიკოსის წერილებმა (ნადეჟდინმა პირველმა შეაფასა ა. ს. პეტშინის „ბორის გოდუნოვი“), პ. ა. ჩაადაევის და სხვების ნაწერებმა სახელი გაუთქვეს „ტიდესკოპს“ და საუკეთესო რუსული ჟურნალის რეპუტაცია მოუპოვეს. ჟურნალის ტირაჟი ყოველწლიურად მატებოდა.

ამ ამ ხანებში დაიბეჭდა იქ წერილი რუსთაველზე.

ჟურნალმა ამის შემდეგ ცოტა ხანს იარსება, 1836 წელს ჟურნალი ჩაადაევის „ფილოსოფიური წერილების“ დაბეჭდვისათვის დახურეს, ნადეჟდინი უსტ-სისოლსკში გადასახლეს, ხოლო „ფილოსოფიური წერილების“ ავტორი ვიყავი გამოაცხადეს და ერთ წელიწადზე მეტხანს ეჭმის ზედამხედველობის ქვეშ ამყოფეს.

ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული წერილი რუსთაველზე.

შოთა რუსთაველი,

ქართველი პოეტი

საქართველომ ანუ იბერია, რომელსაც უპირავს კავკასიონის მთების ძირის ნაწილი, სხვადასხვა ტომის და ხალხის ამ კერისა და გამაგრებულობის ნაწილი, თითქმის ყველა საუკუნეში მრავალი პოლიტიკური გადატრიალება განიცადა. აზრებდა და უზედურება მუდამ აღელვებდა მას. მიდიელებისა და სპარსელების მახვილი არა ერთხელ გადატეხილა მამაც ქართველების მეტრზე. თათართა თავაშეხებული ურდოები, რომელთაც მოუძლოდა ჩინგიზ-ხანი, ხოლო შემდეგ ლანგ-თემური, მღასის ავლებდნენ ადამიანებს და მიწასთან ასწორებდნენ სოფლებს. გასაოცარია, რომ შიშის ისეთი პატარა ნაკვეთი, რომელსაც დახმარება არსიდან არ ეწეოდა, ესოდენჯერ ეწინააღმდეგებოდა ყურანის თავიანთსმცემელთა თავდასხმას. როგორ მოხდა, რომ კაბაშას და შაჰ-აბასის სიშაცკემ და თვითნებობამ ვერ აღმოუხერგეს მასში ენა, ვერ ჩაახშეს ჭეშმარიტი რელიგიის სინათლე, ვერ ამოეღიტეს ერის უკანასკნელი ნაშთები. იგი დაიწერა XVI საუკუნის დამლევს ზეპირგადმოცემებისა და მონასტრებში დაცულ მატანეთა ნაწყვეტების მიხედვით. მასში ისახულია სახელოვან ადამიანთა საქმეში, მათი მეფეების ჩვეულებანი, ომები, გამარჯვებანი და საოცარი გმირობანი, გადმოცემულია მათი ურთიერთობა აზიელ ხალხებთან. მაგრამ ქართველ ერის ხასიათი ჯერ კიდევ ამოცნაღ რჩება.

საქართველოს, როგორც მეზობელი ქვეყნების ისტორია მოწმობს, შორეულ წარსულში უკვე ჰყოლია თავისი მეფეები, ჰქონია თავისი ლიტერატურა და კანონები, რომლებითაც მისი მართვა-გამგეობა სწავრობდა. მასში, როგორც ისეთ სახელმწიფოში, რომელიც აღმოაჩნდეთ იმპერიასთან¹⁾ შეერთებული იყო სარწმუნოებით, მეზობლური სიახლოვით და პოლიტიკური კავშირით, IV საუკუნეში ჰრისტეს დაბადების შემდეგ ჩნდებიან მეცნიერებანი და ხელოვნებანი. მისი მეფეები ბეჯითად ცდილობდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და განათლების გავრცელებას; ამისთვის ისინი სამეგრეთში ჰგზავნიდნენ კეთილშობილი წოდების და ბუნებისაგან ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს სამეცნიერო ცოდნის სრულსაყოფელად და ხელოვნ-

1) იგულისხმება ბიზანტიის იმპერია.

ნებისადმი გემოს განსავითარებლად. გაგზავნილთა შორის ქართული ლიტერატურის ისტორია იხსენიებს შოთა რუსთაველს, რომლის შესახებაც გვინდა მოვიყვანოთ აქ მოკლე ცნობა.

ქართული ლიტერატურის სახელოვან ეპოქად იწოდება ბრწყინვალე შუა საუკუნის თამარისა, რომელმაც თავის სკიპტრის თარგამოსის ყველა ტოში დაუმარჩილა. ამ ქართველმა სემიარამილამ, მრავალი გამარჯვების მომხვედველმა, იმ კეთილ-შზრუნველობისათვის, რომელიც მან თავის ქვეშევრდომების მიმართ გამოიჩინა, მეცნიერებათა მფარველის სახელი დაიმსახურა. მისმა კაცთმოყვარეობამ, სიუხვემ, ტკბილმა მოპყრობამ, მზიარულმა ხასიათმა, მომზიბველელმა სიტუაციამ და მეცნიერებისადმი სიყვარულმა სამეფო კარი ნიჭისა და რაინდული სიძველის თავშესაფარად გადაქცის. აი ამ სამეფო კარზე შოთა რუსთაველს პირველი ადგილი ეკირა.

ეს სახელოვანი პოეტი დაიბადა 1183 წელს კეთილშობილ, მაგრამ არაშემდეგბულ შშობელთაგან. მისი დაბადების ადგილად გულისხმობენ დაბა რუსთავს, შეიხეთის ოლქში, საათაბეგოს პროვინციაში, რომელიც იმჟამად ახალციხის საფაშოს წარმოადგენს. აქედან, ძველი ხალხების ჩვეულების მიხედვით, ეწოდა მას რუსთველი ანუ რუსთაველი, რაც გვიჩვენებს, რომ იგი ჩამომავლობით რუსთაველიან არის. ათონიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი მეფე გიორგიმ გაგზავნა მეცნიერებათა განაწესებლად, მეფის ტახტზე უკვე გიორგის ასული თამარი დახვდა, და იგი დარჩა მის კარისკაცად. ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარდა, მან კარგად იცოდა არაბული, სპარსული და ბერძნული ენები. როგორც ავგუსტუსის სამეფო კარზე სახელი გაითქვეს მჭიდრო მეგობრობით შეკავშირებულმა მარონმა და პორაციომ, ისე თამარის კარზე რუსთაველი და ჩაზრუხამც, პოეტი-მეგობრები, აკურსებდნენ თანამედროვეების თვითნათი ნიჭით. მათი ერთადერთი სურვილი იყო — მოედიხათ ყველგან თავიანთი მშობანდლის სახე და დიდება.

რუსთაველის მიერ დაწერილ პოემას ეწოდება ეფუხის-ტყაოსანი, ე. ი. ეფუხის ტყავით შემოსილი. ეწოდება მას ასე იმიტომ, რომ მოთხრობის გმირი ტარიელი ეფუხის ტყავით იმოსება თავისი მგზავრობის დროს. ეს პოემა რუსთაველმა დაწერა თამარ მეფის სურვილით. თამარ მეფე სპარსულად კითხულობდა მას, პროზად დაწერილს და მოისურვებდა, რომ მის შშობლიურ ენაზე ლექსად გაემოედოთ იგი. თამარი დაჰპირდა პოეტს ყველა სურვილის შესრულებას, თუ იგი წარმატებით დამთავრებდა ამ შრომას. რუსთაველი შეუდგა მუშაობას; მშვენიერი თამარის თვალები აღმადრენის წყაროდ გადაიქცნენ მისთვის; ამ აღმადრენის გარეშე, როგორც გულუბრყვილოდ შენიშნავენ ფილოლოგები, შეუძლებელია რისამე დაწერა მეღნით. პოემის დამთავრებამ საყოველთაო მოწონება გამოიწვია და თამარმა უხვად შეაქო პოეტი; მაგრამ საჭირო იყო სხვა ჯილდო... მორწმუნე თამარი ცრემლით ეცდებოდა ზეცას სიმტკიცე და სიმაგრე მიეცა მისთვის... ამ დროს კადნიერმა პოეტმა, რომელმაც განიზრახა ტურფი ცირციის დაფლვება, დაასრულა თავისი სიკაცხლე. ზოგა ფიქრობს, რომ იგი ტრაბახისთვის მოწამლეს; სხვები უმეტებენ სხვა საზარელ მიზეზებს. ამბობენ, რომ რუსთაველს ცოლად ჰყავდა, რომ იგი უბედური იყო ცოლქმრობაში. მისმა ცოლმა შეიყვარა მსახური არამი. გაიგო რა ეს, რუსთაველმა გადასწყვიტა გაჰყოფა ცოლს, მაგრამ ჯერ შერი უნდა ეძია შეურაცხოფისთვის. ამ განზრახვით მიიწვია მან ნაღიმზე ყველა თავისი ნათესავი; უამბო შეკრებილთ, თუ რა დიდი სახელი მოიპოვა მან სამეფო კარზე, თუ როგორ შეეძლო დამტკბარიყო სიყვარულით ღირსეულ ქალთან, თუკი მოისურვებდა და თავის მოვალეობას უღალატებდა. უჩენა სტუმრებს თავისი სიმდიდრენი და სიჭევა, ჩემს სახელს სატურნებს გაუტლებსო. ყველაფერი ეს შეეხებოდა იმას, რომ მისი, ნიჭით სახელგანთქმულს და ბედნიერებით დაჯილდოვებულს, შეეძლო თავისი სიკაცხლის ნაბეგარ გზაზე განეცადა ერთგულება, თუ არა თავის თავისადმი, ყოველ

შემთხვევაში თავის სახელისადმი, დიდებისადმი. ნადიმის გათავების შემდეგ უბრა-
ნა შეეტანათ ლანგარი თვით შოთას მიერ მოკლული არაბის თაყვანა, მადლობა
სთხოვა აებადა ლანგარისათვის საფარი. როდესაც განრისხებული მართლმადიდებელი
რებულნი მივირდნენ უბედურ მსხვერპლს, რუსთაველი ჩუმად გავიდა და, სამეგრე-
ლოში (კოლხიდაში) გაქრისლმა, მარტოდ-მარტო განლია თავისი ცხოვრება.

პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია შ ა ი რ ი თ. პოეზიის ეს სახე შესდგება
ერთნაირ რითმებიან ოთხტატიანი ლექსისაგან. საერთოდ ქართული ლექსი თავ-
დება ხმოვანებით — ა, ე, ი, ო, უ. პოემის ყოველი ლექსის ზომა ასეთია:

| 00 — | 00 — | 00 — | 00 — | 00 — | 00 — |

სტროფების რიცხვი 1589-ს უდრის. პოემა დაწერილია რომანიული პოემების
შეგავსად. შინაარსი აღებულია ინდოეთის ისტორიიდან. მცოდნეთა ფიქრით, აზრ-
ების მიმოქცევა და შედარდება ძალიან წააგავს არისტოტელის გა ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ
ო რ ლ ა ნ დ ი ს ა ს; მაგრამ სიტყვის ცალკეული მიმოხვერბი, ბუნების დიდებული
აღწერა, კმუნების სიტყვობა, გრძნობების ბუნებრიობა და სიღრმე მოკმეულია ოსი-
ანის შეგავსად. რუსთაველი მისამაძვად შეტად მწელი ოსტატობით ასწერს თავისი
გმირების თავგადასავალს, გადმოგვცემს ღვთისმშობელ გრძნობებსა და ზნეობრივ აზ-
რებს; აშინადად აწიწიწიერებს იგი თავის პოემას. მისი ენა პარმონიულია, მდიდარი
და მოხერხებული დიად აღფრთოვანებათა გამოსაძატავად; გრამატიკული წესებით, ი
დიდად განირჩევა დღევანდელი ენისაგან. სიყვარულით დატკბობის ეაშს, ცხოვრების
შელოთიან ქარიშხლისა და მზიარული განწყობილების დროს ქართველი ყოველთვის
გაიხსენებს ხოლმე რაიმეს თავისი საყვარელი პოემადან. კრასინისკის შესატყვევ აზრებს
და საამო ლექსებს პოლონელები ისე ხშირად არ იმეორებენ, როგორც ქართველები
თავიანთი რუსთაველის ლექსს.

„ვეფხისტყაოსანი“ შინაარსი ასეთია. ტ ა რ ი ე ლ ი და ნ ე ს ტ ა - დ ა რ ე ჯ ა ნ ი,
ინდოეთის მეფის ასული, ერთად აღიზარდნენ და, ნათესაური კავშირის გარდა, ისინი
ურთიერთის სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი. ერთმა მეზობელმა ხელმწიფემ გა-
ნიზრება ნესტან-დარეჯანის ცოლად შერთვა და, რაკი თავისი პირადი ღირსების იმე-
დი არა ჰქონდა, იარაღით აღჭურვილი გაემართა თავისი გულის სატრფოს ხელში
ჩასაგდებად. ტარიელი დამე კარავში ჰკლავს თავის მეტოქეს, იმალება მთებში და
მოუვალ ტყეებში, სადაც მისი აზრები და გრძნობები ტურფა დარეჯანის დასტრია-
ლებენ. ტარიელი მოულოდნელად გაიგებს, რომ ნესტან-დარეჯანი გადაუციათ გან-
თქმული მისანისთვის, მის ნათესავ ქალისთვის, და გადაწყვეტს წაიღებს სატრფოს
სამეზობელად. მწუხარე მგზავრობის დროს შეხედება რაინდი ავთანდილს და მასთან
ერთად მრავალ დათერას განიცდის. ბოლოს გაიგებს ავთანდილს, სადაც იმყოფება
მისი მეგობარი, და რამდენიმე დათერაის შემდეგ ანთავისუფლებს მას. დასასრულ,
თავისი ბიძის, ინდოეთის მეფის სიკვდილის შემდეგ, მის ტახტზე ადის.

აი რამდენიმე ლექსი პოემიდან:

„Тот который сотворил небесный свод могучею силою и даровал творе-
ниям душу, свыше вдохновенную, который дал людям землю, безконечно раз-
нообразную, тот поставил царей, носящих его образ.

„Боже единосущный, правящий жизнью всех творений! поддержи меня, да-
руй мне победу над злым духом, удержи огня милости своей до самой смерти и
облегчи тяжесть грехов неизгладимых“.

„Кому из львов приличнее употреблять копьё, щит и меч, как не Цари-
це Солнца, Тамаре, которой лишь рубиновое, волосы из черного кристалла?..
Я колеблюсь в нерешимости, должен ли хвалить тебя языком обыкновенным.
Те, которые тебя видят, должны есть сахар, как голодные“.

უკანასკნელი სიტყვები მეტად გაუგებარია ჩვენთვის. შოთას უნდა იქნებოდა: როგორც მშვიერი ვერ გაძლება (შაქრით¹⁾), ისე არ შეიძლება გაძლება (შაქრით²) სიზვენიერის კვრეტითო.

უფრო უცნაურად გვეჩვენება ჩვენ ნ ე ს ტ ა ნ - დ ა რ ე ჯ ნ ი ს წერილი, რომელსაც ქართველები ყველაზე მეტად აქებენ³):

„Я пишу к мылому, горестно рыдая сердцем, коего слезы гасят огонь пожирающий меня. Написала письмо, раздирающее сердце слушателей... Раскрылась роза и обнажился кристал, блистающий лучами.

„Возлюбленный мой! это письмо написано не пером, а бриллиантом, омыченным в жельч, на бумаге сердца твоего, которое приковано к моему. О несчастное сердце! Оставайся навсегда прикованным.“

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ პოემას განმარტავდნენ მრავალნი ფილოლოგნი, რომელნიც ყოველ სახეს და ყოველ აზრს სულიერ მნიშვნელობას აძლევდნენ; მაგალითად, ტ ა რ ი ე ლ ი, მათის აზრით, ნიშნავს ს ლ უ ს, ნ ე ს ტ ა ნ - დ ა რ ე ჯ ა ნ ი — უ მ ა ლ ე ს ს ი ყ ე ა რ უ ლ ს და სხვ. ეს პოემა დაიბეჭდა ტფილისში ვ ა ზ - ტ ა ნ გ VI-ის მეფობის დროს. თუმცა დღეს ამ თხზულების ნაბეჭდ ეგზეგზილიარსი უშეიოთად შეხედება კაცი, მაგრამ ქართველებს ისე უყვართ ეს წიგნი, რომ, მიუხედავად უამრავი უბედურებისა, რომელიც განიცადა ცეცხლითა და მახვილით აქლებულმა მათმა ქვეყანამ, იგი ჯერ კიდევ სრულად არის დაცული. ახლა ყველა მდიდარ სახლში შეხედებით მის ხელნაწერს.

თუ რომ ვინმე თანამედროვეთაგანი, გარემოებათა მიუხედავად, თანამემამულეების სასარგებლოდ და სასახლოდ, თავს შესწირავს ქართული ენის შესწავლას და გაგვიცნობს ამ ხალხის ლიტერატურას, ბევრ ძვირფასს რამეს მოვიპოვებთ. დღემდე ეს საგანი უცნობი რჩება, ვინაიდან, გარდა საფრანგეთ-აზიის საზოგადოებისა, არავის ყურადღებით არ განუხილავს ქართული ლიტერატურა და არავის დღემდე არ უხსენებია იგი. იმედს ნუ დავკარგავთ! იქნებ ალექსანდრე ხოზკოს მაგალითმა, რომელსაც პოლონური ლიტერატურის ნიადაგზე ცხელი არაბეთის ყვავილები გადმოაქვს, აღუძრას ვინმეს სურვილი — დაადგეს ამ გზას.

პოლონურიდან პ. დ უ ბ რ ო ე ს კ ი.

¹⁾ აქ ლაპარაკია არა რაფინირებულ შაქარზე, რომელსაც რუსთაველის დროს არა ხმარობდნენ, არამედ შაქრის ლერწმის ტყილ წვენზე.

²⁾ ქართველებს ძალიან უყვართ პოეზია; ხშირად შეხედებით იქ მოხეტიალე ტრუბადურებს, საზანდარეხად წოდებულთ, რომელნიც სტიჩზე უკრავენ ღაჭება-დიდებს შეასახმენ მსმენელებს ან მოუთხოვრებენ სამშობლოსათვის სასახელო ამბებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

33

მხატვრული ლიტერატურა

აკაკი წერეთელი — რუსთაველის სურათზე (ლექსი)	5
ვაჟა-ფშაველა — რუსთაველის ნეშტს (ლექსი)	6
შალვა დადიანი — დღესა ერთსა... (მოთხრობა)	7
ვ. ჭ. გაბეჩიკიძე — ლექსები „ვეფხისტყაოსანზე“	35
დემნა შენგელაია — შემოქმედი (მოთხრობა)	37
ალექს. ქუთათელი — ნატერის ასრულება (ლექსი)	53
აკ. ბელიაშვილი — ამბავი რუსთაველისა (მოთხრობა)	55
როდონ ქორჭია — მზითვეი (მოთხრობა)	65
გრიგ. ცეცხლაძე — რუსთაველისადმი (ლექსი)	73
სიმ. ქვარიაძე — შოთა რუსთაველი (თავი რომანიდან)	77

წერილები და გამოკვლევანი

ბეს. ფლენტი — შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა	97
პავლე ინგოროშვილი — ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და რუსთაველი	112
აკ. გაწერელია — რუსთაველის პოეტიკის საკითხები	131
ალ. ბარამიძე — შოთა რუსთაველი	153
კონსტ. კაპანელი — რუსთაველის ესთეტიკა	173
ტრ. რუხაძე — იდეური ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო	187
მის. ჩიქოვანი — შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება	195

რუსთაველის გარშემო

იაკ. მანგეტაშვილი — მცირეოდენი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე	220
ივ. ენაქოლოფოვი — შოთა რუსთაველი და მისი პოემის შეფასება ჟურნალ „ტელესკოპ“-ში 1833 წ.	223
„ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანები და მის შესახებ პირველი გამოკვლევები რუსულ ენაზე 1802 — 1861 წლამდე	228

ილუსტრაციები

იაკ. ნიკოლაძე — შ. რუსთაველი (ბარელიეფი)	
ხერგ. ქობულაძე — ოთხი ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნიდან“	